ვარლამ ხუროძე

ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილვა

მე-XIX საუკუნიდან თებერვლის რევოლუციამდე.

სახალხო განათლების კომისარიატის
პედაგოგიური სექციის მეთოდორგანოს
მიერ მიღებულია, როგორც დამხმარე
წიგნი შრომის სკოლის მეორე საფეხური-
სათვის.

ტფილისი — 1927

პოლიგრაფ ტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3.
ჰთავლიტი № 1233. შეკვ. № 8190. ტირაჟი 5000

წინასიტყვაობა

ამ წიგნის მიზანია მოკლე და სქემატიური ნარკვევების სახით მიაწოდოს ჩვენს სკოლას ქართული ლიტერატურის მამოძრავებელი საკითხების ზოგადი გაშუქება. ჩვენ ვეხებით მთელ მე-19-ტე საუკუნეს და მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედს თებერვლის დიდ რევოლუციამდე.

ყოველი ერის ლიტერატურას აქვს თავისი თავსამტერეი საკითხები, რომელთა მნიშვნელობა და განსაკუთრებული ხასიათი სრულიად დამოკიდებულია კონკრეტ ისტორიულ პირობებზე ყოველ ერში, თუ მის შემადგენელ კლასებში, განვითარების თვითეულ საფეხურზე თავისებური სულიერი განწყობილება და აზრთა მიმდინარეობა სუფევს.

„მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებასო", გვასწავლის მარქსიზმი. მაშასადამე, უნდა ვიცოდეთ, რომ ესა თუ ის სულიერი განწყობილება საზოგადოების ეკონომიურ-პოლიტიკურ ურთიერთობის ანარეკლია. ამასთან ისიც არ უნდა დავავიწყდეს, რომ ეკონომიურ ნიადაგზე კლასებად დანაწილებული საზოგადოება დიდად რთული მოვლენაა და თანაც ყველაფერი იცვლება, ყოველივე მიმდინარეობს". რის გამო ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა პირობებში სხვადასხვანაირ მიმართულებას იღებს. ამიტომ მარქსის ზევით მოყვანილ ფორმულას დიდი სიფრთხილით უნდა მოხმარა, რათა ვულგარობაში არ ჩავვარდეთ, ყოველ-ფვის ერთი და იგივე აზრი. არ ვიმეოროთ. ჩვენ ვეცადეთ, რამდენადაც კი შეეძელით, ეს სიფრთხილე ხელიდან არ გაგვეშვა.

თვითეული ისტორიული საფეხურის ფსიქოლოგია და თავისებური აზრთა მსვლელობა უსათუოდ აღიბეჭდება ხელოვნური შემოქმედების სხვადასხვა დარგში. ხელოვნების სხვა დარგებთან შედარებით ლიტერატურა ყველაზე პოპულარული და უნივერსალურია. ამიტომაც იგი საზოგადოების სულიერი განწყობილების და აზრთა მოძრაობის უტყუარი სარკეა. მაგრამ არა ჩვეულებრივი სარკე, რომელიც უმეტნაკლოდ გვაჩვენებს ყოველივე იმას, რასაც შიგ ჩავახედებთ, არა, ეგ სარკე თავისებურად შემოქმედია, უაღრესად შემრჩევია და სინამდვილიდან გვაჩვენებს მხოლოდ იმას, რაც დამახასიათებელია.

ქართული ლიტერატურის შესახებაც ეს უნდა ვსთქვათ: მართალია, მოკულობით იგი დიდი არ არის, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ამ პატარა სარკემ უმეტნაკლოდ გადმოგვცა ქართველი ხალხის მიერ ნაგრძნობი და ნაფიქრი თავის ტიპიურ ხაზებში.

ჩვენი ცხოვრების ეკონომიურ-საზოგადოებრივ ურთიერთობის და ლიტერატურის შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ქართული ლიტერატურა უმთავრესად ხუთ ძირითად საზოგადოებრივ საკითხის გარშემო გაშლილა მე-19 საუკუნიდან მოყოლებული თებერვლის რევოლუციამდე.

პირველი თავსამტვრეეი საკითხი იყო ეროვნული საკითხი, მეორე—ბატონ

ყმობა, მესამე—ბურჟუაზიული ცხოვრების შემოკრა, მეოთხე—წოდებათა დიფერენციაცია და მათ შორის ახალ დამოკიდებულებათა წარმოშობა ბატონყმობის შემდეგ და მეხუთე—მუშათა მოძრაობის ასახვა და მისი იდეალების გადმოშლა.

თვითეულ ამ საკითხის გარშემო დაგროვილ ლიტერატურულ მასალის გარჩევას და აწონდაწონვას ცალკე განყოფილება აქვს წიგნში დათმობილი.

ეს საკითხები, თუ შეიძლება ასე ითქვას, კონკრეტ-საზოგადოებრივი ხასიათისაა, მაგრამ ჩვენი მწერლების ყურადღებას უფრო განზოგადებული ანუ ფილოსოფიური ხასიათის თემებიც იპყრობდა. ამიტომ ჩვენ ამგვარი თხზულებები წიგნის მეექვსე ნაწილში მოვაქციეთ ამ სათაურით: ზოგადი საკითხები. როგორც თავის დროზე ვნახავთ, აქ ბევრ სხვადასხვა საკითხს შეხებია ჩვენი მწერლობა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი თემები თითქოს განსხვავდება იმ თემებისაგან, რომელიც განათლების კომისარიატის პროგრამებშია ნაჩვენები. ასეთი დასკვნა ზერელე იქნებოდა: თუ ჩაუკვირდებით, ძირითადი თემები ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა, მაგ., ბატონყმური ურთიერთობა, ბურჟუაზიული ეკონომიკის შემოკრა, წოდებათა დაქსაქსვა ბატონყმობის შემდეგ და საკაცობრიო ჰანგები, რომელსაც ჩვენს წიგნში ზოგადი საკითხები ეწოდება. ხოლო კლასთა ბრძოლის და 1905 წლის რევოლიუციის ასახვა, რასაც მოითხოვს კომისარიატის პროგრამა, ჩვენ მუშათა მოძრაობის ასახვაში გვაქვს მოქცეული.

ასე რომ ჩვენი თემები ცოტას გამოკლებით ერთიანად უდგება მთავრობის პროგრამის თემებსაც.

ჩვენი ნარკვევი გარეგნულად მაინც არა ჰგავს ლიტერატურის ჩვეულებრივ ისტორიას, მაგრამ ჩვენი აზრით არსად ისტორიას არ ვღალატობთ, პირიქით, —ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისტორიას ვემყარებით და მის ფურცლებს ვშლით. ასე რომ ეს წიგნი უსათუოდ შეასრულებს ლიტერატურის ისტორიის როლს. საჭირო იქნება მხოლოდ მისი სათანადოდ მოხმარა. ამ მიზნის მისაღწევად შინაარსის გარდა წიგნს დაეურთეთ დაწვრილებითი ქრონოლოგიური და სახელობითი მაჩვენებლები.

ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა თემებად დალაგების ცდა ჩვენ მოვახდინეთ „ახალ ლიტერატურულ ქრესტომატია“ში, რომელიც 2925 წელს სამ ტომად გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობამ.

ეფიქრობთ, ეს წიგნი კიდევ უფრო ნათელ ჰყოფს იმ გეგმიანობას, რომელიც ამ ქრესტომატიას შეაქვს ჩვენს ლიტერატურაში.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს წიგნში ზოგიერთი ახალი მწერლები ისეთი სიერცით არ არის დაფასებული, როგორც მათ შემოქმედებას შეეფერება. ამის ადგილი ლიტერატურის სისტემატიურ კურსშია, ჩვენი ნაშრომი კი ერთი რომ სკოლებისათვის არის ნავარაუდევი და მეორეც თავისებურ გეგმაზეა აგებული. ამ გეგმის სულსა და გულს მკითხველი მაშინ გაიგებს, როდესაც მთელ წიგნს გაეცნობა.

ვ. ხუროძე.

5 ივნისი, 1926 წ.
ქ. ტფილისი.

განყოფილება პირველი

ეროვნული საკითხი

I

ქართული ლიტერატურის ძირითადი თვისება მე-19 საუკუნეში ეროვნული საკითხია. მართალია, ამ ხანის ჩვენი მწერლობა სხვა საპირ-ბოროტო საკითხებსაც აქცევდა ყურადღებას, მაგრამ ეროვნული მოტივი მაინც მისი საფუძველია.

ქართველი ტომები ხანგრძლივი ემიგრაციის შემდეგ ისეთ მიწა-წყალზე დასახლდენ, რომელიც, თუმცა ერთი მხრივ დიდად მოხერხებული სტრატეგიული ადგილი იყო, მაგრამ მეორე მხრივ საშიშ მდგომარეობას ჰქმნიდა, რადგან ახალი ტერიტორია გზა და ხიდი იყო აზიისა და ევროპის ხალხთათვის. ამიტომაც ეს პატარა ერი, რომელიც ნიჭიერი წევრი იყო მაშინდელი კულტურული კაცობრიობისა (ხმელთა შუა ზღვის აუზი), მუდმივ რბევასა და აწიოკებას განიცდიდა. იმ დროინდელი დასავლეთი (რომი, ბიზანტია და ბოლოს ოსმალეთი) და აღმოსავლეთი (სპარსელები, არაბები და მონღოლები) მუდმივ ეკონომიურ ქიშპობაში იყვნენ, რასაც დაუსრულებელი ომების ხასიათი ჰქონდა; ხან ერთი მხარე იწყებდა ბრძოლას და ხან მეორე. ამ ორ მებრძოლ მხარეთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რომელ მათგანს ეკუთვნოდა შავი ზღვის ნაპირები და ამ ტერიტორიაზე დასახლებული ხალხი—ქართველები. ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალს მცირე აზიის კარებს ეძახიან და ეს მართალიც არის. სწორედ ამ კარების ხელში ჩასაგდებად წარმოებდა დაუსრულებელი ბრძოლა.

არსებობისათვის ჭიდილში თავდაცვის ნიადაგზე უაღრესად ვითარდება სოციალური ინსტიქტები—ერთმანეთშორის კავშირის გრძნობა. ამ ნიადაგზე იქმნებიან საერთო საქმისათვის თავდადებულ მებრძოლთა ჯგუფები, რომელნიც იარაღით იცავენ საკუთარი ტომის კარმიდამოს.

სწორედ ამით აიხსნება, რომ ქართველ ტომებში მუდამ ძლიერი იყო სოციალური ინსტიქტები და ამიტომაც მომხდურ მტრებს ყოველთვის დროის შესაფერ პასუხს აძლევდენ.

ხრმალი და დიპლომატია მუდამ თავდაცვის იარაღი ყოფილა, და ქართველებიც, გარემოების მიხედვით, ორივე ამ იარაღს შესაფერისად ხმარობდენ,

ამ დაუსრულებელ უბედურებათა დროს, არ შეიძლებოდა, რომ რომელიმე მოწინავე მოაზროვნე ქართველს არ გამოეთქვა ხალხის ჭირ-ვარამი და ამას, მართლაც, ვხედავთ სხვადასხვა აგიოგრაფიულ ნაწერებში. ძველი ქართველები მთელი თავის საშინელებით გრძნობდენ „მპყრობელთა, ზედამდგომელთა“ სუსხს (ამ სიტყვებით ახასიათებს მერვე საუკუნის მწერალი იოანე საბანის ძე არაბების

ჩვენში მფლობელობას „აბოს წამება“-ში) ეროვნული ტანჯვის ელემენტები ბლომად მოიპოვება სხვა ძველ მწერალთა შემოქმედებაში, მაგრამ, რადგან ძველად ლიტერატურა არ თამაშობდა ისეთ როლს, როგორიც მას არგუნა თანამედროვე ხანამ, ამიტომ მისი ხმა შეუმჩნეველი იყო და შემთხვევითი ამოძახილის ხასიათისა. სულ სხვა მოელენას ვხე დავთ მე-19 საუკ., როდესაც მწერლობა ცხოვრების გარდაქმნის გზაზე უდიდეს ფაქტორად გადაიქცა. ამ ახალი იარაღით საქართველომ შესანიშნავად ისარგებლა და თვითმპყრობელი რუსეთის უხეში ეროვნული პოლიტიკა შესაფერად დააფასა.

ეს საუკუნე მრავალ მხრივ არის შესანიშნავი ქართველი ერის ისტორიაში. გარეგნულად ამ ხანაში სამი უდიდესი მოვლენა მოხდა ჩვენი ერის ცხოვრებაში: ა) 1801 წლიდან საქართველოს დაეუფლა გარეშე ძალა—რუსეთის თვითმპყრობელობა, რომელმაც ერთი დაკვრით მოსპო ამ სამეფოს დამოუკიდებელი არსებობა და რუსეთის პროვინციად გამოაცხადა; ბ) მოისპო კუთხურ კარჩაკეტილობაზე დაყრდნობილი ფეოდალური მეურნეობა და მის მაგიერ ერის შემადუღებელ დუღაბად საქონლის მეურნეობა გამეფდა, ე. ი. საქართველოში შემოვიდა რუსეთის და ევროპის საავაჭრო კაპიტალი, რომელმაც საუკუნის დასასრულს სამრეწველო კაპიტალის ტენდენციები მიიღო; გ) პოლიტიკურად დაქსაქსული საქართველო ორი სამეფო—იმერეთის და ქართლ-კახეთის—გაერთიანდა და ერთ პოლიტიკურ ფარგალში მოექცა. მუსულმანური საქართველოც მას შემოუერთდა.

ამ გარეგნულ სამოსელ ქვეშ მრავალი საინტერესო პროცესი დატრიალდა და ერის ცხოვრებაც ერთობ გართულდა და გამძლავრდა.

უპირველეს ყოვლისა ერის ფსიქოლოგია ააფორიაქა სულ უცნობი ძალის, რუსეთის თვითმპყრობელ ბიუროკრაატიის, ჩვენს ეროვნულ ორგანიზმში უხეშად შემოჭრამ. აი, როგორ ახასიათებს ამ მოვლენას ამხ. ფილიპე მახარაძე: (1926 წ. „მნათობი“ № 2) „რა თქმა უნდა, მაშინდელ საქართველოსთვის გარდა რუსეთთან შეერთებისა სხვა გზა არ იყო,—უამისოდ მას პირდაპირ ფიზიკური არსებობის მოსპობა მოელოდა,—მაგრამ ეს „შეერთება“. სრულებითაც არ მომხდარა „ნებაყოფლობით“. პირიქით, ეს იყო ნამდვილი ძალდატანებითი მოქმედება, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მთელი რიგი **ძალდატანებითი მოქმედებათა** (კურსივი ამხ. მახარაძისა), რომელსაც თან ახლდა, ერთი მხრით დატყვევილება და სიცრუე, მეორე მხრით კი, სასტიკი სისხლის მღვრელი ომები. საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთება, რასაც თვითმპყრობელობის ერთგული დარაჯები თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში მთელ ქვეყანას უმტკიცებდენ—მხოლოდ ზღაპარია“.

ეს ტრაგედია, რასაკვირველია, ამოუშლელი იყო ერის მეხსიერებიდან. ერის ფართო მასებისათვის ზევიდან მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებას—ეროვნულ დამოუკიდებლობის დაკარგვას—თან მოჰყვა ეკონომიური ხასიათის ძირითადი ცვლილებანიც: ბატონყმური ეკონომიკის დარღვევა და მის ადგილას ბურჟუაზიული წარმოების დამკვიდრება. ეს უკვე მთელი ეროვნული სხეულის ძირითადად შერყევა იყო, რასაც ერის გონებრივი და ფსიქოლოგიური გარდაქმნა უნდა გამოეწვია.

საშინაო, საყოფა-ცხოვრებო ურთიერთობანიც აზროვნებისა და გრძნობის ახალ გართულებას იწვევდა: რუსეთიდან შემოტანილი ევროპის კულტურის ახალი ნაკადი მძლავრად შეიჭრა ჩვენს აზიურ ყოფაცხოვრებაში და გადატეხის პროცესში დიდი ბრძოლა გამოიწვია. ჩაცმა-დახურვა, დროს ტარება, ბინების ახალ „მოდაზე“ მოწყობა, გემოვნება,—ყველაფერი მტკივნეულად იცვლებოდა.

თამარის აქეთ ქართველ ტომებს ერთ ეროვნულ სახელმწიფოში არ უცხოერიათ: იგი დანაწილებული იყო რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ. რუსეთის ჩვენში დამკვიდრებით ეს დაქუცმაცება მოისპო და საქართველოს ორი დიდი ნაწილი ქართლ-კახეთი და იმერეთი გაერთიანდა. გარდა ამისა 1828 წელს საქართველოს ხრმლით შემოუერთდა გამაჰმადიანებული საქართველოს ერთი ნაწილი.—ახალციხის მხარე, ხოლო 1878 წელს კი დღევანდელი აჭარისტანი 1914 წლის საზღვრებში.

ეჭვს გარეშეა, რომ მთელი საქართველოს გაერთიანება და დაქსაქსული ეროვნული სხეულის ასეთნაირი გამრთელება ერთგვარ ახალ ობიექტიურ ეკონომიურ-პოლიტიკურ-კულტურულ პირობებს და აქედან გამომდინარე ახალ ფსიქოლოგიას ჰქმნიდა.

ერთი სიტყვით, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში აზიის ფარგლებში მყოფ საქართველოს მე-19 საუკუნეში უაღრესად მნიშვნელოვანი ცხოვრება დაუდგა და მისი ყითარებაც ძირიანად შეიცვალა, დაწყებული პოლიტიკურ-ეკონომიური საფუძვლით და დათავებული იდეოლოგიით.

უდაო ფაქტია, რომ მაშინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველი წრეები გარემოებათა გამო იძულებული იყვნენ თვითონვე გამოსულიყვნენ იმ საქმის ინიციატორად, რომელსაც ეწოდება 1801 წ. აქტი—საქართველოს რუსეთთან შეერთება. მუსულმანთა რკალში მომწყვდეული საქართველო, რომელსაც სულს უხუთავდა ძველი აზიური ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრება, იძულებული შეიქნა რუსეთის ორიენტაცია მიეღო და მე-16 საუკუნიდან დაწყებული რუსეთ-საქართველოს დაახლოების პროცესი ლოგიკურ შედეგამდე მიეყვანა.

რუსეთის თვითმპყრობელობამ ამ აქტით შეისრულა თავისი უდიდესი იმპერიალისტური ზრახვანი: კავკასიონის მთებიდან გაშიშვლებული ხრმლით თავს გადაადგა თავის საუკუნო მტრებს—ოსმალეთსა და სპარსეთს, დამკვიდრდა კასპიისა და შავი ზღვების ნაპირებზე და ხელში ჩაიგდო კავკასიის სიმდიდრენი. წაგებული არც საქართველო დარჩენილა, თუმც აშკარაა, რომ მას უსათუოდ ჩაყლაპავდა თვითმპყრობელობის ორთავიანი არწივი, თუ დიდი კულტურული სიძლიერე, ეროვნული გამძლეობა არ აღმოჩენოდა.

ევროპის განათლების შუქი საქართველოსათვის მას შემდეგ შეიქნა სანატრელი და გაჟირვებით საძებარი, რაც 1453 წელს ოსმალები კონსტანტინოპოლის აღებით საბოლოოდ დამკვიდრდენ ბოსფორის სრუტეში. ამ ფაქტმა არა მარტო საქართველოს ბედი გადაჭრა, არამედ მთელი მაშინდელი განათლებული კაცობრიობა—ხმელთა შუა ზღვის აუზი—სასიკვდილოდ განგმირა და საკაცობრიო ისტორიის კალაპოტსაც ახალი მიმართულება მისცა. მაშინდელი ევროპის ყავაჭრო კაპიტალი იძულებული იყო ახალი გზები ეძებნა აღმოსავლეთთან მიმოსვლის დასაჭერად. ამის შედეგი იყო ამერიკის აღმოჩენა (1492 წ.), რამაც მსო-

ფლიოს ეკონომიურ-პოლიტიკურ ურთიერთობაში მთელი რევოლუცია მოახდინა: ხმელთა შუა ზღვის აუზის მაგიერი ადგილი ატლანტის ოკეანემ და მის გარშემო მცხოვრებმა ერებმა დაიჭირეს. ევროპის კულტურამ უდიდესი და ახალი წამაქეზებელი მუჯლუგუნი მიიღო.

მუსულმანთა ხელით აზიაში ჩამწყვდეულ საქართველოს ერთიასად გაუძლიერდა აწ უკვე შორეულ ცენტრისკენ, საკაცობრიო კულტურის აკვნისკენ მისწრაფება, მით უმეტეს, რომ მისი ბუნებრივი და უახლოესი გზა—შავი ზღვა—მისთვის დახშული იყო. ამიტომ ევროპას იგი მოსკოვ-პეტროგრადზე გავლით და ფინეთის ყურის წყლებით უნდა ზიარებოდა.

საქართველოს მმართველი წრეები ამ პოლიტიკით უპირველეს ყოვლისა ევროპის წესზე სამხედრო გადახალისებისაკენ მიისწრაფოდენ, რომ ამ გზით თვით არსებობაც შეენარჩუნებიათ და მეზობელ მტრებზედაც შური ეძიათ. ცნობილია, რომ პეტრე დიდმაც რუსეთის გაევროპიელება ამ გზით დაიწყო. პირველი და მთავარი რეფორმა, რომელიც მან გაატარა, სამხედრო ცვლილებები იყო. ყველა დანარჩენი რეფორმები ამ საფუძველზე იყო აგებული.

ასეთია ბედი ყველა ჩამორჩენილი ქვეყნისა: ზრდა განვითარების პროცესის ზედაპირის გადმოღებით ხდება, ე. ი. უკულმიდან იწყება. როგორც მე-18 საუკუნის ისტორიულ წყაროებიდან ჩანს[1]), საქართველოს მთავრობა რუსეთის ყოველ მიმართვაში მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო დახმარებას სთხოვდა, ეკონომიურ ურთიერთობას კი სრულიად უმნიშვნელო ადგილი უჭირავს.

II

ჩვენი წინაპრები ფიქრობდენ, რომ დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შუა სწორეთ ისეთი იქნებოდა, როგორიც ეს იყო სპარსეთთან, ე. ი. საქართველო იქნებოდა. რუსეთის ვასალი, მას შერჩებოდა საშინაო მართვა-გამგეობა, ეყოლებოდა თავისი მეფე და სხვ.

მაგრამ, როდესაც გამოირკვა, რომ რუსეთის პოლიტიკა სრულებით სხვა ხასიათის იყო, ვინემ სპარსეთის, ყოფილი მმართველი წრის მემკვიდრენი გაბატონებულ თავადობასთან ერთად სულ სხვანაირად ამეტყველდენ: ისინი არ შეურიგდენ საქართველოს სამეფოს სრულ მოსპობას და რუსეთის პროვინციად გადაქცევას; შელახულად ჩასთვალეს თავიანთი ინტერესები და ამნაირად საფუძველი ჩაეყარა აჯანყებათა მთელ რიგს. „ხალხის ამბოხება, ანუ აჯანყება,—ეკითხულობთ ამხ. მახარაძის დასახელებულ წერილში—რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ 1802 წელს დაიწყო. იგი განმეორდა მთიულეთში 1804 წ. და შემდეგ კახეთში 1811 წ. 9—10 წლის განმავლობაში აჯანყება სამჯერ მოხდა". ასეთსავე აჯანყებას ჰქონდა ადგილი იმერეთსა, გურიასა და სამეგრელოში 1819—1820 წ.წ. აჯანყებისთვის შეთქმულება იყო 1832 წელში; 1841 წ. აჯანყდა გურია („სამწუხარო შედეგი", რომანი ეგ. ნინოშვილისა).

მაგრამ გადის დრო და შექმნილ ობიექტიურ პირობების გამო ერის მოწინავე წოდებაში, თავადაზნაურობაში, ხდება რუსეთის სასარგებლო გარდატე-

[1]) Грамоты... Ал. Цагарели ორ ტომად.

ხა: რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლის მაგიერ ახლა რუსეთის სასარგებლო შუშაობა იწყება და ქართველი თავადაზნაურობა რუსეთის ბიუროკრატიისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში უდიდეს ყავარჯნად იქცევა.

ამ ნიადაგზე ჩვენში ერთგვარი პატრიოტიზმიც კი წარმოიშვა, რომლის ტიპიური წარმომადგენელი იყო ცნობილი მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი. „კარგი ქართველი იმავე დროს კარგი რუსი უნდა იყოსო". აი, როგორი იყო ამ ადამიანის სამოღვაწეო ფორმულა. [1])

ამ გარდატეხამ უდიდესი გამოხატულება ჰპოვა 50 წ.წ. ვარანცოვის მოქნილი პოლიტიკის დროს. მთიულეთთან ხანგრძლივი ომის კეთილად დასაბოლოებლად თვითმპყრობელობამ ჩვენი თავადაზნაურობის მომადლიერება განიზრახა და მოხერხებულადაც ეწია ამ მიზანს. უხვად დაურიგა ჩვენს ბრწყინვალე წოდებას ჩინები, ორდენები და თბილი ადგილები; გაუხსნა თეატრი და ოპერა. საქუა ბიჭები „ლიბერიით მოურთო", „მოსკოვისა სანთელი გოსტინაში აუნთო" და ასეთი ხერხით გაბრუებული მთიულეთს მიუსია. და იმ დროს, როდესაც ჩვენი მხედრები გრ. ორბელიანის ხრმლით „ავარიელებს თავებს ჭკვეთდენ", ტფილისში იტალიის ოპერა გაჭიოდა, და გიორგი ერისთავი კიდევ დასს ადგენდა.

ვორონცოვის პოლიტიკა ამით არ დასრულებულა: მან საშინლად დაამუხრუჭა ქართველი გლეხობა, უკიდურესად გაამძაფრა ჩვენი ბატონყმობა, მისცა მას მკაცრად ჩამოყალიბებული ხასიათი და ამნაირად ტემლაკებით მორთულს და „ევროპის კულტურით" გალაღებულ თავადს ზეარაკად ხელფეხშებოჭილი გლეხიც მიართვა.

ვაკხანალია კარგა ხანს გაგრძელდა. მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი მიმდინარეობს, ყველაფერი იცვლება: რაც დღეს კარგი და მიზანშეწონილია, ხვალ უარსაყოფი, და დრომოჭმულია; დღეს ერთნაირი მდგომარეობა და ფსიქოლოგიური განწყობილებაა, ხვალ—მეორენაირი.

ბიუროკრატიისა და თავად-აზნაურობის ბლოკი, რომელიც მიმართული იყო გლეხობის წინააღმდეგ, მალე გაიბზარა: ვაჭრული კაპიტალის შემოჭრამ ბატონყმობას ნიადაგი შეურყია და რუსეთთან ერთად 50-იან და 60-იან წლებში ჩვენშიც წარმოიშვენ ახალი ძალები, რომელნიც, თუმც გაუბედავად და უაღრესი ლოიალობით, მაგრამ მაინც ნელ-ნელა გამოერკვენ, ხმა ამოიღეს არსებული მდგომარეობის საოპოზიციოდ და, ამნაირად, საქართველო შედგა გამოღვიძების, გამორკვევისა და განახლების გზაზე. გიორგი ერისთავი, არდაზიანი, ჭონქაძე, ი. ჭავჭავაძე, აკაკი, გ. წერეთელი, ნიკოლაძე, გოგებაშვილი და სხვ. აი, ის სახელები, რომელთა გარშემო აინთო საქართველოს განახლების სანათურები.

როგორი იყო ამ გამოცოცხლების ხანამდე გლეხობის მდგომარეობა?

ძლიერი რუსეთის ჩვენში შემოსვლა უპირველეს ყოვლისა სპარსეთისა და ოსმალეთის ალაგმვას ნიშნავდა, რაც საქართველოსთვის მუდმივ ომებისგან დასვენება იყო. ეს დასვენება კი უპირველესად გლეხობისთვის იყო სასარგებლო, რადგან ძველი საქართველოს ომების სიმძიმე მის კისერზე გადადიოდა. ამიტომ

[1]) იხ. არჩილ ჯორჯიძის თხ. ტ. II, გვ. 157—175.

რუსეთის შემოსვლას ეს წოდება ერთი მხრივ კმაყოფილი შეხვდა, მაგრამ მეორე მხრივ, მას, არ შეიძლებოდა, არ ეგრძნო ის ტრაღედია, რომელიც თავს დაატყდა ქართულ-ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. ამიტომ იყო, რომ იგი თავად-აზნაურობასთან ერთად ხშირად ერთგულ მონაწილეობას იღებდა რუსეთის საწინააღმდეგო აჯანყებაში.

მართალია, რუსეთმა გარეგნული მშვიდობიანობა შემოიტანა, სპარსეთ-ოსმალეთი და დაღესტანი ალაგმა, მაგრამ, სამაგიეროდ, გლეხობის ზოგიერთი ნაწილი საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა სხვადასხვა სახის სამხედრო ბეგარით და ახლად მოვლენილ თავაშვებულ მოხელეთა თარეშით. რასაკვირველია, გლეხობის აჯანყებაში მონაწილეობა ყოველთვის არ იყო ნაციონალური მომენტის მატარებელი, ბატონყმობის საწინააღმდეგო ხმაც მძლავრად გაისმოდა, მაგრამ მდგომარეობა მაინც ისეთი იყო, რომ ყოველგვარი ამოძრავება ნაციონალურ კალაპოტში ემწყვდეოდა.

ბოლოს კი, როდესაც პატარა საქართველო იძულებული გახდა ქედი მოეხარა ძლიერ „მპყრობელთა ზედამდგომელთა“ წინაშე, გლეხობაც დამშვიდდა და მთელი თავის ყურადღება ბატონყმობის მოსპობას მიაპყრო.

ბატონყმობის საკითხი ისე მნიშვნელოვანი იყო, რომ მთელი გლეხობა მოუთმენლად მოელოდა ამ საშინელი ინსტიტუტის მოსპობას. და, როდესაც რუსეთის მთავრობამ 1864 წ. თავისი გლეხობის განთავისუფლების შემდეგ საქართველოს გლეხობასაც „უბოძა“ განთავისუფლება, ჩვენმა მშრომელმა მასამ ეს აქტი დიდი კმაყოფილებით მიიღო.

ბიუროკრატია ჩვენი გლეხობის მიმართ ბოლოს ისეთ გზას დაადგა, რა გზაზედაც პოლონეთში იდგა: ეროვნული ფრონტის გარღვევის მიზნით გლეხობას იმადლიერებდა. პროფ. ი. ჯავახიშვილის სიტყვით „ქართველი გლეხობის ბატონყმობისაგან განმათავისუფლებელ მოძრაობაში რუსის მოხელეები გლეხობის მხარეზე იყვნენ. განსაკუთრებით გლეხებს ხელს უწყობდენ ვექილები (стряпчие), რომელნიც ასწავლიდენ მათ, თუ როგორ ემოქმედათ“ *). ამ ჰოლიტიკით, გლეხობა, ერთი მხრივ მაინც, ცოტად თუ ბევრად მომადლიერებული იქნებოდა. ბატონყმობის მოსპობა ამ გრძნობას, რასაკვირველია, დიდად შეუწყობდა ხელს,

მართალია, ეს განთავისუფლება ნახევრად მოჩვენებითი იყო, მაგრამ ჩვენი გლეხობა მაინც რუსის მთავრობის კმაყოფილი დარჩა და ტახტსაც და საკურთხეველსაც მთელი ორმოცი წელიწადი—პირველ რევოლიუციამდე - ერთგულად ემსახურა.

სამოციანი წლები ღირსშესანიშნავი ხანაა ახალ საქართველოს ისტორიაში. ერთი მხრივ, როგორც ვნახეთ, ამ წლებში საქართველოში თავი წამოჰყო ერთგვარმა საზოგადოებრივმა აზრმა: მთავრობისა და მემამუდეთა ბლოკი გაიბზარა—და მეორე მხრივ, გლეხობის განთავისუფლებით ჩვენს საუკუნოებრივ აზიურ ურთიერთობაში ახალი ცხოვრების სიო შემოიჭრა. მართალია, თვითმპყრობელობის ლურსმნებიანი ჩექმა ძალიან ემწვავა ქართულ ეროვნულ თავმოყვარეობას, მაგრამ ბატონყმობის გადავარდნა მაინც ისეთი დადებითი და

*) Политическое и социальное движение в Грузии в 19 в., 1906 წ., გვ. 29.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ ყოველგვარ უარყოფით მოვლენებს ჰფარავდა. საქართველოზე მძლავრი ხელით გადაფარებული რუხი ფარაჯის ქვეშ უდიდესი სოციალური ცვლილებანი მოხდა.

ქართველი ერის ვარსკვლავიც ცის კაბადონში თითქოს სიცოცხლით აკიაფდა. „მართალია,—სწერს ილია ჭავჭავაძე,—მეთვრამეტე საუკუნის თავზარმა და მეცხრამეტის პირველ წლების წეწვა-გლეჯამ საქართველოს ერი მოღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის თავის იმედიც დაეკარგვინა და, რასაკვირველია, რომ, როცა შემთხვევა მიეცა, ერმა თავი თითქოს მოსვენებას მისცა და თითქმის ხმა ამოუღებლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილ სვე-ბედსა, მაგრამ ილაჯ გაწყეტილის, ღონე მიხდილი ერის ხმის ამოუღებლობა ემჩნევა მარტო ამ საუკუნის პირველ მეოთხედის წლებს. მთელი ეს მეოთხედი საუკუნისა ისე გავიდა, რომ **თვითეული ცალკე კაცი და მთელი საზოგადოება, საერთოდ, თავბრუ დახხმულსავით გარინდებული იყო და საქვეყნოდ არც ხალისი, არც ღონე არ გამოუჩენია, არც უკან მოხედვისთვის, არც წინ დანახვისთვის, თითქო დიდი ნისლი მოხვევია და ელიან, აცა გადიყაროსო, ან თავზარი დასცემიათ და გამოურკვეველ ელდას შეუკრავხო“** (კურსივი ჩვენია. ე. ხ.).

შესანიშნავი დახასიათებაა. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი მდგომარეობა არსებითად მთელი ნახევარი საუკუნე გაგრძელდა და არა პირველი მეოთხედი, როგორც ილია ლაპარაკობს. 1832 წელი დიდად ვერ სცვლის საერთო სურათს. ასე რომ „ნისლის გადაყრა“—ეს სამოციანი წლების საქმეა, როდესაც ქართველი ერი, ცოტად თუ ბევრად, მოსულიერდა, დაიშუშა ძველის ძველი ტკივილები, იგრძნო დაცარული ეროვნული სხეულის გამრთელება, მოღონიერდა ფიზიკურად, სული მოითქვა მატერიალურად და სოციალური ბორკილების დამსხვრევის შემდეგ სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თავი მაღლა ასწია.

, რა სურათი გადაეშალა „ნისლის გადაყრის“ შემდეგ სამოქმედოდ გამოსულ თაობის წარმომადგენლებს?

მართალია, მათი ამოძრავება სოციალური რეფორმების, ბატონყმობის გადავარდნის, ატმოსფერაში მოხვდა, მაგრამ თავიანთი გულისყური ამ საკითხისათვის მათ იმდენად არ მიუპყრიათ. პირველი საკითხი, რომელიც მათ თვალწინ წამოიჭრა, ქართველი ხალხის ეროვნული მდგომარეობა იყო: რა მოუვიდა საქართველოს? რა მდგომარეობაშია იგი დღეს? რა მოელის ხვალ? ვარსებობთ ჩვენ როგორც ერი, თუ დაღუპული ვართ? ვცოცხლობთ, თუ სამარეში ვასვენივართ? რა მოხდა 1801 წელს—საქართველოს დასაფლავება და მისი სამარის ქვაზე წარწერა: ტფილისის და ქუთაისის გუბერნიები,—თუ

„არ მომკედარა, მხოლოდ ძინავს და ისევე გაიღვიძებს“?...

როგორც ამბ. ფ. მახარაძის წერილიდან ამონაწერში ვნახეთ, თვითმპყრობელ რუსეთის ქართულ ეროვნულ ორგანიზმში ტლანქად შემოჭრას საშინელი ძალდატანების ხასიათი ჰქონდა. სუსტი საქართველო ერთიანად დაამუხრუჭა ძლიერმა რუსეთმა. „რუსეთის ფარგლებში ერთიანად ჩაქედილი და საერთაშორისო პოლიტიკის ყოველგვარ ინტერესთა გარეშე დარჩენილი ქართველი ხალხი

თითქოს ბსკერისკენ დაიძირა, — სწერს ცნობილი მეცნიერი ნიკოლოზ მარი *), — მისი ნაციონალური ცხოვრების ძველ დანჯღრეულ ხომალდიდან რიგრიგობით მოხსნილ იქნა (რუსეთის მიერ) მესაკეთა ყველა ფენები: ქართული დინასტია, ქართული ეკლესია და ქართული მოწინავე წოდება, ხოლო ინტელიგენციას ყველა კარები დაეკეტა, გარდა გამარუსებელისა და ნაციონალური გადაგვარებისა. მიუხედავად ამისა საქართველოს საკითხი მაინც არსებობდა". დასაძირავად დაქანებულმა ნაციონალური ცხოვრების გემმა ხელახალი დაზიანებანი განიცადა და კიდეც დაიძირა... მაგრამ ქართული რეალური თვითშეგნების დაღუპვა შეუძლებელი იყო".

დიახ, ქართული საკითხი მანც არსებობდა და ამ ტრაღიკულმა საკითხმა ერთიანად დაფარა სხვა საჭირბოროტო საკითხები.

რა აღვივებდა და ამოძრავებდა „ქართულ რეალურ თვითშეგნებას"? 1801 წლის აქტით გამოწვეული ეროვნული ტკივილები' შეიძლება არც ისე ხანგრძლივი ყოფილიყო, რომ ცარიზმის უხეში იმპერიალიზმი ამით დაკმაყოფილებულიყო. ნაცვლად საღი პოლიტიკისა თვითმპყრობელობა მთელი საუკუნის განმავლობაში შეუჩერებლივ აწარმოებდა ეროვნულ დევნასა და შევიწროებას. პოლიტიკურად და ეკონომიურად დამონების შემდეგ იგი შეუდგა ქართველი ხალხის გადაგვარებას და გარუსებას, ე. ი. მის კულტურულად მოსპობასაც. ამ მიზნის მისაღწევად დაუნდობლად იდევნებოდა ქართული კულტურის ყოველგვარი გამოხატულება: სკოლა, ენა, ისტორია და თავისუფალი აზრი. თვითონ ქართველი თავის სამშობლოს გერად იყო გამოცხადებული: სამსახურში ან არ იღებდენ, ან და უნდობლად ეკიდებოდენ და დაბალი ადგილების მეტს არას აძლევდენ; მშობლიური ენა „ძაღლის ენად" იყო მიჩნეული; ყოველ ფეხის გადადგმაზე იგი ეროვნულ შეურაცხყოფას გრძნობდა და მისი მრავალ საუკუნიანი კულტურის მატარებელი სამშობლო რუსეთის უბრალო გუბერნიებად ითვლებოდა. სიტყვა „საქართველო" არ არსებობდა თვითმპყრობელობისათვის, რომელიც ერთნაირად სტანჯავდა ყველა წოდებასა და კლასს. მთელი ასი წელი ებრძოდა ბიუროკრატია ქართველ ხალხს, ებრძოდა დაუნდობლად და შეუბრალებლად, რომ ერთიანად მოესპო და გაენადგურებია იგი.

ამიტომ არის, რომ ეროვნული საკითხი ჩვენს ლიტერატურაში მთელი გასული საუკუნის განმავლობაში ძირითად საკითხად გადაიქცა და თითქმის ვერც ერთმა მწერალმა ვერ აუქცია მას გვერდი. ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი, აზაბეგი,—აი ჩვენი ეროვნული გოდების გამომხატველი მწერლები. ამავე საკითხზე სწერდენ: გ. ერისთავი, ნ. ბარათაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ვაჟა-ფშაველა, რაფიელ ერისთავი და სხვები.

ეროვნულ გოდებას ჩვენი მწერლები სხვადასხვა ფორმით გამოსთქვამდენ: ლირიული ლექსებით, პოემებით და დრამატიული ნაწერებით.

ერთი თვალის გადავლებით შემდეგ ძირითად თვისებებს აღმოვაჩენთ მთელ ამ მხატვრულ შემოქმედებაში: ა) უკმაყოფილება აწმყოთი, ბ) დიადი წარსულის

*) Проф. Н. Марр «История Грузии», 1906 г. СПБ., ss. 48.

დასურათხატება და გ) საქართველოს მომავლის გათვალისწინება. სამივე ეს ელემენტი აშკარად გამოსჭვივის ჩვენი დიდი მგოსნების შემოქმედებაში, ეს მათი ქმნილებების გამოსავალი წერტილებია და აქ დაანთხია თვითეულმა მათგანმა თავისი ნიჭი და „მდულარებაი სულისა".

ალექსანდრე ჭავჭავაძე

(1786—1846)

დავიწყოთ ალექსანდრე ჭავჭავაძიდან, რომელიც ქრონოლოგიურად განელილ საუკუნის მწერლებიდან ყველაზე ადრე მოესწრო რუსული რეჟიმის საქართველოში შემოტანას და, რომელმაც ყველაზე ადრე იგრძნო მშობელი ერის ცხოვრებაში მომხდარი ძირითადი ცვლილებების უდიდესი სიღრმე და მნიშვნელობა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს მგოსანი 15-16 წლის ყმაწვილი იყო და მის ნორჩ არსებაზე არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ყოველივე იმას, რაც მის გარშემო დატრიალდა. ეს უნდა მომხდარიყო მით უმეტეს, რომ საქართველოს შეერთებაში ჩაქსოვილი ბედი თუ უბედობა, აღფრთოვანება, თუ გულის გამგმირავი განცდა, მისი მამის ოჯახისათვის ყოფნა არ ყოფნის საკითხი იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძე ცნობილ გარსევან ჭავჭავაძის შვილი იყო,— ერეკლე მეფის საყვარელი და სანდო კაცის, რომელიც პეტერბურგს იყო ელჩად მივლინებული საქართველოსთვის სამხედრო დახმარებისა და მფარველობის გამოსათხოვად.

ცნობილია, რომ გარსევან ჭავჭავაძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ ორი სახელმწიფოს დაახლოების საქმეში; მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ეს ჩვენი დიპლომატი, რომელსაც ვერც თეირანი გააცურებდა და ვერც სტამბოლი, პეტერბურგში სასტიკად მოტყუვდა და იმედგაცრუებული დარჩა. აი, რა გულის მომკელელი და ტრაგიკული გრძნობებით აღსავსე განცხადება მიართვეს 1801 წ. 6 ნოემბერს რუსეთის მთავრობას პეტერბურგში საქართველოს ელჩებმა—ჭავჭავაძემ, ავალიშვილმა და ფალავანდიშვილმა: „მოგეხსენებათ, თუ რა გვარის მიზნითა და სრულუფლებიანობით აღჭურვილნი ვიყავით თქვენთან მოელინებულნი ნეტარად მოსაგონარ ჩვენის მეფის მთავრობისაგან. ჩვენზე დავალებული მისია პირნათლად შევასრულეთ: ჩვენი სურვილი იყო, რომ საქართველოს სამეფო მიღებული ყოფილიყო რუსეთის მფარველობის ქვეშ. დღეს, მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს მიღება გამოქვეყნებულია, ამის შესახებ მანიფესტი შედგენილიცაა და დამტკიცებულიც, ხოლო ჩვენთვის კი არავის უცნობებია რაიმე არც საქართველოს მიღებისა და არც მანიფესტის შედგენის შესახებ, სანამ ყოველივე ეს არ დასრულებულა. თავიდან ბოლომდე ჩვენ ვიყავით ამ საქმის მამოძრავებელნი, ახლა კი ისე დათავდა საქართველოს მიღება, რომ ნახსენებიც კი არ არიან არც თხოვნის მომრთმევნი და არც ამა საქმის გამომთხოვნელნი.— გარეშე საზოგადოებამ და ჩვენ ერთსა და იმავე დროს გავიგეთ ეს უკვე მომხდარი ამბავი... ჩვენ ამით შეურაცხყოფილნი ვართ, რამდენად ეს მოხდა ჩვენი მო-

ნაწილეობის გარეშე ჩვენთვის ბოროტმოსურნეთა პირთა მეოხებით და გავლენით, ჩვენ ამის გამო ბუნებრივად ვდრტვინავთ და გული გვტკივა"—და სხვ. [1])

ახსნა-განმარტება ზედმეტია. აშკარაა, რომ ის სიცრუე, ძალდატანება და სიყალბე, რომლის შესახებ ამბ. მახარაძის აზრი უკვე მოვიყვანეთ, თავიდანვე უწარმოებია იმპერიალისტურად განწყობილ თვითმპყრობელობას საქართველოს მიმართ. რასაკვირველია, ერთნაირად გულდასერილი დიპლომატი თავის გულის წყრომას საკუთარ ოჯახსაც გაუზიარებდა და ჰაბუკ ალექსანდრეს ყურამდეც მიაღწევდა მამის დრტვინვა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ბავშობიდანვე შეეზარდა იმ აზრს, რომ იგი დიდი კაცი უნდა ყოფილიყო საქართველოში. ცნობილია, რომ იგი დაბადებისთანავე ერეკლე II თავის ემირ-ეჯიბად (გენერალ-ადიუტანტად) დანიშნა და თანაც მაშინვე პენსია დაუნიშნა. იგი დიდ ფუფუნებაში იზრდებოდა ჯერ ფრანგულ პანსიონში, პეტერბურგში, და 1801 წლიდან ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ალექსანდრე ნათლული იყო ისეთი სახელგანთქმული მეფის, როგორიც იყო ეკატერინე II, რუსეთის იმპერატრიცა... და, აი, ასეთ ატმოსფერაში აღზრდილი ყმაწვილი ხედავს, რომ მის სამშობლოს უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენეს და თვითონ ისიც დიდების ტახტიდან ძირს დაანარცხეს.

დამარცხებული პოეტი ბატონიშვილ ფარნაოზთან ერთად სპარსეთისაკენ გარბოდა თავშესაფარად. მაგრამ დახეთ უბედობას! ადიდებულ მტკვარში დროზე ვერ გასცურეს დემურჩალოსთან, ტფილისიდან 40 ვერსის მანძილზე, ბატონიშვილთან ერთად დატუსაღებულ იქნა მისივე მოძმის — თამაზ ორბელიანის მიერ [2]).

გადის 8 წელიწადი და პოეტი უკვე რუსის მთავრობას უდგას გვერდით, მარკიზ პაულუჩის ადიუტანტია და კახეთის აჯანყებულების კიდეც დასჭრიან მას ჩუმლაყთან, სადაც აჯანყებულების მიერ მეფედ არჩეულმა გრიგოლმა გადამწყვეტი ბრძოლა მისცა რუსებს [3]).

კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის ალ. ორბელიანის სიტყვით პოეტს „თანი მოპარსეს რუსებმა, ვითარცა მამულის მოღალატეს და ციხეში დაატუსაღეს, ვითარცა მამულის ავაზაკი".

ძნელი ასახსნელია რა პირობებში დაიჭრა პოეტი აჯანყებულების მიერ 1812 წელს, ის კი აშკარაა, რომ ქართველი მოწინავე ინტელიგენცია მას შემდეგშიაც თავის კაცად სთვლიდა და 1832 წელს კიდეც გაანდვეს შეთქმულების საიდუმლოება. როგორც ვიცით, ამ შემთხვევაშიაც პოეტს სასაჯელი არ აცდენია, ხელახლა დაატუსაღეს და რუსეთში გადაასახლეს.

ამდენჯერ იმედებ გაცრუებულისა და გაუბედურებულ მგოსნის შესახებ ამბობენ უდარდელი მგალობელი იყოო. რა შემცდარი აზრია! პირიქით, ყოველიგე ამას ღრმა კვალი უნდა დაემჩნია მისსულსა და გულზე. და ეს ეჭვს გარეშეა, რომ

[1]) თაეისუფალი თარგმანი ცაგარლის „გრ. მოტეების" მეორე ტომის მეორე ნაწილიდან, გვ. 301 -- 02.

[2]) იხ. „მთიულეთი 1804 წ." ფრონელისა, 311 313 გ., 1896 წ.

[3]) „ამბობება კახეთისა" 1812 წ. მ. სივე 161—162 გვ. 1907.

ასეთი შეურაცხყოფის მიმყენებელი მთავრობა არა შემთხვევაში პოეტს არ ეყვარებოდა, პირიქით, მის არაკეთილმოსურნეთა რიცხვში იქნებოდა.

მართლაც, 1804 წელს, 17 წლის ჰაბუკმა ალექსანდრემ, კახეთის აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა და დაიკრა კიდეც.

აწმყოთი გულდასერილი პოეტი ასე გოდებს:

„ჰკენესის გული, ძმანო, ხსოვნად კმანო, მომხსენე ვების,
არც ცრემლით მგონე შენაღონე თქვენთანა შვების.
გვერდით პყრობილი, გულ გაპობილი ქმუნვისა ლახვრით,
გახსოვდესთ მწარი მომჩივარი საწუთროს რებით“.

ასეთი სულის კვეთება პოეტის თანდაყოლილი თახამგზავრია და არ არის წამი, რომ სევდა არ სწამლავდეს მის სულსა და გულს.

„ჰოი ეით გვემტყუენა
სოფლისა ბრუნვა!
წაგვიხდა ზრუნვა
მბუდარე გულსა.
ამად ვსტირთ წყლულსა
არ დაფარულსა.
ვქმუნავთ ბედმწირნი,
გვხვევიან ჭირნი
ფოთოლთ უხშირნი.
დავიდნენ მთენნი
შარავანდთ მფენნი
აწ იგი მზენნი.

დიახ, ეს „ფოთოლთ უხშირნი“ სევდაა, რომ ასე აკვნესებს ჩვენს მგოსანს,

„უწყალო სენმან, ყოვლად მაწყენმან
გვიკოდა გულნი,
გვყო ჭირთა მთმენად, მგლოვიარენად
ყოვლნი სულდგმულნი...
ჩვეულნი ლხინსა, მიგვკა ჭირსა
უბედობამან,
მოგვაკლო შვება, გვმატა ვება,
შავსვეობამან“...

„შაგბედსობილი“ პოეტი მეორე ადგილას ასე ჰგოდებს:

„ქმუნვის მახვილი გულსა მსობია,
მიკვირს თუ სული რად არ მხდომია“.

ასე დაჰკოდა აწმყომ მგოსნის სული და გული. გარედან შემოკრილმა ძალამ პოეტს სამშობლოც გაუუბედურა და პირადად მასაც განუკურნებელი ჭრილობები მისცა. მართალია, რუსეთის მთავრობამ შემდეგში ის დიდად დააწინა-

ურა და გულმკერდიც გენერლის ჯვრებით [1]) დაუმშვენა, მაგრამ მგოსნის სული მაინც უკმაყოფილო იყო, მაინც გულს უკლაედა აწმყო და თვალცრემლიანი იგონებდა საქართველოს ძველ დიდებას,

„სად ყვავებულან დიდებულად
ქალაქნი ვრცელნი
და სად დღეს ვხედავთ ოდენ ბუთა
და ნატამალთა;
„სად კვლავ მეფენი მოწიწებით
იდრეკდენ მუხლსა´...

ა. ჭავჭავაძის სიტყვით ერთ დროს საქართველო სრულებით არ წარმოადგენდა იმ სურათს, რასაც დღეს ვხედავთ. მაშინ, იმ ბედნიერ დღეს, იყო:

„ჩოგნის ტაცება, ჭაბუკთ მხედართ
გამოსაცდელად,
შუბთა ტრიალი, ჯირითი, ტყორცნა
და ისართ სროლა“.
„ერთ გზის ესეცა ქვანი შავნი
დღეს დახავსულნი,
ურთიერთთანა კავშირობით
ამაღლებულან,—
მკუთვნელნი მათნი, ბედნიერნი
და კმაყოფილნი,
ოდესმე მათში განცხრომილან
და განშვებულან“...

ასეთი იყო ძველი საქართველო, რომელიც დღეს თვითმპყრობელ რუსეთის ლურსნმიან ჩექმის ქვეშ თავგაჩეჩქვილია და „აწ მტერად აღგვილა“, „ნაქცევნი მისთა კიდეთ ძაძით მმოსველნი არიან“; თვალწინ გვიდგას იგი „საგლოვო ნაშთნი შენობათა“, რაც

„დროის მსვრელის ცელით
ყოვლთა წარმწყმედით,
ციურთა მჯობი მშვენებლობაც
სხვათებრ მოსთლილა“.

ასე ტრაღიკულად განიცადა მგოსანმა მშობელი ქვეყნის აწმყო და წარსული. ამიტომაც დაუმძიმებია მისი არსება მარადიულ სევდას:

„ვეძუნავთ ბედ-მწირნი,
გეხვეევიან ჭირნი
ფოთოლთ უხშირნი“,—გოდებს იგი.

---

[1]) ალ. ჭავჭავაძე ცნობილ სარდლის ბარკლაი-დე-ტოლის ადიუტანტი შეიქნა. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ კოალიციის ჯარებთან ერთად პარიზში შევიდა. ქავკასიაშიც დიდი თანამდებობა ეკავა.

როგორ შეჰყურებს იგი საქართველოს მომავალს?

მგოსანს სულს უხუთავს აწმყო და ხშირად სასოწარკვეთილებაში აგდებს. „ბედ-მწირის“-ს წინაშე მრავალჯერ ფატალურად მოუხრია მას ქედი:

„კმაყოფის გზათა ეხედაე ხლართულად,
სურვილი უქმად გულს შემრჰობია“-ო,—სევდიანად დამღერის
ის, მაგრამ არის წამი, როდესაც იმედიც გაუელვებს:
„ნაცელად იმედთა მათ ჩემთა მზეო,
ჰოგვრიტით ჰვრეტა შეღამრჩომია“-ო, გვეუბნება იგი.

მის თვალწინ დგას „ჰალატთა დიდებულთა
ნგრეული ნაშთნი“, მაგრამ მას არ უნდა დაიჯეროს, რომ ყოველივე ეს არის „ჩვენისა მომავლისა ნამდვილი ტახტი“ და თავის თავს შედგრაღ ეუბნება:

„მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედავ ბრმობილო“, ე. ი. მომავლის იმედიც უნდა გექონდესო.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ მშვენივრად იცოდა საქართველოს ისტორია და მისი გმირული ბრძოლა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. მის თვალწინ ჯერ კიდევ ელვარებდა ერეკლეს ხრმალი და ქართველურ „ჰკა მაგას“-აც აშკარად ისმენდა იგი. ამიტომაც არ უნდოდა „აწმყოზე“ მიბმულიყო მისი ხედვა, მისი დაკოდილი გული ჰორიზონტს ეძებდა და თუმც „კმაყოფის გზათა ხლართულად ხედავდა“, და იმედსაც „ჰოგვრიტით სვრეტდა“, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ილიას თქმის არ იყოს, ჩამოწოლილ პოლიტიკურ ნისლში ის ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ გარკვეულიყო და გულის გამგმირად გოდებდა:

„ნუ მიტევებ, ოცნებავ, მომეც ძველნი ხილვანი,
მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხვრანი,
წარსულისა სიცოცხლის ნიავი კვლავ დამქროლე
და დამაშვრალსა სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე.
გვედრებ, ნუღა მშორდები, განმიგრძე სიხარული,
რომე ხსოვნითა ოდენ დავიტკბო წყლული გული“-ო.

ალექს. ჭავჭავაძე ზოგიერთების აზრით უდარდელი პოეტია და ქალებისა და ქეიფის მეტი არაფერი ახსოვს. მისი ლექსების უმეტესობა თითქოს მარტო ამ საგნების გარშემო ტრიალებდეს. საქვეყნო საკითხს მგოსანი თითქოს მარტო „გოგჩის ტბაში“ ეხებოდეს და სხვ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ეს აზრი საესებით შემცდარია და რომ ალ. ჭავჭავაძე ერთიანად გაჟღენთილი იყო საქვეყნო სევდით. ამას ამტკიცებს პოეტის პირადი ცხოვრება და ბოლოს თვით მისი შემოქმედებაც.

ამ აზრის მოწინააღმდეგენი უმთავრესად ემყარებიან ალ. ჭავჭავაძის ცნობილ სასიმღერო ლექსს „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“. მართალია, ჩვენი მგოსნის პოეზიაში არის სიყვარულისა და უზრუნველობის მომენტი,—რაც სრულებით ბუნებრივია ყოველი პოეტის შემოქმედებაში,—მაგრამ დიდი შეცდომაა იმისი თქმა, თითქოს მას მეტი ინტერესი არ ჰქონდეს ცხოვრებაში. ალ. ჭავჭავაძე, მართალია, მიმართავდა თავდასავიწყებელ საშუალებებს—ქეიფს და გრძნობათა

ღელვას,—მაგრამ ამის მიზეზი საქვეყნო უბედურების გამო დასევდიანება იყო. და არა დროის ტარების სურვილი. გამწარებული პოეტი ერთგვარ თავის დამავიწყებელ საშუალებებს ეძებდა და „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“ „ეამიანობის დროის ქეიფს“ უფრო ჰგავს, ვინემ უდარდელ მოლხენას [1]).

გრიგოლ ორბელიანი

(1800—1883)

გრიგოლ ორბელიანი დიდი მგოსანია. მისი ქნარის ძირითადი პათოსი ეროვნული გოდებაა. თავის ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში, მან მრავალჯერ ამოიგმინა გულის განმგმირად. მართალია, პირადი მისი ცხოვრება, ახალგაზრდობის გამოკლებით, გარეგნულად ბრწყინვალე და შარეანდედმოსილი იყო, მაგრამ მისი გულის სიღრმე უკურნებლად იყო დაავადებული საქართველოს უბედურებით. შთამომავლობით იგი ერის იმ ფენებთან იყო შეკავშირებული, რომელთაც ყველაზე ადრე იგემეს თვითმპყრობელი რუსეთის იმპერიალიზმის ვერაგობა და უხეშობა. მაშასადამე, გრიგოლ ორბელიანი არ შეიძლებოდა კმაყოფილი ყოფილიყო იმ მდგომარეობით, რომელშიაც საქართველო იმყოფებოდა. ამ საერთო მიზეზს მისი პირადი უბედურებაც დაემატა: მგოსანი 1832—წ. შეთქმულების მონაწილედ იცვნეს და ცნობილი „ყაზარმობის“ (შეთქმულთა ავლაბრის ციხეებში დამწყვდევა) ტყვეობის შემდეგ კარგა ხნით სამშობლოდან განდევნეს.

რა გვარად ეხატება გრიგოლ ორბელიანს საქართველოს აწმყო?

„დიდება ჩვენი
ცად სხივ მომფენი
ნუ თუ ეს ღა გვაქვს ეხედავთ რასაცა:
დაყრუებულსა,
გზა შეუვალსა,
უდაბურ ტყეში ტაძარს დარღვეულს,
სად სახე მეფის—
დიდის თამარის
ჩანს ძველს კედელზე გამოხატულად“.

გულს უკლავს მგოსანს ეს სურათი, ბეთანიის ეკლესიის ნანგრევები მისთვის დღევანდელი საქართველოს სიმბოლოა და „ბედდაკარგული ივერიის ძე“ უნუგეშოდ კვნესის:

„ჩემსა გულსა მოსეულნი ჭმუნვათა დასნი.
ესრედა ჰგლეჯენ უღონოს მსხვერპლს შეუბრალებლად“.

დაქცეული სამშობლოს სახე გულის განმგმირავის ეპეების ჰანგზე ააღლერებს მის ქნარს:

[1]) ეს აზრი ა. ჯავჯავაძის შემოქმედების შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ 1919 წ. გამოვსთქვით ქუთათურ „ს. დ.“-ში, № 15.

....ვა, თუ რაც წახდეს.
ველარა აღსდგეს,
ველარ აყვავდეს ახლის შვენებით.
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შავმან ყორანმა, ვით უმწე მსხვერპლი''.

გულის მომწამველია საქართველოს აწმყო, მაგრამ პოეტმა იცის, რომ:

,,სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა,
ერი გულადი, პურადი,
მებრძოლი შავის ბედისა.
შავ დროთა ვერა შესცვალეს
მის გული ანდამატისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი,
მებრძოლი შავის ბედისა''..

ამიტომაც

,,მამულისათვის ფიალა
სავსე ვსვათ სიამოვნებით
და იქნეს აღყვავებული
კეთილდეობით, დიდებით''.

პოეტს მთელი თავის არსებით სწამს· რომ

,,სოფელი იმად არა ღირს,
კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე
ვერა რას არგებს მამულსა''.

სამშობლო უსაყვარლესი ადგილია ადამიანისათვის:

,,ვინ არ შეეტრფის მის ადგილს,
სად აღგვეხილნეს პირველ თვალნი,
სად ჰრქოდა მხიარული
სიყმაწვილე ნათლად ჩვენი...
სადა შევხარით ლაჟვარდად
ცისა კამარას მორთულსა,
მასზე მაეალსა ხელმწიფებრ
მზეს ბრწყინვით განსხივებულსა''.

პოეტის სამშობლო დიადი იყო წარსულში. ეს იმ დროს იყო, როდესაც

,,თამარის დროშა გაშალეს,
შეკრბა დიდუბეს ლაშქარი:
კახი ფარ-შუბით, თუში ხრმლით,
ფშავ-ხევსურს შვენის აბჯარი,

მკლავით ძლიერით ქართველი,
ვით ციხე ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხმარდი, მთიული
ბრძოლაში შეუპოვარი''..

პოეტი „ლხინში" ეთაყვანება ქეთევან დედოფალს, რომელიც მამულისათვის იტანჯვის, სარწმუნეობის დამცველი, ხორც დაგლეჯილი შანგებით; „ვახტანგსვე დამწარებულს" და მამაცთა შორის საკვირველება „პატარა კახს"—დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს"... პოეტის მახვილ თვალს მუდამ წინ უდგას

„გუნდი და გუნდი ვაჟკაცთა",
რომელნიც „მამულის მფარველნი'' არიან.
,,ზოგნი თემურის დამმხობნი,
ზოგნი აზატის მებრძოლნი''...

მართალია, მგოსანს ხშირად იპყრობს უიმედობა და ჰგონია, რომ

,,წარსულთა დროთა, დიდების დროთა
ყოელი კეთილი თანა წარიღეს'',

მაგრამ ის მაინც მთელი არსებით მსურველია, რომ

,,... ივერი
აღდგეს ძლიერი
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
წმიდის საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათლებული,
ზნე ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლოს მიწის სიყვარულითა''...

სწორედ ამ მიზნით ეტრფის იგი პოემა ,,ლხინში'' წარსულის დიდებასა და მის გმირებს:

,,გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება.
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომაელობა:
თქვენთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული
ჰაბუკი ხმალსა მისწვდება''.

წარსულის გმირების დიდების გადმოშლა იმ მიზნით, რომ თანამედროვე ქართველი „ხმალს მისწვდეს" საქართველოს ძველებური დიდების „ღსადგენად,—აი, როგორია გრიგოლ ორბელიანის აზრთა და გრძნობათა მიმდინარეობა.

ჩვენი მგოსნის მიერ შექმნილი ფორმულა ისე დროული და ღრმა აღმოჩნდა, რომ მის კალაპოტში ერთიანად მოემწყვდა ქართული ეროვნული გოდების მთელი ნაკადული: გრიგოლ ორბელიანის მომდევნო მგოსნები არსებითად ამ აზრთა რკალში შემოქმედებდენ. ამას აშკარად დავინახავთ სხვა მწერლების განხილვიდან.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

(1816—1845)

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებასაც ის ატმოსფერა ჰკვებავდა, რომელშიაც აღიზარდენ ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი. მოაზროვნე ადამიანისათვის საშინელი უდროობისა და მარტოობის დრო იყო ეს ხანა, როდესაც ქართული ეროვნული გემი ნელ-ნელა და შეუმჩნეველად იძირებოდა,

„ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი ცხოვრება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. სიცოცხლე მომძულებია ამდენი მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობის, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში“,— ასე შესანიშნავად და მოკრილად ახასიათებდა ბარათაშვილი თავის დროს და საკუთარ სულიერ განწყობილებას.

ამ უსაგნობამ, და ობლობამ ტრაღიკულ განმარტოებამდე მიიყვანა ბარათაშვილი, რომლის ძლიერმა სულმა ღრმად ჩაიყურყუმელავა თავისავე „მე“-ში. ზეზეური და მსუბუქად მოაზროვნე ადამიანი უსათუოდ შეეწყობოდა ამ უდროობის ხანას, ის არ ეტყოდა თავის თავს, „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოსო“, მაგრამ ბარათაშვილის აქტიური არსება მოწამლულმა გარემომ სულ სხვა გზაზე შეაყენა და მისმა მდიდარმა სულიერმა სალარომ უდიდესი პროტესტი და ბრძოლა გამოუცხადა შემმუსვრელ გარეშე პირობებს. ამიტომაც მისი შემოქმედების დედაძარღვი სულ სხვა სივრცეში იქნა გადატანილი: მისი ნიჭის ხომალდი ფილოსოფიურ საკითხების ზღვაში გაცურდა საკმაოდ მძლავრი ხელით.

ამის შესახებ ჩვენ ქვეითი გვექნება ლაპარაკი, აქ კი ბარათაშვილს შეეხებით იმდენად, რამდენადაც მის შემოქმედებაში ადგილი აქვს ეროვნულ მომენტს.

მართალია, ბარათაშვილის შემოქმედება ეროვნული უბედურების ნიადაგზე აღმოცენდა, მაგრამ თვითონ ეროვნული საკითხი მას არ გაუხდია თავის ქნარის ძირითად მოტივად. ამ საკითხმა მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა მიიღო ამ დიდი მგოსნის ლიტერატურულ მოღვაწეობაში.

ბარათაშვილმა ეროვნულ საკითხს „ბედი ქართლისა“ და „ორი ლექსი: „საფლავი მეფის ირაკლისა“ და „მწირი და სუმბული“ უძღვნა. ამ თხზულებებში ბარათაშვილი უმთავრესად იმ საკითხს არკვევს, თუ რამდენად აუცილებელი იყო საქართველოს რუსეთთან შეერთება.

პოეტს სწამს, რომ სუმბული უცხო მხარეში ვერ იხეირებს:

„მწირო, ხომ ხედავ, მოკლებულ ვარ ჩემს სამშობლოს გულს,
ჩემთ სწორთა ყვავილთ, მშვენიერს ცას და ჩემსა ბულბულს",

ამიტომაც, დასძენს იგი

„ეწუხ, რომ უჟამოდ მეღების ბოლო".

ამავე აზრს გამოსთქვამს იგი „ბედი ქართლისა"ში, სადაც სოფიო ამბობს:

„უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ეერეის იკარებს სული
და არს უთვისო დაობლებული.
რა ხელ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული
გალიაშია დატყვევებული"...
...რას არგებს კაცსა დიდება,
თუ მოაკლდების თავისუფლება"...

ეჭვს გარეშეა, რომ მგოსანი სოფიოს აზრებს თანაგრძნობით ეპყრობა:

„ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა ტკბილ სახსოვარნო.
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ"!

ასე შენატრის ამ სიმპატიურ მანდილოსანს მგოსანი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ პოეტი ფატალურად იხრის ქედს ერეკლეს წინაშე და ამბობს:

„დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის
გარდაიწყვიტა გულმან ირაკლის".

ალბად ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სოლომონ მსაჯულის აზრებშიც ერთგვარი წინააღმდეგობაა და ბოლოს აქაც ასეთივე დასკვნაა გაკეთებული.

„მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება,
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა სულის კვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას.
შენ ერმა მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება
და რად ივიწყებ, რომე მარადის
ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის".

ამ სიტყვებიდან პირველად გამოდის, რომ მეფე მართავს „წყალობითა ხალხისათა", ამიტომ მხოლოდ ხალხის მიერ გამოთქმული სურვილი უნდა აასრულოს მან, მაგრამ ქვევით მოყვანილი სიტყვები კი აშკარად ჰყოფენ, რომ მეფე ეგების „წყალობითა ღვთისათაც" კი მოქმედებს:

„მაგრამ ეინ იცის, იგი იქნება
უკეთ ფიქრობდეს, რაც გვეპირეება.
ბევრჯელ ღვთიერსა ზრუნვასა მეფის
გონება ყმათა ვერა მიხვდების“...

ასე ფიქრობს სოლომონი. აშკარაა, რომ პოეტიცა და სოლომონიც ერთნაირად აზროვნობენ, ე. ი. საქაროველოს რუსეთთან შეერთებას აუცილებელ აქტად აღიარებენ. თუმც ეს გარემოება სრულებით იმას არ მოასწავებს, რომ ბარათაშვილი საქართველოს ბედს სამუდამოდ გადაჭრილად სთვლიდეს და მისი მდგომარეობა არ აღონებდეს. ფაქტის აღიარება სრულებითაც არ ნიშნავს მის სამუდამოდ დადასტურებას. შეიძლება კაცმა ფაქტი ცხოვრების ერთ საფეხურზე პროგრესიულ მოვლენად აღიაროს და იმავე დროს ამ გამოსაეალ წერტილიდან ამავე ფაქტის საწინააღმდეგო ბრძოლა დაიწყოს.

„ბედი ქართლისა“-ში გამოთქმულმა იდეამ გაგრძელება „საფლავი მეფის ირაკლისა“-ში ჰპოვა:

,,მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავის წინ, გმირო მცხოვანო,
თაყვანს ვსცემ შენსა ნაანდერძევს წინასწარად თქმულს,
აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი,
ყამთ ვითარებით გადახვეწილს შენთ შვილთ მიდამო
მოაქვს მამულში განათლება და ხმა საამო...
სადაც აქამდინ ხრმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი...
აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძ ამაგსა“ და სხვ.

დიახ, ამ სიტყვებით დაადასტურა ბარათაშვილმა ირაკლის ღვაწლი საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხში.

თუ ბარათაშვილის შემოქმედების დედაძარღვს მივწვდებით, იგი ისეთი პოეტია, რომელიც თავგანწირულად ებრძვის შავ ბედს:

,,ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა შოსისხლე მტერი,
თუ აქამომდე არ ემონა მას,
არც აწ ემონოს შენი მხედარი“-ო,—ამბობს იგი.

აქაც ფაქტი აღიარებულია, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილიც აშკარაა. იმავე ,,ბედი ქართლისა“-ში კრწანისის ველზე დახოცილ გმირთა მიმართ პოეტი ამბობს:

,,მაგრამ, ჰე, გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოველად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გადაიცემის.
ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიდუმებს,
აღა მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს“...

ამ გმირებმა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას შესწირეს თავი, ამ იდეას კი ბარათაშვილი ,,ცხოველად სულზე დაჩენილად“ სთვლის და საშვილი-

შვილოდ აღიარებს. რატომ? იმიტომ რომ უცხოობაში არ შეიძლება იხეიროს სუმბულმა, მის თავისუფლად გადასაფურჩქნად აუცილებლივ საჭიროა მშობლიური მიწა-წყალი.

მართალია, ბარათაშვილმა კანონიერად და მიზანშეწონილად იცნო საქართველოს რუსეთთან შეერთება, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ აწმყო მასაც გულს უშხამავდა და მოსვენებას არ აძლევდა. ყოვლად შეუძლებელი იყო არ ეგრძნო მის სათუთ არსებას ის უბედურება, რომელიც ირგვლივ მძვინვარებდა. მისი დაეჭვებული სულის დამახასიათებელ ლირიკულ განცდად უნდა ჩაითვალოს პოემა ,,ბედი ქართლისა''დან შემდეგი სტრიქონები:

,,სახელმწიფოსა რჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი?
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი?
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვათ იდუმალთ''?

ეჭვი არ არის, რომ ბარათაშვილსაც ეს იდუმალი ტანჯვა უწამლავდა არსებობას, მასაც ისე ეთუთქებოდა საქართველოს აწმყოთი გული, როგორც მის თანამედროვე მოწინავე საზოგადოებას და შეგნებულ პირებს. ,,საშვილიშვილოდ'' და ,,ცხოვლად სულზე დაჩნეული'' იდეა და მისი ხორცშესხმა ბარათაშვილისათვისაც უდიდეს იდეალს შეადგენდა.

ვახტანგ ორბელიანი

(1812—1890).

ვახტანგ ორბელიანი ერეკლე მეფის შვილიშვილია; მისი დედა იყო ერეკლეს განთქმული ქალი, თეკლე, რომელსაც თავის სახელოვან მამასთან ერთად ომებშიაც კი მიუღია მონაწილეობა.

ამ მანდილოსანს მთელი თავის არსებით უყვარდა თავისი ქვეყანა და რასაკვირველია, რომ იგი ვერ შერიგებოდა საქართველოს დამცირებას და დამდაბლებას. მას არა ერთხელ მიუღია მოხაწილეობა საქართველოს მაჰმადიანთაგან დამოუკიდებელ ცხოვრების თავდასაცავ ომებში და, როდესაც რუსეთის მხრივაც ასეთი საშიშროება დაინახა, სრულიად ბუნებრივად ჩადგა ოპოზიციონერთა რიგში და დიდი თანაგრძნობით ეპყრობოდა 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის მიმღებთ. ამ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდა მისი ღვიძლი შვილიც, მომავალი პოეტი—ვახტანგი, რომელიც პატიმრობის შემდეგ ოთხი წლით გააძევეს სამშობლოს საზღვრებიდან კალუგაში საცხოვრებლად.

მაშასადამე, ვახტანგ ორბელიანის პატრიოტულ-სულიერ განწყობილებას საზღვრავს ორი გადამწყვეტი მიზეზი: ერთი მხრივ ოჯახი და საერთო ატმოსფერა, მეორე მხრივ პირადი ბედი. მან ერთობ გვიან მოჰკიდა კალამს ხელი, სახელდობრ მაშინ, როდესაც უკვე 45 წლის ვაჟკაცი იყო (1857 წ.). ეს გარემოება სხვათაშორის იმითაც უნდა აიხსნას, რომ სამოციან წლებამდე პრესა და, საზოგადოდ, ლიტერატურა ჩვენში არ წარმოადგენდა საზოგადოებრივ ბრძოლისა და თავდაცვის იარაღს: ძველ საუკუნეთა ანდერძით ასეთად ხრმალი ითვლებოდა და ვახტანგიც ხრმლით ცდილობდა სამშობლოს განთავისუფლებას, მაგრამ რაკი დარწმუნდა უძლურებაში, რაკი დაინახა, რომ საქართველო რუსეთთან შეერთებით სრულიად უჩვეულო პირობებში მოჰყვა, ამიტომ დიდი ყოყმანის შემდეგ მან ხრმალი უკუაგდო და სამშობლოს დასაცავად ახალი დროის იარაღს —მწერლობას—მოჰკიდა ხელი.

„აქ ხშირად ჰპოებ ტაძართ,
შთენთ დიდებულთა,
პალატთ ნანგრევთა და მონასტერთ
აოხრებულთა.
მაგარ სადგურნი, ფრიალოთგან
გადმოკიდულნი,
უფსკრულს უმზერენ დარღვეულნი,
დატევებულნი;
წმინდა საფლავნი ნანგრევთა შუა
ხშირად არიან,
მოუხსენებელთ, უპატრონოდ
ტყენი ჰბურვიან;
არ აცხოვლებენ მათგანთ საფლაეთ
წირვა, ცისკარი;
მხოლოდ დროებით მათზედ ჰბერავს
გრიალით ქარი“.

ასე ეხატება პოეტს თავის დროის საქართველო და გულგანგმირული კვნესის:

„სული მიკვნესის, გული ჩემი
მწარედ ღონდება,
რა საქართველოს მწარე ბედი მომაგონდება“-ო.

პოეტი ხედავს, რომ

„ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო,
გმირთა აკლდამი, გულსაკლავი და საკალალო“.

წარსული კი —„ჩვენის სამშობლოს ბნელი ეტლი“—გმირული და დიდებულია, ის ხრმლით ხელში იცავდა ორ უდიდეს მცნებას: „წმინდა ჯვარსა და ივერიასა. მას ჰყავდა სახელოვანი შვილები, რომელნიც მამაცურად იბრძოდენ ამ საკაცობრიო იდეებისთვის; ისე ძლიერი და უკვდავია ჩვენი წარსულის დიდება, რომ დღესაც ამით ვკოცხლობთ:

„და თუ აქამდის არ დაბნელდა ჩვენი გონება,
და თუ სწავლისთვის, სამშობლოსთვის კვლავადა აღსდგა.
და თუ აქამდის არ დავკარგეთ სითბო გულისა,
იგი მადლია იმ ნავლისა წმინდის ლამპრისა“.

„მთის ქალში და მოგზაურში“ მგზავრი ეუბნება ქალს:

„ჩემს ქეეყანაში ნახავდი შენ
დიდ სანახავებს:
დიდ ქალაქებსა, დიდ ტაძრებსა,
დიდ შენობაებს.
გაკვირდებოდი, დატკბებოდი
იმათის მზერით...
იქ შენ ნახავდი ერს სწავლულს და
განათლებულსა,
დიდ ქვეყანასა, ხელოვნებით აყვავებულსა“...

საქართველო ქრისტიანულ სარწმუნეობისთვის იბრძოდა, მას ამოძრავებდა უდიდესი საკაცობრიო იდეა, ამიტომ თუ კი ქვეყანაზე სამართალი არის, ან ზეცაში, ან ადამიანთა შორის, უსათუოდ სასწაული უნდა მომხდარიყო და ეს პატარა თავგანწირული ერი ან ღმერთს უნდა დაეხსნა და ან ამ წუთისოფელში მცხოვრებ ქრისტიან ერებს.

ასე მსჯელობს პოეტი, ასეთია სამართლიანობის გრძნობით აღსავსე შეგრძნობა, მაგრამ სინამდვილეში რა მოხდა?

„სამშობლო მიწა ქართველთ სისხლმა
სრულად შეღება“.

საქართველოს არც ზეცა დაეხმარა და არც ადამიანი, ამის გამო გულმოკლული პოეტი ასე ჰგოდებს:

„გონება ხელობს, გაშმაგებულს
აზრი მერევა,
სარწმუნეობას გულის ჭმუნვის
ძალა ერევა.
მაშინ, მოყვასნო, მზა ვარ გკითხოთ,
მითხარით ერთი:
თუ დაბადება სამყაროსი იყო მის ნება.
და თუ ეს აზრი არ არის შტერთა
და ცრუ ზმანება;
თუ ქვეყანასა წესი მისგან
მოენიჭების,
თუ ნათელი არს და ნათელი
ჭეშმარიტების,—
მაშ საქართველო ასე მწარედ

რისთვის დაემხო...
შენ არ მოგსვლია გულს ეს გმობა,
პატარა კახო-?...

ღვთის არსებობაზე და სამართლიანობაზე ეჭვმიტანილი მგოსანი ადამიანებს ასე მიმართავს:

„და დასავლეთის ქრისტეს ერნო.
თქვენ რას შვრებოდით,
როცა ქრისტესთვის თქვენ თვალწინა
ბქვენ კარს ეწყდებოდით?
თქვენ ირაკლისა ღიმილითა
თავსა უკრავდით,
რჩევას აძლევდით და ქებისა
ტაშსა უკრავდით...
არ დაიდუმებს ისტორია,
ნუ გაქვთ იმედი,
მართლმადიდებელთ წმინდა სისხლი
გედებათ"-ო.

მაგრამ არც ცის მიმართ მუქარამ გასჭრა და არც „ქრისტიან ერთა" დაშინებამ, საქართველოს საკითხი მაშინ უბრალო ძალთა განწყობილებამ გადასჭრა და საქართველომაც მხოლოდ თავისივე ძალ-ღონით დააღწია თავი იმ უბედურებას, რომელსაც მას თვითმპყრობელი რუსეთი უმზადებდა ფიზიკურად დაქსაქსვითა და დენაციონალიზაციის მეთხებით.

პოეტი ხშირად მიმართავს წარსულს, საიდანაც „ჭაბუკთა ხრშალზე ხელის მისწვდენად" და თანამედროვეთა გასამხნევებლად წარმტაც სურათებს ხატავს. ასეთია მისი ლექსები „ირაკლი და მისი დრო", „გელათი", „ჯვარი ვაზისა", „ორი ობოლი" და სხვ.

პოეტს ასე ჩასჩურჩულებს ზეციური არსება:

„გრწამდესო, ღვაწლი მამა-პაპათ
არ განქრებიან,
გრწამდეს ეს შთენნი დიდებულად
კვლავ აღსდგებიან...
და თქვენი ერი,
ქრისტეს ჯვარისთვის წამებული,
კვლავ გამრავლდება,
თქვენი სამშობლო დანგრეული
კვლავ აყვავდება".

მართალია,

„რაც თვალის წინა გვაქვს, გულსაკლავად ისიცა კმარა",

მაგრამ პოეტი რწმენით მიმართავს „იმედს":

„იყავ შვენება, ნეტარება ივერიისა,
იყავ ჩვენთვისა ცის ვარსკვლავი, შუქი მთვარისა“.

როგორც დავინახეთ, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედება გრიგოლ ორბელიანის რკალში ტრიალებს: საეალალო და გულსაკლავი აწმყო, დიდებული წარსული და მისი მოგონება თანამედროვეთ ასამაღლებლად.

ვახტანგის შემოქმედება საქართველოს გამოღვიძების — 60 — 80 წლების ხანას ეკუთვნის, ამ ხანებში კი მთელი საქართველოს გულისყურის წარმტაცად ორი უძლიერესი ქნარი ეღერდა: ერთი იყო აკაკის და მეორე ილიასი.

ვახტანგ ორბელიანის მუზა ბანს აძლევდა ამ კორიფეებს, რის გამო მისი ინდივიდუალობა ვერ არის მკაფიო და საკუთარი, მხოლოდ მისდამი კუთვნილი ელფერის მატარებელი, თუმც ტეხნიკის მხრივ გრიგოლ ორბელიანზე მაღლა დგას: მისი ლექსი უფრო დახვეწილი და კეთილხმოვანია.

გიორგი ერისთავი

(1811—1861).

გიორგი ერისთავი ერთი აქტიური მონაწილეთაგანი იყო 1832 წლის შეთქმულების, რისთვისაც კარგა ხნის პატიმრობის შემდეგ პოლონეთში იქნა გადასახლებული. მაშინ იგი 20—21 წლის ჭაბუკი იყო. სამშობლოს უბედურება სხვებზე ნაკლებად არც მას უწამლავდა გულს, ის ახალგაზრდური გატაცებით მუშაობდა ფარულ საზოგადოებაში, რისთვისაც მთავრობამ სხვა მონაწილეებთან შედარებით უდიდესი სასჯელი მიუსაჯა. მიუხედავად ამისა, გიორგი ერისთავის შემოქმედებაში ეროვნულ გოდებას ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი ნიჭი სრულიად საკუთარი გზით წავიდა და უნდა ითქვას, რომ იმ უდროობის ხანაში მისი ლიტერატურული ფიზიონომია დიდი ინდივიდუალობის შემცველი აღმოჩნდა და მის მიერ დაჩნეული კვალიც ღრმა და წაუშლელია. ამის შესახებ ჩვენ სხვა ადგილას ვილაპარაკებთ უფრო ვრცლად, აქ კი მისი შემოქმედების ერთ ელემენტს—ეროვნულ ჰანგს—შევეხებით.

ეროვნული გრძნობით გაჟღენთილი ლექსები მან უმთავრესად გადასახლებაში ყოფნის დროს დასწერა.

„მტკვარო, მდინარეე ჩემის მამულის,
სად ხარ, რომელსა ხშირად შეგსვამდი,
შენსა მორევში ოდეს ვცურავდი“ და სხვ.

იგი ადიდებს ნიკოლოზ ბარათაშვილს, როგორც მამულიშვილს, ყაბახს კი ასე მიმართავს:

„შენზე სწერია მოთხრობანი გმირთა დიდებულთ,
შენ შეაბერავდი ჩვენსა შორის ივერთა ტრფობას“.

გიორგი ერისთავს ძალიან უყვარდა პოლონეთის ნაციონალური პოეტი, მიცკევიჩი, რომლის ნაღვლიან ლექსებსაც იგი ხშირად სთარგმნიდა. უნდა ითქვას,

რომ ერისთაეის ლექსები ერთობ მოიკოკლებდენ გარეგნულად: ძველი ენით არის დაწერილი და აზრიც ვერ არის გამართული. პროზაში რეეოლუციის მომხდენმა—პირველად მან შემოიტანა ჩვენს მწერლობაში უბრალო ხალხის ენა—პოეზიაში მარცხი განიცადა.

რაფიელ ერისთავი

(1824—1901).

რაფიელის შესახებაც დაახლოებით იმის თქმა შეიძლება, რაც გიორგი ერისთავზე ვთქვით. მართალია, ეროვნულ საკითხს ეს მგოსანიც შეეხო, მაგრამ მისი შემოქმედების სამხატვრო კილო სულ სხვა სიბრტყეში—გლეხობის ყოფაცხოვრების გადმოცემაში—გაიშალა.

პოეტი ამბობს: „ქვეყნად ვეძებდი სამოთხეს—ო და კიდეც ნახა იგი:

,,ვიპოვე იგი სამოთხე,
ვინ მოსთვლიჩ ამის ქებასა,
გადაჭიმულა წალკოტად.
შეხედეთ ღვთისა ნებასა,
ეს საქართველო ყოფილა,
ჰხვედრია ღვთისა დედასა...
ორი ზღვის შუა მდებარებს
ქართველთა მიწა-წყალია",

აქ მცხოვრენი

„ვიშ რა ხალხია, რა ტურფა,
რა გულოვანი მოყვასი" და სხვ.

პოეტს ღრმად უყვარს თავის სამშობლო, მისი „სამშობლო ხევსურისა" ჩვენი ეროვნული პოეზიის შედევრია და მე არ მეგულვება საქართველოში ისეთი ადამიანი, რომელსაც ან არ ემღეროს ეს კლასიკური ლექსი, ან და სხვისგან არ გაეგონოს მისი ჰანგი.

რაფიელის ხევსური იმღერის:

„სამშობლო, დედის ძუძუი,
არ გაიცვლების სხვაზედა" და სხვ.

პოეტსაც ღრმად სწამს ეს გულის სიღრმიდან ამონახეთქი გრძნობა და თავის მთიულთან ერთად ისიც დასძახებს:

„არ გავცლი მე ჩემს სამშობლოს
სხვა ქვეყნის სამოთხეზედა"-ო.

ილია ჭავჭავაძე

(1837—1907).

I.

ილია ჭავჭავაძე ეროვნული გოდების უდიდესი გამომხატველია. თავისი დიდი ნიჭი, ღრმა ჭკუა და მძლავრი შემოქმედება მან სამშობლოს დაცვის იდეას ანაცვალა. მთელი თავისი სიცოცხლე ემსახურა იგი მშობელ ქვეყანას, რომელსაც „აჩრდილის“ მოხუცის პირით ეუბნება: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“-ო. ჭეშმარიტად, მარად საქართველოსთან იყო ილია, ყოველ წუთს „მის ბედით თუ უბედობით ეწოდა გული“- და თავისი სისხლიც მოწამებრივად დაანთხია წიწამურის მიდამოებში.

მან სტუდენტობიდანვე სრულიად გარკვეული და ნათელი გზა აირჩია. იმ დროში, ჩვენს პირობებში, ეს პირდაპირ გმირობა იყო. რუსეთში სწავლა შეძენილი 24 წლის ყმაწვილი სამშობლოში ბრუნდება, არაფერ სამსახურს ხელს არ ჰკიდებს და თავისუფალი პროფესიით იწყებს მოღვაწეობას: ჟურნალისტობს, მწერლობს, უკიდურეს შემთხვევაში გლეხებსა და თავად-აზნაურებ შორის მომრიგებელ შუამავლის როლს კისრულობს; მერე ისევ მწერლობას უბრუნდება და მთელ თავის ენერგიას მას ანდომებს. და ეს ყოველივე იმ დროს, როდესაც არც ერთ ამ საქმეს ჩვენში წინაპარი არ ჰყოლია და ტრადიცია არ ჰქონებია, როდესაც მაღალი წოდების საუკეთესო წარმომადგენელნი მხოლოდ სამსახურში დაწინაურებაზე ოცნებობდენ, კაკის ღირსებას „ჩინებით ზომავდენ“ და პირადი კეთილდღეობის მეტი არაფერი ახსოვდათ.

„ჩვენი ქვეყანა,
მკვდარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიკვლია,
თქვენგან ჩაგრული,
დაბრმავებული
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდია.
კაცის მხნეობა,
კაცის ზნეობა.
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია“-ო, სამართლიანად ესვრის მახვილ ისარივით ილია თავის ერის ბრწყინვალე წარმომადგენლებს, რომლებიც მარჯვენა ხელით რომ რუსეთის იმპერატორის მიერ ნაბოძებ ჩინ-ორდენებს იბნევდენ მკერდებზე და მხრებზე, მარცხენათი პატრიოტულ ლექსებსა სწერდენ. მათი სამოქმედო ფორმულა: კარგი ქართველი იმავე დროს კარგი რუსი უნდა იყოსო, ილიასათვის მიუღებელი იყო. კარგი ქართველი მხოლოდ კარგი ქართველი უნდა იყოს,—აი, ილიას სათაყვანო დევიზი, რომლისთვისაც მას ერთი წუთითაც კი არ უღალატია.

„ღმერთი არმობის
ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას“-ო, ამბობს ილია, რომლის

თანამებრძოლნი არც ისე მრავალ რიცხოვანი იყვნენ,—„აგერ ორ-სამ კაცს რა-ლაც უგრძვნიათ“—მაგრამ, სამაგიეროდ, უკვდავი რწმენით იყვნენ გატაცებულნი.

ეს იმ დროს იყო, როდესაც სამოციანი წლების განმაახლებელი გრიგალის მეოხებით საქართველოს ჰორიზონტზედაც განახლების ეარსკვლავი აკიაფდა. უკვე გათავდა ის ხანა, როდესაც ამბობდენ: „აცა გადიყაროს“ ნისლმაო.

ილიას ბედმა გაუღიმა, რომ ასეთ მომენტში მოუხდა ასპარეზზე გამოსვლა. ილია იმითაც ბედნიერი იყო, რომ ამ დროს ერთად-ერთი თავდასაცავი იარაღი საქართველოსთვის უკვე კალამი შეიქნა და არა ხრმალი.

„ხრმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო“, ამბობს ილია.

ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ სამოციან წლებიდან მიეცა საზოგადოებრივი მნიშვნელობა მწერლობას. მანამდე კი მისი გავლენა ნულს უდრიდა; არც ალექსანდრე ჭავჭავაძე და არც ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი ლექსების დაბეჭდვას არ მოსწრებიან, მათი ნაწერები ხელნაწერად ვრცელდებოდა. ასეთსავე ბედს განიცდიდა დიდი ხნის განმავლობაში გრიგოლ ორბელიანი, ეახტანგ ორბელიანმა კი 1857 წ. „ცისკრის“ იანვრის ნომერში დაბეჭდა პირველი ლექსი „ბულბული“.

II

რა მდგომარეობაში ხედავს თავის სამშობლოს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსასვლელად გამზადებული ილია (1859 წ.)?

„არსაიდან ხმა, არსით ძახილი,
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით გამოძახილი
ქართველის ძილშია კვნესა ისმოდა“, ამბობს იგი „ელეგიაში“.

პოემა „აჩრდილიდან“:

„აგერა მცხეთაც—სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,
. . .
სად იმა წყაროს წყლით დაბანილი
ქართველის ტკივილი დაყუჩდებოდა.
აწ აღარა სჩქეფს წყარო ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამშკნარა
და იგი დედა ქალაქი ვრცელი
აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა.
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს ამ ცხოვრების წმიდა ადგილი
პირუტყვთა ქნევით შეგინებულა“...

რა სურათს წარმოადგენს მეორე ჩვენი დედა ქალაქი—ტფილისი?

„ერთ გზით შეჰხედავ და იქ ცხოვრება
მართალ ცხოვრებად მოგეჩვენება;
ლხინობენ კიდეც, კიდეც ჰხარობენ,
ჰფიქრობენ, გრძნობენ და მოქმედებენ,
მავრამ მით ცრემლსა, ღიმილს თუ გრძნობას
ფრჩხილის ოდენაც არა აქვს აზრი“.

მისი შვილები ერთიანად გადაგვარებულნი არიან:

„რისთვის მამანი ილვწოდენ უწინ,
დღეს შვილთ არ ულირთ არც ერთ ფლურადა“.

ხოლო ამ შვილთა არსებობა კი

„ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
უფერულია და ცალიერი,
არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გულწარმტაცველი.

„აქ არვის—დიდსა თუ პატარასა,—
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული“.

ამიტომ ილია გესლიანად იცინის:

„ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი“?

„ქვემძრომელი“, „უნჯი“, „მუნჯი“, „თვალაბმული“, „თავაკრული“, „ყველა ყრუი“, „ყველა ცრუი“, „ფლიდი“, „გზა მრუდენი“.

„მტრის არ მცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი,
არრის მქონე,
არრის მცოდნე
უზრუნველი და მშიერი“.

საშინელი სანახაობაა, რომელმაც სამუდამოდ დაასევდიანა დიდი მგოსნის მგრძნობიარე სული და გული. დაეუგდოთ ყური „მგზავრის წერილების“ მთიულს:

„რუსო'ბაჩი ვარნ. აწი'ნა ყველაი გაცუდდნის, ყველაი გაუქმდის. აწი'ნა ერობა დაიშა'ლის, მეძავ მრუშო'ბაი ჩამოვა'რდნის, ხარბობაი, ანგა'რი გვერი'ფნის, ერთსულობაი დავა'რდნის, მტრობა-ბძარვაი გახში'რონდის. აწი'ნა ქვრივობოლი ვინ განიკი'თხვის, ატირ-ვდო'მულ ვინ გააცი'ნის, დაცემულ ვინ აღადგინის, აწი'ნა არ არნ კა'ცნი და თუ არნ--პირა'დ და გულად ჯუღურ არნ. ერი დავარნილ, გალახუ'ლ არნ, ერდომილ—კრთობილ. წა'ხდა ქართველთა სახელი,

ქართველთა წესწყობა'ი. რაია აწინა ჩვე'ნი დარჩენა? ჭამადსმა სასყი'დვალ ლოცვა-კურთხევა'ი სასყი'დვალ, სამართალ სასყიდვალ"..

ასე ყოველ მხრივ მძლავრად და ღრმად მაშინდელი საქართველოს მდგომარეობა არავის დაუხასიათებია. ამ გაპარტახების სურათმა ათქმევინა „აჩრდილში" მყინვარზე გადმომდგარ სიმბოლიურ მოხუცს:

„მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვტირი.
იგი აღარ გვყავს... მის მოედანი
ჯაგით აღგვრილა, ვერანად ქმნილა,
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა,
გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას
დაგინგრევიათ დიდი მამული"-ო.

ილიაც გულ ამოხკვნილი კვესის:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა სწორედ ის არი,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუზიარო".

III

როდესაც 1861 წ. ჩვენი დიდი მგოსანი რუსეთში სწავლა მიღებული სამშობლოში ბრუნდებოდა, ასეთი კითხვები უტრიალებდა თავში: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე? რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას და რას მეტყვის იგი მე?" ზევით მოყვანილი სურათით სამშობლომ თავისი პასუხი უთხრა მისგან გულდათუთქულ შვილს. შვილიც დიდი ხნის ტანჯვისა და გონებრივი ანალიზის შემდეგ ამ დასკვნამდე მივიდა:

„მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს"...

მართალია, „აწმყო არ გვწყალობს", მაგრამ „მომავალი ჩვენია", რადგან დღევანდელი საქართველო ღრმა და ძლიერი კულტურის ნაყოფია, ქართველი ხალხის ეროვნულ ორგანიზმში მძლავრად სცემს უდიდესი სასიცოცხლო ნაკადული,

„მაგრამ ვაჟკაცნი, შვილები შენნი
გულდაგულ მტრებსა წინ უდგებოდენ.
იყო დრო, როს შენს ძახილზე, ხმაზედ
მამულის დროშა გაიშლებოდა

და ჭაბუკთ რაზმი შენს მოწვეევაზედ
მტრის დასახვედრად მოგროვდებოდა“

ძველ საქართველოში თავდადებულნი იყვნენ არა მარტო საზოგადოდ ვაჟკაცები—ე. ი. უბრალო მცხოვრებნი, არამედ მას ჰყავდა ღირსეული და თავდადებული წინამძღოლნი და ორგანიზატორნი—დიმიტრი მეფეები.

მახსოვს ფარნავაზ ჰაეროვანი
გულ მტკივნეული შვილი ქვეყნისა“,

რომელმაც გმირულად განდევნა საქართველოს დამმონებელნი მაკედონლეები. ეს უცხო ძალა საქართველოს დაღუპვას უქადდა:

„ერის იმედის, სასოების, ნიჭის მმუსვრელი,
თვით ერის ენას—მაგ ერის განძს—იგი სდევნიდა.
სძაგდა ყოველი, რაშიაც იყო ერის ღირსება,
რაშიაც ერი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი,
რაშიაც მის დიდება, პატიოსნება.
რისთვისაც დაშვრა, მამაპაპის გული და ხელი“...

ამ სიტყვებში უფრო რუსული მართვა გამგეობის დახასიათებაა და ილიას თანამედროობა გამოსჭვივის, ვინემ მითიურ ფარნაოზის მითიური ღვაწლი, მაგრამ საქმე აქ აზრთა მსვლელობაშია და არა ისტორიულ სინამდვილეში.

ძველი საქართველოს წესწყობილებაში, მგოსნის რწმენით, ჩამარხული იყო თანამედროვე ეპოქის მამოძრავებელი იდეა—რესპუბლიკანური მართვა-გამგეობის საფუძველი. აი რას ამბობს ილია მთიულის პირით „მგზავრის წერილებში“:

„იქაიდ (სამების მონასტერში) არნ სე'ნაკ, სად სამარ'თალი ბჭეთაგან იბ-ჭო'დის. რა'იც მძი'მა სა'ქმე ხე'ვჩი აკარდის, მუნი ბრჭობი'დნეს. როდე'ს ატყ-დეს ერობა'ში დიდ-დე'ვა, დიდ საქმე, დიდ-არჩევანი, ერობის აქაედ გამა'რ-თვენ. აარჩი'ვინ ბჭედა ბრძენ-ბერ-კა'ცნი, პიეტრობით სახელდებუ'ლნი, დასხმიან მათ იმ სენა'კში საბრჭო'დ. ქვრივ-ობოლთ ვიფარე'ვდით, შინ მიწრი'ელს, გარედ მავნეს დაულაგმონდით, ერთ ურთს ლაღ მტე'რთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვე'ბნდით“...

ერთი სიტყვით, ძველ საქართველოს ჰქონებია დემოკრატიული მართვა-გამგეობის საფუძვლები, სცოდნია თვითმმართველობის პრინციპი, არჩევნები, კოლექტიური ცხოვრების ორგანიზაცია და სხვ. შეუძლებელია ასეთი ერის დასამარება, ის უნდა აყვავდეს და გასაქანი მიეცეს...

ახალ გზაზე შემდგარი საქართველო, რომელიც ახალ ვარსკვლავს მისდევს, ისეთ შვილს უნდა ზრდიდეს, რომელიც

„ძველს ერთობას დაკარგულს,
ჩვენსა წამხდარ გმირობას
და მამულს დაობლებულს“ ცეცხლივით აენთება, რომ მსხვერპლად დააკვდეს მას.

„უკვდავი არის შვილი
მამულისთვის მომკვდარი.
მამულს მიგცა ზეცამა
და, თუ ზედ დააკვდები,
ნუგეშ იცეს დედამ,
რომ კაცი კაცად კვდები“.

ამიტომ ილია სევდიანი გულით ეუბნება უცხოეთში მოჯირითე იანიჩარს:

„სთქვი, თუ ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა“-ო.

უნდა ვიფიქროთ, რომ მგოსანს აქაც რუსეთის თვითმპყრობელობის სამსახურში მყოფი თავისი დროის ქართველი სამხედრო პირები ჰყავს სახეში.

წარსული ჩვენი დიდებულია, მაშასადამე, ჩვენი ერის სასიცოცხლო ნერვი მაგარ ნიადაგზეა აღმოცენებული.

ჩემო კარგო ქვეყანავ,
„აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია,
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია“,—ასეთია ილიას აზრი და შეურყეველი რწმენა საქართველოს მომავლის შესახებ.

მგოსანს ტრმად სწამს „დიდების დღეთა“ აღდგენა ახალ პირობებში, რათა „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“, ასე იყო ძველად და „მით იყვის უკედ“ (მთიულის სიტყვით), საქართველოს აღდგენის აზრი მუდამ თან სდევდა ილიას და იმავე აზრით განიგმირა მისი შუბლი. ჯერ კიდევ 24 წლის მგოსანი ეუბნება თავის ქვეყანას:

„შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული.
ღამე თენდება ეგრედ ჩემი და დღე ღამდება.
დაკინებითა ფიქრი ფიქრზე მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოერად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი,—მიხარიან, რომ ეგრედ შვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში“.

გარდა ლირიკული ლექსებისა და პოემებისა (მეფე დიმიტრი თავდადებული, დედა და შვილი), ილია ჭავჭავაძემ ეროვნულ საკითხს უძღვნა თავისი შესანიშნავი ნაწარმოები „მგზავრის წერილები“. ნაციონალური იდეის გამომსახველად აქ გამოყვანილია მთიული, რომელიც შავი საღებავებით აფერადებს საქართველოს აწმყოს—მისი სიტყვები უკვე მოვიყვანეთ ზევით,—მისტირის წარსულს, რომლის საფუძველი დემოკრატიული თვითმართველობა, თემი იყო და დღეისათვის სამოქმედოდ აყენებს ასეთ ლოზუნგს: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, ე. ი. საქართველო თავის თავს თვითონვე უნდა უვლიდეს და რუსეთის თვითმპყრობელობამ მასზე ხელი უნდა აიღოსო. ილიაც ამ იდეას ეტრფოდა: „მიგიხვდი, ჩემო მოხევე, რა ნესტარითაცა ხარ ნაჩხელეტიო“, ეუბნება იგი მას.

საქართველოს განთავისუფლების აზრი ილია ჭავჭავაძისათვის მთელი ცხოვრების მანათობელი ვარსკვლავი იყო და მუდამ ჟამს ამ იდეის გარშემო ფიქრობდა. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ფორმულით ილიამ ერთგვარად ჩამოაყალიბა მთელი ქართული პატრიოტული გოდების სახე. გრიგოლ ორბელიანის სიტყვები:

„გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა,
თქვენთა საქმეთა მოთხრობით
ყმაწვილ ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული
ჭაბუკი ხმალსა მისწვდება“,—აი ეს აზრი ი. ჭავჭავაძემ უფრო გაარკვია და გვითხრა; ჭაბუკი ხმალს იმიტომ მისწვდება, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“.

ამაზე უფრო გარკვეულად ქართული საკითხის დაყენება მაშინდელ პირობებში ყოვლად შეუძლებელი იყო.

აკაკი წერეთელი

(1840—1915)

I

აკაკი წერეთელზე ბედნიერი მწერალი საქართველოში მეორე არ ყოფილა. მას ყველაფერი ხელს უწყობდა: ნიჭი, მდგომარეობა, აღზრდა და, რაც ყველაზე საყურადღებოა, ეს ეპოქა და მაშინდელი საქართველოს მდგომარეობა.

თავის დროზე თქმულ სიტყვას ცხოვრებაში უდიდესი და ხშირად გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს. რაც უნდა ღრმა და ჭეშმარიტი აზრი წარმოსთქვას ადამიანმა, თუ იმას საზოგადოებრივი ფსიქოლოგია ნოყიერ ნიადაგად არ ხვდება, ეს აზრი აუცილებლივ თანამედროვეთა ყურს ასცდება და შესაფერ დრომდე მივიწყებული იქნება. ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიას აუარებელი მაგალითები მოეპოვება იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ერთ დროს შეუმჩნეველი მწერალი და მოაზროვნე, მეორე საზოგადოებრივ პირობებში მზრუნველის ხელით აღუდგენიათ და დავიწყებიდან გამოუყვანიათ.

აკაკის წარმტაცი ქნარი სწორედ იმ დროს აჟღერდა მთელი თავისი მოხიბლაობით, როდესაც ქართველი ხალხი უკვე საბოლოოდ ჩადგა ახალ კალაპოტში, თვალი გაუსწორა შექმნილ ობიექტურ პირობებს და ერთგვარად კიდეც მოღონიერდა და სული მოითქვა. მე-18 საუკუნის ქარტეხილით ფიზიკურად განიავებული ერი გამძლავრდა და ფეხზე დადგა, მისი ნაციონალური სხეული გამთელდა, მის ეკონომიურ ურთიერთობაშიც უდიდესი, ჯერ უნახავი, ცვლილე-

ბა მოხდა. ქართველი ერის უდიდესი უბედურება იმაში მდგომარეობდა, რომ ფეოდალური ეკონომიკა მისთვის მთელი მისი ისტორიის მანძილზე დაუძლეველი იყო, მე-19 საუკუნეში კი კაპიტალიზმმა ერთიანად შეარყია ეს ბაზა და საქართველომაც ისტორიულ გზაზე მხსნელი ვარსკელავი დაინახა, განახლების საფეხურზე შედგა ფეხი. ახალ ეკონომიურ-საზოგადოებრივ ურთიერთობაში წარმოიშვა ახალი აზრი, ახალი გრძნობა. გამოირკვა, რომ საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი კულტურული ნალექი, რომელიც პოტენციალურად იმალებოდა ამ პატარა ერში, დროთა ბრუნვას სრულად ვერ მოესწრო და ხელსაყრელ პირობებში კიდევ წამოეყო თავი ახალი ენერგიით: ეკონომიურად მოღონიერებულ საქართველოს სულიერი ცხოვრებაც მოუნდა და, აი, სწორედ ამ დროს აწკრიალდა აკაკის მომხიბლავი ქნარი.

მას ერთგვარი ლიტერატურული ტრადიციაც დახვდა. ახალი ეპოქის მაჯისცემა უკვე გამორკვეული იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძემ, გრიგოლ ორბელიანმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა, გიორგი ერისთავმა და „ცისკრის“ ჯგუფმა აკაკის გამოსვლამდე გზის ერთგვარი გაწალდვა უსათუოდ მოახდინეს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური ინტუიციით ამბობდა:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაიელის ეს განწირული სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“-ო.

ეს გზაგაადვილებული მოძმე უპირველეს ყოვლისა აკაკი წერეთელი შეიქნა“.

რასაკვირველია, აკაკიმაც ბევრი შავი სამუშაო შეასრულა თავისი პოეტური შემოქმედების დროს, ბევრჯელ უთელავს მასაც „გზა უვალი“, ხშირად ყოველდღიურობაშიაც კი ჩაფლულა, მაგრამ იგი მაინც სხვაზე ბედნიერი იყო და მის სიმღერას უდიდესი გულისყურით ისმენდა მთელი ერი. არც ერთი მგოსანი აკაკივით პოპულარული არ ყოფილა ჩვენში. აკაკი, როგორც თავისი პიროვნებით, ისე შემოქმედებით, საქართველოს ჰომიროსია, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე თაყვანს სცემს და რომლის სიმღერა ყველას ესმოდა და ყველას ხიბლავდა.

გონს მოსულ საქართველოს წყლულთა დამაამებელი სიტყვა უნდოდა მოესმინა და ეს სიტყვა აკაკიმ სთქვა. ერთ დროს შოთას, გურამიშვილისა და ბესიკის სიმთა ჟღერით აღტაცებულ ივერიას ხელახალ მოსულიერების დროს კვლავ მოუნდა ხელოვნებით დატკბობა და აკაკის მუზაც მას მომხიბლავ არსებად მოევლინა. საზოგადოებასა და მგოსანს შორის დამყარდა სრული აპერცეპცია და აკაკიმაც მიიღო საქართველოს უგვირგვინო სულიერი მეფის სახელწოდება.

მთელი საქართველო სულგანაბული უსმენდა მას, თაყვანს სცემდა, როგორც ხელოვანს, უჯეროდა, როგორც მასწავლებელს და მისი ქნარის ყოველი სიტყვა, თვითეული ბგერა ქართული შეგნების საორგანიზაციო მორგვი შეიქნა.

სადაც არ უნდა გაჩენილიყო იგი: ქართლში, იმერეთში, გურიაში, რაჭაში,

ყველგან ათასობით ეხვეოდა ხალხი. საკმარისი იყო სიტყვა „აკაკის“ თქმა, რომ ყოველი ქართველი ფეხზე დამდგარიყო და უსიტყვოდ მისჩერებოდა ამ ჭეშმარიტად ბიბლიურ ხატებას.

ის იქცა საქართველოს სინიდისად, გრძნობად, აზრად, სილამაზედ და მშვენიერებად... ამიტომ იყო, რომ ყოველი ქართველი ადიდებდა მას და დღესაც ამიტომ არის, რომ ამ წმინდა სახელის გახსენება ზეციურ თრთოლვას იწვევს ჩვენს არსებაში...

რა სთქვა აკაკიმ?

როგორ სთქვა აკაკიმ?

II

აკაკის შემოქმედება სიტყვიერ ხელოვნების თითქმის ყოველ ფორმაშია გადმოშლილი: ლირიკაში, სატირაში, პოეზიაში, პროზაში და დრამაში. ყველაზე ძლიერი და ხელმიუწვდომელი იგი არის ლირიკულ შემოქმედებაში.

ლირიკა, როგორც ფრთის გასაშლელი ფორმა, ერთობ ვიწროა და შემოფარგლული. პატარა ნიჭისათვის ხშირად იგი სამარის კედლებად იქცევა. საჭიროა ღრმა და ფართო დამტეობის ნიჭი, რომ ეს ფორმა შესაფერად მოიხმაროს და დაიმორჩილოს.

ინგლისის გენიოსმა, ბაირონმა, ერთიანად დასძლია იგი და თავისი მძლავრი ნიჭის მეოხებით შექმნა ლირიკული პოემის ფორმა „ჩაილდ-ჰაროლდისა“ და „დონჟუანის“ სახით. პუშკინმა ბაირონისგან ისესხა ეს საშუალება და „ევგენი ონეგინში“ სრულ გამარჯვებას ეწია.

აკაკიმ ლირიკა უმთავრესად წერილ ლექსებში განავითარა. იგი რომ პატარა გაქანების შემოქმედი ყოფილიყო და ლირიკის საგნად თავისი საკუთარი გრძნობები გაეხადა, ვერაფერ შემთხვევაში ვერ მიაღწევდა იმ მწვერვალს, რომელსაც ის მისწვდა. საკუთარი სულის ვიწრო ფარგალში ტრიალი თემათა რიცხვს ისე განუსაზღვრავდა, რომ შედარებით მალე ამოიწურებოდა და რამდენიმე წლის შემდეგ ან თავისივე ნათქვამი უნდა ემეორებია, ან და უნდა დადუმებულიყო. მაგრამ აკაკის მძლავრმა ნიჭმა და ფართო სოციალურ ათვისების უნარმა იგი ერთიანად დაიხსნა მოსალოდნელ კატასტროფისაგან.

აკაკის მდიდარი ბუნებრივი ნიჭი, უპირველეს ყოვლისა, იმით ხასიათდება, რომ იგი უსაზღვროდ ფართო იყო და უაღრესად სოციალური. ამიტომაც მან შესძლო მთელი ერის უბედურებით გაჟღენთა, გარეშეთა სულის კვეთებით დატვირთვა და მოძმეთა განცდებით დაყურსულმა, თავისი საკუთარი პიროვნება ერთიანად გალესა საზოგადოებრივ გულისცემაში. ის მართლაც, „გარემოების საყვირად“ იქცა, მას ხანდახან ისიც კი ჰგონია, რომ

„ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია“,

თითქოს შინაგანი საკუთარი განცდაც კი არ ჰქონდეს მას.

აკაკი ნაკლებად ჰხატავს საქართველოს თანამედროვე სურათს. მას სწამს რომ სამშობლოს უბედურება ისე აშკარაა, რომ ყველა ჰხედავს მას. ამიტომ რა

საჭიროა ცივი პლასტიური სურათები, ეისა სცალია ახლა ეპიური განცდისათვის? მომენტისათვის საჭიროა მხოლოდ გულისწყრომით აღსავსე ამოკვნესა და გმირული მოწოდება, ცირკეა და მისი ქნარი—აი, ვინ სჭირდება საქართველოს.

ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს“,

რომელსაც უსათუოდ მებრძოლი პოეტის ქნარი უნდა ახალისებდეს.

დიდ სულოვანმა პოეტმა იმდენად შეგოჭა და დაიმორჩილა საკუთარი პიროვნება, რომ ყველაზე უწმინდესი და ინტიმური გრძნობის—ქალისადმი სიყვარულის—უფლებაც კი აღუკვეცა მას და სამარადისო სატრფოდ სამშობლოს მიწა-წყალი და მის მკვიდრთა ბედი აღიარებინა. ამიტომ არის, რომ აკაკის ლირიკული ლექსების სატრფო ყოველთვის მრავალ ტანჯულ საქართველოს ხორცშეუსხმელი სიმბოლოა. მგოსნის მომხიბლავი ალეგორიული აზრი ქვასაც კი ესმოდა საქართველოში და როდესაც აკაკის ქნარი ამეტყველდებოდა:

„საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე... დაკარგულიყო.
გულამოსკვნილი ვჩიოდი:
სადა ხარ ჩემო სულიკო...“,—

აი ასეთი კვნესის დროს ყოველმა ქართველმა იცოდა, თუ ვინ იყო აკაკის საყვარელი და ვინ ჩაუსვენია იგი საფლავში.

უბედურების შეგრძნობა ათასწილად უფრო გულწრფელი და ღრმაა, ვინემ იმავე მოვლენის გონების თვალით მიწვდენა და აღიარება. რაიმე აზრის იმ სიღრმემდე შეთვისება, როცა იგი გრძნობის სახით გულის თვითეულ სიმს დაეუფლება, ხშირად ერთიანად დააავადებს ხოლმე ადამიანს და უკურნებელ სენად მოედება მის სულსა და გულს. გრძნობად ქცეული აზრი სიკვდილივით ძლიერია.

ასე უკურნებლად იყო საქართველოს ბედით დააავადებული აკაკი წერეთელიც.

„აღარა აქვს ბოლო ამ ჩვენს სატანჯველს,
არვინ მაძლევს სანუგეშოდ ძმურად ხელს;
ჩემს შარბათში ნაღველს ვსვერეტ და ვარდში გველს,
მისთვის ვწყევლი და ვემდური ამ სოფელს“...

ჭეშმარიტად, იერემიასებური გოდებაა, შეპყრობილ ადამიანს უნდა აღმოხდეოდა ეს გულის გამგმირავი სიტყვები! მთელი არსების შემარყეველია ეს ამოკვნესი:

„ჩემო თავო, ბედი არ გიწერია,
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია,
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია“...

რისთვის; რადა?

„რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია...

. . .

მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ“ და სხვ...

დაუსრულებელ სატანჯველისა და ჯოჯოხეთის მარად გულში მატარებელ მგოსანს ხანდახან სამშობლოს აწმყო ასეთ ცივ, პლასტიურ სურათებშიც ეხატება:

„მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,
ქვესკნელი საფლავს და ძვალთ გამხმართა,
რომელნიკ ანდერძს მოგვაგონებენ
მსხვერპლად შეწირულთ ჩვენთ წინაპართა...
მაგრამ მდინარე აქაფებული
ქვე მოაქანებს ას წლოვან ხეთა,
მალ-მალ ტალღით სცემს განრისხებული
და ჰსურს გაგლეჯა კლდოვან კიდეთა,
რომ მსწრაფლ მორეცხოს მან სისხლი ძველი
მის კიდეებზე გადანთხეული,
მაგრამ კიდეთა შეუკრეს ხელი
და მის გამოა აღელვებული", (ამაო ძებნა).

თანამედროვე საქართველო აკაკის აზრით დაღუპვისკენ მიექანება, სამშობლო მიწა-წყალში დანთხეულ ძველ სისხლს დროთა ბრუნვის ულმობელი მდინარე, გაქრობას და მორეცხვას უქადის.

„საზარელ, უხმო ამა პასუხით
საბრალოს გულში სისხლი დუღდება..."

ეს საბრალო ჭაბუკი ჩვენი მგოსანია და სისხლის დუღილიც მისი ლირიკული წვა-

„არც მქონია, არც რამ მაქვს,
არც მექნება, მგონია,
მაგრამ ჩემზე მდიდარი
არც კი გამიგონია.
მე რომ მაქვს, ის სიმდიდრე
ღვთისგან მოცემულია:
სულია ის საუნჯე
და სიმდიდრე გულია".

დამღერს მგოსანი, რომლის სულის დაუშრეტელი საუნჯე და გულის ულეველი სიმდიდრე მისი ქნარის თვითეულ ათრთოლებაში გამოისმის.

„ცრემლით ამევსო ქამანჩა,
კვნესით და ოხვრით სტვირიო,
აქამდე ძველ დროს მოესთქვამდი,
ახლა ახალსაც ვსტირიო.
ღმერთო, რა ვნახე! რას ვხედავ!
რა დრო დაგვიდგა ესაო!
სიმტკუვნე გულში იცინის,
სიმართლემ დაიკვნესაო.
შელა მექათმეთ დამდგარა,
მწყემსობას სჩემობს მგელიო,

ეშმაკი ეშმაკს ჰპატიჟობს,
სასუფეველში გელიო.
დიდება შენდა, უფალო,
სხვა დროა... უცნაურიო...
გადაუბრუნდა ქვეყანას
თვალი, ენა და ყურიო.
ცრემლით ამევსო ქამანჩა,
კვნესით და ოხერით სტვირიო,
აქამდი ძველებს მოვსთქვამდი,
ახლა ახლებსაც ვსტირიო“...

ასე მომხიბლავად და მსუბუქად გადმოგეცემს ჰაეროვანი მუზა მგოსნის უმძიმეს სატკივარს.

„ამევსო გული წვეთ-წვეთად
ნაღველითა და შხამიდა,
ისე ვით საუკუნენი
სხვადასხვა მრავალ წამითა.
მაშ რაღად მინდა სიცოცხლე
მე აწმყო`გამწარებულსა,
თუ ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
ვხედავ მას აოხრებულსა“.

აწმყო გამწარებული და ცრემლებით ქამანჩა ავსებული პოეტი კვნესის:

„აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდექ, ჰმუნვის ალი მენელა,
მზემან სხივი მომაფინა მაშინა“,

და პოეტმაც სიცოცხლის ძალა იგრძნო, აწმყოთი გამწარებულმა მონატრებული სიკვდილი თავიდან მოიშორა და ფეხქვეშაც მაგარი ნიადაგი იგრძნო:

„ცის მახლობლად ფეხქვეშ ვიგრძენ მიწა მე“

და სინამდვილესაც აღტაცებით შესძახა:

„ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე“.

მგოსანს, რომელსაც თავის სატრფო მუდამ გულში ჰყავს და წამწამზე ატარებს, ოდნავად მოსულიერების ჟამსაც თვალწინ უდგება იგი:

„და ვიფიქრე: ჩემი სატრფო-სად არი?,
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?“

მაგრამ პოეტს აქაც ეწამლება ბედნიერი წუთები:

„გავიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონებდა“...

მტრის ალერსით მთვრალმა გული მოუკლა მის მგოსანს:

„მიეაძახე, ჯინჭარში ნუ ვარდები,
ნუ გგონია იქ ია და ვარდები;

შეიბრალე შენი თავი, იცოდე,
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე".

მაგრამ

„არ მისმინა მწუხარებით დანაგულს
და დამასო საუკუნოდ დანა გულს".

მგოსანი ასრულებს თავის უმშვენიერეს ქმნილებას:

„ალმართ ალმართ მივდიოდი ნეტა რად?
თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად.
ჩემო თავო, ეელარ გკურნვენ წამალით,
დალმართ, დალმართ დაუყევი, წა მალით!
იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით.
დაივიწყე ვინც გახსოვდა მარად ის
ხელდაკრეფით განისვენე მარადის".

ჭეშმარიტად, საქართველოს არც ერთ მგოსანს ასე შემარყეველად არ გამოუთქვამს თავისი გულის ნადები.

III

მწვავე აწმყოს პოეტი ოცნებით აღწევს თავს:

„მიყვარს თარი, გულსაკლავად მკვნესარი,
მწუხარების უკუმყრელი ის არი...
მით ვივიწყებ ამ ქვეყნისა მე მცნებას,
შორს მივყავარ მომხიბლავსა ოცნებას:
ქვეყნიერად ვხედავ... ვხედავ სამოთხეს,
ათასფერად შეხამებულს მის კუთხეს...
რა ხალხია? რა ხალხია აქ მდგმური?
ეს ქვეყანა ეგებ ჩვენი მხარეა?..

ყოველ ფეხის გადადგმაზე მგოსანს სამშობლო ახსოვს. ოღონდ ის აყვავდეს, ბედნიერი შეიქნეს, და მგოსანი მზად არის სიკვდილის შემდეგ საუკუნო სატანჯველსაც კი მისცეს თავი.

„რომ აწ საერთოდ ქართველი ერი
ამაღლებული, აყვავებული,
ხანგრძლივი იყოს და ბედნიერი;
რომ საქართველომ ქვესკნელი დაგმოს,
მოიახლოოს ზეცა და ღმერთი.

ოღონდ ეს ამისრულე და მაშინ ჩემს თავს საუკუნო სიტანჯავად მოგცემო, —ეუბნება პოეტი ბელზებელს.

რამდენი გულწრფელობა და მომჯადოებელი გრძნობაა ამ სიმშვენიერით აღსავსე საგალობელში:

„ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ შენთვის მოკვდები
შენზედვე მგლოვიარეო.

ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო,
და, რომ მოკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო;

„დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო“.

აკაკის ქნარი ჟღერს:

„გულსა სწამს და ჭკუას სჯერა,
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა
მომავალი ბედის წერა“.

დაქანცული საქართველო მხოლოდ ისვენებს:

„ბევრის ბრძოლით დაქანცულსა
ეპირვება მოსვენება“...

არც სამუდამოდ დალუპულია იგი,

„არ მოეკვდარა მხოლოდ ძინავს“...

ამიტომ

„ჩვენს წინაპართ თუ ჰქონიათ,
ჩვენცა გვქონდეს დიდსულობა.
დაე, მისთვის დავღარიბდეთ,
ზურგს მოვიდვათ საწყლის გუდა,
პატიოსანს ღარიბს რით სჯობს
გამდიდრებული იუდა“.

მართალია, იმას არაფერი უპირს,

„ვინც თვის ტომის ტყავისაგან
შეიკერა ქურქი თბილი“...

მაგრამ საშინელია მგოსნის წყევლა:

„კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალოს ბარზედა.
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა.

ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა
და ნუ სცელის თავის ენასა,
თორემ ბოლო დროს მოიმკის
უსუსტარ ცრემლთა დენასა...
კრულია მისი სახელი,
ვინც დაგმობს დედა ენასა,
თვით ტომს ჰლალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა".

აკაკისათვის გზის გაკაფვა სრულებითაც იოლი არ ყოფილა. მართალია, გონს მოსული ერის ახლად ამოყრილი ყლორტები მას აღტაცებით უსმენდენ, მაგრამ მგმობელი და მაძაგებელიც ბევრი ჰყავდა. ეროვნული თვითშეგნება ახლად ფეხადგმული გრძნობა იყო და აკაკისაც მრავალი მტერი და ორგული ჰყავდა.

მისი მსუბუქი და ხელოვნური ლექსი უმახვილესი ნესტარი იყო მტერთა გულის გასაგმირად, ამიტომ აშკარად ძვირად თუ ვისმე გაუბედავს ამ ულმობელ შუბისათვის მკერდი მიეშვირა, მაგრამ, სამაგიეროდ, აკაკის მტრები სოროებში სისინებდენ და იქიდან უპირებდენ მას დაშხამვას.

იყო წამები, როდესაც დიდი მგოსანი მწვავედ გრძნობდა ამ შხამის შხეფებს და, როგორც უაღრესად მგრძნობიარე გულის პატრონი, სასოწარკვეთილებამდეც კი მიდიოდა.

„ეი, სამშობლოვ, სხვებისთვის დედავ,
ჩემთვის კი ავო დედინაცვალო",

მიმართა ერთხელ აკაკიმ საქართველოს.

„სული და გული, ბუნების ნიჭი,
სიშაბუკე და წამი ყოველი,
შენ შემოგწირე და რა მივიღე
სამაგიერო მე სასყიდელი?
უსამართლობა, მტრობა და დევნა,
ცილის წამება გულის საკლავი
და საუკუნოდ განსასვენებლად
მოსწრაფებული 'მავი საფლავი".

გულმოწამლულმა დიდმა მგოსანმა ერთხელ ისიც კი წამოიძახა:

„ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო"-ო.

მაგრამ ყოველივე ეს ულრმესი სიყვარულის გვერდით დასადგურებული ულრმესი სიძულვილი იყო—გრძნობა სრულიად ბუნებრივი და სამართლიანი,—საერთოდ კი აკაკი მუდამ უსაზღვრო იმედით ცხოვრობდა და საქართველოს დამხსნელ გმირს თანამედროვეთა შორის ეძებდა.

„არა, აყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა,
გმირებს უძახის, უყვირის
ჩემი დაფი და ნაღარა.

ეუხმობ ფრიდონს და აეთანდილს:
მხარი მხარს მივსცეთ, ხელი ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყაეს,
მოელის ტურფა გამომხსნელს".

არის წამი, როდესაც მგოსანი გაჰკიეის:

„მეზარევ, ზარი აუშვი
ამირან გმირის კენესირა!
ხმა გრძნობას შეუთანახმე
ძველ ჩვეულება წესითა!

იერემიას გოდებით
რომ ვინუგეშო, მეც მინდა,
თუ სევდა გადამეყარა
და თვალზე ცრემლი მეწმინდა.

„ვაი" და „უი" წარსულსა,
„უი" და „ვაი" აწმყოსა,
„თუ მომავალმა იმედი
მალამოდ გულს არ აცხოსა...

მეც ცისარტყელად მესახეის
იმედი მომავალისა,
წყნარი, შვიდფერი, შვიდ ძალი,
ტკბილად ამხელი თვალისა".

მხსნელ ცისარტყელას ამოჰყვა ახალი დროის მოღვაწეთა მთელი ჯგუფი ჩრომელნიც

„შრომობენ მოციქულებრივ,
თავი არ მოაქვსთ დიდადა,
და კერძოს საზოგადოსთვის
აგებენ გზად და ხიდადა.

ამიტომ

„მეყო მეც აწმყოს ყვედრება
იერემიას ენითა".

საქართველოს აღადგენენ მისი ახლად მოვლენილი შვილები:

„არ მომკვდარა საქართველო,
აყვავდება ერთხელ კიდე,
და გაისმის ძველებურად
იმისი ხმა კიდით-კიდე."

ეს სტრიქონები დაწერა მგოსანმა 1898 წ. „საქართველოს დღევანდელ სახეში", ამავე რწმენით იყო იგი აღფურვილი, როდესაც ჯერ კიდევ ჰაბუკი სამოცდიან წლებში სწერდა:

„დიდებაო, ძველთა ძველო,
ორ აღმშფოთთა ზღვათა მცველო,
გაიღვიძე, ნულარ გძინავს
ნეტარების მომლოდნელო,
მოგვასწარ, რომ გაეკიოდეთ:
ვაშა, ვაშა, საქართველო“[1]).

IV

გარდა ლექსებისა, აკაკის აქვს პოემები (თორნიკე ერისთავი, კიკოლას ნაამბობი, სოლომონ მეფე, ორი ქართველი), ისტორიული პიესები (პატარა კახი, ბაგრატ დიდი) და ამავე ხასიათის მოთხრობა „ბაში აჩუკი“.

ეროვნული გოდება უმაღლეს მწვერვალამდე აიყვანა აკაკის გენიამ, საუკუნეთა კულტურით დაყურსულმა ქართულმა შეგნებამ აკაკის ქნარით გულის განგმირად ამოიგმინა, როდესაც თაეისი თავი დიდებულ ნანგრევთა შორის დასალუპავად გამზადებული წარმოიდგინა. აკაკი ქართული ეროვნული გოდების მიულწეველი მწვერვალია, მისი წინა დროის მწერლები ამ დიადი ნიჭისითვის ნიადაგის მომამზადებლებად გამოჩანან.

ნაციონალურ-ისტორიული რომანტიზმიც აკაკის საოცარმა ნიჭმა უმაღლეს ხარისხამდე აიყვანა. ამ მიმართულების ჩანასახს ჩვენ ჯერ კიდევ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში ვხედავთ. გრიგოლ ორბელიანი უკვე გარკვეულ და ღრმა კალაპოტში აყენებს მას. მაგრამ ეს გზა უფრო მეტად გააზრებული იყო, ვინემ პოეტურად ნაგრძნობი და სულსა და გულში შედუღებული. აკაკის ხელოვნებამ სწორედ ამ მხრივ გააცხოველა და ხორცშესხმულობით უკვდავჰყო ეს ნახევრად მშრალი მიმართულება.

თორნიკე ერისთავი, ბაგრატ დიდი, პატარა კახი, კიკოლა, ზურაბ წერეთელი, ნინო, ქეთევან, თამარი—ქართული მუზის ისტორიული რომანტიკის უკვდავი სახეებია, რომელთა ღვაწლის გათვალისწინებით ყოველი ქართველი უნდა ამაყობდეს. მართალია, ხშირია ამ თხზულებებში მხატვრული იდეალიზაცია, მაგრამ აკაკის ხელოვნური შემოქმედება იმდენად ღრმა იყო, რომ თვითეული ეს ტიპი ცოცხალ არსებად დაგვიხატა და ისინი სრულებით არ წარმოადგენენ გამომშრალ უსულგულო ფორმულებს, როგორც ეს არის გრიგოლ ორბელიანის რიტორიულ „ლხინში“, სადაც ის ძველ გმირებს ჩამოსთვლის.

ამ გმირთა დასურათხატებით აკაკი გრიგოლ ორბელიანის მსგავსად თითქოს ამბობს:

„გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება,
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა.

---

[1]) ეს ტაეპი ამოღებულია აკაკის ძველად დაბეჭდილ ლექსიდან, რომელიც ალბომად აქვს შეკრული მოკ. სოს. მერკვილაძეს.

თქვენთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ მოედინება,
მხნეობით აღტაცებული
ჭაბუკი ხმალსა მისწვდება".

გარდა ცალკე ტიპებისა, ამ თსზულებებში შესანიშნავ ისტორიულ ხანათა გაშუქებაც აქვს პოეტს მიზნად დასახული, რომ თანამედროეეთა შორის გააღვივოს ეროვნული თვითშეგნება, თავისი ქვეყნის სიყვარული და მისი წარსულით ამაყობა. ჭეშმარიტად საამაყოა ყოველი ქართველისათვის ჩვენი ერის ისტორიის ის მომენტები, რომელიც ამ პოემებშია დასურათებული. ნინო ქრისტიანობის მიღების ემბლემაა, თამარი ქართველთა არსებობის ოქროს ხანის და სხვა.

არიან მოაზროვნენი, რომელნიც ერთობ იოლად ხსნიან მწერლის შემოქმედების წარმოშობას. დრო იყო ისეთი, რომ სწორედ ამა და ამგვარი მიმართულების მწერალი უნდა წარმოშობილიყო, მომენტმა მას არგუნა ამა თუ იმ სიტყვის თქმაო და სხვა.

აკაკი წერეთელმა სრულიად აშკარა ჰყო ამ დებულების ზერელობა. აკაკის ხანაში სხვებიც მწერლობდენ,—ორბელიანები, ილია და სხვ., მაგრამ ეროვნული გოდების დარგში აკაკისებურ მწვერვალზე ვერავინ ვერ ავიდა. მისმა შემოქმედებამ ამ მხრივ ყველანი დაჩრდილა, თუმცა არც ერთი ეს მწერლები პატარა ნიჭისა არ ყოფილან.

რასაკვირველია, მწერალზე ყოველთვის გაელენას ახდენს მისი თანამედროვე ეპოქა, შემოქმედების წყარო აქ არის, მაგრამ თავი და თავი მაინც ისაა, თუ რამდენად აბადია მგოსანს თავისი დროის ყოველ მხრივად და ღრმად ათვისების შესაძლებლობა, რა დამტეობის არის მისი ნიჭი და რამდენად შესწევს მას აზრისა და გრძნობის გამოთქმის უნარი.

აკაკი წერეთელი სწორედ ამ მხრივ იყო უხვად დაჯილდოებული: ის ღრმად ჩასწვდა თავის დროის ქართველობის სანუკვარ აზრებს—ეროვნულ თვითშეგნების ინსტიქტიურად ძიებას, მომავლის გათვალისწინებას—და გამოთქმის საშუალებანიც მომჯადოებელ უბრალოებიდან უაღრეს ტრაგიულობამდე აიყვანა.

ამიტომ იყო, რომ მთელი საქართველო, განურჩევლად წოდებისა და მიმართულებისა, სულ განაბული უსმენდა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ დიდებული მგოსნის ღაღადს.

ამიტომაც არის, რომ აკაკი წერეთელი დღესაც ჩვენი დიდება და ეროვნული სიამაყის მწვერვალია.

და ეს იქნება მანამ, სანამ ამ ქვეყნად არსებობს საქართველო და მშვენიერება... ამ ორი ცნების შედეგება ჩვენ გვაძლევს აკაკის ხატებას.

ალექსანდრე ყაზბეგი

(1848—1893)

I

ალექსანდრე ყაზბეგმა უკვდავების სული ჩაბერა ქართულ ეროვნულ გოდებას. მსგავსად აკაკი წერეთლისა, ამ დიდმა ნიჭმა ულრმესი გრძნობით აამეტყველა ქართველი ერის აღდგენის იდეა, ნააზრევი და ნაფიქრი გრძნობის ცეცხლად გარდაქმნა, სამარადისოდ დააუფლა სულსა და გულს.

ყაზბეგის მთელი შემოქმედება ნამდვილი წვა და დუღილია: ყოველ სტრიქონში უწმინდესი გრძნობა ჰქუხს, ყოველი სურათი მძლავრ ემოციებს ჰბადებს. ყაზბეგის მთავარე მზეზე უცფრო მცხუნვარეა, მისი წვიმა მთელს სხეულს ცხრილავს, მისი ნისლი მთელ არსებას ჰეონავს... ყაზბეგის სიყვარული სიკვდილზე ძლიერია, ამ გრძნობით გაჟღენთვა საბედისწეროა: გავიწყებს თავს, გარემოს, ახლობელს, უცხოს და გარბიხარ. გარბიხარ გახელებული, გონება არეული, სულ წინ, წინ... არაფრის წინაშე არ ჩერდები... რა არის შენთვის კლდე, ღრე, დაბრკოლება?.. უარჰყოფ ყოველივე ტრადიციას, შემბოჭველ აზრს და დეკად ქცეული ზეცასაც კი ეპიდები...

ასეთი გრძნობით არის ყოველი მისი ტიპი დაავადებული და ამავე გრძნობით აავადებს იგი მკითხველს.

ყაზბეგის სურათები ბედისწერასავით კვალდაკვალ დაგდევენ. ვინ მოაშორებს თვალებს ელისოს ტანჯულ სახეს, ელგუჯას ხატებას, ხევის ბერის და ნუგზარის სურათს, მაყვალას, მოძღვარს, ციციას?... ყაზბეგის ჯადოსნურმა ნიჭმა ყველა ეს ტიპები განუყრელად დაუნათესავა თვითეულ ჩვენთაგანის სულსა და გულს, გადააქცია ჩვენი შინაგანი არსების ღვიძლ ძალად, დაგვასნეულა მათი მისწრაფებითა და ბედით და უკურნებელი ჭრილობა შესძინა ყოველი ქართველის გულს.

სამშობლოს ბედით გულგანგმირულმა შემოქმედმა უნაზესი ლირიული გრძნობით გამსჭვალა თვითეული თავის ნაწარმოები და მთის ხევ-ხუვში შექმნა მომხიბლავი ხეივანი, რომელიც ერთიანად გიპყრობს და გაჯადოებს.

ქართულმა ისტორიულმა რომანტიკამ აქ ჰპოვა თავისი განვითარების უმაღლესი წერტილი. აკაკი პატრიოტული ლირიკის გვირგვინოსანია, ყაზბეგი ისტორიული რომანტიზმის. ამ ორმა დიდმა შემოქმედმა საბოლოოდ ამოსწურა ქართულ ეროვნულ შეგრძნობიდან გოდების გრძნობა. ეს ორი მგლოვიარე ზარი გრძნეულად გუგუნებს ეროვნულ სამრეკლოზე და მთელ ერს ჰბოჭავს მათი ხმა. ამაზე ხმა მაღლა გლოვა არ შეიძლებოდა, ზედმეტი ამოკვიეილი,—გრძნობიერების სრულ მოდუნებას გამოიწვევდა.

რა დღე გვიდგას და როგორ დავიღუპეთ,—ეს უკვე ყველასათვის ნაცნობია, ამის დასურათ-ხატებას ყაზბეგი ყურადღებას არ აქცევს; თანამედრობით განგმირული მისი გული წარსულისკენ მიისწრაფის და თვალ წინ დამატყვევებელ სურათებს გვიყენებს.

რა იყო საქართველო წარსულში? რაზე იყო მისი ყოფა-ცხოვრება და მართვა-გამგეობა დაფუძნებული? როგორ მოსპო ყოველივე ეს უცხო ძალამ—რუსული თვითპყრობელობის ნაგაიკამ? როგორ შეურაცხჰყვეს ერის უწმინდესი

გრძნობები? აი, რა საკითხის დასასურათხატებლად გაშალა ჯადოსანმა შემოქმედმა თავისი სამხატერო ტილო.

ყაზბეგის ტიპებისთვის სამოქმედო ასპარეზი ამაყი და თავისუფალ ცხოვრებას თანშეზრდილი მთიულეთია თავისი გრძნეული შვილებითა და ათასფეროვანი ბუნებით. საქართველოს ეროვნულ ტრაგედიას აქ, მთაში, ახადა ფარდა ყაზბეგის შემოქმედმა ხელმა.

„ელისო“ წარმოადგენს ამ ტრაგედიის ერთგვარ წინათქმას. მართალია, ამ მომხიბლავი მოთხრობის გმირები ტომით ქართველები არიან—ჩეჩნებია—მაგრამ ამ ტანჯული ხალხისა და ქართველების ბედი რუსეთის თვალუწვედენელ ველებიდან მოხეთქილმა თქეშმა ერთმანეთს გადაანასკვა და რაღაც ფატალური საშინელებით საბედისწერო ნაპრალისაკენ დააქანა. თავისუფლებასთან შეზრდილი ჩეჩნები ამ საშინელმა ნიაღვარმა უცხოეთში გადარეკა და მით სამუდამოდ გადაუჭრა სასიცოცხლო ძარღვი.

ქართველები, მართალია, არ ჩავარდნილან ასეთ მდგომარეობაში, მაგრამ ფიზიკურად გადარჩენილნი, სულიერ გადაგვარებისა და გახრწნის საშიშროებას განიცდიან. ამიტომ მათ ზნეობრივად ასამაღლებლად ჯადოსნური ხელით უნდა გადმოიშალოს ჩვენი წარსული, რომ ყველამ იგრძნოს, თუ რა დაუფასებელი განძი დაგვიკარგავს ჩვენ და რა დაჰკლებია ქართულ ეროვნულ სხეულს.

„ელისო“ უნაზესი გრძნობით და დამატყვევებელი ფერადებით დაწერილი შოთხრობაა. აქ ყოველ ბგერაში გაისმის უაღრესი გულისწყრომა უხეშად მოჭრილ უხეში ძალის წინაშე, ხელოვნურ სურათებად არის გადმოშლილი ყოველგვარი სამართლიანობისა, კაცთმოყვარული აზრისა და გრძნობის ფიზიკური ძალის მიერ შეუბრალებლად გასრესა. „სამართალი ხმლის წვერზეა“-ო ამბობდენ ბარბაროსები. ამასვე იმეორებს ვითომდა მოყვასთა მოსიყვარულე ქრისტიანულის დოლბანდით შებურვილი რუსული თვითმპყრობელობა.

„არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთთვისა, არა განვრცელებისათვის საზღვართა,“—ამბობდა 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტი,—„მივიღებთ ჩვენთვის ზედატვირთსა საქართველოს სამეფოსა მმართველობისასა. მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა სამღრთოსა ვალსა, მსმენმან ენებულთა ვედრებისა, განსადევნელად შეპირვებათა მათთა“ და სხვ.

ალექსანდრე პირველის ბიუროკრატიას ეს დოკუმენტი პირბადედ უნდოდა, სინამდვილეში კი საქართველოს სამეფოს მფარველობა სრულ მის მოსპობად გადაიქცა, პატიეი და კაცობრიული გრძნობა უმაგალითო ძალდატანებად და ნაგაიკის ზუზუნად მოეელინა ქვეყანას, ხოლო „შეპირვებათა“ განდევნის მაგიერ ახალი უბედურებანი დაგვატეხა თავს. ჩვენ ვიცით, რით უპასუხა ამ თვალთმაქცობას საქართველომ. ისიც ვიცით, რომ უძლიერესმა თვითმპყრობელობამ სისხლში ჩააღრჩო ყოველივე პროტესტი, მაგრამ

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაეჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაიცემის“,

ეროვნული ჭრილობანი დაუვიწყარია... და ყაზბეგის მგრძნობიარე არსებაშიც მძლავრად ამეტყველდა ეს გრძნობა. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ სწორედ უკურნებლად განგმირულ სულს შეეძლო „ელისოს“ შექმნა.

თავისებური ბედნიერებით ცხოვრობდენ თავის ხევ-ხუვებში ელვუჯები და მათიები, საკუთარ ბედნიერებას საკუთარი წვითა და დაგვით იშენებდენ ისინი, მაგრამ მათ ცხოვრებაში ტლანქად შემოიჭრა გარეშე ძალა და მათი ცხოვრებაც სულ უკუღმა შეატრიალა და დაღუპვისკენ გააქანა.

დაბრიყვებული სამშობლოს დაცვის იდეა ინსტიქტიურად ცოცხლობს თვითეულ მათგანში და პირადი ბედნიერების ძიების დროსაც კი თავს სდებენ მისთვის.

„მამის მკვლელში“ ვკითხულობთ: „უნდა მოსულიყო სხვა ხალხი, შემოეტანა სხვა ჩვეულება, სხვა წესები, — ვინ იცის, როგორ გასაჭირი იქ მცხოვრებელთათვის, — გაბატონებულიყო სხვა გვარტომის ხალხი და ჩეჩენში ჩამოვარდნილიყო უსამართლობა, ძალა, გაუპატიურება ქალთა და რძალთა. მერე სულ მუდამ სხვა კაცის ბრძანელობის ქვეშ ყოფნა, იმის წინ ქედის დრეკა და სამსახური... მერე ეს სხვანი ვინ იყვნენ? — გიაურები... არა, ჩეჩნელები სიკვდილს ირჩევენ იმათ ხელში ჩაცვევნას“.

და კიდეც იღუპებიან ეს ადამიანები, უმოწყალოდ იჟლიტებიან. მათი კვნესა არავის ესმის, მათთვის სამართალი არ არსებობს, აქ მხოლოდ ძალმომრეობაა და საკითხს უხეში ძალის უპირატესობა სწყვეტს.

ამავე უხეში ძალის მძვინვარებას ვხედავთ „მოძღვარში“, „ციციაში“, და წვრილ მოთხრობებში.

რა წაართვა მთას — ამ თავისუფლების ბუდეს — რუსეთის სივრციდან მოვარდნილმა ქარიშხალმა?

II

თვითმმართველობა — ხალხური სუვერენობის ძირითადი უჯრედი — თემი. ეს იყო დროთა ვითარებაში ხალხის ადათზე დამყარებული მინიატურულ სახელმწიფოს ფუნქციების მატარებელი ორგანიზაცია, რომელიც დარაჯად ადგა ერთი მხრივ ზნე-ჩვეულებას და შინაგან მთლიანობას და მეორე მხრივ პასუხს აძლევდა მომხდურს, თუ სტუმრად მოსულს. თემი — ეს ხალხის ზნეობრივად შემადეულებელი ორგანო იყო, რომლის მოქმედების სიწმინდე, შეუმცდარობა და შეურყეველობა ძვალსა და რბილში ჰქონდა ხალხს გამჯდარი.

და, აი, ეს უაღრესად ავტორიტეტიანი ორგანო ტლანქმა ძალამ უხეშად დასცა და გაანადგურა...

ახალმა ძალამ მთიულთა მთლიანობაც ლამის არის გასტეხოს და გაარღვიოს. მთიულთა შორის აღმოჩნდენ ანგარებიანი პირები — გაგიები, გრიგოლები, — და მშობელ დედას თვითონვე აუპატიურებენ ეს ულირსი შვილები.

ქვეყნის ორგულები ძველადაც ყოფილან, ამას მოწმობს რომანი „ხევის ბერი გოჩა“; ძველმა საქართველომაც იცოდა ვნებისათვის ბრძოლა და პატიმოყვარეობისათვის სისხლის ღვრა; მასაც ჰყოლია სისხლის მსმელი ვიკინგები, — ნუგზარ ერისთავები, მაგრამ მაშინ ერი მაინც ბედნიერი იყო, რადგან თემის ძალა და მმართველობა შეურყეველი იყო, ყოველი მთიული სარწმუნეობრივის შიშით იდრეკდა მუხლს ბქეთა წინაშე, — თავაწყვეტილი ნუგზარის გვერდით იღწვოდა ხალხისათვის თაედადებული ხევის ბერი გოჩა, რომელიც ნამდვილი

სიმბოლოთა წმინდა ხალხური მართვა გამგეობისა,—დიახ, მაშინდელ მთას მაგრა ედგა ფეხი ეროვნულ ნიადაგზე და მით მისი წინსვლა და განვითარება სრულიად უზრუნველ ყოფილი იყო... ხოლო რუსეთის თვითმპყრობელობის შემოქრით ყოველივე ეს შეიბღალა და განადგურდა.

თემი, მისი მნიშვნელობა და ხალხის აზრი მის შესახებ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ გვამცნო თავის მთიულის პირით (მგზავრის წერილები), მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგმა შესანიშნავი ფერადებით დაგვისურათა იგი.

ყაზბეგი თავის მოთხრობებში („ხევის ბერი გოჩა", „მამის მკვლელი", „მოძღვარი" და სხვ.) ზედმიწევნით აგვიწერს თემის როგორც შინაგან, ისე გარეგნულ სახეს, გვაჩვენებს მის საქმიანობას და კომპეტენციას და, ბოლოს, თვალწინ გვიყენებს ამ ხალხის სუვერენობის სახელმწიფოებრივი ნაშენობის საძირკველს—თემს. აი, რას სწერს ამის შესახებ ყაზბეგი: „მე ვსწერდი მოთხრობებს მთის ცხოვრებიდან და ვცდილობდი დამეხატა ის წმინდა ჩვეულებანი, ადათები და წესები, რომელიც ხალხის გონიერებამ მიიღო და დაადგინა თავიანთ ერობაში. **ოდესმე ყოვლად შეუძლებელია, რომ ჩვენის ცხოვრების პირობათ თავიანთი დასაწყისი ამ წარსულიდან არ მიიღონ.** მე ვეცადე ამ წესებთან გამეცნო ხალხი, გამეგებინა რა გავლენა ჰქონდა ხალხზე და რამდენად შეიძლებოდა მათი ხელმძღვანელობით ურთიერთშორისი მორიგება, ცხოვრება და დამოკიდებულება. **მივმართე მათ ხელის შემშლელ მიზეზებს** [1]) და მათი აწმყო მდგომარეობის გამონახვა ეისურვე". [2]) მწერალს ღრმად სწამს, რომ თემის საშუალებით შეიძლებოდა „ურთიერთშორისი მორიგება, ცხოვრება და დამოკიდებულება", ე. ი. ამ ორგანოს შეეძლო სახელმწიფო აპარატის როლი ეთამაშა. თამაშობდა კიდეც იგი ამ როლს წარსულში, მაგრამ მისი არსებობა „ხელის შემშლელმა პირობებმა"—რუსეთის აბსოლუტურმა მონარქიამ—შესწყვიტა და მით ქართველ ხალხს მოუსპო საკუთარი ეროვნული გზით სვლის საშუალება და განვითარება.

ამაზე უდიდესი უსამართლობა ყაზბეგისათვის არ არსებობს ქვეყანაზე, მისმა ღრმა ნიშმა მთელი თავის საშინელებით აითვისა ეს აზრი და გულის გამგმირავ სურათებად გადმოგვიშალა. ვინ იქნება ისეთი, რომ ყაზბეგის მოთხრობების წაკითხვის შემდეგ ყველაფერში არ დაეთანხმოს მის აეტორს და წყეევაკრულად არ შეუთვალოს იმ რეჟიმს, რომელიც ასე უხეშად მოექცა პატარა ერს.

„ოდესმე ყოვლად შეუძლებელია, რომ ჩვენის ცხოვრების პირობად თავიანთი დასაწყისი ამ წარსულიდან არ მიიღონ" ამბობს ყაზბეგი, რომელსაც სწამს, რომ საქართველოს ბედი შეიცვლება და დადგება ჟამი, როდესაც წაქცეული სახელმწიფო აპარატი—თემი—ისევ ფეხზე დადგება. ეს იგივე რწმენაა, რომლითაც სულდგმულობდენ გრ. ორბელიანი და ი. ჭავჭავაძე თავისი მთიულის სახით: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს", **მამია გურიელი, ვაჟა-ფშაველა, გიორგი წერეთელი, დუტუ მეგრელი, ი. ევდოშვილი, გრიგოლ აბაშიძე, ვ. ბარნოვი, ა. შანშიაშვილი, ჭოლა ლომთათიძე და სხვა.**

---

[1]) 1924 წლის ჟურ. „კავკასიონი" № 1—2, განყოფ. V, გვ. 16.

[2]) კურსივი ყველგან ჩვენია.

ქართულ ეროვნულ გოდებას ბანს აძლევდენ აქ ჩამოთვლილი მგოსნებიც. ვაჟა-ფშაველამ (1861—1915) დასწერა წვრილ ლექსთა მთელი რიგი, რომელშიც ნაციონალური გოდების ჰანგია ჩაქსოვილი. მასვე ეკუთვნის ისტორიული პოემა „ბახტრიონი", რომელშიც დასურათებულია სახალხო აჯანყება შემოსეულ მტრის (ოსმალეთი, მე-17 საუკ.) წინააღმდეგ, რომელსაც კახეთში უპირავს ბახტრიონის ციხე. პოემაში მრავალი მხატვრული სურათია, მოქმედი პირები არიან უბრალო ხალხის სიღრმიდან გამოსული გმირები: კვირია, ლელა, ლუხუმი, სანათა.

გიორგი წერეთელმა დასწერა ისტორიული მოთხრობა „ჩვენი ძველი გმირები", მოთხრობა ეხება ქრისტეს წინა ხანას, ფარნაოზ მეფის დროს.

დუტუ მეგრელს ეკუთვნის ლირიკულ ლექსთა მთელი ტომი, რომელშიც წრფელი გრძნობით არის გამოსახული სამშობლოს სავალალო ბედი.

გრიგოლ აბაშიძე (1866—1903) იყო აკაკის სკოლის ნიჭიერი მიმდევარი, მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლირიკული ეროვნულ ჰანგზე აგებული-ლექსი.

ვასილ ბარნოვმა დასწერა რამდენიმე ისტორიული რომანი: ხაზართა სასძლო, მიმქრალი შარავანდედი და სხვ.

ირ. ევდოშვილსაც საკმაო ღვაწლი მიუძღვის ამ თემაზე დაწერილი ლექსებით.

ა. შანშიაშვილმა მეოცე საუკუნეში, პირველი რევოლუციის შემდეგ, კვლავ ააღორა თავისი ქნარი ნაციონალურ ჰანგზე, თუმც ორიგინალური რამ ჩვენი დიდი მგოსნების შემდეგ მას არაფერი შეუქმნია. საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ ყველა ეს მგოსნები არსებითად იმ გზით შემოქმედებდენ, რომელიც დიდმა მგოსნებმა გაკაფეს, შესამჩნევი და ორიგინალური სიტყვა ამ დარგში არც ერთ მათგანს არ უთქვამს.

აღსანიშნავია მხოლოდ პოლა ლომთათიძე (სპ. მცირიშვილი), (1878—1915) რომელიც თავის მშვენიერ მოთხრობაში „უბის წიგნიდან" შესანიშნავი ხელოვნებისა და ორიგინალობით მიუდგა ამ საკითხს და სრულიად მოულოდნელად სიახლით და სურნელებით აღსავსე ნაწარმოები შექმნა. აქ არ არის არც ნაძალადევი რიტორიკა და არც გაზვიადებული ნაციონალური რომანტიზმი, რომელიც ჩვენი მგოსნების ხელში ხშირად მშრალი დიდაქტიკის და ზნეობრივი სენტენციების მატარებელი იყო.

ჩვენი ავტორი, რომელსაც ტანზე უბრალო ხალათი აცვია და სულ უბრალო ბიჭია, ახალციხის მაზრის მიდამოებში მოგზაურობს. „მაღლობზე ვდგავარ მე და გადავცქერი ჩემს დანგრეულ სამშობლოს, სადაც თვითეულ ნანგრევში ბუდობს არა მარტო ბუ და ნატამალი, არამედ დიდებული, მომტაცი და მშვენიერი მოგონება",—ამბობს ავტორი. ყოველ არსისაგან ამ დიდებულ მხარეში ავტორს „მე თავს ვიცავდი ისტორიის მანძილზეო"—ესმის. მას უხარია, რომ თამარი იყო „ქართველი მეფე". „მე მებრძოლი ვარ და არ მეშინია არაფრის, წევრი ვარ ძლიერი პარტიის, რომელსაც ქვეყანა უნდა დაიპყრას, გაბედნიეროს". და როგორც ასეთს, ჩვენს ავტორს, თამარი რომ ახლა მეფობდეს, რა თქმა უნდა, „დედობრივი თვალით არ შეხედავს", ალბად, ციხეშიც ჩასვამს, მაგრამ ახალი დროის პატრიოტს თამარი მაინც უყვარს, როგორც ქართველი მეფე.

ავტორი ვერ დამტკბარა აქაური სანახაობით: „მინდა ყველა ბუჩქის ძირი დავათვალიერო, ყველა ბალახ-ბულახს გამოვკითხო ამბავი... მინდა ყველა ქვა ნანგრევებიდან გადმოგორებული ენახო და სისხლის წვეთები დავთვალო ზედ. იქ ცხოვრობენ არა მარტო ბუნი და ნატამალნი, ღამურა და ხელიკები, იქაც ცხოვრობს დრამა ჩვენი ცხოვრებისა, მიუწვდომი იდეალიზმით გაჟღენთილი მოგონებანი". ავტორი გრძნობს, რომ მის სულს მრავალ საუკუნეთა წინ უცხოვრია წინაპრების სახით: „მგონია, რომ ჩვენი ისტორიის დასაწყისიდან ცოცხალი ვიყავი მე, რომ ფეხდაფეხ, კვალდაკვალ, მხარდამხარ დავსდევდი ჩვენს ბედს; რომ ბევრჯერ მომკლეს და ბევრჯერ მაწამეს", მაგრამ საქართველოს სული მაინც ცოცხალია და მას სწამს წინაპართა „ძვალნი გამხმარნი" კვლავ გამოცოხლდებიან: „და შევძახე მე ძვლებს სიტყვა უფლისა და ვხედავ ძვალნი წავიდენ ძვლებისკენ, მოისხეს მათ ძარღვები და შეებნენ ერთმანეთს და ხორცი აღმოცენდა გარშემო და შემოერტყა მათ ტყავი, შევიდა შიგ სული და აღდგენ, გაცოცხლდენ ისინი".

უსაზღვრო რწმენით გატაცებულ პოეტს სწამს, რომ წინასწარმეტყველ იეზეკიილის წინასწართქმა საქართველოზე აღსრულდება და ეს ახალ დროსა და ვითარებაში შექმნილი პატრიოტი, მომავალი ცხოვრების დამპყრობი პარტიის წევრი, აღტაცებით დაასკვნის: „ვდგავარ მაღლობზე მე და თითქოს მივდივარ, მივიკაფავ მთას, თავს ვიცავ, და იკარგება საზღვარი, იკარგება განსხვავება და **მხვდება წინ სპარსი, ოსმალო, რუსი, ინგლისელი და იაპონელი და მხიარული, აღტაცებული ვაძლევ მათ ხელს და ძმურად ამხანაგურად ვკოცნი მათ"...**

ეს არის სიმბოლო ახალი საქართველოს ინტერნაციონალურ გზაზე შედგომისა, ეს არის საქართველოს იდეის ახალი განცდა და სულ ახალი გეზით მიმართვა. წინა ეპოქაზე დაყრდნობით, ახალი ცხოვრების ტალღებში ჩაბმა და ხსნის იმედი მუშურ ინტერნაციონალში,—აი „ქართველის ბედის" გაგება ჭოლას აზრით.

ამ მშვენიერი მოთხრობით ჭოლა ლომთათიძემ უსათუოდ ორიგინალური სიტყვა სთქვა ჩვენი ბუმბერაზ მწერლების შემდეგ და ქართულ ეროვნულ იდეასაც ახალ კალაპოტისკენ მიუთითა. ამით მან ინსტიქტიურად განსჭვრიტა დღევანდელი საქართველოს სახე, რომელიც ყველა ერებთან ძმურის ცხოვრებით შეუდგა თავისი არსებობის გაგრძელებას.

. . . .

ასეთი არის ქართული ნაციონალური გოდების სახე წარსულში. ჩვენ ვნახეთ მისი სხვადასხვა საფეხური და თვითეული მწერლის მიერ მისი ინდივიდუალურად გამოსახვა.

საქართველოს აწინდელი მდგომარეობა ყველა მწერალს სავალალოდ მიაჩნდა და თვითეული მათგანი გამოსავალს ეძებდა. ზოგი მწერალი ერთობ უიმედოდ იყო განწყობილი, ზოგი კი გულს არ იტეხდა, თუმც დასაყრდენი და ქვეყნის რეალურად დამხსნელი ძალა მათ კარგად ვერ დაენახათ.

ძველი მწერლების იმედიანობის წყარო საქართველოს დიდებული წარსული იყო, მამაპაპათა ღვაწლი დაგვიხსნისო და სხვ. ხოლო თანამედროვე, ახალ

საქართველოში აღმოცენებული ძალების იმედი, გარდა აკაკი წერეთლისა და გიორგი წერეთლისა არავის ჰქონებია. მათ ასე ეგონათ, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილ საქართველოს თუ ვინმე დაიხსნიდა, ისევ ძველი მისი წინამძღოლი წოდება—თავად-აზნაურობა.

ეს წოდება კი დიდ სანუგეშოს ვერას იძლეოდა, მოსპობის გზაზე შედგა და ჩვენი მგოსნებიც ხშირად სასოწარკვეთილებაში ვარდებოდენ. ეს გრძნობა ყველაზე ხშირად შეიძლება აკაკის სწვევია, მაგრამ ის მანც ყველაზე საღად უყურებდა საკითხს, რადგან ახალი, დემოკრატიული ძალების იმედი ჰქონდა. ამ დებულებას ქვევით უფრო ნათელ ვყოფთ, აქ კი შევნიშნავთ, რომ ქართული ნაციონალური იდეა, მართლაც, განსაცდელში ჩავარდებოდა, რომ მისი მატარებელი მარტო მიმავალი წოდება—თავად-აზნაურობა დარჩენილიყო. მაგრამ იმ მომენტიდან, როცა ჩვენს ცხოვრებაში გადამჭრელი მნიშვნელობა ქართველ მუშას და გლეხს მიეცა, ქართული ნაციონალური იდეა ახალ ფაზაში შევიდა. მან მოიპოვა დასაყრდნობად უაღრესად მაგარ ხერხემლიანი მრმავლის კლასი და მით საქართველო გადავიდა თავის ისტორიის სრულიად ახალ და უცნობ ხანაში. ეს ხანა განვრიტა ჭოლა ლომთათიძის ნიჭმა, რომელმაც ახალ საქართველოს ინტერნაციონალისკენ მიუთითა.

სანამ ქართველი მუშა და გლეხი სინამდვილეში არ ჩაება ეროვნული ცხოვრების უღელში, მანამ მისთვის დიდად საგრძნობი არ იყო ის ნაციონალური დევნა-შევიწროება, რომელსაც თვითმპყრობელობა აწარმოებდა. ხოლო მერე კი, როცა ერთი მხრივ გამარუსებელი პოლიტიკა შეუმჩნეველივ მიექანებოდა წინ და მეორე მხრივ წინ მოიწევდა დაბალი ფენების აქტივობა, ამ უკანასკნელმაც აშკარად იგრძნო იგი, პირისპირ შეეტაკა მას და ეროვნული საქმის დამცველადაც ის გამოვიდა. ამ მომენტიდან ქართული მუშის შეკმუხვნილი შუბლიც გაიშალა და საქართველოც თამამად დადგა ახალი ცხოვრების მიჯნაზე: თავისი ეკონომიკით, სახელმწიფოებრიობით და კულტურით.

განყოფილება მეორე.

ბატონ-ყმობა

ეს ინსტიტუტი, როგორც ეკონომიური მოვლენა, ჩვენშიც იმავე სახეს ატარებდა, როგორიც სხვა ქვეყნებში ჰქონდა. ნატურალური და კარჩაკეტილი მეურნეობა, მიწაზე მიკრული—არა თავისუფალი გლეხის შრომა, რომლის ნაყოფის პირველი პატრონი მხოლოდ და მხოლოდ ბატონია, ვინაიდან ვახტანგ მე-6-მ დააკანონა; „ყმისა ყოველი ბატონისა არისო".

მაგრამ ვინაიდან ჩვენს ქვეყანას ერთობ თავისებური გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა და მისი ისტორიული ბედიც განსაკუთრებული ტეხილი ხაზით მიმდინარეობდა, პოლიტიკურ დამოკიდებულებაში ბატონყმობას ყველგან ერთი სახე არ ჰქონებია. ადგილ-ადგილ, მაგალითად, სამეგრელოში—საშინელ მკაცრ ხასიათს ატარებდა. ამის მიზეზი იყო ოსმალეთის სიახლოვე, სადაც აუარებელი მუშა ხელი იყო საჭირო და ამის გამო დასავლეთ საქართველოში დიდხანს იყო ყმების უცხოეთში გაყიდვა; ქიზიყში სრულებითაც არ ყოფილა ეს ინსტიტუტი; ქართლ-კახეთშიც ყველგან ერთნაირი ხასიათის არ იყო.

ჩვენი გლეხობა თავგანწირულად ებრძოდა ამ წესწყობილებას ჯერ კიდევ რუსეთთან შეერთებამდე. როგორც საუკეთესო გრამოტები მოწმობენ, ეს ბრძოლა მთელი მე-17 და მე-18 საუკუნეების მანძილზე არ შეწყვეტილა. საქართველოს მთავრობაც გრძნობდა, რომ მართლაც საჭირო იყო გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება და მეფე ერეკლეც 1765 წელს სამღვდელოებასთან და კარისკაცებთან შეთანხმებით აკანონებს, რომ „დღეიდან ტყვეობიდან განთავისუფლებული გლეხების ყმად ყოლის უფლება არა აქვთ მათ ყოფილ მებატონეებს"; ყმა, რომელსაც ბატონი ტყვეობიდან არ გამოისყიდის, თავისუფალია ბატონისაგან; ის ბატონები, რომელნიც შიმშილობისა და გაჭირვების დროს გლეხებს არ ეხმარებიან, უფლებას ჰკარგავენ მათზე და სხვ. *)

მაგრამ საერთოდ გლეხობის მდგომარეობის ფართოდ გაუმჯობესება მაშინდელ ისტორიულ პირობების გამო შეუძლებელი იყო: მუდმივი ომები და შეხლა-შემოხლანი გლეხისა და თავადის ცხოვრებას ერთნაირად აფორიაქებდა და ანიავებდა; მათ ფიზიკურ არსებობასაც ხშირად ერთი მტერი ემუქრებოდა ან სპობდა; ამიტომ ძალიან ხშირად ეს ორი მოწინააღმდეგე წოდება, ობიექტიურ პირობების გამო სამოქალაქო ზავს ამყარებდა და ერთ უღელში ებმოდა, რაც წოდებათა შორის ბრძოლას დროებით მაინც ადუნებდა და ძალა-უნებურად ჰქმნიდა სოციალური ჰარმონიის ილუზიებს.

---

*) Н. Джавахишвили. Политическое и социальное движение в Грузии в 19 в., ss. 5—6.

როდესაც საქართველოს სამეფოს რუსეთის თვითმპყრობელობა დაეუფლა, მან ეროვნული ძალების დაქსაქსვის მიზნით გლეხობის მხარე დაიჭირა და პირველად ერთგვარი იმედებიც კი დაბადა გლეხობაში. მაგრამ ბატონყმობის შუაგულიდან გამოსული მთავრობა ისევ მალე დაუბრუნდა თავის ბუნებრივ გზას და, რაკი საქართველოს თავისებურობას თავი ვერ გაართვა, ადგა და ბრძანება გამოსცა: საქართველოს ყმები რუს ყმების პირობებში იქნან ჩაყენებულნი. ეს კი ჩვენს მებატონეებს ახალ უფლებებს ანიჭებდა ჯარში გაგზავნით და ციმბირში გადასახლებით [1]).

მეორე მხრივ, რაკი საქართველოში ხანგრძლივი მშვიდობიანობა დამყარდა, წოდებათა ბრძოლაც უფრო გამძაფრდა, რუსეთის მხრივ ზურგმომაგრებული ჩვენი თავადობა საშინელ უღლად დააწვა ჩვენს გლეხობას... ყოველივე ამის შედეგი ის იყო, რომ თვითმპყრობელობამ ქართველი ყმის მდგომარეობა ძველთან შედარებით საშინლად გააუარესა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი თავადების წოდებრიობის იდეით გაჟღენთა იქამდე მივიდა, რომ 60 წლების რეფორმების გატარებაში მან საკმაოდ რეაქციონური როლი ითამაშა. ეს წოდება იმდენად დააბრმავა თავისმა ინტერესებმა, რომ თვითმპყრობელობაზე უფრო მემარჯვენე გამოდგა და არაფრის გზით არ უნდოდა გლეხობის მიწით განთავისუფლება.

ცნობილი დიმიტრი ყიფიანი მთელი თავად-აზნაურობის აზრს ასე გამოსთქვამდა: რაკი მთავრობა არ გვეშვება და მაინცა და მაინც უნდა გლეხების განთავისულება, „ყმებს პირადი თავისუფლება მივსცეთ, სამაგიეროდ, ფული მოვთხოვოთ და ადგილ-მამული ჩვენსავე საკუთრებაში დარჩესო“. მხოლოდ ორი პროგრესიული ადამიანი იყო ამ აზრის წინააღმდეგი: ქრისტეფორე მამაცაშვილი და მსაჯული ნიკოლოზ ჭავჭავაძე [2]), მაგრამ მათი ხმა უდაბნოში მღაღადებლის ხმად რჩებოდა.

როგორი დახასიათება ჰპოვა ბატონ-ყმობამ ჩვენს ლიტერატურაში? შეებრძოლა თუ არა ამ საშინელ ინსტიტუტს ვინმე ჩვენში?

გიორგი ერისთავი

პირველი მწერალი, რომელიც ბატონ-ყმობას შეეხო, იყო მრავალი მხრივ შესანიშნავი გიორგი ერისთაი. მან მოგვცა ძველი მებატონეების - ანდუყაფარ დიდებულიძის და მისი ძმის პავლეს—ცოცხალი და მხატვრული სახეები.

ანდუყაფარი დიდი ფეოდალური ოჯახისა და ცხოვრების მოტრფიალეა, ნასწავლ ძმისაგან შემოტანილი ოჯახის გაყრის აზრი მას ვერ მოუნელებია და გულწრფელად სწუხს:

---

[1]) ჯავახიშვილის დასახელებული წიგნი. გვ. 31.

[2]) ეს ჭავჭავაძე, ზოგიერთების აზრით, ილია ჭავჭავაძე იყო, მაგრამ ახლად აღმოჩენილ საბუთიდან, რომელიც მალე გამოქვეყნდება გრიგოლ გიორგაძის შრომაში ბატონ-ყმობის შესახებ, აშკარად ჩანს, რომ იგი ტფილისის მოსამართლე ნიკოლოზ ჭავჭავაძე ყოფილა და არა ილია.

„ჰეი, ოჯახო, კარგო ოჯახო,
შემდგომ გაყრისა ვის დავენახო!
ახ, ველარ დავცემ კარავსა მკაში,
უნდა ვიმალო მე მამითადში!
სად ენახავ სამას ნამგლის ტრიალსა,
ჰოპუნის გუგუნს, ყანის შრიალსა“?!

ამავე დროს იგი ბოროტად დასცინის თავის რუსეთში განათლებამიღებულ „თერგდალეულ“ ძმიას, რომელიც

„ზვარში აპირებს ვაზების დაჭრას,
ვაზების წილად თუთების ჩაყრას“.

იგი სრულიად მოკლებულია პრაქტიკულ უნარს: კაკლის ხეებს მაკრატლით პარსავს და გუანოსა (ჩიტის პატივი) და ირიგაციის (მორწყვა) საკითხები აწუხებს.

მეორე ძმა—პაველ—მიმინოებისა და ძაღლების დევნაში ატარებს დროს.

გარდა ამ ტიპებისა გ. ერისთავის თხუზულებებში არის ისეთი ადგილები, საიდანაც აშკარად გამოსჩეივის მწერლის კრიტიკული დამოკიდებულება ამ წესწყობილებისადმი.

1850 წლის 2 იანვარს ქართული დასის მიერ წარმოდგენილ ერისთავის პიესა „გაყრაში“ ვკითხულობთ:

ყარდაშვერდი. ყველა კარგი, მაგრამ შენს ბატონს არა მოახსენე რა?

გაბრიელი. როგორ არა, ჩემო ყარდო! მიბრძანა: მე ვთხოვ ჩემს რძალს ყარდაშვერდი მოგცესო, ჩემს ახლო დაეაყენებო.

ყარდაშვერდი. რასაკვირველია! სასახლის ახლო დაედგე, რომ ქათმები მაზრდეევინოს!? ეგება მოურაობა გიბოძოს.

გაბრიელი. მოურაობას იმასთან სამსახური არა სჯობია?

ყარდაშვერდი. რად ემჯობინება, მაგდენიც არ იცი, რუსეთი კი მოიარე!

გაბრიელი. მოურაობა რა ხელობა არის, რა პურს მაკმევს?

ყარდაშვერდი. ქაა, რა პურს მაკმევს? პურიც შენს ხელში იქნება და ღვინოც, ვისაც ბატონი აიკლებს, ნახევარი იმისია, ერთი სიტყვით ბატონის მენახევრე არის.

გაბრიელი. **როგორ თუ აკლება? კარგს რასმე მასწავლი! მე რომ ბატონს აკლება გავაგონო, დამახრჩობს. განა ბატონი რაზბონიკია? არა, ჩვენ მაგისთანები არ გვისწავლია...** აი რას მირჩევს,— **რაზბონიკად გაეხდე... და სხვ.**

როდესაც ეს ნალაპარაკევი გაბრიელმა ივანეს გადასცა, უკანასკნელი ამბობს: **„ხასიამოვნო არის ჰყავდეს მებატონეს ერთგული მსახური და ყმები. გოსპოდი, მომეც შეძლება, რომ ჩემმა ყმებმა ისე შემიყვარონ, როგორც გაბრიელმა. კაკაია პოეზია ბიტ დობრიმ, ხოტ ი ბედნიმ პომეშჩიკომ“.**

ამ ამონაწერიდან აშკარაა, რომ ჯერ კიდევ 1850 წელში საქართველოში ბატონ-ყმობის სასაყვედურო სიტყვა წარმოთქმულა. მართალია ამ სიტყვას პრინციპიალურად და რევოლიუციონურად არ გაულაშქრია ამ ურთი-ერთობის წი-

ნაალმდეგ, მაგრამ ისიც ნათელია, რომ მისი უკიდურესობანი დაგმობილია: ყმების ამაწიოკებელი ბატონი და მოურავი ყაჩაღებადაა წოდებული და იდეალად ისახავენ იმ ბატონს, რომელიც კეთილად მოეპყრობა თავის ყმებს.

ეჭვს გარეშეა, რომ ვარშავაში კარგახანს ნაცხოვრები გიორგი ერისთავი ოპოზიციაში უდგას ბატონ-ყმობას და მაშინდელი სასტიკი ცენზურისათვის გვარიანი „კრამოლნიკური" აზრი შეუპარებია.

უნდა ვიცოდეთ, რომ ამაზე მეტს იმ დროში ვერც რუსეთის მწერლები ამბობდენ ბატონ-ყმობის საწინააღმდეგოდ. ცნობილია, რომ ტურგენევის „Записки Охотника"-ს პატარ-პატარა მოთხრობები 1847 წლიდან კანტი-კუნტად იბეჭდება „Современник"-ში და ისიც ცენზურული შესწორებებით. ხოლო მთელი კრებული ცალკე წიგნად ძლივ-ძლიობით გამოუშვა ცენზურამ 1852 წ. მეორე გამოცემას კი 1859 წელში ძლივს აჩვენეს მზის სინათლე. მასთან უნდა ვიცოდეთ, რომ ამ მოთხრობებში ბატონ-ყმობა სრულებით არ არის პრინციპიალურად დაგმობილი, აქ მხოლოდ ამ ურთიერთობის უარმყოფი მხარეებია ნაჩვენები და ამ ინსტიტუტის მიერ დამახინჯებული ადამიანებია ასახული. ამავე ხასიათის არის გრიგოროვიჩის „სოფელი" (დაიბეჭდა 1847 წ.) და „ანტონ ბედკრული") დაიბეჭდა 1847 წ.)*).

კეთილი ბატონის იდეალი, რომელიც ერისთავის პიესაშია, დიდი ხანი ტრიალებდა რუსეთის პროგრესიულ მწერლობაში, პუშკინის ონეგინმა ყმები კი არ გაანთავისუფლა არამედ

«Ярем он барщины старинной
Оброком легким заменил».

ასე რომ დამტკიცებულად უნდა მივიღოთ ის დებულება, რომ გიორგი ერისთავი სრულებით არ ჩამორჩენილა მაშინდელ მოწინავე აზროვნებას და ერთგვარ ოპოზიციაში უდგა არსებულ სოციალურ რეჟიმს. უნდა ვიფიქროთ, რომ გ. ერისთავი მარტო არ იქნებოდა ამ სულიერი განწყობილების მატარებელი და მაშინდელ საქართველოში მისი თანამოაზრეებიც იქნებოდენ. რუსეთში ამ დროს საშინელი ცენზურული პირობები იყო და გ. ერისთავის აზრზე უფრო რადიკალური რაიმე ყოველად შეუძლებელი იყო მწერლობაში გამოთქმულიყო. პირიქით, ასეთი აზრის გამოთქმაც უდიდეს გამბედაობას უდრიდა.

გიორგი ერისთავის გვერდით მაშინ ჩვენში მეორე თეორიაც არსებობდა ბატონ-ყმობის შესახებ. ალექსანდრე ორბელიანი სწერდა: „უწინდელ დროს გარეშე კაცი იმას ეძებდა, რომ მებატონე ვიშოვნო და იმას შევეხიზნოო, იმისათვის—რომ მებატონე თავის ყმასა შვილსავით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსად გული სტკიოდა ყმისთვისო". ეს აზრი ძალიან გავრცელებული იყო მაშინ და ილია ჭავჭავაძესაც ძალიან მოსწონდა (იხილე მისი სურათები გლეხთა განთავისუფლების ცხოვრებიდან). ვახტანგ ორბელიანმა თავისი ძმის, ალექსანდრეს თეორია 1881 წელში ასე გალექსა:

---

*) Литературные очерки, А. Грузинского, 1908, გვ. 220—40.

„უყვარს მოხუცსა თვის გლეხნი ყმანი,—
მისთვის ის ყმანი არიან ძმანი,
მათთან ნადიმი და მათთან ლხენა,
მათ საუბარი უმზაკვრო ენა.
ყმას ჰყავს პატრონი, არა ბატონი:

. .

ერთნი არიან ყმა და პატრონი“-ო.

ერთი სიტყვით, შვიდი საუკუნის უკან შოთას მიერ ნათქვამი: „სჯობან ყოველთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი“,—მეცხრამეტე საუკუნეშიც ცხოველმყოფელ იდეად გამოაქვთ. ერთში მართალნი იყვნენ ჩვენი მამები: საქართველოს ისტორიას მართლაც ჰქონდა ისეთი მომენტები, როდესაც „გარეშე კაცი იმას ეძებდა, რომ მებატონე ვიშოვო და შევეხიზნოო,“ ეს სხვა ერთა ცხოვრებაშიც ცნობილი ფაქტია, მაგრამ გულბრყვილო მამებს აეიწყდებოდათ, რომ ყოველივე იცვლება, ყოველივე მიმდინარებს და რაც ერთ დროში პროგრესიულ ყოფილა, მეორე პირობებში შეიძლება საესებით მავნებელი დარჩეს.

ცენზურული პირობების გარდა ამ „მამაშვილობის“ თეორიის გავლენითაც უნდა ავხსნათ ის მოვლენა, რომ გიორგი ერისთავის მერე დანიელ ჭონქაძემდე ბატონ-ყმობის შესახებ არავის კრინტი არ დაუძრავს.

დ ა ნ ი ე ლ ჭ ო ნ ქ ა ძ ე

(1830—1860)

I

გიორგი ერისთავის შემდეგ გადის თითქმის ათი წელიწადი და ბატონ-ყმობის სახე ქართულ ლიტერატურაში საშინელ სურათად გადმოიშლება: 1850—1860 წელში „ცისკარში“ იბეჭდება ღარიბი მღვდლის შვილის დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“. ეს მოთხრობა პირდაპირ სისხლით არის დაწერილი და ბატონყმობის საშინელ სურათს იძლევა. თან იმისი მაჩვენებელიც არის, რომ ის ბიუროკრატიულ—ფეოდალური ბლოკი, რომელიც ამ ხანებში სულის› და გულის შემხუთველად აწვა ჩვენს გლეხობას, უკვე საკმაოდ გაბზარულია და ქართული აზროკვნების ბნელეთშიც ჩაუნათებია სინათლის შუქს.

ამ უკანასკნელმა გამოთქმამ გაუგებრობა რომ არ გამოიწვიოს, საჭიროა პატარა განმარტება: სამოციან წლებამდე თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა დაასრულეს ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ნიკოლოზ ბარათაშვილმა და ფაქტიურად გიორგი ერისთავმაც, ხოლო გრიგოლ ორბელიანს თავისი საუკეთესო პოემა-ლექსების უმეტესობა ამ ეპოქამდე აქვს დაწერილი; „ლხინი“ 1828 წ.წ. „იარალის“—1834 წ., „ჩემს დას ეფემიას“ 1835 წ. და სხვ. ვახტანგ ორბელიანი კი 1857 წ. იწყებს მწერლობას და 1859 წლის თებერვალამდე დაბეჭდა სულ ოთხი ლექსი, სხვათა შორის „იმედის“ დასაწყისიც, ხოლო 1859 წლიდან 1866 წლამდე იგი არსად ჩანს, დადუმებულია. [1]) ამ მწერალთა ნაწერების მიმოხილვის

[1]) ლექსები ვახტანგ ორბელეანისა, გვ. 175 1894 წ.

დროს ჩვენ ვნახეთ, რომ ნაციონალურ საკითხში საკმაო რადიკალობა გამოსქვი-ვის და აზროვნების სიცხოველეს და ხშირად გამძაფრებასაც აქვს ადგილი.

რაც შეეხება სოციალურ საკითხს—ბატონყმობას—აქ თითქმის ყველანი დუმან და ამ საშინელ ინსტიტუტს პროტესტს არ უცხადებენ. პირიქით, გრიგოლ ორბელიანი საშინლად გააბრაზა „სურაშის ციხის“ დაბეჭდვამ და თვალთაგან ცეცხლს აფრქვევდა: ვინ გაგვიბედა გალანძღვა, ვინ ასწერა ჩვენი თავადები ასეთი შავი საღებავებითო. და ეს იმ დროს, როდესაც მთელი განათლებული და მოწინავე რუსეთი ბატონყმობის დასამხობად იყო ამხედრებული!

ნიკოლოზ ბარათაშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძე ამ მხრივ საყვედურის გარეშე დგანან: იმ ხანებში—40 წლებში—არც რუსეთში იდგა ეს საკითხი აქ-ტუალურად და მაშინდელი მწერლები ფილოსოფიურ საკითხებზე უფრო იტეხ-დენ თავს, ვიდრე ბატონ-ყმობაზე.

მართალია, დიდი მწერლები, როგორც, მაგალითად, პუშკინი, თუ კი შემ-თხვევა მიეცემოდათ, მოხერხებულად გაჭრავდენ კალამს ამ რეჟიმს. გოგოლმაც თავისი „მკვდარი სულები“ იმ ხანებში შექმნა, მაგრამ ამას ერ ჭქონია რადიკა-ლური ხასიათი და ბატონ-ყმობის ყოფნა არ ყოფნის საკითხს არ აყენებდა. თუ რუსეთში ასეთი მდგომარეობა იყო, რა უნდა ყოფილიყო ჩვენში, სადაც მთელი ეროვნული ცხოვრება მოშლილი იყო და საქართველო ტვინგაბრუებული მიწაზე ეგდო! ვის უნდა ეწერა ამ დროს ბატონ-ყმობაზე? ისიც საოცარი და გასაკვირ-ველია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს იმოდენა განზოგადოების ნიჭი აღმოაჩნდა, რომ თავის დროს შავბნელ პირობებს—ნაციონალური და სოციალური ნიადაგი —გმირულად შესძახა: „ვერ შემაშინოს შენმა ბასრმა მოსისხლე მტერიო“.

რაც შეეხება გრიგოლ ორბელიანს, აქ ცოტა სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. მართალია, იგი 1832 წ. შეთქმულების თანაგრძნობისათვის დასაჯეს, მაგ-რამ რუსეთის თვითმპყრობელობა მას მთელი თავის არსებით სწამდა და უყვარდა.

ის დიმიტრი ყიფიანის ტიპის მოაზროვნეა—კარგი ქართველი, კარგი რუ-სიც უნდა იყოს—და ჰგონია, რომ თავის სამშობლოს ჯალათი—ნიკოლოზ I, უც-ხო ქვეყანას—საქართველოს ააყვავებს.

„ძველი ივერი,
შენი ივერი
შენდა მოჰმართავს სულსა და გულსა.
შენგან მოელის, რომ ლამპარს სწავლის
კეალად აღუნთებ ძველად გამქრალსა,
შენგან მოელის,
ეით გაზაფხულის

ყვავილი მზისგან აღმოცენასა“, ასე მიმართავს იგი რუსეთის თვითმპყრო-ბელს.

„ობიექტურად აქ, შეიძლება, მგოსანი სიმართლეს ღაღადებდა, მაგრამ პი-რადად მის მხრივ რომ ეს მონური გრძნობის გამომჟღავნებაა, აშკარაზე აშკარაა. აქ მოჩვენებითი რადიკალობაც კი არ არის. მაგრამ განა მარტო გრიგოლ ორ-ბელიანი იყო ასეთი გრძნობით შეპყრობილი, განა პუშკინმა არა სთქვა:

«Увижу ли, друзья, народ неугнетенный
и рабство падшее по манью царя».

ბატონ-ყმობის ძალით მოსპობაზე ვინ იფიქრებდა? ყოველივე მეფის ხელით უნდა მომხდარიყო. ასე ფიქრობდა ჩვენი გულუბრყვილო მგოსანიც საქართველოს ეროვნულ საკითხში.

რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, აქაც ის მეფის სურვილთა მონა იყო და რადიკალობის გამოჩენა არ შეეძლო.

ასე რომ ამ რეჟიმის შესახებ ხმა პირველად ამოიღო თავისი დროის პროგრესიულობით გ. ერისთავმა და ათი წლის შემდეგ კი პირდაპირ რევოლუციონურად დ. ჭონქაძემ.

ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ ქართული ნაციონალური გოდება მხოლოდ და მხოლოდ ოცნების ფარგლებში გრიალებს და ხშირად უქვეშევრდომილეს გრძნობებსაც კი გამოსთქვამს.

მართალია, აკაკი ხანჯალსაც კი ლესავს მტრისათვის, „სისხლით შეღებავ ჭალარას“-ო, და ბევრი სხვა, მაგრამ იგივე აკაკი ქებათა-ქებას ასხამს საქართველოს მშრომელთა საშინელ ბორკილებში ჩამჭედს—ვორონცოვს.

გადავიდეთ დ. ჭონქაძის „სურამის ციხეზე“.

ამ მოთხრობაში გამოყვანილია ყველა წოდება: თავადები, ყმები, სამღვდელოების წარმომადგენლები და ვაჭრული კაპიტალის პირველი მერცხლები. ბატონები ყმებს ჰყიდიან, აჩუქებენ, მათ პიროვნებას ფეხქვეშ სთელავენ, ნამუსს ხდიან, კეერში აბმენ და, ვინ იცის, კიდევ რა.

არსად შებრალება, არსად ადამიანური გრძნობა არ ჩანს... არის წამი, როდესაც ამ საშინელ სამეფოში ადამიანობა ვითომდა გაიელვებს. როდესაც დურმუშხანი—დიდი ბატონის შვილისშვილი, გოგოსთან შეძენილი - გააჩუქეს და მუხრან ბატონს მიჰყავდა; როდესაც დურმუშხანს აშორებდენ დედას, ამბობენ, „ვითომც დიდ ბატონს მარჯვენა ულვაშმა დაუწყო კანკალი და თვალებზე ცრემლებივით რაღაც დაუნახესო“. ერთი სიტყვით, ამ ფაქტში თითქოს ალაპარაკებას აპირებდა გარეშე პირობების გამო ჩამკვდარი და დასამარებული კაცობრივი გრძნობა, მაგრამ იგი მალე სამუდამოდ გაქრა და ისევ შავი სურათი გამეფდა.

გამხეცებული ბატონი თავის საუფლოს ყოველ წერტილზე გამარმალებული ეშვებით დგას და გარდა პირადი ეგოიზმისა მისთვის არაფერი არ არსებობს. ყმის შრომა, ნამუსი, ადამიანობა და სიცოცხლე მის ხელთ არის და ისე განაგებს ყოველივე ამას, როგორც მას მოეჭრიანება: არსად დაზოგვა, არსად გატანა.

II

მარტო ბატონი კი არა დგას ამ პოზიციაზე: მას მხარს უმაგრებს საკურთხეველიც, და ტახტიც. ქრისტეს „მოციქული“ მღვდელიც ერის კაცივით ყიდულობს ყმას და ჯაშუშობს ბატონის სასარგებლოდ. მთავრობაც მის გვერდით არის და მღვდლის მიერ გაცემულ ოსმანაღას დიდი მზრუნველობით მიჰგვრის თავის ბატონს.

მამაპაპეულ კარმიდამოს, მეურნეობაში ჩამხრჩვალ გლეხს სულის შემხუთველად თავს ადგას ბატონის კოშკი, ეკლესია და მთავრობა. ბატონში მატერიალური კმაყოფილება უნდა ჰპოვოს ყმამ, მთავრობაში ყოფაქცევის მიმართება, ხოლო ეკლესიაში სულიერი სიმშვიდე. ასეთია მისი ბედი. ფეოდალიზმის ამ სამ ბურჯს შუაა იგი მომწყვდეული. და თუ ყოველივე ამას ეურჩა, თუ თავისი ადამიანური პიროვნება მოიგონა და ოდნავად მაინც მოინდომა თავისი „მე"-ს დაცვა, კურთხეულ სამებას მისთვის მზადა აქვს მათრახი, წვალება, ჯოჯოხეთური სიცოცხლე და სიკვდილი, როგორც მორალური, ისე ფიზიკური.

ოსმან აღა წყნარზე წყნარი, მუდამ ბატონის ნებაზე მოსიარულე და მშვიდობიანი ყმა იყო. ცხოვრებაში მხოლოდ ერთი რამ მოისურვა მან სხვის დაუკითხავად—ნატოს შერთვა, მაგრამ დაუნდობელმა ბატონმა, რომელსაც ოსმან-აღა მთელი თავისი ქონებით და სიცოცხლით ეკუთვნოდა, ეს უბრალო რამეც კი არ გაიმეტა მისთვის და სადღაც გატყუილების შემდეგ უსირცხვილოდ გაუუპატიურა სატრფო.

ნამუს ახდილი თავს იკლავს, შინ დაბრუნებული ოსმან აღა კი—მაშინ ნოდარი ერქვა—ბატონის სახლობას ერთიანად ამოსწყვეტს და ახალციხეში გადავარდება. სამშობლოს დაშორებით დასევდიანებული და კაცის სისხლის დაღვრით დატანჯული ნოდარ ოსმან-აღა იძულებულია კიდევ ორი ნაბიჯი გადადგას ამ საშინელებათა გზაზე და სარწმუნოებასაც იცვლის, ეროვნებასაც უარჰყოფს.

გარეგნულად მისი ცხოვრება თითქოს კარგად მოეწყო, მაგრამ გულში ჯოჯოხეთს ატარებს, სინიდისი ჰქენჯნის, უდიდეს ზნეობრივ ტანჯვას განიცდის და ბოლოს კიდეც შეეწირება ამ გრძნობას: ვერ მოითმინა ამდენი ორპირობა, გამოამჟღავნა თავისი ვინაობა და სიკვდილითაც დასაჯეს იგი ოსმალებმა. სიცოცხლეში უბედურს, სიკვდილის შემდეგაც არ ეღირსა გაპატიოსნება: მისი გვამი დიდხანს ეგდო სტამბოლის ქუჩაში და იქვე გაიხრწნა. სიცოცხლეში მისი მთელი სიცოცხლე ქართულმა ფეოდალიზმმა ტანჯა და აწვალა, ხოლო სიკვდილს შემდეგ—ოსმალეთის დესპოტიამ.

უბედურ ნოდარს, რომელსაც თავის სიცოცხლეში სხვებისათვის კარგის მეტი არაფერი უქნია, სამშობლოს საშინელმა პირობებმა ისეთი ხასიათის მეგობარი შეახვედრა, რომელიც მხოლოდ თავის თავზე ღა ფიქრობდა და საკუთარი სიცოცხლის მოსპობის შიშით ყურადღებასაც არ აქცევდა მის კეთილის მყოფელს. ჩვენ სახეში გვყავს დურმიშხანი. რომლის აქტიური ბუნება ბატონყმობამ თავის დარჯაკში გაატარა და სწორეთ ისეთი ბეჭედი დაასვა, როგორც მას შეეფერებოდა. დურმიშხანი დღიდან ბავშობისა, ეგოიზმისა და გაუტანლობის მეტს ვერაფერს ხედავდა ბატონებში და თვითონაც ასეთი ადამიანი შეიქნა. მგლურმა ატმოსფერამ მგელი აღზარდა, დაუნდობლებში დაუნდობელი წარმოიშვა. პირადი ბედნიერება, ქონება, ცოლშვილი და კეთილი ცხოვრება—აი, დურმიშხანის იდეალი. გარეშე ამისა მისთვის არც სიყვარულია, არც მეგობრობა და არც წათესაობა. თავისი შვილი, ზურაბიც, ერთის მხრივ მას თავისი კეთილდღეობის იარაღად უნდა გამოიყენოს—დიდკაცს მოანათვლინა, მეც დავწინაურდები და სახელს შევიძენო—ეფისკოპოზად უნდა აღზარდოს, რომ ამ გზით ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიუჯდეს გვერდით. სხვების დაუნდობელი დურმიშხანი ბოლოს სა-

შინელ ქსელში გაიხლართება მის ხელით მოკვდება ის (ვარდუა), ვისაც პირველად თვითონ უდალატა.

ოსმან-აღა და დურმიშხანი ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ტიპებია, რომელნიც ერთ სოციალურ წრეში წარმოიშვენ და ორიგე ამავე წრემ დაღუპა.

ნოდარ-ოსმანში გარემოებას ვერ ჩაუკლავს ადამიანური სინიდისი და, როდესაც სინამდვილე საშინელ წინააღმდეგობაში ჩაგდებს, ბოლოს და ბოლოს კიდევაც ემსხვერპლება ამ ადამიანურ ღირსებას. დურმიშხანი კი, მართალია, ბატონ-ყმობას გაექცა, მაგრამ პრინციპიალურად ის ძალმომრეობის გამამართლებელია და თვითონვე მიისწრაფის აქეთკენ. სინიდისის ხმა მასში უკვე ჩაჰკლა ბატონ-ყმობამ, თუმცა არის წამები, როდესაც იგი მოტყუებულ ვითომდა სატრფოს—ვარდუას—იბრალებს და ოსმან-აღას შესახებაც ამბობს: „საწყალო ოსმან-აღა! აბა თუ ერთი სანთელი ავუნთე? სირცხვილი ‘მენთვის, ჩემო თავო! რა იქნებოდა რო დამემარხა? მე და ჩემმა ღმერთმა არ ვემართლები“.

ასე ალაპარაკებს დურმიშხანს ავტორი, რომელსაც ღრმად სწამს, რომ რაც უნდა დაცემული იყოს ადამიანი, მისი გულის სიღრმეში მაინც მოიპოვება ნათელი სხივი.

მიუხედავად ამ ორი ტიპის სხვადასხვაობისა, ისინი მაინც დაღუპა ბატონ-ყმობამ. მაგრამ განა მარტო ეს ორი არსებანი შეიწირა ამ რეჟიმმა? განა მანვე არ იმსხვერპლა დურმიშხანის დედა, ვარდუა და ზურაბი? ეს კიდევ ცოტაა: ბატონ-ყმობა ყმებთან ერთად თვითონ ბატონებსაც ჭლუპავს: ოსმან აღამ თავისი ბატონი ოჯახობიანად ამოხოცა, ასეთი ბედი მოელის სხვებსაც. გაჩაღებულია დაუნდობელი და შეუბრალებელი ბრძოლა, იღუპება ყმა, იღუპება ბატონი, მძვინვარებს მორალური და ფიზიკური სიკვდილი. ბატონყმურმა ურთიერთობამ ლამის მოსპოს კაცთმოყვარეობის გრძნობა და მთელი ერი გააველუროს...

აი, რა სურათი დახატა დანიელ ჭონქაძემ „სურამის ციხეში“. ამაზე საშინელი, სინამდვილით სავსე და ტრაგიულობის სულით გაჟღენთილი ნაწარმოები ბატონ-ყმობის საწინააღმდეგოდ საქართველოში არ დაწერილა.

არც ინტელიგენტ ბატონების ჰუმანიური სანტიმეტალობა, არც შაქარ შოყრილი პილპილი! ყველგან ჩამოსხმული მარმარილო და ცივი ხატება!

რუსეთის ლიტერატურამ დიდი ბრძოლა გასწია ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, მაგრამ ჭონქაძისებური მიუდგომლობით და რევოლუციონური სიშიშვლით არც ერთ რუსის მწერალს არ გადმოუშლია ეს საშინელი ურთიერთობა. გოგოლი მოყვარესავით პირში უძრახავდა თავის ნოზდრიოვებს და ჯორობოჩკებს*), ტურგენევი ბატონურად ტკბილავდა სუჩოვებს და ხორებს, იგი მხრუნველის ხელით ასაპურისებდა მათ რევოლუციონურ ნებისყოფას. ასე იქცეოდა გრიგოროვიჩიც.

სულ სხვანაირია ჭონქაძის მიდგომა. თუმც ჩვენი თანამემამულე დასახელებულ ავტორებთან შედარებით ნაკლების ნიჭის არის და მისი მოთხრობაც

*) უნდა ვიცოდეთ, რომ თუმცა გოგოლმა საშინელი საღებავებით დაბატა რუსეთის ბატონყმობა, მაგრამ იგი ამ რეჟიმის სასტიკი დამცველი იყო, რაც მან საკიროდ აღიარა თავის მეგობრებთან მიწერ-მოწერაში. ცნობილია, რომ ამ ფაქტის გამო საშინლად გაილაშქრა მის წინააღმდეგ ბელინსკიმ და მიწასთან გაასწორა გოგოლი.

ვერ ახდენს დიდ შთაბეჭდილებას. ისტორიული მისი დამსახურება კი განუზომელია. „სურამის ციხე“ ჭეშმარიტად რევოლუციონური ყუმბარა იყო, რომელიც მამაცად გადისროლა ჭონქაძემ საქართველოს დამყაყებულ ჭაობში. ამიტომ იყო, რომ ასეთის აღშფოთებით მიიღო შაშინდელმა გაბატონებულმა აზროვნებამ ეს ნაწარმოები. მარტო გრიგოლ ორბელიანის აღშფოთება რადა ღირს!

ილია ჭავჭავაძე

(1837—1907)

ილია ჭავჭავაძემ ბატონ-ყმობა დაგვისურათა „კაცია ადამიანში“, „გლახის ნაამბობში“ და რამდენადმე პიესაში: „რამდენიმე სცენა გლეხთა განთავისუფლების ცხოვრებიდან“. ერთი ეპიური სურათი მოგვცა აგრეთვე პოემა „აჩრდილ“-ში.

ილია მკაცრად მოფიქრებული მსოფლმხედველობის ადამიანი იყო. თავის მხატვრული ინტუიციაც მან ამ მსოფლმხედველობის ჩარჩოებში მოამწყვდია. ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ გააზრა მან ქართველი ერის ბედი: ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეკუთვნოდეს,—აი საბოლოო მისი აზრი.

სოციალური საკითხიც ილიამ ამ საკითხს დაუმორჩილა. „უნდა გავტყდეთ და ავღიაროთ,—სწერს ილია ჭავჭავაძე 1882 წლის „ივერიის“ № 2,—რომ სოციალურის და ეკონომიური კითხვების შემუშავება ტოლად არ მიდიოდა ეროვნული კითხვების განვითარებასთან და თვალსაჩინოდ უკან რჩებოდა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო, ვიდრე ეკონომიური; ეროვნული მხარე ჩვენი არსებობისა უფრო გვტკიოდა, გვაღონებდა, ვიდრე სოციალური“. ამ სიტყვებს ჩვენ ვერაფერს დავსძენთ, აქ უტყუარი ჭეშმარიტებაა ნათქვამი.

ვინ უნდა მიაკუთვნოს ქართველებს მისი თავი? რომელმა შინაგანმა ძალამ უნდა დაიხსნას იგი რუსეთის თვითმპყრობელობისაგან?

როგორც მაღალ, ისე დაბალი წოდების გაერთიანებამ—ერთ ხელში ისტორიულმა ხმალმა და მეორეში ფაქტიურმა გუთანმა, ამ განუყრელმა ორპიროვანმა იანუსმა, რომლის გარეშე ქართველი ერის ხსნა არ არის, რომელი წოდება უნდა იყოს მეთაური—ეს არის მთავარი საკითხი. მხოლოდ ეს კი აშკარაა, რომ ქართველი ერის ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი ყოფაქცევა ექნება ამ ახალ პირობებში ერის ისტორიულ წინამძღვარს, თავადაზნაურობას და სამღვდელოებას.

ქართველ ერს უდიდესი სოციალური ტკივილი—ბატონყმობა აწუხებს. ამ სატკივრის მოშუშვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მის სვე-ბედზე; ტკივილის მორჩენაში მთავარი და გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს თავად-აზნაურობამ და არა გლეხობამ. თავი და ბოლო იმაშია, თუ რა ყოფაქცევის აღმოჩნდება თავად-აზნაურობა, რომელიც დღეს-დღეობით ვერაფერ შემთხვევაში ვერ დგას შესაფერ და ღირსეულ დონეზე.

ასეთია ილიას მოსაზრება საერთოდ და კერძოდ ბატონყმობის საკითხში.

გავხსნათ ეს ფორმულა.

„ოთარაანთ ქვრივში“ ვკითხულობთ: ჩვენ შუა (თავადებსა და გლეხებს შუა) ხიდია ჩატეხილი. ისინი იქით ნაპირას დარჩენ, ჩვენ აქეთ. შორიშორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ველარ მიგვიწვდენია“... ორი სხვადასხვა ქვეყანაა, იმათ ტირილს და ლხინს ცალკე ღობე აელია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ველარ მიგვიკარებია, ველარ მიგვიხვედრებია“. ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა, რომ აღარ არის, ან არის და დამუნჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვნდომოდეს თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალთვალა და ცალყურა ნახევარით-ღა ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს“.

ერი შუა გაპობილა, ერთი ნაწილი გაღმაა, მეორე გამოღმა, ეს ნაწილებიც დაავადებულია და ერთმანეთს ვერ მიჰკარებიან. მაგრამ გლეხობა თავადაზნაურობასთან შედარებით მაინც უფრო ჯანსაღია, ბრწყინვალე წოდება კი უკურნებელის სენით არის შეპყრობილი. ამავე მოთხრობის გმირი არჩილი ამბობს: „ჩვენ (თავადაზნაურობა) რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის... ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ დონდლონი... იქა (გლეხობაში) სდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიცა.

ენახოთ სადამდე მიდის ბრწყინვალე წოდების დაავადება ბატონყმურ ფონზე.

პოემა „აჩრდილი“ (დაწერილია 1859 წ. გამოქვეყნებული 1872 წ.).

„აგერ უფალი და მისი მონა,
თრთოლვით სასწორზე ხარჯს უწონს ძნელსა:
და, რა დასწორდა სასწორზე წონა,
უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა
და მით მის ხარჯსა ერთსა ორად ხდის...
მონამ მწუხარედ გულს გაიღიმა,
უმწეობითა თავის ხარჯსა ზრდის
და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვიმა.
მაგრამ ქვა არის ბატონის გული:
ვერ დაარბილებს მას შებრალება“,

ის ულმობელია, ჩირადაც არ მიაჩნია გლეხის შრომა და მშიერს სტოვებს მას.

ვინა შრომობდა და ვინა ძღება?
ღმერთო! სად არის აქ სამართალი“?

გულის წყრომით აღმოხდება მგოსანს. ბატონი ამასაც არ სჯერდება:

„შენში კაცისას გრძნობას არ ჰხედავს,
დედას ძუძუთგან შვილსა აჰგლეჯენ,
ვინ იცის, სიდან სად გაჰყიდიან!..
თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა

სილამაზე და მშვენიერება,
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად...
მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს.
ნამუსწართმეულს და შეგინებულს...
პირს უკუ იქცევ და შეძრწუნდები,
ცრემლს მოინდომებ და არ გექნება,
წყეველით, ვაებით მას განჰშორდები".

ყოველივე ამის ჩამდენი და მოქმედი არის ბატონი, რომლის გული ქვისაა.

პოემა „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან" (დაწერილია 1860 წ.).

ზაქროს მამა შრომის მოყვარე და ჭკვიანი ყმა იყო. ზაქრო ამბობს:

„მე მამა მყავდა მხნე კაცი, მარჯვე,
დაუღლელი და ბეჯითი, გამრჯე;
თუმცა ხელმარტო ის ცოდვილობდა,
ჩვენ კაცებშია ბევრი არ სჯობდა.
იმ დალოცვილსა ვერვინ ასწრებდა
ვერც ხვნას, ვერც თესვას და ვერცა მკასა;
ღმერთიცა მართლა უხვად სწყალობდა
და წყალობითა უესებდა სახლსა"...

როცა გაუჭირდა და ოჯახის მოვლა ვერ შესძლო, ბატონს შვილი გამოსთხოვა, მაგრამ:

„მხეცი რამ იყო ჩვენი ბატონი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი;
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამაჩემი შეჰბრალებოდა.
რა გავაგრძელო, თავადიშვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს.

ასე ახასიათებს ზაქრო თავის ბატონს, რომელიც იმდენად უგუნურია, რომ ზაქროს მამის ჭკვიანური დასაბუთება ვერ შეგუგნია—თუ ოჯახი დამიქცია, რით უნდა გემსახუროო და საკუთარი ჭკუისა და მოსაზრების დაპირისპირების მაგიერ, როზგებსა და ძალმომრეობას მიჰმართავს. მამის გაროზგვას ვერ მოითმენს ზაქრო და ბატონს ჭკლავს. კვდება ზაქროს მამაც, იღუპება თვითონ ზაქროც. მშვიდობიან ცხოვრებას სტოვებს და ყაჩაღად გარბის. ასეთი არის ბატონის გულქვაობისა და სირეგვნის შედეგი. ჰღუპავს სხვას და იღუპება თვითონაც.

კაცია, ადამიანი?! (დაწ. 1863 წ.)

მოთხრობის ცენტრალური ფიგურა—თათქარიძე—ისეთ არსებად გადაუქცევია ბატონყმობას, რომ მართლაც საკითხავია: კაცია იგი, თუ არა, ადამიანია თუ პირუტყვი? ფიზიკურად ის ვეებერთელა ხორცი და ქონია, „ცით მონაბერი სული" ამ ღირსეულ სამკაულს" ერთიანად ჩაეკლა და არაფერი ადამიანური

თვისება მასში არ არის. ზანტი, მოდუნებული, გამოყეყეჩებული, უტვინო, ცრუმორწმუნე, უვიცი, ღორმუცელა, შურიანი,—აი რას წარმოადგენს თათქარიძე, რომელიც ყმების ნაოფლარით ცხოვრობს, თვითონ არას ჰქმნის ცხოვრებისათვის, სხვის მიერ შექმნილს კი თავისი უსარგებლო სიცოცხლის განსაგრძობად ანადგურებს.

ასეთსავე არსებას წარმოადგენს მისი ღირსეული მეუღლე—დარეჯანიც. მათი საზრუნავი და საგონებელია ამ წუთისოფელში მარტო სმა-ჭამაზე ფიქრი და ყმების დაწიოკება. ამ ყოვლად უქმ და პირუტყვულ არსებებს ყმების აკლების და შევიწროების უნარი უმაღლესად განვითარებიათ და უდიდეს სიტკბოებასაც კი პოულობენ ამაში. მხოლოდ ეს ხელობა აცოცხლებს და ახალისებს მათ ცხოვრებას.

უნდა ითქვას, რომ მიზნისათვის ბრწყინვალედ მიულწევიათ: მათი გოგოები—ლამაზისეულები—მათსავე პირუტყვულ მდგომარეობაში არიან, მოზარდი თაობა—პატარა ბიჭები—ძაღლების ცხოვრებას შენატრიან. ირგვლივ უვიცობა, სიბნელე და სიდუხჭირე. საშინელ ჭაობში ჩყუმპალაობენ ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელნი და იქავ აღრჩობენ თავიანთ ყმებსაც. ადამიანის ცხოველად ქცევა, გამოყეყეჩება, მოშლა და მოდუნება ამაზე შორს ვერ წავა.

ასე საშინელია ბატონყმობა, ასე დაუნდობლად გააშუქა იგი ილია ჭავჭავაძემ.

„გლახის ნაამბობი“ (დაწ. 1862 წ.).

ამ მოთხრობაში დაპირისპირებულია ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე წოდების წარმომადგენლები: ყმა—გაბრო და ბატონი—დათიკო. ბატონთან ძმასავით შეზრდილმა გაბრომ ყველაფერი მას შესძღვნა: თავისი შრომა, ერთგულება, სინიდისი და მთელი თავისი ახალგაზრდობა. ბავშობიდანვე მოკიდებული ჭაბუკობამდე გვერდით უდგა და თავისი პიროვნება მას დაუმონა და ანაცვალა. გაბროზე ერთგული და მოსიყვარულე არსება დათიკოს მეორე არ ჰყოლია. მაგრამ რით გადაუხადა მან ამ სამსახურისთვის? მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთად ერთი მისი თხოვნა—მუდარა, რომ მისი საცოლო—თამრო ნამუსაუხდელი დაეთმო მისთვის,—არ შეასრულა უბრალო ადამიანური და კაცურკაცური გრძნობა არ გამოიჩინა და ღვიძლ ძმასავით თანშეზრდილს ტლანქად შეუგინა უნაზესი გრძნობა.

დათიკო ხორცშესხმული ეგოისტია: მთელი ქვეყნის ცენტრში თავისი თავი წარმოუდგენია და სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი ის აზრი, რომ ყველა მას უნდა ემსახუროს და ყველა მას უნდა ემონოს. გარეშეთა შრომა, ნაშუსი და სიცოცხლეც მას უნდა შეეწიროს. ის ყველასგან აქეთ მოითხოვს, ყველას ართმევს; თვითონ კი ერავის არაფერს არ მისცემს არც აზრით, არც გრძნობით; ის უაღრესად ანტისოციალური ტიპია. და, როდესაც მის წინაშე აღიმართა გლეხთა წრიდან გამოსული თავიდან ფეხებამდე სოციალური გრძნობების მატარებელი ადამიანი, გაბრო, რომელიც ისე მდიდარი ბუნების პატრონია, რომ არაფერს არ იშურებს გარეშეთათვის,—აი, ასეთ არსებას დაუნდობლად უკრავს ცხოვრების გზას გაპირუტყვებული დათიკო და დაღუპვისკენ მიაქანებს.

ბატონი ღუპავს არა მარტო იმას, ვინც წინ გადაეღობა მას, არამედ იმასაც, ვინაც მისი პირუტყვული ჟინი უნდა დაუკმაყოფილოს—თამროს. ღუპავს თამროს მამას—პეპიასაც და ბოლოს თვითონაც იღუპება ამ ბრძოლაში. მართალია, ბოლოს, ძალიან დაგვიანებით, სინიდისმა მასშიც გაიღვიძა და გაბრო ტყვეობიდან გაათავისუფლა, მაგრამ უკვე გვიან იყო: გაბროს კაცობა მაინც დაღუპული იყო; მისმა ნათესმა სიკეთემ ნაყოფი ვერ აღმოაცენა დროზე, „რა ჰქნას კარგმა მონარდემა, დროზე შაში თუ არ მოვა“? მისმა კეთილმა თესლმა ნიადაგი ვერ იპოვა ბატონის ქვა გულში. „გამწირველი ჩანს, შემწირაეი არ არის“,—ვამბობთ თვითონ ილიას სიტყვებით.

ასეთია ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი კიდევ ერთი საბრალმდებლო სურათი.

„სცენები გლეხთა განთავისუფლების დროიდან“ (დაწ. 1865 წ.).

აქ გამოყვანილია ერთი ცოცხალი ტიპი გლეხობიდან—გლახა ჭრიაშვილი,—რომლის ჭკუა-გონება და აზროვნება ისე გამოუყეყეჩებია ბატონყმობას, რომ უბრალო აზრის გამოთქმაც კი არ შეუძლია და მუდამ ერთსა და იმასვე ამბობს გრძლად და დაუსრულებლად. ჭრიაშვილის ცოცხალი სახე—ტიპია გრძლად, უთავბოლოდ და უტვინოდ მოლაპარაკე ადამიანისა.

,,ოთარაანთ ქვრივი'' (დაწ. 1887 წ.).

ეს მოთხრობა ბატონყმობას პირდაპირ არ ახასიათებს, მაგრამ მაინც ამ ურთიერობის ნაყოფია. ამიტომ, თუმც ქვევითაც გვექნება მის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ აქაც უნდა შევეხოთ.

ამ მოთხრობაშიც ილიას მძლავრი შემოქმედება ორი წოდების წარმომადგენლებს უპირდაპირებს ერთმანეთს: ერთის მხრივ დგას ოთარაანთ ქვრივის მონუმენტალური ქანდაკება, რომლის კვარცხლბეკზე ზის მისი ვაჟი—გიორგი; მეორე მხრივ ვხედავთ თაეად არჩილს და მის დას კესოს. ამ ორ ხატებათა შორის „ხიდი ჩატეხილია“, ისინი გალმა-გამოლმა დგანან და ერთმანეთს ისე გაჰყურებენ, არც ერთს ერთმანეთის არ ესმის. „ორი სხვადასხვა ქვეყანაა, იმათს ტირილს და ლხინს ცალკე ლობე აკლია“.

რა მოეჩვენა ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის სახით ჩვენს ბატონებს არჩილსა და კესოს? მშრომელი ადამიანები, ახალ-ახალ ღირებულებათა შემქმნელნი, დაწურული ჭკუა და პატიოსნება, მოფიქრებული და გეგმიანი ცხოვრების მატარებელი არსებები, პრინციპის და შეუდრეკელი ნების ყოფის მქონენი, გულკეთილნი, მოვალეობის და სიტყვის აღმასრულებელნი, მომჭირნენი, უაღრესად სოციალური ბუნების მატარებელი ქმნილებანი,—გამწირველნი და მხოლოდ გამწირველნი.

რით უპასუხეს ამ პატიოსან და ალალმართალ ადამიანებს არჩილმა და მისმა დამ? შეიწირეს თუ არა მათი მადლი? გამოიცვნეს თუ არა ამოცანა?

ვერა, ვერ გამოიცვნეს, რადგან მათი თვალი წოდებრიობამ დააბრმავა, მათი გული ბატონურმა მდგომარეობამ გააქვავა. არჩილი და კესო ვითომ ახალი დროის ადამიანებია, უუთმაჯებიან კაბის მაგიერ ალბად ერთს სერთუკი აცვია და მეორეს კიდევ ხაბარდიანი კაბა, მაგრამ არსებითად ისინი იგივე თათქარიძეები და დათიკოებია. როგორც ისინი, ვერც ესენი მიწვდებიან გლეხის

სულსა და გულს. მათი დაახლოება სინამდვილეში ვერ მოხერხებულა, ისინი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკში დარჩენილან ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც.

დასკვნა:

ა) თავადობა ერთიანად დაავადებული და გახრწნილი წოდებაა. იგი ერის ხორცმეტია. ეს წოდება ერთიანად ანტისოციალურია და უკან მიდის.

ბ) გლეხობა ჯანსაღი, ცხოვრების ღირებულებათა შემქმნელი, ერის დედაბოძი და მაცოცხლებელია. იგი უიღრესად სოციალური და პროგრესიულია.

გ) ამ ორ წოდებათა შორის შეუბრალებელი ბრძოლაა, არსად დანდობა, არსად გატანა.

დ) ამ ბრძოლის დამწყები და გამამძაფრებელი მხოლოდ და მხოლოდ დაავადებული წოდებაა—თავადობა, რომელიც ერთიანად ჩაფლულა წოდებრივ ეგოიზმში და ქვეყანას დაღუპვისკენ მიაქანებს. მისი ყოფაქცევა ერის დამღუპველია.

ასე აქვს წარმოდგენილი ილიას ქართველი ერის ნდგომარეობა, როგორც ბატონყმობის დროს, ისე მისი გადავარდნის შემდეგ.

ილია სავსებით მოგვაგონებს რუსეთის მწერლებს ტურგენევსა და სხვებს, რომელნიც სწორედ ასეთ ნაირად უდგებოდენ საკითხს. მათ უნდოდათ ბატონყმობიდან ამოღებულ შემაძრწუნებელ სურათებით მემამულეების გული მოელბოთ და უკანასკნელნი დაეთანხმებიათ ნებით და საკუთარი სურვილით გაეთავისუფლებიათ გლეხები. ილიაც ამ მწერლების კვალს მიჰყვება: თავადობას აჩვენა მისი მახინჯი სახე, თვალწინ დაუყენა ნამდვილი ადამიანის ტიპი—ოთარაანთ ქერიების და გაბროს სახით და ეუბნება: ამას დაემსგავსე, თორემ შენც დაიღუპები და სამშობლოსაც დაჰღუპავო.

ჩვენი მგოსნის აზრით ამ წოდებას დაიხსნის მისი კაცურკაცობა, ნამუსი, სინიდისი, ცრემლი და შინაგანი, მორალური გარდაქმნა. დათიკოებს დროზე უნდა მოუვიდესთ სინიდისი, კესო, შეგნების ცრემლით უნდა გაიბანოს და ჩვენმა „შენანიებულმა თავადმა“—არჩილმა—კიდევ ნაკლები დეკლარატიული სიტყვები უნდა ხარჯოს და ახალი ცხოვრების მოწყობაში თვითონვე უნდა ჩაერიოს. აი, მაშინ დამყარდება სოციალური ჰარმონია, წოდებათა შორის ბრძოლა მოისპობა და ნახავთ, რომ „ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი“:

„მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ იელიან,
კაცთმოყვარება და სათნოება“.

აი. ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა მოკლედ და სხარტულად.

აქვე უნდა შევნიშნოთ ორი რამ: ერთი—ილიას მოქმედების ტაქტიკა ბატონყმობის მოსპობის საქმეში და მეორე—მის მიერ აღიარებული ქონებრივი უთანასწორობის დარჩენის აუცილებლობა—კერძო საკუთრების პრინციპის დაცვა.

ჩვენი მწერლის მოქმედების ტაქტიკა საესებით გამომდინარეობს მისი

მრწამსიდან თავადაზნაურების შინაგანი გარდაქმნისა და განკაცების შესახებ. ილიამ ამ წოდების აღზრდა გამოაცხადა აუცილებელ საჭიროებად. ამ აღზრდას კი დრო უნდა, მომზადება, ნელ-ნელი და თანდათანობრივი ცვალებადობა. ერთი დაკვრით არაფერი არ გამოვა. მოვიგონოთ მოძღვრისა და გაბროს საუბარი „გლახის ნაამბობში“ მიმინოს შესახებ. აეთანდილისა და შერმადინის ამბავის წაკითხვის შემდეგ გაბრო ამბობს: „ბატონ-ყმობა თუ იყოს, ამისთანა“-ო. „უარესს ეგა სჯობია“; უთხრა ნაღვლიანად მღვდელმა და დაუმატა: „იმას კი არა შეედრება რა, როცა ცა ქუდად გაქვს და დედამიწა ქალამნადა“. „ერთი ეს მითხარი: ხელში ნაპატიები მიმინო უფრო კარგია, თუ ის მიმინო, რომელსაც გაჩენის დღიდან კაცის ხელი არ მიჰკარებია“.—პასუხი: „რომელსაც ხელი არ მოჰხვედრია. მოშინაურებულს კი ერთობ აწვალებენ, ფრთას უკრავენ, თვალებს აუბმენ, მწყრებს აჭერინებენ და მხოლოდ იმას გამოაწიწკნინებენ, რაც კაცის საქმელად არ ეარგა და, თუ მიმინომ შემოდგომამდე გაუძლო ფონადირეს და არ მოკედა, თავის ნებაზე გაუშვებენ ხოლმე“. „დახე, ყველას დრო სდომებია, ეუბნება გაბრო“.—მაშ უდროოდ როგორ იქნება,—ემოწმება მღვდლის პირით ჭავჭავაძე.—ამ ადგილიდან აშკარაა ილიას აზრი: კარგი იქნებოდა, რომ ბატონყმობა სულაც არ ყოფილიყო, მაგრამ რაკი არსებობს ერთი დაკვრით იგი არ მოისპობა, ყველაფერს დრო უნდა, ე. ი. აუცილებელია ნელი, ევოლუციონური გზა და ისტორიული საფეხურების მოლოდინი, ვითარცა წელიწადის დროების დადგომის მოლოდინი და აუცილებლობა. ასეთია ილიას ევოლუციაზე აგებული ტაქტიკა.

მეორე საკითხია – ქონებრივი უთანასწორობის აღიარება. [1]) ეს პრინციპი ჩვენი მწერლისათვის უდაოა. „კერძო საკუთრება სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება პატივში. „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უძევს არამც თუ მთელს სახელმწიფოს და საზოგადოებრივ წყობას რუსეთისას, არამედ მთელ ცხოვრებით დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე“[2]). ასე სწერდა ილია პირველი რევოლუციის—1905 წლ.—ქარიშხალის დროს, ამ რწმენითვე გამოვიდა იგი სამწერლო ასპარეზზე 60 წ. წ. ამავე პრინციპს უდებდა იგი გლეხთა განთავისუფლების საქმესაც: ბატონი მას მიაჩნდა კერძო მესაკუთრედ და მისი მიწაც ხელუხლებელი უნდა ყოფილიყო, გლეხს უნდა მიეღო პირადი და უფლებრივი თავისუფლება. ამ აზრს იცავდა, როგორც ზევით ვნახეთ, მთელ თავადობასთან ერთად დიმიტრი ყიფიანი და ამავე აზრს იზიარებს ილია ჭავჭავაძეც. ამას ადასტურებს „აჩრდილის“ სიტყვები:

„მაშინ მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიკთა კვლავ მოიპოვებ.
„სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ“.

---

[1]) იხილე ამ საკითხზე არ. ჯორჯაძის თხზ. ტ. II, გვ. 111--132.
[2]) „ნუ თუ“ 1905 წლის ვ. გოგიჩაიშვილის „ივერიის“ № 69 დამატება.

ქონებრივ უთანასწორობას ილია საერთო ნაციონალური მოსაზრებითაც იცავდა. აი რას ვკითხულობთ იმავე "ნუ თუ"-ში: დღევანდელ მოძრაობას (პირველი რევოლუცია) თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, **საითაც ჯერ არს და არა იქით**, რომ ერთმანეთს მივესიოთ და **ციხე-სიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდან გავტეხოთ**. ამას თხოულობს არამც თუ სიკეთე და ბედნიერება **ჩვენი ქვეყნის საერთოდ**[1]), არამედ გლეხკაცებისაც, საკუთრივ". კლასთა ბრძოლა და მისი გამწვავება ციხის შიგნიდან გატეხას და საქართველოს დაღუპვას ნიშნავს. რევოლუციას იქით უნდა ეუბრუნოთ პირი „საითაც ჯერ არს, ე. ი. ნაციონალურ კალაპოტში ჩავაგდოთ და რუსეთთან ჩამოშორებით საქართველო აღვადგინოთ. ამ აზრს იცავდა ილია თავიდანვე და იმასვე იცავს ახლაც: საერთო ეროვნულ მოსაზრებას უნდა შეეწიროს ყოველივე.

ამ მოსაზრებას უდებდა ილია ჭავჭავაძე საფუძვლად მთელ თავის სამწერლო მოღვაწეობას. ერთი მხრივ მიუდგომლად აღნიშნავდა იგი სინამდვილეს—წოდებათა დაუნდობელ ბრძოლას, თავადობის დაცემას და მის ადგილას გლეხობის წამოწევას; მეორე მხრივ კი ამ ბრძოლის შენელებას ცდილობდა იგი. „ნუ თუ"-ში ვკითხულობთ: „დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი გლეხისა და თავადაზნაურისა, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის,—შუა კაცობაა, შუა ჩადგომაა მათ შორის, შშვიდობიანობის ჩამოგდებაა იმის და მიხედ-ვით, თუ ვის რა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი, ან ერობრივი სამართალი მიუძღვის ერთმანეთის წინაშე. ამას ითხოვს ადამიანობა, კაცური კაცობა და ერთობ იგი ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანისა, რომელიც, როგორც მზე, ყველას ერთად უნათებს, ყველას ერთად ათბობს და ყველას გამოუკლებლივ აწვდის ძალსა ცხოველმყოფელობისა, სიცოცხლის დაბადებისა, სიცოცხლის ზრდისა. მართალია, გლეხკაცი და ღარიბი უფრო მეტად საზრუნველია, უფრო მეტად გაჭირვებული, ვიდრე თავადი, აზნაური, მღვდელი, ეაჭარი, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ ყველა ესენი ადამიანები არ არიან? განა ცოდვაა, ამათთვისაც ვიზრუნოთ და თავი შევიტკივოთ?" ~~ყველა~~ წოდების და მდგომარეობის ადამიანის ერონაირად დაცვა,—ასე ესმოდა თვითონ ილიას თავისი ლიტერატურული შემოქმედება, ასეთ მიზანს უსახავდა პირად თავის თავს. ხოლო სულ სხვა საქმეა ის, თუ ჩვენ, სხვა ეპოქაში მცხოვრებ მის შთამომავალს, როგორ გვესმის ესევე საკითხები და რა შინაარსს ვდებთ ილიას მიერ გადმოშლილ სურათებში. ილიას შესახებ ჩვენ ქვეევითაც გვექნება ლაპარაკი, აქ კი დასკვნა გავუკეთოთ მის ფორმულის გაშლას: დიდი მწერლის შემოქმედებაში წითელი ძაფივით არის გატარებული ის დედა აზრი, რომ თავადობის უგვანობის და შეუბრალებლობის გამო ერთი მეორეზე მისეული წოდებები უნდა შერიგებულ იქნან თავადების განკაცება—გარდაქმნის გზით და ქონებრივი უთანასწორობის დატოვებით; მერე კი ამგვარად შერიგებულთა მოძრაობა უნდა მიმართულ იქნეს საქართველოს განთავისუფლების მიზნით რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ასეთია მგოსანის აზრი, რომლის მეორე ნაწილი—ქონებრივ უთანასწორობაზე დამყარებული წოდებათა მორიგება—სრულიად უტოპიური გამოდგა და საქართველო

[1]) კურსივი ჩვენია. ვ. ბ.

დაიხსნა და გადაარჩინა არა წოდებათა შორის ბრძოლის მოდუნების და შერიგების იდეამ, არამედ კლასთა ბრძოლის ლოლიკურ დასკვნისკენ მიმართვამ.

ამას აშკარად ამტკიცებს მეოცე საუკუნის ჩვენი რევოლუციები და კლასთა ბრძოლით „შრომის სუფევის“ (ილიას სიტყვებია)—სოციალიზმის მიჯნაზე—ქართველი ერის დადგომა.

აკაკი წერეთელი

აკაკი არსებითად ილია ჭავჭავაძისებური მსოფლმხედველობის მატარებელი იყო, თუმც დემოკრატიზმით იგი ილიასთან შედარებით უსათუოდ მაღლა დგას. სამოციანი წლების მოღვაწეებიდან ყველაზე დემოკრატიული იდეების მატარებელი ჯერ გიორგი წერეთელი იყო და მერე აკაკი.

დიდმა მგოსანმა, როგორც უკვე ვნახეთ, თავისი ციური ნიჭი ეროვნული საკითხის გარშემო დაანთხია. აკაკის, როგორც უაღრესად გრძნობიერ და საზოგადოებრიობით გაჟღენთილ არსებას არ შეეძლო არ დაენახა ბატონყმური უკულმართობა და არ დაეგმო იგი. აი რას ათქმეინებს იგი ყმას:

გლეხის აღსარება

ხატად და მსგავსად ღვთისა ვინც ქმნილ არს,
ჭეშმარიტების მხილებაც უყვარს;
და ვისაცა სწყინს ჭეშმარიტება,
ჩანს დაუკარგავს მას ღვთის ხატება“.

ოხ, დარდების ამშლელო, ჩემის გულის ხაზი ხარ!..
თავდახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზე მაზიხარ.
დამტკბარს ვეროდეს გხედავ, ჩემთან მუდამ ბრაზი ხარ;
უჩემოდ გამრჯელი ხარ, თუ მე მხედავ, ნაზი ხარ!..

რომ იცი, რაღად მკითხავ: ასე რისთვის ვღონდები?
მისთვის, ჩემო ბატონო, რომ სულ შენ მაგონდები!
პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები;
მაგრამ, ჩემო წამწყმედო აქ, იქ შენ ვერ ცხონდები!

ცხადად შენ მაგონდები, შენ ხარ ჩემი სიზმარი;
შენ მღვდელივით სუქდები, მე ოფლად ვარ დამდნარი,
მაგრამ შენ რას დამეძებ?! შენი ფიქრი ეს არი;
„ნეტავ უინ გაასწორა ერთადა მთა და ბარი“?

ამით ჩვენი კავშირის უფლებით ხარ შემცვლელი,
ძლიერმა სუსტი მნახე, დაჩაგვრა შეიძელი!..
მაშ ახლა რაღად სწუხარ, ახალსა რომ მოელი?
რად არ მეტყვი: „ძმები ვართ, მოდი, მომხვიე ხელი“?

თორემ შენ ცხვირს მაჩვენებ, მე ჩამოგიყრი ყურებს,
მტერს ვინ უწინაღმდეგებს, რომელიც ჩვენ შეგვეყურბს?
ერთმანეთის მტერს ვეღარც მამული გვიმსახურებს
და ახალს დროს დაგვასმენს, შვილის-შვილთ მოგვამდურებს.

მაგრამ, ვაი! ეს სიტყვა შენ როგორლაც გემწარა,
მეუბნები: ,,შენ ვინ ხარ, ვისი ტიკიტომარა''?
მაგრამ ჩემო კეთილო, იფიქრე, ნუ სჯი ჩქარა
და მაშინ აღიარე—მართალს ვამბობ, თუ არა?!

ეს ლექსი დაბეჭდა აკაკი წერეთელმა ბატონყმობის მძეინვარების დროს 1863 წლის ჟურნ. ,,ცისკრის'' № 5. იმ საერთო ენაჩავარდნილობისა და მთელი ჩვენი მწერლობის ცენზურული პირობების გამო დამუნჯების დროს, ამ ლექსის საშუალებით უაღრესად რევოლუციონური სიტყვა თქვა, სიტყვა მკვეთრი, მკაფიო და ცეცხლოვანი.

,,თავდახრილ მიტომ ვარ, რომ კისერზე მაზიხარ''
.
პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები...
.
შენ მღვდელივით სუქდები, მე ოფლად ვარ დამდნარი...''

ეს სამი გამოკვეთილი ფრაზა სამი ყუმბარის გადაგდება იყო თოფის წამლის საწყობში—ბატონყმობის ჯაჭვებით შებოჭილ გლეხებში. ამ ლექსის დაბეჭდამდე ქართულმა ლიტერატურამ 60 წ. წ. ,,კაცია ადამიანითა'' და ,,სურამის ციხით'' გაჭიცხა ბატონყმობა. ჩვენი აზრით ამ შესანიშნავი ლექსის მნიშვნელობა ბევრით არ ჩამოუვარდება ამ მოთხრობებისას.

დაუკვირდით ლექსის ეპიგრაფს, რამდენი პოლემიკური ჟინი ფეთქავს იქ. ეს რევოლუციონურის ცეცხლით აღტაცებული პოეტი ეკამათება ბატონ-ყმობის დამცველთ, რომლებიც გლეხებს მუდამ გაბრაზებულნი შეჰყურებენ.

ეროვნული უბედურებით გულდაკოდილ პოეტს არც ამ მომენტში ავიწყდება საქართველოს დამმონებელი ძალა.—

,,მტერს ვინ უწინააღმდეგებს, რომელიც ჩვენ შეგვყურებსო'' (რუსეთის ბატონობა აქვს სახეში), საყვედურით ათქმევინებს მემამულის მიმართ განთავისუფლების მომლოდინე გლეხს, რომელიც თავისი შეგნებითა და ჰუმანიურობით თავადზე მაღლა დგას. აქ, ცოტა არ იყოს, პოეტის მხრივ გლეხის იდეალიზაციასთან გვაქვს საქმე და ორი მომენტის სოციალურისა და პოლიტიკურის ერთ მომენტში გადახლართვა ლექსს ამძიმებს, მაგრამ ბატონყმობის დამახასიათებელი და საწინააღმდეგო სიტყვები დასახულ მიზანს დაუბრკოლებლივ აღწევს.

ასჯერ უფრო რევოლუციონური და ცეცხლის მომდენია აკაკის ,,მუშური''

ახლა მოვუსმინოთ აკაკის გლეხებს:

,,სიმინდსა თოხნა დავუწყოთ,
ერთხმად დავძახოთ მუშური,
ეგებ მაშინ დაგვავიწყდეს,
რომ გლეხნი ვართ უბედური.

მარტო ჩვენთვის არ ემუშაობთ,
სხვისაც გვმართებს სამსახური...
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,
უპატრონო,—უბედური,

ყველა თავში გვიჩაჩქუნებს
გარეშე და შინაური;
ცხელსა მიწას უხვად ალბობს
ოფლი ჩვენგან მონაწური.

ჩვენი ჯაფით მონაყვანი
სხვაგან მიდის საზრდო-პური,
შინ ცოლშვილს სიმშილი გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური.

მათსა საზრდოს სხვა იტაცებს,
ტირის დედა მეძუძური,
სიმშილისგან რძე უშრება,
წივის შვილი უსუსური.

ღმერთს ბატონად მოუცია
ჩვენთვის ერთი აზნაური,
მისთვის სუყველა ჩვენა ვარო—
მებეგრეცა და მსახური''.

ცოცხალი და შემაძრწუნებელი სურათია. აქ რომ დანიელ ჭონქაძის მიერ დახატული გლეხები იყვნენ, ისინი რევოლუციონურად დაიცავდენ თავს ისეთი ბატონებისაგან, მაგრამ აკაკის ბატონკაცური ჰუმანიზმი საკითხის ასეთნაირად გამწვავებას გაურბის და ამ თვინიერ გლეხებს ასე ალაპარაკებს:

,,გამკითხავი სადღა არის?
განვაგრძოთ, ძმაო, მუშური
ჩვენი სევდის განამქარი,
ბანს გვეტყვიახ ნაღვლიანად
არე მარე, მთა და ბარი.
ნუ თუ გულ გრილად უყურებს
ჩვენს ტანჯვასა მაცხოვარი''?

ე. ი. სოციალურ დავას თვითონ კი არ უპირებენ გადაჭრას, არამედ ღმერთს ანდობენ.

აკაკი სასტიკი მოწინააღმდეგე იყო ბატონყმობის ინსტიტუტის და თავგამოდებითაც ებრძოდა მას. ყოველთვის, როდესაც ამის საშუალება მიეცემოდა. სასტიკად ილაშქრებდა მონობის წინააღმდეგ. ჟურნალ ,,ცისკრის'' თანამშრომლებიდან აკაკი და ანტონ ფურცელაძე ყველაზე უფრო რევოლუციონურად იყენენ ამ საკითხისადმი განწყობილნი.

ჩვენი მგოსნის ცნობილ ,,სიმღერას მკის დროს'', რომელიც დაბეჭდილია ბატონყმობის დროს 1863 წ. ,,ცისკრის № 7, ასეთი ბოლო აქვს:

,,უხვად მოვიდა წელს პური,
მაგრამ ბედს მაინც ვემდური,
რომ ამას სულ სხვა წამართმევს
და მე კი ოფლსა ტყვილა ვღვრი''.

შეიძლება ეს კუპლეტი რითმის სისუსტისათვის მოგლიჯა შემდეგში პოეტმა თავის ლექსს, მაგრამ აშკარაა, თუ რა მიზნით იყო მაშინ დაწერილი. ესთეტიურად გამართლებულმა ნაწილმა, ისტორიულად და საზოგადოებრივად უეჭველად დიდი როლი ითამაშა.

აკაკი, როგორც ვიცით, აღტაცებით შეხვდა ბატონყმობის გადავარდნას, მისი „იმერული ნანინა" კლასიკური ნაწარმოებია, დიდი ტომის ღირებულებისაა.

„გაბუტულო გლეხის შვილო, შენ პაწაწინა" და სხვ.

აკაკი, ბატონყმობის ეპიურ სურათებსაც იძლევა. „რუსეთუმეში" იგი ასე ახასიათებს ძველ ბატონებს:

„ძველი კაცები რომ ადგებოდით,
დილას ხელს და პირს რომ დაიბანდით,
იმ წამს საუზმეს მივარდებოდით,
გამოძღებოდით, ისევ წვებოდით,
სადილობამდე არ ადგებოდით,
მანამდე აბა რა გაგახძრევდათ!
სადილად ისე გამოძღებოდით,
რომ თითქმის გული აგერეოდათ;
გამოძღებოდით რა უმოწყალოდ
ისევ ლოგინზე დაეარდებოდით
უმოძრაოდა, თითქმის უსულოდ,
სანამდი ეახშმად არ დასხდებოდით"[1]).

პოეტს ბატონყმობის სადილობის მშვენიერი სურათი აქვს დახატული თავის ცნობილ თავგადასავალში. ეს ეპიური სურათი აკაკისებური იუმორით არის შეზავებული და ყოფა-ცხოვრების მშვენიერი ნაკეთია.

ბატონყმობას შეეხო აგრეთვე ანტონ ფურცელაძე, რომელმაც ამ დროიდან დასწერა მოთხრობა „მართა". თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ბატონყმობისადმი ფურცელაძემ გაბედულად გამოსთქვა თავის „სურამის ციხის" შესახებ 1863 წლის „ცისკარში" ქერელ მექას ფსევდონიმით.

გიორგი წერეთელმა თავის „კიკოლიკში" და „ჩიკოლიკში" მოგვცა მებატონის მშვენიერი სურათი.

ასე დაასურათა ქართულმა ლიტერატურამ ბატონყმობა. მართალია, რიცხვობრივად ჩვენი ლიტერატურა ცოტაა, მაგრამ თვისებით იგი უსათუოდ თავის სიმაღლეზე დგას. არც ერთი ჩვენი მწერალი ამ რეჟიმს არ შერიგებია და ყველამ გვაჩვენა მისი უარყოფითი მხარეები. ქონებრივ-უფლებრივი უთანასწორობა, ამ ნიადაგზე აღმოცენებული დაუნდობელი ბრძოლა და, საერთოდ, ბატონყმური ინსტიტუტის ერის ცხოვრებაზე დამღუპველი გავლენა,—აი რაგვარად დაახასიათა ეს რეჟიმი ქართულმა ლიტერატურამ, რომლისათვის, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს საკითხი არ ყოფილა მაინც და მაინც თავსამტვრევი, რადგან ეროვნული ტკივილები და ამ ნიადაგზე აღმოცენებული იდეოლოგია, ეჭვს გარეშეა, საკმაოდ ახასიათებდა ბატონყმობის საწინააღმდეგო ბრძოლას.

როგორც ზევით ვნახეთ, ამას ილია ჭავჭავაძე აშკარად აღიარებს.

---

[1]) შეიძლება აქ ვისმე „კაცია ადამიანი"-ს გავლენა მოეჩვენოს. ეს შეცდომა იქნება. აკაკის რუსეთუმე ილიას მოთხრობაზე ადრეა დაწერილი.

განყოფილება მესამე

ბურჟუაზიული ურთიერთობა

ბურჟუაზიული ურთიერთობა ძირიანად ეწინააღმდეგება და სპობს ფეოდალური ცხოვრების ეკონომიურ საფუძველს. ბურჟუაზიის განვითარება უპირველეს ყოვლისა გულისხმობს შრომის პროდუქტების ბაზარზე გამოტანით საქონლად გადაქცევას და ამ ნიადაგზე ქვეყნის ერთი კუთხის მეორესთან დაახლოებას. ფეოდალიზმი მიწაზე მიკრულ და უძრავ მეურნეობას შეიცავს, ბურჟუაზია კი მოძრავ და მოქმედ ქონებრივ ნიადაგზე დგას. პირველ შემთხვევაში ერთ ადგილზე ჯდომით ვითარდება მეურნეობა, მეორე შემთხვევაში—მხოლოდ და მხოლოდ მოძრაობით. ფეოდალიზმის კარები მუდამ ჩაკეტილია, მას არ სჭირდება სხვებთან მიმოსვლა. ბურჟუაზიის კარები კი მუდამ ღია უნდა იღოს: სხვებიც უნდა მოდიოდენ მასთან და ისიც უნდა მიდიოდეს სხვებთან.

აქედან წარმოდგება ორნაირი ფსიქოლოგია: კონსერვატიული (უცვლელად შენახული) და რევოლუციონური: „მდგომარეობა საზღვრავს შეგნებას".

ფეოდალი არსებულს იცავს, ბურჟუაზია კი ახლის მოციქულია, პროგრესიულია. იმართება ჯერ ჩუმი, მერე კი აშკარა ბრძოლა, რევოლუცია, რაც ახალი ძალის გამარჯვებით თავდება და ძველი ქვეყნის გარდაქმნა-გადახალისებას იწვევს, უპირველესად ეკონომიურ ცხოვრებაში, მერე კი იდეოლოგიურში და პოლიტიკურში.

ეს პროგრესი გეოგრაფიულ და ზოგიერთ ისტორიულ პირობების გამო სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა გვარად ჩატარებულა: ზოგან ჩქარა, ზოგან ნელა; ეგ სიძნელე ზოგ ადგილას ერთ წერტილზე გაყინვასაც კი დამსგავსებია, მაგ. ჩინეთში, სპარსეთში და ჩვენში—მე 18 საუკუნემდე.

როგორც უკვე გვქონდა ნათქვამი, 1453 წელში საქართველო ოსმალებმა ჩაკეტეს, ამას ზედ დაერთო ხმელთაშუა ზღვის აუზის ეკონომიური კატასტროფა და საქართველოსაც თითქოს გადაეჭრა სასიცოცხლო ძარღვი. და ეს მოხდა სწორედ იმ ხანებში, როცა ევროპაში ძალუმად ვითარდებოდა ახალი ეკონომიურ-ბურჟუაზიული ეკონომიკა.

ქალაქები და შიგ მცხოვრები ხელოსნები პირველ ხანებში სრულიად თავისუფლად თავსდებიან ფეოდალურ ჩარჩოებში. მაგრამ, როდესაც საწარმოო ძალთა განვითარების მეოხებით ხელოსნობა მანუფაქტურულ (ხელით დამუშავება თანამშრომლობის და შრომის განაწილების ნიადაგზე) წარმოებად შეიცვალა, და ეს უკანასკნელი მერე კიდევ მანქანურად, უკვე შეუძლებელი შეიქნა ძველ კალაპოტში მოთავსება—ჭარბად დამზადებულმა საქონელმა ბაზარი მოითხოვა, საჭირო შეიქნა შორს წასვლა და მით დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ცხოვრებაში: ერის შემადგენელ ტომების ერთმანეთთან მიმოსვლამ და სხვადასხვა ერების

დაახლოებამ ბოლო მოუღო ძველ კარჩაკეტილობას. ერთი ერი მეორეს გადაეება, სახელმწიფო სახელმწიფოს დაუკავშირდა ეკონომიურ ნიადაგზე. განვითარდა მიმოსვლის საშუალებანი—შარა გზები, ნაოსნობა, რკინისგზები და სხვ.

ძველი საქართველოს პირობებში ხელოსნობა გარდაუვალი ეკონომიური საფეხური შეიქნა, რადგან ისტორიული პირობები—ბაზრების დახშვა—ხელს უშლიდა მანუფაქტურულ წარმოებაზე გადასვლას. ასე რომ ფეოდალური ეკონომიკა საქართველოს პირობებმა ვერ დასძლია და ჩვენი ქვეყნის უბედურებაც ამაში იყო. ფეოდალთა თარეში არ შეწყდა, ცენტრალური მთავრობა ვერ გამაგრდა და ბოლოს ამ რეჟიმმა თავისი თავი კრწანისის ტრაგედიამდე მიიყვანა და „ქართლის ბედიც“ გადაწყდა: აუცილებელი შეიქნა ევროპისაკენ გზა გახსნილ რუსეთთან შეერთება.

თვითმპყრობელ რუსეთის ჩვენში შემოსვლა სხვათა შორის კაპიტალიზმის შემოტანასაც ნიშნავდა. 1801 წ. მანიფესტის შემდეგ, რომელიც ხრმლისა და ხიშტების წვერებით იქნა ქართლში შემოტანილი, რუსული სავაჭრო კაპიტალიც მოგვეევლინა. გარედან შემოსულმა კაპიტალმა ადგილობრივი ძალებიც გამოაფხიზლა და მით ბატონყმურ ეკონომიურ სხეულში ახალი ელემენტები ჩაექსოვა.

ეს მოვლენა ნელნელა ვითარდებოდა და შეუმჩნეველი იყო, მაგრამ 50 წ. წ. უკვე საუკუნეზე გამოვიდა—რაც ასახული აქვს გიორგი ერისთავს თავის კომედიებში—და რასაც ერთგვარი ფსიქოლოგიური გათიშვა მოჰყვა მამებსა და შვილებს შორის. ეს მომენტიც ნათლად ჩანს ერისთავის კომედიებში.

დამახასიათებელი აქ ისიც არის, რომ თვითონ ქართველები ჯერ კიდევ გაურბოდენ ვაჭრობას და მთავარ ძალად ჩვენში მობინადრე სომხები გამოდიოდენ.

ახალმა ეკონომიურმა მოვლენამ ახალი ტიპის ადამიანები მოგვცა. გავეცნოთ ამ ტიპებს.

გიორგი ერისთავი

გიორგი ერისთავს მრავალგვარი ნიჭი ჰქონდა: მისმა დაკვირვებულმა თვალმა აგვისახა ძველი ფეოდალები და მათი კომიკური აწმყო. გვაჩვენა ამ წრიდან გამოსული ახალი ელემენტი—ევროპიულად განსწავლული ინტელიგენტი ივანე—რომელიც, მართალია, განყენებული თეორიებით აპირებს ჩვენი ცხოვრების გარდაქმნას და სასტიკად მარცხდება,—მაგრამ, რაც უნდა იყოს, იგი მაინც ჩვენი ინტელიგენციის მამამთავარი და განახლების მერცხალია. მანვე დაგვისურათა მაშინდელ მოხელეთა მექრთამეობა და სახელმწიფოს უძნელესი ფუნქციის, სასამართლოს, სრული უვარგისობა.

ფულის მეურნეობის მძლეთამძლეობა და ამ ნიადაგზე ახალი ტიპების წარმოშობაც მან აღნიშნა ჩვენს სინამდვილეში. მაგრამ ეს არ ყოფილა უბრალო აღნიშვნა. არა, ჩვენ აქ გვაქვს საკმაოდ მთლიანი ტიპები, რომელთაც ხასიათის სპეციფიური თვისებებიც აქვს და ნათელი პროგრამაც ცხოვრებაში სამოქმედოდ. ვნახოთ კომედია „ძუნწი“.

კარაპეტას ათასნაირი გაიძვერობით, ჩარჩობით და ხელმომჭირნეობით შეუ-

ძენია დიდი თანხა. მეეახშეობდა, ნივთებს იგირავებდა, სასმელს იკლებდა და საჭმელს, სიცივით თავს იკლავდა, წამალში ფულს არ ხარჯავდა, - ერთი სიტყვით, ფულის შეძენის მიზნით სულიც გააწვალა და სხეულიც.

ბოლოს ფულისადმი მისწრაფებამ ისე დააავადმყოფა, რომ ვერცხლის მონად გახადა და ფულიც, ცხოვრების გასაუმჯობესებელ საშუალების მაგიერ, მიზნად გადაექცა. საკუთარ თავზე მეტად უყვარს სკიერში უმოძრაოდ ჩაკეტილი ოქრო და სატრფოსაკით ესიყვარულება მას. ქონება უმოძრაოდ უწყვია და მზად არის სიკვდილის დროს პირშიც კი ჩაისხას გამხვალი ოქრო. მაგრამ ამ მახინჯმა არსებამ ფულის ძალა მშვენივრად იცის: „ეხლა თქვენა თქვით, თუ ცალი ვინმე მყავს! რა გინდათ რომ ვქნა! როგორ გინდათ რომ ვქნა? თუ ტეატრისათვის... თუ რკინის ჭანაპარზე, ტო იესტ ჟელეზნუდაროგუ. **დენღი ვსე მოუნა. გინდა მე ახლავე გავხდე პოჩოტნი ღრაჟდანინ, ბლოღოროდნიც გავხდები, დვა რაზა ბლოღოროდნიც**“. ასე ლაპარაკობს კარაპეტა, რომელსაც სწამს, რომ „სოფელს თავდაყირას უზამს“, რაკი ფული აქვს. ფულის აღმშენებლობით უნარსაც იცნობს იგი: კაპიტალი გაიყვანს რკინის გზებს, ააშენებს თეატრებს, ერთი სიტყვით, მას შეუძლია ფეოდალური ცხოვრების ახალ გზაზე შეყენება. ფულით ღირსების ყიდვაც კი შეიძლება: თუ ამ გარეგნულად გლახაკმა და მთხოვარა კარაპეტამ მოისურვა, მთელ ქვეყანას შეარცხვენს, ამ ბრწყინვალე თავადებს სირცხვილს აჭმევს და ორდენერ კეთილშობილიც კი გახდება.

აქ აშკარად ისმის კაპიტალის მძლეთამძლეობის ხმა და მისი პროგრამა.

კარაპეტამ უკვე შეიგნო, რომ ქარიოულ მამაპაპურ ხრმალს უკვე დაეკარგა მნიშვნელობა და არჩილს მწარედ დასცინის. თვითონ არჩილიც ისე კომიკურად ფიცავს მამაპაპის ხმალზე, რომელიც კარაპეტას ჰქონდა დაგირავებული, რომ არ შეგიძლიათ სიცილი შეიკავოთ.

კარაპეტამ ისიც შეიგნო, რომ ფეოდალური მეურნეობის პროდუქტი—პური, ღვინო, ძროხა, ცხვარი, ქათამი—რასაც არჩილი ჰპირდება, მისი ოქროს წინაშე დიდს არაფერს წარმოადგენს და ტყუილა მოსწონს ყოველივე ამით თავი ქართველ თავადს.

ასეთია ამ ტიპის დახასიათება. იგი ჩვენს ლიტერატურაში დახატული ბურჟუების მამამთავარია.

სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელი მეეახშეა გამოყვანილი აგრეთვე ერისთავის კომედია „გაყრაში“.

დანიელ ჭონქაძე

ჭონქაძის „სურამის ციხე“, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, დაიბეჭდა „ცისკრის“ 1859—60 ნომრებში. ამ მოთხრობაში ჩანს სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლების ორი პროფილი—ოსმან აღასი და დურმიშხანის.

შართალია, ეს ტიპები ბატონყმურ ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი, მაგრამ ამ რეჟიმის დაგმობისა და უარყოფის პროცესში, ისინი მეორე ნაირ ურთიერთობაში გადავიდენ. ამიტომ ამ მხრივაც უნდა მიეუდგეთ მათ.

ოსმან აღა, რომელსაც დიდი ქონება შეუძენია, სულითა და გულით კიდევ ძველებური ხელგაშლილი და ალალმართალი ქართველია. მასში ძლიერად სჩქეფს

პატრიარქალურ წიაღში გაშლილი გულუბრიყვილობა და სინიდისიერება. მისთვის უცნობია კარაპეტასა და დურმიშხანისებური ეგოიზმი და პირადი ინტერესები. ამიტომაა, რომ იგი ასე გულღიად ხვდება დურმიშხანს და მთელი თავის ქონების ნახევარს ამზითვებს მისი ნათლულის შერთვის გამო.

სამაგიეროდ, დურმიშხანი ნამდვილი მგელია და ყველაფერს თავისკენ იზიდავს. იგი გიორგი ერისთავის კარაპეტას ღირსეული შვილია. ყველაფრით ეაჭრობს—სიყვარულით, სინიდისით, შვილსაც საშუალებად უყურებს, თავის „საკუთარ და ძვირფას სიცოცხლესაც“ ფრთხილად უელის და უანგარო კეთილის მყოფელის—ოსმანაღას დამარხვით თავს ხიფათში არ იგდებს. დურმიშხანსაც კარაპეტასავით უნდა „კეთილშობილება“ შეიძინოს და თავადებისაკენ მიცოცავს: იგი ვერ ეტევა თავის ქერქში, მას ეეიწროება თავისი მდგომარეობა და უფლებრივი გაფართოებისკენ მიისწრაფის. რას იზამთ, „მდგომარეობა საზღვრავს შეგნებას“.

ლავრენტი არდაზიანი

(1818—1870)

არდაზიანი ჩვენი „რაზნოჩინური“ ინტელიგენციის წრეებიდან არის გამოსული. 60 წლებში ის ტრიალებდა ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის წრეებში და ერთი მისი თვალსაჩინო წევრი იყო. 1857 წლიდან, როცა გიორგი ერისთავმა „ცისკარს“ თავი მიანება, იგი იყო ახალი რედაქციის წევრი ივ. კერესელიძესთან, რომანისტ გრ. რჩეულიშვილთან და მიხ. თუმანიშვილთან ერთად.

არდაზიანის კალამს ეკუთვნის მრავალმხრივ შესანიშნავი და ნიჭიერად დაწერილი რომანი „სოლომონ-მაჯღანუაშვილი“, რომელიც მხატვრული სისრულით „სურამის ციხეზე“ მაღლა დგას და ილია ჭავჭავაძის მოთხრობებს თუ სჯობნის, თორემ არაფერში ჩამოუვარდება. სადა და ხალხური ენა, რეალურად მოთხრობის ფონის გაშლა, მოქმედების თანდათანი განვითარება და გართულება; ტიპის ხელოვნური დასურათება და ყოველმხრივი ასახვა, სულიერ მოძრაობათა სისრულე,—აი რა ახასიათებს ამ ნაწარმოებს.

რომანის ცენტრალური ტიპი სოლომონ მეჯღანუაშვილია, რომელიც ჩვენი ხალხის დაბალ ფენებიდან არის გამოსული, სოროშია დაბადებული და მისი გვარიც აშკარად ღაღადებს მის შთამომავლობაზე. იგი მალე დაობლდა და იძულებული შეიქნა საკუთარი შრომით ერჩინა თავი. არსებობისათვის ბრძოლაში იგი მეტად გაიწრთვნა, დახელოვნდა და დიდი წვისა და დაგვის შემდეგ საკუთარ ფეხზე დადგა. წვრილი ვაჭრობით, კაპეიკის კაპეიკზე მიწებებით, იმან საკმაო თანხა მოაგროვა; შემდეგ დაიწყო მევახშეობა, გლეხობისაგან მოსავლის შესყიდვა და ფართოდ გაშალა თავისი ბადე, რომელშიც ყველა წოდების ხალხს აბამდა. დაუღალავი კომბინაციებით, პირადი შრომით, უმაგალითო ხელის მომჭირნეობით და წინდახედულობით, სასმელ-საჭმლისა და ტანსაცმლის მოკლებით —მან ბოლოს დიდ თანხას მოუყარა თავი. დაგროვილ ფულებს იგი გ. ერისთავის ძუნწივით სკივრში აგროვებს და ვერაფერი ასპარეზი მისთვის ვერ მოუნახავს. ის ჯერ, ასე ეთქვათ, სწავლაშია, რადგან ამ საქმეში მას წინაპარი არ

ჰყოლია და ტრადიცია არა აქვს, ჯერჯერობით დაგროვილი თანხა ვერ მოუხმარია, სავაჭრო კაპიტალის გაქანება არა აქვს, მით უმეტეს სამრეწველო კაპიტალის ტენდენციები. დამწუხრებული ყავს თავისი თავი, ცოლშეილს წვრილმანით ეაჭრობას აიძულებს და, აუარებელი ქონების პატრონი კაცი, საშინელ სიღარიბეში და უკულტურობაში ცხოვრობს.

მაგრამ ერთ მშვენიერს დღეს მეჯღანუაშვილი თავის ქონებას ითელის და ნახავს რომ 800 ათასი მანეთის ოქრო დაჰგროვებია. ამ მომენტიდან სოლომონის არსებაში გარდატეხა ხდება, აუარებელი ოქრო სხვა ფსიქოლოგიას ჰქმნის მასში და ისიც მზად არის ახალი ცხოვრება დაიწყოს: ფეხს სდგამს კულტურულობაში, ცდილობს დიდკაცებს დაუახლოვდეს, შვილს უმაღლესი სწავლა მიაღებინოს, უნდა ქალიშვილი განათლებულ თავადს მისცეს ცოლად. სოლომონ ერისთავის ძუნწივით დარწმუნებულია, რომ ფულით ყველაფერს შესძლებს და თავის ქალს სიყვარულსაც უყიდის, მაგრამ რაინდიმე უანგარო ადამიანია და მეჯღანუაშვილიც მიზანს ვერ აღწევს. მისი და მისი ოჯახის კულტურულობის გზაზე შედგომა ტრაგედიით თავდება.

რომანის საუკეთესო ნაწილია პირველი ნახევარი, სადაც მშვენიერად არის ნაჩვენები ბატონყმობაში კაპიტალიზმის ჩაზრდის სურათი. ამავე დროს ცოცხლად არის ასახული კაპიტალის პირველი საფეხურის—დაწყებითი დაგროვების პირობებში შექმნილი ტიპი ადამიანისა. იგი უაღრესად მოძრავი და მოქმედი არსებაა, მისი ეკონომიკა მას წაღმა-უკუღმა ატრიალებს, ლუარსაბ თათქარიძესავით მუცელზე გდება მისი დაღუპვა იქნებოდა.

ლუარსაბს რა ენაღელება, მას შეუძლია მთელ თავის სიცოცხლეში ერთი ადგილი ტკეპნოს, უკიდურეს შემთხვევაში თელეთამდე იმოგზაუროს,—მისთვის სხვები ჰღვრიან ოფლს, მაგრამ ისაკ მეჯღანუაშვილებმა თუნდა რომ ერთი დღე შეისვენონ და არ იმოძრაონ, მთელი ცხოვრება აერევათ და ქონება დაეღუპებათ. ისინი თავიანთ, თავს თვითონვე პატრონობენ. ამიტომაა, რომ მეჯღანუაშვილი განხორციელებული მოძრაობაა და მისი ფსიქიკაც მოძრავი და მოქნილია, ჭკუა მახვილი და გაალმასებული, მოსაზრებანი—ნაპერწკლოვანი; ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია.

ასე სხვადასხვანაირ ტიპს ჰქმნის ცხოვრების სხვადასხვაგვარი პირობები.

გიორგი ექვთიმეს-ძე წერეთელი

(1842—1900).

გიორგი წერეთელი შესანიშნავი პიროვნება იყო, როგორც საზოგადოებრივ, ისე ლიტერატურულ სარბიელზე. სამოციანი წლების მოღვაწეებიდან გიორგი ყველაზე უფრო ცოცხალი, მკვირცხლი და დემოკრატიული ტენდენციებით გაჟღენთილი ადამიანი იყო. მის ფართო და ღრმა ნიჭს მუდამ ფართო ჰორიზონტები ჰქონდა და მისი თვალთახედვა არაოდეს არ ყოფილა ერთ წერტილზე მიჯაჭვული.

ის ისტორიკოსიც იყო, არქეოლოგიც, აწმყოს მხატვრულ სურათებად გად-

მომცემიც და ბრწყინვალე მომავლის ინტუიტურად გამჭვრეტიც. მას ღრმად სწამდა, რომ ყოველი მისი მუშაობა ერთი მეორეზე მჭიდროდ იყო გადაბმული და მათი ერთმანეთის დაშორება ვერ წარმოედგინა. მისი დროის მოღვაწეებიდან ბევრი ფიქრობდა, რომ თუ საქართველოს ძველი დიდება გწამდა, ახალი დრო უსათუოდ უნდა გეძაგებინა და არაფერი სასიკეთო შიგ არ უნდა დაგენახა. ქვეყნის მსხნელად უსათუოდ უპირველესად თავად-აზნაურობა უნდა აღგეარებინა, გლეხობა მხოლოდ მასალად უნდა ყოფილიყო ამ წოდებიდან გამოსულ ერთეულებისთვის და სხვა. გიორგი წერეთელმა თავიდანვე ზურგი შეაქცია ამგვარ აზროვნებას, წარსული აწმყოს კანონიერ მამამთავრად აღიარა და მომავალიც აწმყოდან ბუნებრივად გამომდინარე შედეგად. მის განათლებულ გონებას თვალწინ ედგა ევროპის ერთა ისტორია, მან სხვაზე ადრე შეიგნო, რომ თავად-აზნაურობამ დრო მოკვამა და მის მაგიერ ეროვნული ცხოვრების უღელში ხალხის მშრომელი ნაწილი ჩაება. ამიტომ მთელი მისი სიმპატია ყოველივე ახლისკენ იყო და, გამოვიდენ თუ არა სამოქმედო ასპარეზზე, მშრომელთა ინტერესების მოსარჩლე ჯგუფი, დასელები, მაშინვე მათ გვერდში ამოუდგა და საშუალება მისცა ჟურნალ „კვალში“ თავისი აზრი გამოეთქვათ. მერე ისე მოაწყო საქმე, რომ ეს ჟურნალი ერთიანად გადასცა ამ ჯგუფს, რომელსაც ნოე ჟორდანია და მახარაძე მეთაურობდენ.

იმ დროს, როდესაც ჟურნალ-გაზეთის გამოცემა ყოველი მხრივ უმძიმესი საქმე იყო, ეს ფაქტი გიორგის მხრივ პირდაპირ გმირობას უდრიდა.

გიორგი წერეთელს ჩვენ აქ დავაფასებთ მხოლოდ, როგორც ბელეტრისტს.

გიორგი წერეთლის ბელეტრისტული თხუზულებები შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად: პირველში შევა ის მოთხრობები, რომელშიც დახასიათებულია თავადაზნაურობა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ. ამ ტიპის მოთხრობებს ეკუთვნის „მამიდა ასმათი“, „რუხი მგელი“ და „რამოდენიმედ“, „კიკოლიკი, ჩიკოლიკი“ და „კუდაბზიკა“. მეორე ტიპისას შეადგენს დიდი რომანი „პირველი ნაბიჯი“. ვილაპარაკოთ ამ უკანასკნელზე, დანარჩენ მოთხრობებზე მეორე განყოფილებაში გვექნება საუბარი.

ამ რომანში გამოყვანილია ჩვენი ნორჩი ბურჟუაზიის წარმომადგენელი—ბახვა ფულავა. სანამ რომანს შევეხებოდეთ, აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: როგორც ვნახეთ, ამგვარი ტიპები ჩვენმა ლიტერატურამ შედარებით ადრე—50 წლებიდან ასახა: გიორგი წერეთლის რომანის დაბეჭდვამდე კარგა ხანმა გაიარა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა კარაპეტებმა და მეჯლანუაშვილებმა მაინცა და მაინც დიდი ნაბიჯი ვერ წადგეს. წინ მასიურ განვითარების გზაზე და ოთხმოცდაათიან წლებშიც კიდევ პირველი ნაბიჯი იდგმებოდა. ამ მოვლენას თავისი მიზეზი ჰქონდა: რუსეთის თვითმპყრობელობა საშინელ ხელისშემშლელ რეჟიმად გადაიქცა განაპირა ქვეყნებისათვის. მისი პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ დიდი იმპერიის ფარგლებში მოქცეულ ერებს თავისი საკუთარი ეკონომიური ცხოვრება არ შეექმნათ და ცენტრალური რუსეთისათვის ნედლი მასალის მომწოდებელი ახალშენის როლი ეთამაშათ. ამით ბიუროკრატია თავის მომავალს უზრუნველჰყოფდა: სახელმწიფოს რაიმე შერყევის დროს იმპერიის ამ ნაწილებს საკუთარი ცხოვრების მოწყობა ვერ უნდა მოეხერხებიათ. ამიტომ

თვითმპყრობელობა მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალებისათვის ხელი შეეშალა: არ გახსნილიყო ფაბრიკა-ქარხნები, შებოჭილი ყოფილიყო ადგილობრივ მადნების დამუშავების საქმე, დამუხრუჭებული ყოფილიყო ხალხის თვითმოქმედება, არ გახსნილიყო უმაღლესი სასწავლებლები და სხვ.

ამ ნაირად ჩვენი ბურჟუაზიის განვითარება ხელოვნურად იყო შებოჭილი. მეორე მხრივ, მას დაუნდობელ კონკურენციას უწევდა უფრო ძლიერი უცხო კაპიტალი და სასტიკადაც ამარცხებდა.

კაპიტალის თვისება ასეთია: როცა იგი ჩამორჩენილი ერის ცხოვრებაში შეიჭრება, პირველად დაუნდობლად სპობს იქაურ სოფლის მეურნეობას და ყოველივე ადგილობრივს განვითარების საშუალებას უსპობს. მაგრამ, გადის დრო, და ეს კაპიტალი ადგილობრივი ძალების გამოღვიძებას და დარაზმვასაც იწყებს, რასაკვირველია, მისი სურვილის წინააღმდეგ. იწყება ადგილობრივი, ეროვნული ბურჟუაზიის განვითარება, იგი ნელ-ნელა დგება საკუთარ ფეხზე და უცხო კაპიტალსაც კონკურენციას უწევს.

ეს პროცესი ჩვენში ბიუროკრატიის პოლიტიკამ საშინლად გაახანგრძლივა, ჩვენი ნაციონალური ბურჟუაზიის წარმოშობა-განვითარება გასული საუკუნის ბოლო ათეული წლის საქმეა. ამიტომ მოხდა, რომ გიორგი წერეთლის გმირი—ფულავა—ხელახლა დგამს იმ პირველ ნაბიჯს, რომელიც უკვე გადადგეს კარაპეტებმა, ოსმან-აღებმა და მეჯღანუაშვილებმა.

ბახვა ფულავა დასავლეთ საქართველოდანაა. უწინ აქ იკიელა ჩვენი მამაპაპური ძილის გამფრთხობელმა ორთქლმავალმა, და უბრალო გლეხის შვილი, თხის მწყემსი ფულავა, ამ ხმამ გაიტაცა და თავისკენ მიიზიდა. ის ჯერ უბრალო ბიჭის როლს ასრულებს ინჟინერთან, ბერე მუშების უფროსია. მაგრამ მისი ცოცხალი ბუნება ამით ვერ კმაყოფილდება: როდესაც ირგვლივ ხედავს, რომ სხვები, უცხოელები, ერთობ იოლად მდიდრდებიან ჩვენს ქვეყანაში, მასშიც ძალუმად იღვიძებს ფულისადმი მისწრაფება და მოკლე დროში საკმაო სიმდიდრეს იძენს. ის სავაჭრო კაპიტალის ნამტვილი წარმომადგენელია: მისი ფული მრავლად ყიდულობს ჩვენში ნედლ მასალას და ნატურალური მეურნეობის პროდუქტს, ყოველივე ეს ფაბრიკა-ქარხნების უქონლობის გამო მას საზღვარ გარედ გააქვს გადაუმუშავებლად და ამნაირად უცხო კაპიტალის აგენტად ხდება. ყოველ შემთხვევაში იგი ადგილობრივი ძალაა და მისი საქმიანობა საქართველოს მიწა-წყალთან არის შეკავშირებული. ის შეუჩერებლივ ზრდის თავის ქონებას, იძენს ძველი ცხოვრების ბატონ-პატრონის, თავადაზნაურობის სარჩო-საბადებელს და, ამნაირად, ნელ-ნელა ეუფლება ჩვენი ერის ცხოვრებას.

მართალია, პოლიტიკურად დაუფლებამდე ჯერ ბევრი აკლია ფულავას, მაგრამ ეკონომიურად იგი უძლეველად გრძნობს თავს და გაუტეხელი შინაგანი რწმენით მიდის ამ გზაზე. კაპიტალმა მას ახალი გმირის სული შთაბერა და შეუჩერებლივ მიაქანებს წინ სულ ახალ-ახალ გამარჯვებისაკენ.

მაგრამ აქ მას წინ ეღობება ძველი ძალის წარმომადგენელი—იერემია წარბა—ბრწყინვალე წოდების განაძირალებული შვილი და მთელი მისი ცხოვრე

ბა აირევა და ყოველგვარ მის წამონაწყებს ბოლო ეღება. ხვითონ ფულავას ჩვენმა ავტორმა მრავალი ისეთი თვისება მისცა, რომელიც მას რაინდ თავადებს უფრო აახლოვებს, ვიდრე მფრთხალ და მოქნილ ბურჟუას, რომელიც „სავსე ჭიქასავით“ ეპყრობა თავის „ძვირფას სიცოცხლეს“ და არაოდეს არ გაეგზმება ისეთ სახიფათო საქმეში, როგორც ქალის სიყვარულია. მას აქვს ფული და დარწმუნებულია ამით სიყვარულსაც იყიდის, ერთი ქალი არ იქნება, მეორე მოვა. „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. მოვიგონოთ, როგორ იქცევა ჭონქაძის დურმიშხანი. შეიძლება, როგორც პირველი ნაბიჯის ნაყოფს, ჯერ განუვითარებელ ფულავას მართლაც უნდა აღმოჩენოდა ბურჟუასთვის უჩვეულო სანტიმენტალობა, მაგრამ რომანის მეორე ნაწილი რომ სიახლის ელფერს ჰკარგავს, ეს უეჭველია. ჩვენ გვინდოდა გვენახა ბურჟუაზია და მისი სიყვარული, სინამდვილეში კი ეს სიყვარულისთვის ტანჯული, სანტიმენტალობით ნთვრალი ფულავა უკვე არა ჰგავს ბურჟუას. შეიძლება ეს იმითაც აიხსნება, რომ ავტორს უნდოდა ფულავა სიმპატიურ ტიპად დაესახა და ახალი ძალის, ეროვნული აღორძინების სიმბოლო, დურმიშხანივით გაიძვერა არ ყოფილიყო.

თავისთავად რომანი შესანიშნავი ნაწარმოებია, შინაგანი აღნაგობის მხრივ მრავალ სისრულეს შეიცავს, მისი უფართოესი ფონი და ტიპთა მთელი კალეიდოსკოპი,—ავტორის დიდი გაქანების შედეგია, მაგრამ ჩვენი თვალსაზრისით ბურჟუაზიის დასახასიათებლად, ჩვენ სხვა მწერლებთან შედარებით დიდ მასალას ვერ იძლევა. ამის მიზეზი შეიძლება უფრო ჩვენი სინამდვილე —ბურჟუაზიის განუვითარებლობა— იყო, ვინემ ავტორი. მაგრამ ძუნწისა და მეჯღანუაშვილის შემდეგ მაინც მეტი ორიგინილობის დანახვის სურვილი ჩვენი მხრივ სრულიად ბუნებრივია.

ეგნატე ნინოშვილი

(1861—1894)

ნინოშვილის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვევით გვექნება ლაპარაკი, აქ კი იმდენად შევეხებით მას, რამდენადაც მისმა მხატვრულმა ნიჭმა მოგვცა ჩარჩი „ბურჟუა“ს ტიპი.

საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ ნინოშვილის ნაწერებში უხვად ნახავთ ჩვენს ცხოვრებაში ახალი ელემენტების შეჭრის მაგალითებს. ერთი მხრივ, თავად-აზნაურის გაღარიბება და მკლავაძობით თავის რჩენა, მეორე მხრივ, სოფლებიდან ქალაქებისკენ ამოძრავებული გლეხი და ქალაქიდან სოფლად შემოტანილი „უცნაური სენი“, მესამე მხრივ, მშრომელი ინტელიგენციის საძოქმედო ასპარეზზე გამოსვლა—სპირიდონ მცირიშვილის სახით.—აი სამი ხაზი, რომლის მიხედვით მიმდინარეობდა ნინოშვილის შემოქმედების ნაკადულები.

ახალი ცხოვრების შვილია აგრეთვე მოთხრობა „სიმონას“ ერთი გმირთაგანი, დავით დროიძე, რომელიც უბრალო გლეხი იყო, მაგრამ მეჯღანუაშვილისა და ფულავას გზით სიარულმა თავის დროისათვის დიდკაცად გაადააქცია: დიდი ქონება შეიძინა, შვილებს ზოგს სკოლაში ზრდის ზოგსაც თავის გზაზე აყვე-

ნებს. როცა ეკონომიური ძალა იგრძნო, გლეხობას უკადრისობს და სასულიერო წოდებაში აპირებს ჩაწერას. სოფლის საქმეებზედაც გავლენას ახდენს: მთავრობის სამართალს თავის ნებაზე ატრიალებს. თავისი პირადი ცხოვრების უზრუნველსაყოფად იგი დაღუპვის გზაზე აყენებს უბრალო გლეხს, სიმონას, და მთელ მის ოჯახს. —

დროიძის შვილი, ტიტიკო, გარყვნილი ახალგაზრდაა. მისი აზრით „სიმდიდრე და ძალა იმითაა კარგი, რომ ყველა შენს წადილს აისრულებ. თუ ჩემი წადილები არ ამისრულდება, ხალხი, დედაბერი, ვიღაც ბიჭი და ყველაი მე შემაშინებს, მაშინ რა ჯანაბად ვაქნევ სიმდიდრეს! თუ კი იმ ბიჭს, სიმონაა თუ ვინცხა, ჩვენი ენება შეუძლია, მოიშორეთ თავიდან, ან სულ დააკარგვიეთ. მაშ რათ გინდათ ის ფულები, ნუ თუ ეგეც არ შეგიძლიათ“? ასე ურჩევს იგი მამას. ტიტიკოს ამ სიტყვებში აშკარად გამოისმის ახალი ძალის უკულმართად გამოყენების მიდრეკილება, რაც აგრე ახასიათებს ყოველგვარ ძველს და ველურს, რომელიც მუდამ იმის ცდაშია, რომ ყოველივე ახალი მოვლენა თავისი მიზნების მისაღწევად დაატრიალოს. ვერც ჩვენი ბურჟუაზია და, ვერც მათი შვილები კაპიტალის განვითარების ნელი ნაბიჯის გამო ვერაფერის გზით ვერ გადაიქცევენ ჩვენი ერის ცხოვრებაში ჭეშმარიტად კულტურული ძალის მატარებელ კლასად და ის ახალი, რაც მათ თითქოს შემოიტანეს, ჩვენს ჩამორჩენილ პირობებში ხშირად ველურობის გამამძაფრებელი შეიქნა.

ეროვნული აღორძინების და ჭეშმარიტად გამაევროპიელებელ ძალად ჩვენს ქვეყანას მშრომელი ხალხი მოეღინა, მაგრამ ამაზე ქვევით გვექნება ლაპარაკი. აქ კი შევნიშნავთ, რომ დროიძისებური ტიპი დასურათებული ჰყავს აგრეთვე შიო არაგვისპირელს ისაკა ქამაშვილის სახით მოთხრობაში „ჩემი ბრალი არ არის ღმერთო“ და ლალიონს „ეფემიას ოცნებაში“ (პინტილიანი). ამავე თემაზე სწერდენ: ა. ცაგარელი და ნატ. აზიანი.

განყოფილება მეოთხე

წოდებათა დაქსაქსვა და მშრომელი გლეხობის საკითხი

I

ბატონყმობის გადავარდნით ჩვენი ერის ცხოვრება სულ ახალ პირობებში ჩადგა და ახალი გზით წარიმართა. საუკუნეთა განმავლობაში ერთნაირ ქერქში გახვეულმა ცხოვრებამ კანი იცვალა, მისი დასაყრდნობი ნიადაგი საესებით გადასხვაფერდა და გარდაიქმნა.

ბატონყმობის დროს სიმდიდრის დედა-ძარღვს დედამიწა და ზედ აღმოცენებული მეურნეობა შეადგენდა. მეურნეობის მაწარმოებელი ძალა, ცხოვრების ღირებულებათა შემქმნელი მუშა ხელი, მიმაგრებული იყო მიწაზე და თავისი სურვილის მიხედვით სამუშაოს თავისუფლად არჩევის უფლება არა ჰქონდა,—შრომა არ იყო თავისუფალი, მისი გამოცვლის ნებართვა ბატონის ნება სურვილზე იყო დამოკიდებული.

ბატონყმური რეჟიმის მოსპობით შემოვიდა სამი ძირითადი მოვლენა: ა) სიმდიდრის დედაბოძად თანდათან გადაიქცა მოძრავი საგანი—ფული, რომელიც ბაზარზე გამოტანილ შრომის ნაყოფის—საქონლის—ეკვივალენტია (შესატყვისი, სამაგიერო);—ბ) ყოველ ადამიანს შეუძლია იშრომოს იქ, სადაც პირადად მას მოესურვება—შრომა განთავისუფლებულია; გ) ფართო გზა გაეხსნა გლეხს კერძო საკუთრების შესაძენად.

ეს ორი მოვლენა მთელი ცხოვრების თავდაყირა დაყენებას ნიშნავდა. ძველი ცხოვრების მესვეურს—მებატონეს—სიმდიდრე გაუნიორწყალდა: მიწასაც თავისთავად ფასი ეკარგვის და ზედ მომუშავე ხელი გაექცა. მის წინაშე აღიმართა ყოფნა არ ყოფნის საკითხი: ან თვითონ პირადად უნდა იშრომოს და გლეხს გვერდით ამოუდგეს, ან და ფიზიკურად მოისპოს და გადაშენდეს. სად უნდა დატრიალდეს მათი შრომა? ქალაქებში, ფაბრიკა-ქარხნებში და სოფელში—მამაპაპეულ მიწა-წყალზე.

რას მოასწავებს თვითეული წოდებისათვის ეს გარემოება? თავადაზნაურობამ - ლუარსაბ თათქარიძეებმა - მისთვის სრულიად უჩვეულო საქმეს—ფიზიკურ მუშაობას უნდა მოჰკიდოს ხელი: სოფლად თუ დარჩებიან, მეხრეობას უნდა შეუდგენ, ქალაქში კი ქარხნის კვამლში უნდა გაიმურონ, ან სახელოსნოში ურო უნდა სცემონ; გლეხობისათვის კი ამაში უჩვეულო არაფერია—ის მუდამ შრომობდა და ახლაც შრომას განაგრძობს. მაშასადამე, ახალ ცხოვრებას უფრო მომზადებული გლეხი დახვედრია: მუდამ მშრომელს შრომის განთავისუფლება უნდოდა და კიდევაც ეწია მიზანს.

ასეთი მდგომარეობა შეიქნა ობიექტიურად ბატონყმობის მოსპობის შემდეგ. თავად-აზნაურობას თავზარი დაეცა, მთელი წოდება შიშის ზარმა მოიცვა, დასაყრდნობი ნიადაგი შეირყა, დედამიწა ქანაობს, მუშა სელი არა ჰყავთ, აწმყო თავზარდამცემია, მომავალი შავბნელითაა მოცული, ვინ იცის, რას მოუტანს ხვალინდელი დღე!..

დაიწყო თრთოლვა და საშინელი ციებ-ცხელება. ყველა ცდილობს ახალ-ცხოვრებას შეეწყოს, რამენაირად შეეგუოს და ულუკმაპუროდ არ დარჩეს. ნიადაგ-დება დაგროვილი ქონება. უსაქმობაში აღზრდილი თავადები ქალაქებში გამორბიან, აქ კი ათასნაირი ფულის მახე დაუგია ახალ ვითარებას და იწყება ფლანგვა, დროს ტარება, „სმა-ჭამა მეტად შესარგი". რასაკვირველია, ქალაქებში მთელი თავად-აზნაურობა ვერ ჩამოვიდოდა, დიდი ნაწილი სოფლად რჩება და წვითა და დაგვით იწყებს ახალ პირობებში ცხოვრებას.

გლეხობაშიც დიდი მოძრაობაა ამ დროს. განთავისუფლებული ყმა აღტაცებით ებმის ახალი ცხოვრების პირობებში და, სადაც კი ხელი მიუწვდება, ქონებას იძენს. ერთ დროს შებოჭილი მისი პიროვნება და პირადი შემოქმედება მძლავრად შლის ფრთებს და საუკუნეთა სიგრძეზე დაგუბებული ენერგია თავშეუკავებლივ მიისწრაფის საკუთარი სიმდიდრისა და ქონების შესაძენად. იწყება ქალაქებში სამუშაოზე წასელა, ხელოსნობა, ვითარდება ჩარჩობა, ეაჭრობა, მევახშეობა.

ოღონდ ფული იშოვოს, ახალი დროის ღმერთი შეიძინოს და არაფერს არ თაკილობს გლეხი.

ნაშოვნი ფულით ზოგი სახლკარს იძენს, ზოგი წარმოებას ჰკიდებს ხელს, უმეტესობა კი მემამულეების მიწებს ჰყიდულობს და სხვ.

ერთი სიტყვით, ორივე წოდება შეუჩერებელ ფუსფუსშია, საქმიანობს, იბრძვის ბრჩხილითა და კბილით და მუდამ იმის ცდაშია, რომ რამენაირად მოხერხებულად და სარგებლიანად მიუჯდეს ახალი ცხოვრების სუფრას, სხვას არ ჩაშორჩეს და პირში ჩალა გამოვლებული არ დარჩეს.

აქ თავადებსა და გლეხებს შორის გარჩევა არ არის: ყველა ერთ ტაფაში იხრაკება—გუშინდელი ყმაცა და მისი ბატონიც. ფული ისეთი თვისებისაა, რომ მხოლოდ მოხერხებული კაცის ხელში მოდის, სულ ერთია, თავადი ხარ თუ გლეხი. „მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი".

ამ ბრძოლაში, რასაკვირველია, არ შეიძლება, რომ ყველა გამარჯვებული იყოს: ზოგიერთებს, მართლაც, ბედი სწყალობს და ხელში გემრიელ ლუკმასაც მოიგდებს, ზოგიც ცხოვრების ასპარეზზე უმწეოდ ფორხილობს და ბოლოს ცარიელ-ტარიელი რჩება, შეძენის მაგიერ, რაც ჰქონდა, იმასაც ჰკარგავს და საკუთარი მარჯვენის ამარა რჩება. ის ღა დარჩენია, რომ გაძაღლებული თავი საკუთარი ოფლით ირჩინოს: დაექირაოს მექარხნეს, მიჰყიდოს თავისი კუნთების ძალა მწარმოებელს თუ მრეწველს. იქმნება დღიური მუშის ტიპი.

ამ რთულ და ფრიად დახლართულ, ხან ჩქარა მიმდინარე, ხანაც ზანტად მიმტბორავ პროცესს ეწოდება წოდებათა დაქსაქსვა და პროლეტარიზაცია.

ეს პროცესი ყველა ერის ცხოვრებაში ყოფილა. ჩვენში სამოციან წლებიბიდან მოყოლებული თითქმის ნახევარი საუკუნე გაგრძელდა და ბოლოს მთელი

ჩვენი ეროვნული ცხოვრებაც ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ ორ მთავარ კლასად: პროლეტარიატად, რომელსაც გვერდით უდგას ნახევრად გაპროლეტარებული სოფლის გლეხობა და ბურჟუაზიად, რომლის გარშემო თავს იყრიან სხვადასხვა სოციალურად მონათესავე ფენები სოფლის შეძლებულ მესაკუთრეთა სახით.

ამნაირად, ქართული ეროვნული ცხოვრება დაემსგავსა ევროპიულს.

ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარ გადაჯგუფებ-გადმოჯგუფებამ პოლიტიკურ ცხოვრებაში ძირითადი ცვლილება გამოიწვია: ნიადაგი მომზადდა ბურჟუაზიული რევოლუციისათვის, რომელმაც 1905 წელს აქტიურად მოითხოვა ძალა-უფლება. პირველი რევოლუცია დამარცხდა, სამაგიეროდ 1817 წლის თებერვლის რევოლუცია სრული გამარჯვებით დასრულდა: ბატონყმური ნაშთები საუკუნოდ მოისპო და ჩვენი ცხოვრება იურიდიულადაც ახალ ფორმებში იწყებს ჩამოყალიბებას.

როგორ ასახა ჩვენმა ლიტერატურამ ეს დიადი პროცესი? რა გვარი აზრთა ცვალებადობა წარმოიშვა ამ ეპოქაში?

ამ ხანაში ჩვენი ლიტერატურა მიმდინარეობს ორი გზით მიმართული: ყოფილი ბატონობის დაცემისა ასახვა და გლეხობის აქტიურ ძალად გადაქცევის დასურათხატება.

პირველი საკითხი კარგა ხნის განმავლობაში დიდად პოპულარული იყო. თითქმის მთელი ჩვენი ინტელიგენციის გულისყური აქეთკენ იყო მიქცეული, თუმცა ეს იმას სრულებით არ მოასწავებს, რომ გლეხობის საწინააღმდეგოდ ყოფილიყო ვინმე განწყობილი. პირიქით, გლეხობას დიდი სიმპატიითაც კი უყურებდენ. ილია ჭავჭავაძის მიერ გადმოქართულებული რუსული „ნაროდნიკული“ თეორია ისე ძლიერი იყო, რომ გლეხობა ყველას უაღრესად ჯანსაღ წოდებად ეჩვენებოდა, მისი აწმყო და მომავალი ისედაც ბრწყინვალე იყო, ამიტომაც მთელი ყურადღება და მზრუნველობის ხელი დაავადებულ წოდებისკენ იყო მიპყრობილი.

რა უშველის თავადაზნაურობას? რით დავიხსნათ იგი დაღუპვისაგან? აი მაშინდელი ჩვენი ინტელიგენციის სააზროვნო და თავსამტერევი საკითხები.

ახალ პირობებში მოქცეულ თავად-აზნაურობას გვიხატავენ გიორგი წერეთელი, ეგნატე ნინოშვილი, ანასტასია ერისთავ ხოშტარიასი, კლდიაშვილი. ეხებიან აგრეთვე სხვა მწერლებიც, რომელთაც გზადაგზა მოვიხსენიებთ.

გიორგი წერეთელი

ცოცხლად აღბეჭდილი და მხატვრულად შექმნილი ტიპი, რომელიც ამ მწერალმა მოგვცა თავად-აზნაურობიდან, არის „პირველი ნაბიჯის“ ერთი გმირთაგანი, ერემია წარბა, რომელიც ბატონ-ყმობის შემდეგი დროის შვილია. შრომისა და საქმიანობის უნარი მას არც შთამომავლობით მიუღია და არც აღზრდით; მისი წოდების შვილნი ახალ ცხოვრებაში ან უსაქმურად დაეხეტებოდენ და თავადური ფსიქოლოგიით გაჟღენთილნი ნაძირალად იქეცეოდნ, ან და საყველპურო

ცოდნით შეიარაღებულნი-სამხედრო სასახურში მიძერებოდენ და ათასნაირი დამცირებითა და დამდაბლებით ეპოლეტების ღირსნი ხდებოდენ, რითაც გლეხობის წინაშე თავიანთ უპირატესობას ამზეურებდენ.

ერემიაც ამ უკანასკნელ გზას გაჰყვა და ცოტა სწავლის შემდეგ „ცხოვრებაში გამოვიდა". მაგრამ არსად არაფერი ღირებულება მას არ შეუქმნია: ხან კონტრაბანდისტია და ხანაც ჯარში მსახურობს, ფეხის ყოველ ნაბიჯზე ძალთა დარღვევის და დაქსაქსვის მეტს არაფერს აკეთებს, ის ნამდვილი ანტისაზოგადოებრივი ტიპია, ველური ინსტიქტებით დაჯილდოებული. დროც ხელს უწყობს მას: მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი ერემიასებურ თავად-აზნაურულ ელემენტითაა სავსე და პოლიტიკაც სწორედ ამ წოდების ინტერესთა მიხედვით წარმოებს. ამ ამღვრეულ წყალში ერემია თამამად ცურავს და უხვად რჭერს თევზებს. ბოლოს ეს გზა მას სისხლის სამართლის დამნაშავედ გადააქცევს და კიდეც დაღუპავს.

ეს ტიპი ილია ჭავჭავაძის დათიკოს ნამდვილი ღვიძლი ძმა არის.

გიორგი წერეთელი ახასიათებს თავად-აზნაურობას აგრეთვე თავის ორ მოთხრობაში: „მამიდა ასმათში", და „რუხ მგელში". ეს მოთხრობები სოფლის ფონზე იშლება. დასურათებულია ამ წოდების სრული დაკნინება, დაწვრილმანება და დაცემა. ერთმანეთ შორის დავა და დაუსრულებელი კინკლაობა, ღვარძლი და გლეხობისადმი მტრობა. აი რას ვხედავთ ამ საკმაოდ უფერულ მოთხრობებში, რომლის ავტორი თითქოს განგებ ცდილობს პუბლიცისტიკის ფარგლებში დარჩენას. საშინელი უშინაარსო, წვრილმანი და უიმედოა ამ პერსონაჟების ცხოვრება. გარდა წარმავალ ყოველდღიურობისა არაფერი მათ არ იტაცებს და თვალწინ სრული დეგენერაციის სურათი გვეშლება.

ეგნატე ნინოშვილი

თავადების ტიპი ნინოშვილმა, დახატა „ჩვენი ქვეყნის რაინდში". ეს არის სახელგანთქმული ტარიელ **მკლავაძე**, რომელიც ერემია წარბას ხორცი-ხორცთაგანია და სისხლი სისხლთაგანი. უსაქმური, თავაშვებული ეგოისტი, ერთიანად ანტისოციალური ტიპი,—აი ვინ მოგვცა ამ ტიპში ნინოშვილმა. „ქრისტინე"-ში იასონ უქმაძეც ნახევრად მკლავაძეა. ჩვენს საზოგადოებრივ ტრაგედიას შეადგენდა ის გარემოება, რომ ბურჟუაზული ურთიერთობა ჩვენში საშინელი სიზანტით ვითარდებოდა. ამიტომ იყო, რომ ცოცხალი ძალები პრაქტიკულ საქმიანობაში ჩასაბმელ პირობებს ვერ პოულობდენ: ვერც გლეხობისა და ვერც ბრწყინვალე წოდების შვილები ქალაქებში თავს ვერ იკმაყოფილებდენ და მათი აქტივობა ყაჩაღობაში იხატებოდა. ამის მიზეზია, რომ ჩვენი ლიტერატურა მეტად ხშირად გვიხატავს ყაჩაღებს და მათ შემქნელ პირობებს.

ყაჩაღები ჩვენში დათიკოების, ერემია წარბების და ტარიელ მკლავაძეების ღვიძლი ძმებია. ნინოშვილის სიმონაც იმ საერთო საზოგადოებრივი პირობების შედეგია.

ტარიელ მკლავაძე შემკრებელობითი ტიპია. მის სახეში ცალკე სახეთა მთელი რიგი ერთიანდება.

მკლავაძე მეტად იოლად გამოსთხოვებია ბატონყმობას და ახლად ამღვრეულ წყალშიც მშვენიერად ცურავს. მაგრამ არიან ისეთი ტიპებიც, რომელნიც გაოგნებულნი გაჩერებულან გზაჯვარედინზე და არ იციან, საით წავიდენ და რა ქნან.

ასეთია ნინოშვილის მანუჩარ არწივაძე, რომლის პროფილი მოცემულია პატარა ესკიზში—„სოფლის გმირები". არწივაძეს ახალი არაფერი მოსწონს და ვერ შეჰგუებია, ძველი ცხელიდან გამოეცალა. დაბნეული დგას იგი, ვრძნობს, რომ გზები ყოველ მხრივ მოკრილი აქვს და, დასაღუპავად გამზადებულივით უგუნებოდ ღიღინებს.

„დროსა შევესწარ ისეთსა,
გულს ცრემლი გამივარესდა,
ალმასით სჰედენ ვირებსა,
აკრავენ ოქროს ნალებსა,
ბედაურ ცხენებს კურტან ქვეშ
სცვეთენ, ვინ შეიბრალებსა".

ვირები გლეხკაცობაა, ბედაურები—მანუჩარები. კომენტარიები ზედმეტია.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი

(დაიბადა 1869 წ.)

ჯანსაღი ელემენტები თავადაზნაურობაშიც იყვნენ. განათლების შეთვისებას და ახალ ცხოვრებას ისინი ჯერ კიდევ გიორგი ერისთავის რუსეთუმე, ივანე, იწყებს. ეს ანკარა ნაკადული ყოველთვის თან სდევს იმ ამღვრეულ მდინარის თქეშს, რომელსაც მთელი წოდების ვანადგურება შეადგენდა. ქვეყნის განახლებაში და საზოგადო სარბიელზე მოღვაწეობაში სწორედ ეს ნაკადული იღებდა მონაწილეობას. ჩვენი საზოგადო მოღვაწეთა რიგები ამ ნაკადულიდან მონაშხეფ წვეთებით ივსება. ქართველი მოწინავე ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელნი თავად-აზნაურულ ფენებიდან არის გამოსული.

ეს გზა რუსეთუმეებმა დაიწყეს, შემდეგ ერთ რგოლად ილია ჭავჭავაძის არჩილი შეიქნა. არჩილის ძალიან ახლო ნათესავია დუტუ მეგრელის სიმონი (მოთხრობა „დაშორებულნი").

ანასტასია ერ.-ხოშტრიამაც დაკვირვებით გადაგვიშალა თავის რომანში „მოლიპულ გზაზე" ერთი მხრივ თავადების დაცემის სურათი და მეორე მხრივ მისი საუკეთესო შვილების სწავლა-განათლებისაკენ, საზოგადოდ, თანამედროვე ცხოვრების ათვისება-შეგუებისაკენ მიმართული გზები. ამ მშვენიერი რომანის ტიპი, ოქრო, ახალ ცხოვრებისაკენ მიისწრაფის და მას სრულიად არ აკმაყოფილებს მამაპაპური მუცელზე გდება. მართალია, გარეშე პირობების გამო ისიც მარცხდება, მაგრამ ეს ყველა მებრძოლის და ახალის დამწყების ბედია.

დავით კლდიაშვილი

(დაიბადა 1862 წ.)

დავით კლდიაშვილის სამხატვრო ტილო გაღარიბებული აზნაურების კარ-მიდამოებშია გაშლილი. კლდიაშვილზე ნარნარი, უწყინარი და მტკივნეული გულის ამსახავი მეორე არ მოვლინებია ჩვენს დაჩიავებულ აზნაურებს: მორბელაძეებს და სამანიშვილებს.

ჭონქაძიდან და ილია ჭავჭავაძიდან მოყოლებული ამ წოდებას ყველა მათრახს სცემს და წინასწარ განზრახული მიდგომით შოლტავს მას. ჩვენი ნწერლები დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთ უმაღლეს დანიშნულებაში, თავი ერის მასწავლებლად და წინამძღოლებად ჰქონდათ წარმოდგენილი, „მე ცა ნნიშნავს და ერი მზრდის“-ო, ამბობდა თვითეული მათგანი; ამიტომ ყოველგვარი ბოროტება ამ ქვეყნად უნდა დაეგმოთ და გაეკიცხათ. ბოროტებათა სახეც უკვე ნაცნობი, ალმოჩენილი იყო თავადის სახით. ამიტომ მათრახიც და გესლიც მზად იყო. ისინი ერთობ გაეღენთილი იყვნენ თავისებური რაციონალიზმით, რომელიც საკმაო-რაოდენობით იყო ნასესხები მე 18 საუკუნიდან, ამიტომაა, რომ ისინი მასწავლებლობენ, დარიგებებს იძლევიან, დიდაქტიკოსები არიან. იუმორი არ ეხერხებათ და ულმობელ სატირას მიმართავენ.

მათ მიერ დახატული ტიპები სქემას წარმოადგენენ და თითო-ოროლა თვისებას-ღა შეიცავენ, მრავალ მხრივობა მათში არ არის. დაარქმევენ: ჭამიაშვილს, მკლავაძეს, დროიძეს, ეშმაკაშვილს, ფულავას, და წინდაწინ იცი, თუ ვისთან გაქვს საქმე. ყოველ სტრიქონში გულისწყრომა და ულმობელი მოპყრობა გამოსჩვივის: რათა ხარ დათიკო უნამუსო? რამ გაგრყენა ასე ერემიავ?—წყრომით გამოისმის მათი მოთხრობებიდან.

ვერაფერს ამის მაგვარს კლდიაშვილის შემოქმედებაში თქვენ ვერ ნახავთ. აქ ყველგან ნაზი გრძნობა, ლმობიერება ადამიანის პიროვნებისადმი და უაღრესი სიყვარული.

ფაქტია, რომ თავად-აზნაურობა დაღარიბდა და დაჩიავდა. ამაში პრალი მას, როგორც წოდებას, სრულებით არ ედება. მას ბევრი უარყოფითი მხარეებიც აქვს, მაგრამ ვის არა აქვს ეს თვისებები? ადამიანები არ განიყოფებიან ანგელოზებად და ეშმაკებად. ასეთი სქემატიზმი სინამდვილეში არ არის: თვითეული ჩვენგანი კარგ თვისებებსაც ატარებს და ცუდსაც. ერთ პირობებში კარგი ვართ, მეორეში ცუდნი. ამიტომ არ შეიძლება ადამიანის ყოველთვის ერთი საზომით განსჯა. აი, რა თვალსაზრისით მიუდგა კლდიაშვილი აზნაურობას.

ეს მიდგომა სავსებით სწორია და მხატვრულ მოთხოვნილებებთან შეთანხმებული. კლდიაშვილი არც სჯის ვისმე, არც ასამართლებს. ის იძლევა მხოლოდ სურათებს, მიუდგომლობით ასახულ ტიპებს, მსჯავრი კი თვითონ ცხოვრებამ გამოიტანა ამ ადამიანებზე. რა საჭიროა კიდევ გულის წყრომა, ულმობელი დაცინვა და სატირული ნესტარი!

ჩვენ თვალწინ იშლება სოლომონ მორბელაძის წერილმანი და დაჩიავებული ცხოვრების სურათი. იგი პირდაპირი შთამომავალია ჩვენი ვიკინგების: ნუგზარ ერისთავების („ხევის ბერი გოჩა“), ანდუყაფარის, მუხრან ბატონის, ნეტა-

რად მოსაგონ ლუარსაბის და ბოლოს, ოუ გნებავთ, ერემია წარბასი და მკლავაძისაც. რა სასაცილოდ გამოიყურება სოლომონის სახე ამ ტიპთა სურათების გვერდით!

გამოალაპარაკეთ ყველა ესენი ჩვენს მორბელაძეს, რომელიც ერთ ჯახრიკა ცხენს დააცოდვილებს სოფელ-სოფელ და მაჭანკლობით ირჩენს თავს! რა საინტერესო იქნებოდა მათი შეხვედრა და კამათი!

ჩვენი ქვეყნის ეს სასახელო გმირები ალბად ჭამის დროს ნაირ-ნაირ საკმელებს შეექცეოდენ—მოიგონეთ ლუარსაბის პირის გემო,—ჩვენი სოლომონის გვერდის დამამშვენებელი აზნაურები კი „ეკალას“ ნატრობენ შეჭამანდად. ამაზე მეტი დაცემა არ შეიძლება! ერთი მხატვრული ფრაზა აქ მთელ ტომს მეცნიერულ ნაშრომზე უფრო დამარწმუნებელია.

საბრალო პლატონ სამანიშვილი, ნუგზარ ერისთავის შთამომავალი! დააკვირდით, რა სასაცილოა მისი მოქმედება. ოლონდ პატარა მიწაზე არავინ შეეცილოს, გაძაღლებული ლუკმა პირიდან არ გამოსტაცონ და რას არ ჩადის იგი, რაფერად არ იმცირებს თავს! მამა მისი ბეკინა თითქმის ზიზღით შეჰყურებს შვილის ფუსფუსს—მეორე ცოლს რო უძებნის მამას—და, ალბად, გულში სწყინს, რომ ასეთი უღირსი შვილი გამოუზრდია.

კლდიაშვილის შემოქმედებას აგვირგვინებს მისი პატარა მოთხრობა“—„რო�ტომ მანველიძე“. რამდენი უბრალოება, რამდენი მშვენიერება და რამდენი ტრაგიზმია ბეღურას ნისკარტზე უმოკლეს ესკიზში. მეფის ნაკარისკაცალი მანველიძე, რომელსაც ბატონყმობის გადავარღნის შემდეგ ერთი ნაკმევი-ღა შერჩენია, სოფელში ცხოვრობს, ცოლშვილი კი სადა ჰყავს, ღმერთმა იცის.

ერთხელ, ოჯახში შემთხვევით თავმოყრილი ქალიშვილები ქალაქში აპირებენ წასვლას. სადგურამდე ფეხით უნდა ჩაიდენ, ამას კი თაკილობენ. ბევრი ითათბირეს, მაგრამ სამგზავრო ურემი ვერ იშოვეს—გლეხებმა არ ათხოვეს. და, ოდესღაც მდიდარი მანველიძე, ურმის სათხოვნელად გლეხებში მიდის. რა საბრალოა იგი ამ დროს, რა საცოდავი! თქვენ გრძნობთ ადამიანის შეურაცხყოფას, დამცირებას და სრულიად გავიწყდებათ ის, თუ ვინ იყო მანველიძე—ცუდი კაცი, თუ კარგი, თავადი თუ გლეხი. ამ დროს გებრალებათ თქვენ, საზოგადოდ, ადამიანი და მისი პირადობა. ერთხანს სიცილს ‘ბგერიდათ მანველიძე, მაგრამ არის წამი, როცა იგი გულწრფელად გებრალებათ. აი შესანიშნავი იუმორისტული ხერხი, რომელიც არა ჰგავს სატირის უილაჯო მათრახებს.

კლდიაშვილის გარდა ასეთ რასმე თქვენ ვერც ერთი ჩვენი მწერალი ვერ გაგრძნობინებთ და არც გაგრძნობინებთ, იმიტომ რომ დათიკოები და მკლავაძეები მათი წარმოდგენით მოსიარულე ბოროტებანი არიან და არა ცოცხალი ადამიანები, რომელთაც არაფერი ადამიანური არ ეუცხოებათ.

ნიკოლოზ ლორთქიფანიძე

(დაიბადა 1880 წ.)

I

მეორე მწერალი, რომელიც მხატვრულ მიუდგომლობით აგვიწერს თავადაზნაურთა კარმიდამოს ნელი კვდომისა და დაცალიერების სურათს, არის ნიკოლოზ ლორთქიფანიძე. კლდიაშვილის შემდეგ ერთხელ კიდევ ვხედავთ ძველი ცხოვრების ბურჯთა „ბუდეების" ასახვას. მაგრამ ნ. ლორთქიფანიძე დიდად განირჩევა კლდიაშვილისაგან. ეს მწერალი მოზიბლავ სიმფონიებს ჰქმნის ჩაფერფლილი ეზო-გარემოსა და ხოდაბუნების წიაღში, სიმფონიებს სევდით სავსეს, განცდითა და ლირიზმით აღსავსეს. საყურადღებოა ამ მხრივ იმისი მოთხრობები: „მრისხანე თავადი", „ბებრები", „ძველი გმირები" და სხვა.

რა გზას ადგია ჩვენი მწერლების. სარკეში ეს წოდება? ზოგიერთი მისი ელემენტი მკლავაძეობს და ქვეყნის პარაზიტია, მასიურად კი მთელი წოდება ახალი ცხოვრების უღელში ებმის და გლეხებთან ერთად მძიმე ჯაპანს ეწევა.

ეს უკანასკნელი მომენტი განსაკუთრებით ნათლად ჩანს კლდიაშვილის შემოქმედებაში. გაპროლეტარების პროცესს, რასაკვირველია, მთელი წოდება არ ჩაუთრევია და ზოგიერთი მისი ფენები თავისებურ ბურუუებად ხდებიან.

II

განვიხილოთ ამავე ეპოქაში გლეხთა მდგომარეობის ამსახავი მწერლები. რომელთაც „ტეტიათა მოტრფიალეებს" უწოდებენ. ესენი არიან რაფიელ ერისთავი, ს. მგალობლიშვილი და ნ. ლომაური. ამავე ჯგუფის მიერ შექმნილ ატმოსფერაში დაიწყო წერა ყაზბეგმა, ვაჟა-ფშაველამ, არაგვისპირელმა, ნინოშვილმა და სხვ.

ამავე ჯგუფთან ერთად მოღვაწეობენ და გლეხთა საკითხს ეხებიან ჩვენი ეროვნული გოდების ბუმბერაზები ილია ჭავჭავაძეცა და აკაკი წერეთელი(),

დავიწყოთ იქიდან, თუ რაგვარი გონებრივი მოძრაობა უძღოდა „ტეტიათა მოტრფიალეებს", როგორც რუსეთში, ისე ჩვენში. ამ საკითხის გვერდის ახვევა შეუძლებელია.

რუსეთი და მასთან ერთად საქართველოც ევროპასთან შედარებით დღესაც ჩამორჩენილი ქვეყანაა. ეს ჩამორჩენილობა ბატონ-ყმობის მძვინვარების დროს ათასჯერ უფრო ნათელი და აშკარა იყო.

ასე არ იყო ევროპაში. რევოლუციათა მთელმა რიგმა უკვე გაწმინდა იქ სულის შემხუთველი ჰაერი, ფეოდალური ხუნდები უკვე დამსხვრეული იყო და ინდივიდუალ აზროვნებისა და მოქმედების იდეა მაგრად იყო ფეხ მოდგმული. ინგლისის ბურეუაზიული რევოლუცია მე-17 საუკუნეში, საფრანგეთის 1789,—1828, 1848 წ. წ. და გერმანიის 1848 წ.—განმაახლებელ გრიგალად მოევლინა მთელ ქვეყნიერებას.

მხოლოდ რუსეთი იყო ფეოდალური ქერქით კვლავინდებურად დაფარული და მონობის ბორკილებს აჩხარუნებდა. შებოჭილი იყო პიროვნება, ერთ ადგილს იყო მიმაგრებული შრომა და საზოგადოებრივი განვითარება.

განვითარებულ ევროპას აზროვნებაც განვითარებული ჰქონდა. რუსეთის

საუკეთესო შვილები კარგად ხედავდენ ამას და ხარბად ეწაფებოდენ ევროპის საააზროვნო წყაროებს. მათი მიზანი და მისწრაფება იყო, რაც შეიძლება, მალე დაეწახათ ამ იდეალების განხორციელება თავის სამშობლოში.

და აი, როცა რუსეთის ყინულიც გალხვა და ბატონყმობა გადავარდა, მყისვე გაშალეს ფრთები ამ აზრებმა. აღფრთოვანებისა და გატაცების ხანაში ერთგვარი მაქსიმალიზმიც წარმოიშვა: თუ გაევროპიელება, ბარემ სრული გაევროპიელება, თუ განახლება, ბარემ სრული განახლება,—აი, ამ აზრთა მოძრაობის შინაარსი.

სოციალიზმის—შრომის სამეფოს—იდეა, რომელიც დღეს უკვე განხორციელების ხანაშია შესული, მაშინ ახლად აფრენილი ზღაპრული ჩიტი იყო, რომელიც ყველას ატყვევებდა, ყველას იზიდავდა და ენტუზიაზმით სწვავდა. მარქსისა და ენგელსის კომუნისტური მანიფესტი, ბაკუნინის იდეები, დარვინის ევოლუციონური თეორია, პირველი ინტერნაციონალი და ბოლოს პარიზის კომუნის განთიადი—ყოველივე ეს ბურჟუაზიული რევოლუციების შემდეგ მეორე განმაახლებელ იდეად ეკლინება მთელ ქვეყნიერებას.

რუსეთის მოწინავე ინტელიგენციაც თავდავიწყებით ჩაება ამ ფერხულში. ბურჟუაზიული „დამპალი ევროპი"-ს სამრეკლოზე ჰერცენის „ზარმა" მთელი რუსეთის გასაყრუებლად მწუხრის ხმებით ჩამორეკა. ბურჟუაზიული საფეხური, რომელიც მაშინდელ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის აზრით მისდა საუბედუროდ მოევლინა ევროპას, რუსეთისათვის საჭიროდ არ შეიქნა აღიარებული და გამოცხადებულ იქნა პირდაპირ სოციალიზმის სამეფოში გადასვლის აუცილებლობა. წარმოიშვა და განვითარდა ნაროდნიკული სოციალიზმის იდეა.

სოციალიზმის მატარებელი საზოგადოებრივი კლასი—პროლეტარიატი— რუსეთში არ იყო, ან და თუ ჩანდა, ძალიან სუსტად, ამიტომ შრომის სამეფოს განხორციელება ინტელიგენციამ დააკისრა მშრომელ გლეხობას, რომელიც წარმოდგენილ იქნა ყოველგვარ სიკეთისა და დადებით ღირებულებათა საწყაულად. ბუნებრივი სოციალისტი და მისი უჯრედის—„ობშჩინის" დღემდის დამცველი, საკაცობრიო იდეათა მატარებელი, შეუმცდარი, შეურყეველი! რა ეპიტეტებით არ შეამკო იგი ინტელიგენციის იმ ნაწილმა, რომელმაც ზემონაჩვენება აზრთა მიმდინარეობა მიიღო! ამიტომ მათ „ნაროდნიკები"—ხალხსნები უწოდეს.

ამ მიმართულებამ რუსეთის მხატვრულ ლიტერატურაში ,ერთგვარი ახალი ნაკადული შეიტანა, რომელიც გლეხის იდეალიზაციაზე იყო დაყრდნობილი. ეს გლეხური ილუზიები მარქსიზმის გაბატონებამდე არსებობდა, როგორც ინტელიგენციაში, ისე ლიტერატურაში.

ამისაკენ მსგავს მოვლენას ჰქონდა ჩვენშიც ადგილი. 80 წლების გარიჟრაჟზე ჩვენშიც იყო ინტელიგენტთა საკმაო მოზრდილი ჯგუფი, რომელიც რუსეთის „ნაროდნიკების" გზას ადგა ქართულ პირობებში [1]). პუბლიცისტიკაში ეს ჯგუფი თავს იყრიდა ჟურნალ „იმედის" გარშემო (80 წ. წ.), მხატვრულ ლიტერატურაში კი ერქვათ „ტეტიათა მოტრფიალენი".

უნდა ითქვას, რომ ამ ჯგუფმა დიდი კვალი ვერ დაანჩნია ჩვენს ლიტერატურას. ამის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ჯერ ჩვენი ეროვნული საზო-

[1]) იხ. ს. მგალობლიშვილის ფრიად საინტერესო მოგონებანი „რევოლიუციის მატიანე"-ში № 4—5 (9—10), 1924 წ.

გადოებრივი მდგომარეობა და მერე იმ გაბატონებული აზრის სიმძლავრე, რომელიც დაბჯენოდა ჩვენს ობიექტურ პირობებს და შეურყეველად ბატონობდა ჩვენს ნწერლობაში და საზოგადოებაში.

ეს აზროვნება იყო ილია ჭავჭავაძის დიდი ნიჭით დაკანონებული სრული კონსერვატიზმი და სოციალურ საკითხების გადაჭრაში მთავრობის უკან მიყოლა.

როგორც უკვე დავინახეთ, ბატონყმობის გადავარდნის საქმეში ჩვენი გაბატონებული წოდება და აზროვნება, თვითმპყრობელ მთავრობაზე უფრო მემარჯვენეობა კიდევ დიდხანს მეფობდა, რასაც თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჰქონდა მაგრად დასაყრდნობი ნიადაგი: ერის გადამხალისებელი კლასი,—ეროვნული ბურჟუაზია—ძალზე სუსტი იყო და ახალი ძალა გლეხობაც—თვითგამორკვევის ხანას განიცდიდა, ხოლო პროლეტარიატზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჟურნალი „იმედი“ მალე დანებდა გაბატონებულ აზროვნებას და ქედი მოიხარა „ივერიის“ კონსერვატიზმის წინაშე. აი, რას სწერს ნოე ჟორდანია ამ ფაქტის შესახებ თავის „ქართულ პრესაში“: ჟურნალი „იმედი“ დააარსეს ქართველ „ნაროდნიკებმა“ 1881 წ. ეს იყო მაშინ „ივერია“-ს (ჭავჭავაძის ორგანოა) ერთად ერთი საოპოზიციო ორგანო. მაგრამ შეერთებულ „დროება -ივერიას“ ის ვერ უძლებს და 1882 წლის გასულს ისპობა. „იმედის“ თანაშრომლები: სტ. ჭრელაშვილი, გრ. ყიფშიძე, ა. ნა-ლი, ნ. ხიზანაშვილი, და სხვ. გადადიან განახლებულ „დროებაში“. ეს იყო ამ ჯგუფის მხრივ „ივერიის“ კონსერვატიზმის მიღება, რადგან იმ წელში „ივერია“ და „დროება“ ერთ რედაქციაში შეერთდენ“.

„ტეტიათა მოტრფიალეთა“ სისუსტის მეორე მიზეზად ისიც ჩაითვლება, რომ მათ ჯგუფში არ იყო ძლიერი ნიჭის მხატვარი, რომელსაც შესძლებოდა „სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმიროთა“.

გავეცნოთ ამ ჯგუფის მხატვრულ შემოქმედებას, რომელიც თავა-აზნაურობის სურათების გვერდით იშლებოდა.

რაფიელ ერისთავი

რაფიელის თვალწინ გაიარა ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა იმ მნიშვნელოვანმა მომენტებმა, რომელთაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის განმაელობაში. მისი პირადი ცხოვრება საკმაოდ მდიდარი იყო საყურადღებო ფაქტებით, მასთან ნიჭიც შესწევდა და განვითარებაც, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა მისი მუზა მაინც კარგა ხანს უკომპასოდ მიმოდიოდა ჩვენი ლიტერატურის ორღობეებში და მხოლოდ ოთხმოციან წლებში მონახა მკვიდრი თავშესაფარი. ხან სიყვარულის ხოტბა, ხანაც ეროვნული მოტივი და ბოლოს სურათები გლეხების ცხოვრებიდან—აი, ამ მწერლის გზა. უკანასკნელმა თემამ ისე ღრმად და ყოველ მხრივ შეიპყრო იგი, რომ დანარჩენი მისი ლიტერატურული ნამოღვაწეი ერთიანად დაჩრდილა. რაფიელს ჩვენი ლიტერატურა იცნობს, როგორც გლეხთა ყოფა-ცხოვრების მხატვრულად ამსახველ მწერალს.

რაფიელ ერისთავს შესანიშნავად განვითარებული მხედველობა და დაკვირვებითი თვალი აღმოაჩნდა: გლეხის ყოფა-ცხოვრების გარეგანი მხარე მან

დიდი მხატვრული სინამდვილით აითვისა და, რომ პირადი მისი თვისება—ბატონყმური ფსიქოლოგია და ამის შესაფერი სათვალეები არა, თვითონ გლეხის სულიერ ვითარებასაც სრული სისწორით მიწვდებოდა იგი.

რაფიელმა იცის და მის მიერ დახატულ გლეხსაც შეგნებული აქვს, რომ შშრომელი ელემენტი მთელი ცხოვრების დედაბოძია:

„მოხელე, მღვდელი და ერი—
ყველა მე შემოჰცქერია“, ამბობს იგი.

ბერუა ჩაფიქრებული ჩივის:

„ყველა მე ჩამომეკიდა:
მამასახლისი გზირია,
როგორ არა ვთქვა ბედშავმა,
მე ჩემი გასაჭირია“.

ყველა გლეხის ნაოფლარით რჩება, მაგრამ მაინც ყველა მისი მტერია და არავინ ხელს არ უწყობს. უპირველეს ყოვლისა მას არა აქვს სამოქმედო ასპარეზი, საწარმოო იარაღი, რომ ცხოვრებისათვის საჭირო ღირებულება შექმნას.

„ე, როგორ არი, ვერ მივხვდი,
როგორი განაჩენია,
მიწა სხვისაა, ვქირაობ,
შრომა კი მარტო ჩემია.

ეს შავი მიწა მაინც რომ
სასყიდლად არა მქონოდა,
შავ სამარემდი, რა ვიცი—
მე რაღა დამაღონებდა“.

ასე ჩივის უმიწაწყლო გლეხი, რომლის ოფლით რჩება ყველა და რომელსაც დასამუშავებელ მიწასაც კი არ აძლევენ. ასეთი იყო მაშინდელი სამართლიანობა!

ხშირად გლეხს მიწის დასამუშავებელი იარაღიც—ცოცხალი ინვენტარიც არ გააჩნია. ხარის სიკვდილი მისი ოჯახის სრულ გაუბედურებას უდრეს.

„ჩაფიქრებულა თანდილა,
დაუკრეფია გულ-ხელი,
ჩასცქერის დედამიწასა,
ჩუმად ბუტბუტებს გულ-ხელი:
— მომიკვდა ხარი გიშერა,
მოკვდა,—გამიწყრა ღმერთია.
„სადღა ვუშოვო მეუღლე,
ცალადღა დამრჩა ერთია.
რილათი მოვხნა ნაწრეტი,
რით ავიცილო შიმშილი?
რითი გავუძღვე ქვეყანას,
რითღა ვარჩინო ცოლშვილი“.

ასე გოდებს გლეხი, რომელსაც ამავე დროს ბუნებაც ემტერება გვალვით, მავნებელი მწერებით და სხვ. რაფიელის გლეხმა იცის, რომ ქვეყანაზე უკანონობაა, მისი ნაშრომი სხვას მიაქვს, მაგრამ იგი მაინც ამაყი და გულგაუტეხელია:

„გლეხად დამბადა უფალმა,
იმასაც ვეთაყვანები--ო.

იძახის იგი და მიუხედავად იმისა, რომ მას კარგად აქვს შეგნებული თავისი მდგომარეობა, იგი მაინც ამ ქვეყნად არავის უპირებს დამდურებას და გულწრფელად უსმენს ჩვენს ავტოს, რომელიც ეუბნება „ღმერთი დიდია, ღარიბო", იმისი ბედი გქონდეს და არა გიშავრს რაო". ამ მომენტში გამოსჭვიეის ჩვენი ავტორის პირადი გადახრა, ცხოვრების შესასწავლ ობიექტურ ძიების მომენტს გადაეცასკვა პოეტის სუბიექტური შეხედულება და ჭეშმარიტებაც იჩრდილება. ცხოვრებისგან გამწარებულნი ასე აღარ მსჯელობენ. ჭონქაძის მიერ დახატული მებრძოლი ყმების შთამომავლობა შეუძლებელია, რომ აგრე მოთვინიერეაული იყოს და დედამიწის ნაცვლად ზეცისაკენ გაიყურებოდეს.

რაფიელს უყვარს ჩვენი გლეხის ცხოვრებიდან იდილიური მომენტების ამოღება, მისი გლეხი უწყინარი და უშფოთველია, თუმკ თავის მდგომარეობა კარგად აქვს შეგნებული.

„თინიას მამითადი" მშრომელი გლეხობის კოლექტიური გრძნობის გამომხატველი სურათია, „ღამის მეხრე", „ცხელა და ცხელა" და სხ. კი გლეხური ყოფა-ცხოვრების იდილიის.

საერთოდ რაფიელ ერისთავმა მისი დროის გლეხის მდგომარეობა სწორი ხაზებით გადმოგვცა. მისი შეგნების დასაწყისიც გვაჩვენა, მაგრამ, საერთოდ, იგი ცდილობს, რომ გლეხის ცხოვრება შეალამაზოს, შეფეროს და ერთგვარი იდეალიზაციით გაგეიშაქროს. ის ბატონივით უსვამს გლეხს თავზე ხელს და მამაშვილურად ეფერება. მართალია, გიჟირს, მაგრამ რა გაეწყობა, მოითმინეო. პირველ ადგილზე მის შემოქმედებაში გლეხის ცხოვრების გარეგნული მხარეა დაყენებული, შინაგანი ცხოვრება და მისი დინამიურობა კი მეორე რიგშია.

ს. მგალობლიშვილი

(1851—1926 წ.)

ამავე მიმართულების არის ამ მწერლის შემოქმედებაც, თუმც მგალობლიშვილის გლეხი უფრო აქტიურია და პირდაპირ ებრძვის ცხოვრების უკუღმართობას. მისი მოთხრობებიდან გამოსარჩევია „ღამის მეხრე ცეცო", რომელიც რაფიელისებური იდეალიზაციით ჰყავს მას შეფუთვნილი, თუმც იმავე დროს ცეცო სრულებით არ უხრის ქედს ცხოვრების უკუღმართობას. იგი ერთ ღარიბ აზნაურთან ერთად - გვარაძესთან—ლაზათიანად მისტყეპავს წინასწარ მოფიქრებულის გეგმით მამასახლისს, ჩარჩებს და მის ამყოლებს. ცეცო მარტო საკუთარი ცხოვრებით როდი ცხორობს. მართალია, ის თავისი მდგომარეობით ყველაზე უმცირესია, მაგრამ სასოფლო საქმეები ერთობ აინტერესებს და ქვეყნის ორგულებსაც გაბედულად ებრძვის.

თუმც ეს ცხოვრება მხატვრული მხრივ ერთობ სუსტია, მაგრამ შიგ მძლავრად სცემს დემოკრატიული ნაკადელი და მისი მნიშვნელობაც ამაშია. საერთოდ მგალობლიშვილის მოთხრობები ახასიათებენ გლეხთა უმწეო და გაჭირვებულ ცხოვრებას. მკითხაობა, ცრუმორწმუნეობა, ჩარჩები და მატყუარები, ცუდი მოურავები, ასეთივე ბატონები და მათი მმართველები—აი, გლეხობის მტრები და დამღუპველნი. რაშია გლეხობის ხსნა: ერთი პირის შეკერაში, ერთად მოქმედებაში და ერთმანეთის გატანაში, სასოფლო საქმეების თავისითვე მოწყობაში და სხვ მებრძოლი გლეხის ტიპი ჰყავს მწერალს გამოყვანილი აგრეთვე მოთხრობა „ჯორ-ხაქარაში“.

ნ. ლ ო მ ა უ რ ი

(1852—1899 წ.)

ს. მგალობლიშვილთან ,ერთად ლომაურის უბედურებას ის გარემოება შეადგენდა, რომ მასში მხატვარს პუბლიცისტი სჯობობდა, იგი არც დიდი შემოქმედების პატრონი იყო. ამიტომ არის, რომ ამ მწერლების მოთხრობები ყოველდღიურობის ულფერს ატარებენ, ოქმობრივი სისწორით აღნიშნავენ წინასწარ დასახულ მიდრეკილებას.

ჯერ აზრი და მერე ამ აზრის მხატვრულ სახეებში გაშლა—აი, მათი შემოქმედების მუშაობა. დიდი ნიჭის მწერალი, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში გამარჯვებული გამოვიდოდა და მხატვრული სურათიანობა დასძლევდა მშრალ სქემას, მაგრამ ჩვენი „ტენდენციათა მოტრფიალენი“ ამ მხრივ საგრძნობლად მოიკოლტებენ.

ლომაურის შემოქმედებაც ს. მგალობლიშვილის ხასიათისაა: გლეხის მისაბაძი და სიმპატიურ პროფილებში ჩვენება, შრომის პოეზია, ენება ცრუმორწმუნეობისაგან და სხვ. ამასთან ერთად იდეალად მწერლის მიერ არის დასახული ძველებური, პატრიარქალური დიდი ოჯახი თავის ბატონყმური ატმოსფეროთ და სარწმუნოებით. დაგმობილია ყოველივე ახალი, ასე გასინჯეთ „ბერუა ქრისტესიაშვილი“ სოფლის ექიმბაშიც კი მეცნიერულად მომზადებულ ექიმზე მაღლაა დაყენებული. დაგმობილია ქალაქიც გაკინტოებულ დათიკოს სახით, რაც იმას ამტკიცებს, რომ თვითონ ჩვენს ავტორსაც ერთობ ნაკლები წარმოდგენა აქვს ქალაქის მნიშვნელობაზე ერის ცხოვრებაში. მაგრამ აქ „ნაროდნიკული“ რეცეპტი გამოჩანს და ავტორი განგებ დგება პრიმიტიულ თვალსაზრისზე.

ლომაურის გლეხები თავადებთან როდი არიან ცუდ დამოკიდებულებაში. პირიქით, როცა დათიკო ამბობს: „არამზადა ბატონი—თორნიკე ქედმალალაშვილი—კაი კაცობისათვის ლუკმა-ლუკმა ასჩეხეს თავისმაგე გლეხებმაო“,—მამა გაბრაზებული შეჰყვირებს და ზეზე წამოვარდება. გლეხებსა და ბატონებს შუა მამაშვილური დამოკიდებულება უნდა იყოს ბერუას აზრით. მკითხველი მიხვდება, რომ ეს „სოციალური ჰარმონიის“ ქადაგების საჭიროება ი. ჭავჭავაძისაგან აქვს ლომაურს ნასესხები. ამ იდეას ლომაურის სხვა მოთხრობებშიც შეხვდებით. ყაყიტას ქურდი—ეფრემა, რომელიც ავტორმა პატიებისათვის გლეხის წინაშე დააჩოქა, აზნაურის შვილია, ცუდი საქციელისათვის მამამისი უნამუსოს ეძახის.

აზნაურის ჩარევა და მთავრობასთან ერთგვარი ხელოვნური შერიგების სიმბოლო აფუძებს ამ ავტორის მშვენიერ მოთხრობას „ყოველის მხრიდან“, რომელშიც საუცხოო სურათებია მოცემული ბუნებისა და ადამიანის დაპირდაპირების ნიადაგზე.

ჩვენი „ტეტიათა მოტრფიალენი“ იმით არიან აღსანიშნავი და ყურადღების ღირსნი, რომ თავის ლიტერატურული მოღვაწეობის მთავარ საგნად მათ გლეხობა და მისი სამსახური გაიხადეს. მაშინდელი გაბატონებული აზროვნება კი უმეტესად თავად-აზნაურობის გარშემო ტრიალებდა. რა უშველის თავად-აზნაურობას, რა იხსნის ყოფილ მებატონეებს დაღუპვისაგან?—აი, ამ დროის თემები. მთელი ჩვენი ეროვნული ცხოვრება, აწმყო, წარსული და მომავალი ამ თვალსაზრისით იზომებოდა. ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს ბრწყინვალე წოდების ხოდაბუნებში და კოშკებში ანთებულ ლამპრებით ანათებდენ.

გლეხობა მაინც ბედნიერი და ჯანსაღი წოდებაა, შველა უნდა ერის დაავადებულ ნაწილს, თავადობას,—ასე დააკანონა ილია ჭავჭავაძემ და ასე იწამეს სხვებმაც. „ტეტიათა მოტრფიალეების“ გამოსვლა უპირველეს ყოვლისა ამ ოვალსაზრისის უარყოფას ნიშნავდა: მათი მწერლობის საგანი გლეხობა იყო. მართალია, ისინი ვერ იყენენ დიდი რადიკალები და ძალიან ნაკლებად ჰგავდენ მათ მრნათესავე რუსეთის ნაროდნიკებს; ჩვენში გაბატონებული აზროვნების წინაშე მათ მრავალი რეევერანსი გაუკეთებიათ და ბოლოს, ნ. ჟორდანიას თქმის არ იყოს, კიდეც „გაიეერიელდენ“,—მაგ. ლომაურის მოთხრობები,—მაგრამ მათი დამსახურება მაინც დიდია, ისე დიდი, რომ ქართული კონსერვატიული აზროვნების მწერალი, ილია ჭავჭავაძეც კი, ძირს მოხარეს და „ოთარაანთ ქვრივი“ თავიანთი გავლენით დააწერინეს. „ღამის მეხრე ცეცო“ ოუ დავაკვირდებით, გიორგის უფროსი ძმა არის, მათ შორის ბევრი რამ არის საერთო.

აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთლის შემოქმედებას ორ განყოფილებაში შევეხეთ: ეროვნულ საკითხში და ბატონ-ყმობის დასურათებაში. მაგრამ დიდებული მგოსნის შარავანდედი უსათუოდ ბევრს დაჰკარგავს, თუ კიდევ ერთის მხრივ არ მივუდგებით შას. ჩვენ სახეში გვაქვს ის დემოკრატიული ტენდენციები, რომელიც თავიდანვე ახასიათებდა მის დიად შემოქმედებას. მართალია, აკაკი ფორმალურად არ ეკუთვნის „ტეტიათა მოტრფიალეთა“ ჯგუფს, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ამ ჯგუფზე ნაკლებად არც აკაკის უყვარდა ჩვენი გლეხობა და მთელი მისი თანაგრძნობა ამ წოდებისკენ იყო მიმართული. თავად-აზნაურული საქართველო აკაკის შემოქმედებისათვის სანუგეშოს არას წარმოადგენდა. დიდ მგოსანს სული ეხუთებოდა ამ წრეში და თვალი მუდამ დაბალ წოდებისკენ ჰქონდა მიქცეული.

„კიკოლას ნაამბობში“ პოეტის თანაგრძნობა დაბალი ხალხის შვილისკენ—კიკოლასკენ არის მიპყრობილი, ხოლო მაღალი წოდების წარმომადგენელი ზურაბ წერეთელი და მისი ლალატი ზიზღს ჰგვრის მგოსანს. პროზიდან „ბოდბეში“ ერის განმაახლებლად და სნეული ადგილების განმაკურნებლად „მეწალკოტე ტარიელა“ ჰყავს მას დასახული. გარდა ამისა ჩვენს მგოსანს აქვს ლექსთა მთელი რიგი, რომელიც გლეხების ცხოვრებას გვისურათებს.

„ღმერთო, წვიმა მოიყვანე
წითელი და შხაპუნაო,
რომ გავიდეთ სამუშაოდ
და დავსძახოთ ჰოპუნაო“, ასე იმღერიან აკაკის გლეხები, რომელნიც ნატრობენ, რომ მათთან ერთად მუშაობდენ მათი ცოლებიც და შვილებიც. ამ რაფიელ ერისთავისებურ იდილიას ასრულებენ მისი კლასიკური ლექსები: „მუშური“, „სიმღერა მკის დროს“, „მუშებს“, „ბუშის ნატვრა“, „მუშები“ და სხვ. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აკაკის გლეხებიც რაფიელ ერისთავის გლეხებივით თვინიერი არსებებია და არც ტახტს აწუხებენ და არც საკურთხეველს:

„ბედს არ ვემდური, ღმერთს ვშადლობ,
თავი არ შომაქვს საკვეხნად,
თავდებად მაღლა ზეცა მყავს
და დედამიწა ამ ქვეყნად“-ო.

ამბობს აკაკის მუშა.

გარდა მხატვრული ნაწერებისა აკაკი პუბლიცისტიკაში და პრაქტიკულ ცხოვრებაშიც ყოველთვის მშრომელთა მხარეზე იყო. აი რა სთქვა მან, სხვათა შორის, ერთი იუბილეს დროს: „ჩვენ ყოველთვის უფრო შევჩერებივართ ზედა ტანს (ერისას) და იმ ფესვს კი, რომელსაც მიწის მუშა ეწოდება, ხშირად ვერც კი ვხედავთ. აი თუ გინდა დღესაც. აქ, ჩვენთან, არც ერთი მათგანი არ არის, მაგრამ მათი ნაკურთხი მარჯვენა კი აქ, ჩვენ წინ, ჩვენ სუფრაზე ძევს; „პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასო“. ჩვენ დღეს ემხიარულობთ ამ პურ-ღვინით და ეს სიხარულის მიზეზი იმ მუშების, იმ დაბალი წოდების მეოხებაა, რომელიც ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს და ისე ეუფლიდეთ, როგორც კეთილი მებაღე უვლის ხეხილს. მაშ, გაუმარჯოს იმ ჩვენ ღარიბ და ქვედა საფეხურზე მდგომ მოძმეებს და მათთან ერთად იმათაც, ვინც იმათ არ ივიწყებს“-ო *. ასეთი აზრის გამოთქმა დღეს ყველა ჩვენთაგანს შეუძლია, ეს ახლა, დღეს უდაო ჭეშმარიტებაა, ხოლო მაშინ კი, როცა აკაკიმ იგი წარმოსთქვა (1894 წ.), უსათუოდ ახალი სიტყვა იყო და მასთან საკმაოდ გაბედულიც. აკაკის დემოკრატიის სიყვარული იმაშიც გამოიხატა, რომ იგი საერთოდ დიდის თანაგრძნობით შეხვდა ეგრეთ წოდებულ „მესამე დასს“, რომლისაგანაც წარმოიშვა სოციალ-დემოკრატიული პარტია. მართალია, მას ბევრი მწვავე ეპიტეტები მიუძღვნია ამ ჯგუფისათვის, მაგრამ მისი სიმპატია მაინც ამ ჯგუფისკენ იყო და ჩვენში არსებული სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები მას ნაკლებად აკმაყოფილებდა,

ტეტიათა მოტრფიალეებს გავლენა ჰქონდათ აგრეთვე ყაზბეგზე, ანტონ ფურცელაძეზე, ვაჟაზე, დავითაშვილზე და ბოლოს ეგნატე ნინოშვილზე.

ამ უკანასკნელს ცალი ფეხი ერთობ მაგრა უდგას ტეტიათა მოტრფიალეების მიერ შექმნილ ნიადაგზე და ამავე დროს მის თვალწინ ახალი ჰორიზონტებიც იშლება. „განკარგულება“, „გოგია უიშვილი“ და „მოსე მწერალი“ უსათუოდ ნაროდნიკული ტიპის მოთხრობებია. სილარიბე, ჩაგვრა მთავრობის მხრივ,

*) ჟურნალი "მოამბე", 1894 წ. № 10, გვ. 127.

ცრუმორწმუნეობა, სხვადასხვა უბედური შემთხვევები და ფათერაკები, — აი რას ეხედავთ ამ მოთხრობებში. ზოგიერთი ეს ნაწარმოები ხელოვნების მხრივ თუმც სრულიად დამაკმაყოფილებელი არ არის, მაგრამ „ტეტიათა მოტრფიალეების" ნაწერებთან შედარებით ერთოლ მაღლა დგას. არაგვისპირელმაც რამდენიმე მოთხრობა დასწერა ამ მიმართულების გავლენით.

ნინოშვილის შემდეგ ჩვენს გლეხურ ლიტერატურაში მყარდება ერთგვარი პაუზა, რომელიც დრო და დრო კანტიკუნტად ირღვევა, ხოლო პირველი რევოლუციის წინ და შემდეგაც გამოცოცხლების საკმაო ნიშნებიც ჩანს. 1904-05 წ. ჟურნალ „მოამბეში" დაისტამბა ვ. მალაქიაშვილის მოთხრობა „ლუკმა პურისათვის", რომელიც გლეხთა ცხოვრებას, გაპროლეტარებას და ქალაქისაკენ მისწრაფებას ასურათებს[1]). ცოტა ხნის უკან ივ. გომართელმა გლეხთა ცხოვრებიდან დასწერა პიესა „ქოხში". რევოლუციის დამარცხების შემდეგ ი. გედევანიშვილმა ცნობილი პიესა „მსხვერპლში" გვაჩვენა გლეხობის ახალი სახე. ამავე თემაზე არის დაწერილი ვ. მალაქიაშვილის მოთხრობა „სოფლის სურათები", რომელიც ცალკე წიგნადაც არის გამოსული.

უკანასკნელი დროის მოთხრობები სრულიად თავისუფალია თავადაზნაურობასთან შემარიგებელ ელემენტებით, პირიქით, აქ ყოველი სტრიქონიდან გამოსჩქვივის სოფლის სრული დაქსაქსვა და დაუნდობელი კლასთა ბრძოლა. ეს პროცესი მე-80 წლებში სანთლით იყო საძებარი, მერცე საუკუნეში კი სააშკარაოზე იყო გამოსული და უკვე შეუძლებელი იყო დიადი ბრძოლის შენელებისა და ფერუმარილით შელებვის ცდა. მასთან თვალთა ხედვის ისარიც სულ სხვა გვარია.

რუსეთის აწ განსვენებულმა ცნობილმა აკადემიკოსმა და კრიტიკოსმა ავსიანიკო-კულიკოვსკიმ ერთხელ სთქვა: მწერლის შემოქმედების შესაფასებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, თუ რომელ ფანჯრიდან ათვალიერებს იგი ცხოვრებას: გაბატონებული კლასის, თუ დაჩაგრულისო. სამოციან წლებში ჩვენი აზროვნების მესვეურნი ჭავჭავაძის მეთაურობით გაბატონებული კლასის ფანჯრებიდან სწავლობდენ ჩვენს სინამდვილეს. ამ ხანებში ოპოზიციაც გაჩნდა და დემოკრატიულ სარკმლებიდანაც გამოჩნდენ ჭოგვრიტით მეთვალთვალენი, რომელნიც დრო გამოშვებით შემარიგებელ შუათანა ფანჯარასაც მოადგებოდენ, ხოლო ცხრაასიან წლებში კი ამ მერყეობას ბოლო მოეღო და უკვე დემოკრატიულ საგუშაგოებიდან ხდება სინამდვილის ასახვა. ამიტომაც ამ ნაწერებში მძლავრად გაისმის კლასთა ბრძოლის ხმაურობა.

აი მოკლედ ის ორი კალაპოტი, რომელშიაც მიმდინარეობდა წოდებათა დაქსაქსვა ბატონყმობის შემდეგ.

---

[1]) ამ მოთხრობების შესახებ უხერხულად მიმაჩნია მეტი რაიმეს თქმა, ვინაიდან მისი ავტორი თვითონ ამ სტრიქონების დამწერია. აქ თუ ვახსენე, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სოციალური აღზრდის მთავარ სამმართველოს მიერ სასკოლო პროგრამებშია შეტანილი.

რამდენიმე დასკვნა და მომავლის პერსპექტივები

I

ოთხმოციან წლებით ერთი დიდი და შესანიშნავი ხანა დასრულდა ჩვენს ცხოვრებაში. ამისთვის საჭიროა ერთგვარი ჯამის გაკეთება. ამ წლებიდან იწყება ჩვენი განვითარების მეორე ეტაპი. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ მომავალი ცხოვრების მაგისტრალიც.

რა სახე მიიღო და როგორ ჩამოყალიბდა სამოციან წლებში დაწყებული ჩვენი ერის ყოველმხრივი აღორძინება? როგორი იყო ამ ხანაში ქართული აზრის მიმდინარეობა?

ობიექტიური ცვლილებები ასეთი იყო: ა) პოლიტიკურ-სოციალური ცხოვრების სცენაზე დამკვიდრებული თავადაზნაურობა იძულებული შეიქნა თავის გვერდით დაეთმო ადგილი ბატონყმობის უღლიდან განთავისუფლებულ გლეხობისათვისაც. ეს იყო ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე სრულიად ახალი ელემენტის გამოჩენა. ბ) ორივე წოდების სიღრმეში დატრიალდა ახალი გრიგალი: მოვარდნილმა სოციალურმა ნიაღვარმა ამ წოდებების ნაწილები გააღარიბა და ამ პროცესში ზოგი ქალაქში გადაისროლა და ზოგიც სოფლად ჩააყენა ნახევრად დაქირავებული მუშის პირობებში. ქონებრივად ხელმომაგრებული ნაწილი-კი სხვილი მიწათმფლობელები. ჩარჩ-მევახშეები,—ამავე ადგილებში დააგროვა. გ) ის ყულფი, რომელიც 1801 წელს რუსეთის თვითმპყრობელობამ ჯერ ვითომდა ნებაყოფლობით და მერე კი ძალად გადააბა საქართველოს კისერზე, _ არა თუ შესუსტდა ამ ხანაში, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა და გამძაფრდა: დევნა ყოველივე ქართულის და, საზოგადოდ, ქართველი ადამიანის უმაღლეს წერტილამდე აღწევს, გარუსების პოლიტიკა უაღრესად ვითარდება. გარდა ამისა საქართველოში ბიუროკრატიამ არ გაავრცელა ყველა ის რეფორმები—ერობები, სასამართლოს ცვლილებები და სხვ., რომელიც შიდა რუსეთში 60 წ. წ. შემოიღო და ქართველი ინტელიგენციაც, რაკი გასაქანს ვერსად პოულობს, იძულებული ხდება მთავრობის კანცელარიებში იკრუნჩხოს. რუსეთის ერობები, ე. წ. „მესამე ელემენტისათვის" უდიდესი სკოლა და სამოქმედო ასპარეზი იყო, ჩვენში არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. ასე-რომ საქართველო რუსეთთან შედარებით პოლიტიკურად ორკეცად იტანჯება: ნაციონალურად და საერთო სახელმწიფო რეფორმების აცილებით,—როგორც უღირსი ერი.

როგორია ჩვენი აზროვნების მაჯისცემა ამ ხანაში?

საზოგადოებრივი აზროვნების დედა ძარღვი ნაციონალური უბედურებაა, მიმდინარეობის ფარვატერში ისევ ეს ტრაღიკული საკითხი დგას. ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში წყნარ ნაკადულად აჩქეფებული ეროვნული გოდება სამოციან წლებში მდინარედ იქცევა, ხოლო 80 წლებში უკვე მძლავრ თქეშად იშლება—აკაკისა და ყაზბეგის ქნარი სწორედ ამ ხანებში იმონებენ ქართველი ერის სულსა და გულს.

მეორე, გაცილებით უფრო სუსტი ნაკადი, სოციალური საკითხია. ბატონყმობა მთელ ერს სულის შემხუთავად აწვა და შეუძლებელი იყო, რომ ამ სიმძიმის დაწოლას ისტორიის განსაზღვრულ საფეხურებზე საპასუხო პროტესტი

არ გამოეწვია. მაგრამ როგორც ვნახეთ, ამ საკითხში ჩვენ დიდი დამსახურება არ მიგვიძღვის: გაბატონებული აზროვნება რუსეთის ბიუროკრატიაზე მარჯვნივ ვაც კი იდგა. იგი ფიქრობდა: მთავრობა გლეხობას თუ მაინცა და მაინც ათავისუფლებს, მიწა მაინც ჩვენი უნდა იქნეს და პირადი თავისუფლების მიღებისათვის გლეხმა უსათუოდ სასყიდელი უნდა მოგვცესო. წოდებებზე შეხედულება ბოლომდე არ შეცვლილა და მუდამ ერთსა და იმასვე ღაღადებდენ, როგორც პუბლიცისტიკაში, ისე მხატვრულ ლიტერატურაში,—ჩვენს მამებს წოდებრიობა მთელი ცხოვრების ქვაკუთხედად მიაჩნდათ. მაშასადამე აზროვნება ფეოდალური რჩება. წოდებრიობის პრინციპი საფრანგეთში 1789 წ. მოისპო, ჩვენში კი ასი წლის შემდეგაც იცავენ. აი ჩვენი ჩამორჩენილობის თვალსაჩინო მაგალითი.

მართალია, ოთხმოციან წლებში მწერალთა ერთი ჯგუფი გიორგი წერეთლის „დროების“ ტრადიციას აგრძელებს და „ტეტიათა მოტრფიალეთა“ სახელის დამსახურებით გლეხობის საკითხსაც აყენებს, მაგრამ ეს ჯგუფი მეტად უძლურია და გაბატონებული აზროვნების წინაშე მალე ქედს იხრის. არც „ხალხში სიარული“ და არც „შენანებული თავადის“ ტიპი ჩვენმა აზროვნებამ არ იცის. რუსეთის ინტელიგენციას ჩვენი ხალხსნები ამ მხრივ დიდად ჩამორჩენ.

80 წლებში რუსეთის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში იწყება დიდი რეაქციის ხანა: ლორის მელიქოვის „გულის დიქტატურას“ ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგ მათრახისა და სახრჩობელას ბატონობა სცვლის და ჩვენი ცხოვრება რუსეთთან ერთად სრულიად დუნდება და გარეგნულად თითქოს იძინებს. ეს საშინელი რეაქცია გრძელდება 90 წლებამდე.

ამ ხანაში ქართული აზროვნების სადავე ჩვენს კონსერვატორებს უჭერიათ, მათი ორგანოა „ივერია“, მბრძანებელი კი ილია ჭავჭავაძე. „ქართულ აზროვნებას, ქართულ ჭირსა და ვარამს შეეძლო მხოლოდ „ივერიის“ საშუალებით გამოსჩენებოდა ქართველ მკითხველს,—სწერს ნ. ჟორდანია „ქართულ პრესაში“. ვისაც წერის სურვილი ჰქონდა, უთუოდ „ივერიაში“ უნდა ეწერა, ვისაც რა სათქმელი ჰქონდა—უთუოდ „ივერია“ უნდა ეკითხა, მეტი გზა არ იყო. „ივერია“ როგორც ერთად ერთი ქართული ლიტერატურული და პოლიტიკური გამოცემა შეიქნა თავის ბატონის უძლიერესი იარაღი. თ. ი. ჭავჭავაძემ შეიძინა ქართული ორგანოს მონოპოლია, ის არის რედაქტორი მონოპოლისტი.

რას ნიშნავს „ივერიის“ გაბატონება? ეს ნიშნავს გაბატონებას მისი ეკონომიური, პოლიტიკური და ზნეობრივი მოძღვრებისა. ეს ორგანო ამ დროს ქადაგებს, რომ ქართველი ერის ხსნა დამოკიდებულია სათავადაზნაურო ბანკებზე, სოფელზე და სოფლის მეურნეობაზე. „ყველა ეს, რასაკვირველია, დაწერილია „ივერიულად“, ე. ი. ბანალური აზრების „ბრტყლად“ გამოთქმა, როგორც ეს სთქვა ნიკო ნიკოლაძემ „დროებაში“. ასე ახასიათებს ჟორდანია ამ შავბნელ ეპოქას.

„ივერიის“ კონსერვატიზმის ბატონობა, რაც სრულიად შეთანხმებული იყო საერთო საზოგადოებრივ რეაქციასთან, „კვალისა“ და „მოამბის“ 1893-94 წ. წ. გამოსვლამდე გაგრძელდა.

როდესაც ჩვენს დიდ მგოსნებს ვსწავლობთ, ერთი გარემოება უსათუოდ გვეცემა თვალში: ერთი მხრივ ფაქტია, რომ ნაციონალურ საკითხში მათ შო-

რის საკმაოდ რადიკალური განწყობილება სუფევს და მეორე მხრივ-კი სრული კონსერვატიზმი ბატონობს სოციალურ საკითხებში. ჩვენი მამები ცხარე ცრემლებით დასტირიან საქართველოს დამოუკიდებელ წარსულს, ხშირად ისინი თითქოს რევოლუციონურადაც კი არიან განწყობილნი და რუსეთის მთავრობისათვის ავის მეტი არაფერი სურთ. ვახტანგ ორბელიანმა სარწმუნოებაც კი დაგმო: თუ ქვეყანაზე ღმერთი კი არის,

„მაშ საქართველო ასე მწარედ
რისთვის დაემხო,"—ის საქართველო, რომელიც ქრისტიანობის იდეის შენარჩუნებას შეეწირაო.

რუსეთის თვითმპყრობელობის სივერაგით გულმოკლული ილია ნახევრად ირონიულად ამბობდა: „მას აქეთ, რაც კურთხევა უფლისა

მიეცა ტანჯულ ივერიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა,—
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს"-ო.

მტრის გასაგმირად ალესილი აკაკის „ხანჯალი" ხომ ცნობილი ლექსია საქართველოში. იგივე აკაკი განუსაზღვრელ სიხარულს ეძლეოდა, როდესაც რუსეთის მთავრობა სასტიკად დამარცხდა იაპონიასთან 1905 წელს. აი, როგორი ლექსი გააპარა აკაკიმ მაშინდელ ცენზურას: „გურული ნანინა" (მოგვყავს შემოკლებით).

„ჯერ აკვანში ჩაკრული ხარ...
გასალტული და იწვალე,
გაიზრდები, სხვა იქნები,
ოი, ამას ვენაცვალე!
მე, მონობის დროს ნაშობი,
მონობაში დავიღალე;
შენ კი სულ სხვა ბედისა ხარ,—
ოი, ამას ვენაცვალე!
ის რაც იყო, აღარ არის,
შეიცვლება დღეს თუ ხვალე,
გზატკეცილი დაგიხვდება,
ოი, ამას ვენაცვალე"—და სხვ: („ივერია" № 5,59—1905 წ.)

ამ კუპლეტების ბოლო სტრიქონებში „ოი, ამას ვენაცვალე" გაპარებულია იაპონიის ჯარების მთავარ სარდლის გვარი „ოიამა". სწორედ ამ ოიამას სამხედრო ნიჭმა გაანადგურა რუსეთის ჯარები და აკაკიც აღტაცებაშია საუკუნო მტრის დამარცხებით. ამ ლექსს თავის დროზე მთელი საქართველო იმღეროდა.

ცხრაას ხუთი წლის რევოლუციაც აკაკიმ თავისებურად აითვისა და მრავალი აღფრთოვანებული ლექსი (უძღვნა მას. მოგვყავს ერთი ყველაზე უფრო შესანიშნავი:

„ამას ველოდი, მოვესწარ,
ვიცინი, აღარ ვტირი მე,
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ
გამოდით, თქვენი ჭირიმე!
ბევრი რამ მითქვამს... რომ მეთქვა,
დავიმახინჯე პირი მე...
ახლა არ გვგლეჯენ ენასა,—
სთქვით რამე, თქვენი ჭირიმე!
ასჯერ გაზომეთ და ერთჯერ
გამოსჭერთ... ახლაც ვყვირი მე.
ნუ აჩქარდებით, ნურც შიშობთ,
გამტკიცდით, თქვენი ჭირიმე.
ბევრი ვეცადე, ძიმწარეს
ვერ მოვუთხარე ძირი მე...
ახლა კი თქვენი ჯერია,
დაბარეთ თქვენი ჭირიმე.
კუბოს კარამდე მისული
რაღა ვარ განაწირი მე,
მაგრამ თან თქვენი იმედი
მიმყვება, თქვენი ჭირიმე.
ნუ გამიმტყუნებთ იმედსა,
ხომ ხედავთ, აღარ ვტირი მე.
დრო მოდის, ერთად ვიცინოთ,
ვიცინოთ, თქვენი ჭირიმე“.

ცარიზმის ბრძოლის ველზე დამარცხება და პირველი რევოლუციის გამარჯვება აკაკის აზრით უპირველეს ყოვლისა საქართველოს განთავისუფლებას ნიშნავდა და ამიტომაცაა იგი ასე აღტაცებული.

ილია ჭავჭავაძის აზრიც იქით იყო მიმართული, რომ „დღევანდელ (1905 წ.) მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითაც ჯერ არს,“ ე. ი.. საქართველოს ნაციონალურად განსათავისუფლებლადო,—ამბობდა იგი.

ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ პოლიტიკურ-ნაციონალურ საკითხში ჩვენი მამები საკმაო რადიკალობას იჩენდენ, მაგრამ, ვიმეორებ, სოციალურ საკითხში კონსერვატორები და რეტროგრადებიც კი არიან. რაშია საქმე? რით აიხსნება ასეთი წინააღმდეგობა?

თუ ღრმად ჩაუკვირდებით, აშკარად დაინახავთ, რომ მათი ეროვნულ-პოლიტიკური რადიკალიზმი საკმაოდ მოჩვენებითი მოვლენაა და ეფემერულ ელფერს ატარებს: არსებითად ჩვენი მამები ნაციონალურ საკითხშიც ისეთივე ლოიალურნი იყვნენ, როგორც სოციალურში. მთავრობის საწინააღმდეგოდ არც ერთ შემთხვევაში ხმას არ იღებდენ, პირიქით, მათი ტაქტიკა უაღრესად თავშეკავებული და ლაგამ ამოდებული იყო. და თუ მაინც მათი ნაწერები რადიკალობის ელფერს ატარებენ, ეს უმთავრესად მწერლობის იმ დარგის ძირითადი თვისებაა, რომლის საშუალებითაც ისინი თავიანთ აზრებს გამოსთქვამდენ. ხე-

ლოვნება თავისთავად უდიდესი რევოლუციონერია. მის მიერ ასახულ სურათში ათასნაირი შინაარსი ჩაიდება. ძველი ჩვენი მგოსნები საშინელი გაორების პროცესს განიცდიდენ, როდესაც ხელოვნების სფეროდან აზროვნებაში გადადიოდენ. მათი რადიკალობის შარავანდედის მიზეზიც აქ უნდა ვეძებოთ. მოვიყვანოთ არჩილ ჯორჯაძის აზრი ჩვენი მამების დასახასიათებლად.

ჩვენშიაც იყო 1832 წ. „შეთქმულება", — სწერს ა. ჯორჯაძე[1] — ჩვენებურ მამულიშვილებს სწადდათ საქართველოს „განთავისულება", მაგრამ რა ბავშური იყო მათი ოცნება და რა გულუბრყვილოა მათი პოლიტიკური აზროვნება! უმეტეს შემთხვევაში ნადიმებსა და სადილობის დროს სწყვეტდენ თავიანთ საქმეებს, ღვინით შეზარხოშებულებს ვარდისფრად ეჩვენებოდათ ყოველივე. ხოლო შემდეგში, როდესაც ოცნების ფრთები შეამოაკრეს, რა მალე დამშვიდდენ. რა წარმატებით და გულმოდგინეობით ემსახურებოდენ სამოქალაქო, თუ სამხედრო ასპარეზზე იმავე მთავრობას, რომლის წინააღმდეგ გუშინ ილაშქრებდენ".

ჩვენი მხრით დავსძენთ, რომ ამ შეთქმულების მონაწილეებიდან: დიმიტრი ყიფიანმა ესეთი ფორმულა შეიმუშაკა: „კარგი ქართველი იმაევ დროს — კარგი რუსი უნდა იყოსო" (იმავე ჯორჯაძის სიტყვებია), თვითმპყრობელობის უდიდეს ბოძად გადაიქცა და ბატონყობის დროს მთავრობასთან შედარებით მემარჯვენე პოზიცია ეჭირა. მაგრამ ბოლოს მაინც იმავე დაუნდობელმა მთავრობამ მოჭლა იგი ვერაგულად. „ის ღვინი, რომელიც საქართველოზე ფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს, და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის ძგერდა, ცივი ხელები დააკრეფინეს"[2]). ეახტანგ ორბელიანი გენერალი გახდა და ჩინ-მენდლებით დაიმშვენა გულმკერდი, გრიგოლ ორბელიანი კი ხშირად მთავარ-მართებლის მოვალეობასაც კი ასრულებდა, აჯანყებებს აქრობდა და რუსეთის სასარგებლოდ ჩეჩნებს თავებს ჭკვეთდა. ალ. ქავქავაძე ჯერ ბარკლაი-დე-ტოლის ადიუტანტი იყო და ნაპოლეონს ეომებოდა, მერე კი მთავრობის მარჯვენა ხელი გახდა და 1813 წელს აჯანყებულმა კახელებმა კიდეც დასჭრეს იგი, როგორც მთავრობის წარმომადგენელი.

აი, ასე მოთვინიერდენ ჩვენი „რევოლუციონერები".

როდესაც მესამოცე წლების მოღვაწენი — ილია, აკაკი და სხვები — ასპარეზზე გამოვიდენ, მათ წინააღმდეგ ძველებმა დიდი განგაში ასტეხეს. საქმე იქამდე მიდის, რომ ძველები თითქმის ლიტერატურულ ჯაშუშობასაც კი ეწევიან და ახლების ნაბიჯებს პოლიტიკური დანაშაულობის კვალიფიკაციას უკეთებენ. ამის გამო აკაკი სწერს: „ჩვენ, ახლები, პატიოსანი პატრიოტები ვართ" და „განა პატრიოტობა პოლიტიკურად საწინააღმდეგო არის? პატრიოტობა ნიშნავს სამშობლოს სიყვარულს და პატრიოტი იმ კაცს ჰქვიან, ვისაც თავისი საკშობლო, მამული უყვარს.

„ახალთა" მოქმედებაში არაფერი საწინააღმდეგო პოლიტიკური არ იქნება შენიშნული". ეს თაობა „ეძებს ქვეყნისთვის ბედნიერების მოპოვებას და დაჩქარებას. მაგრამ როგორ ესმის მას ეს ბედნიერება? რაში მდგომარეობს ჩვენი ხალხის ბედნიერება? მხოლოდ ერთ განათლებაში, რომ ჩვენი ხალხი ზნეობით

---

[1]) მის თხუზულებათა მე-V ტ., გვ. 199.

[2]) აკაკი, ტ. I, სახელგაში, 1925 წ., გვ. 96.

ამაღლდეს. ამიტომაც—დაასკვნის ჩვენი მგოსანი, „სრულიად დარწმუნებული უნდა **იყოთ, რომ უმაღლესი მმართველობაც ამ აზრის უნდა იყოს** და, როდესაც დაუკვირდება ახალი თაობის მოქმედებას, მაშინ მიხვდება, რომ ახალი თაობა არის კავშირი ჩვენს ხალხსა და მათ შუა. მხოლოდ ახალ თაობას გაჰყავს ხალხში ის აზრები, **რომელიც მმართველობას აქვს და არა ძველ თაობას**". („დროება" № 13, 1873) მოჰყავს რა ეს წერილი არჩილ ჯორჯაძეს[1]), თავის მხრივ დასძენს: „მგონი ყველაფერი აქ ნათლად არის გარკვეული: არავითარ პოლიტიკას ადგილი არა აქვს. განათლება და ზნეობის ამაღლება,—აი, რა ჰსურს ინტელიგენციას. მაშასადამე ეს ორი ელემენტი (მთავრობა და ინტელიგენცია) ერთმანეთს უნდა დაუახლოვდეს. გაიგებს თუ არა მთავრობა, რომ ინტელიგენციასაც სწორედ ის უნდა, რაც მას სწადია, სრულ ნდობას გამოუცხადებს იხტელიგენციას. ეს აზრი მომავალი მოქმედების პროგრამაც არის, ეს კერაა უმაღლეს სახელობაზე გამგზავნელ ადრესებისა დე აზრებისა, სადაც თავადაზნაურობის სხვადასხვა შუამდგომლობა იყო გამოსახული, სწორედ ანალოგიურ პრინციპზე იყო დამყარებული: გავაგებინოთ, ავუხსნათ და მოგვეცემა, რადგან ერთი წადილი გვაქვს და ერთი სურვილიო!

აი, სადამდე მიდიოდენ ჩვენი ლიტერატურის დამამშვენებელნი! ამაზე მეტი მონობა და სიმხდალე შეუძლებელია. ის ხალხი, რომელიც გულის გამგმირავად აეღერებდა ნაციონალური თავისუფლების ქნარს და ხელოვნების წარმტაც სურათებს ჰქმნიდა, აი, ეს ხალხი ყოველ მოხერხებულ დროს წარა-მარა იჩოქებდა ბიუროკრატიის წინაშე და გლახაკივით ხელებგაწვდილი მოწყალებას ითხოვდა.

ეს კიდევ ცოტაა. ჩვენი იტელიგენცია—დაჩაგრული ერის ინტელიგენცია—ჯერ კიდევ სამოციან წლებში რუსეთის გმირულ ახალგაზრდობას შესაფერისად მხარს ვერ უმშვენებდა, შემდეგ კი, ერთიანად დაშორდა მას და მათი საყვარელი საქართველოს დამამონებელ მთავრობას გვერდში ამოუდგა. ვალაპარაკოთ იგივე არჩილ ჯორჯაძე. „ჩვენმა ინტელიგენციამ... ერთი მხრით, სავსებით გასწყვიტა კავშირი რუსეთის რადიკალურ ინტელიგენციასთან, რომელიც იმ ხანაში საბოლოოდ გაეყარა და გაეთიშა მმართველობას, მეორე მხრით, შეითვისა პოლიტიკური აზროვნება ქართულ თავადაზნაურობისა".

კომენტარიები ზედმეტია.

უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი სულიერი განწყობილება ერთობ ადრე წარმოიშვა. ჯერ კიდევ 1827 წელს გრიგოლ ორბელიანი ასე მიმართავდა რუსეთის ჯალათს ნიკოლოზ I:

„ხელმწიფევ ჩვენო,
ძლიერო, ბრძენო,
ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა...
ძველი ივერი,
შენი ივერი,

---

[1]) ტ. 5, გვერდი 189—190.

შენდა მოგმართავს გულსა და თვალსა:
შენგან მოელის,
რომ ლამპარს სწავლის
კვალად აუნთებ ძველად გამქრალსა“ და სხვ.

ამ გრძნობებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ 1833 წლის შეთქმულებამდე ღრმად ჰქონია გამჯდარი გრ. ორბელიანს, არაოდეს არ უღალატიათ ჩვენს ბამებს, მთელი ასი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდენ მას.

ასე რომ გრიგოლ ორბელიანი ამ იბრიეაც სამაგალითო წინაპარი შეიქნა ჩვენი ეროვნული ინტელიგენციისათვის. ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილიც დიდ ბედნიერებად სთვლიდა „იმპერატორისთვის თავგანწირვას“ (ლექსი: „ძროწოდე კავკასო“).

ოთხმოციან წლებიდან მთელ რუსეთს საშინელი რეაქციის ზეწარი გადაეფარა. პოლიტიკური ცხოვრება ერთიანად ჩაკვდა და გარეგნულად სიცოცხლის ნიშანიც კი არ ჩანდა. მაგრამ, სამაგიეროდ, საზოგადოებრივი აზრი და ენერგია ერის სიღრმეში მბრუნავ წყალივით დატრიალდა და იქ ჰპოვა ერთგვარი დაკმაყოფილება.

რუსეთის საზოგადოებრივ ძალებს მრავალგვარი გასაქანი ჰქონდა: ფეოდალებს ბურჟუაზიის სახით მოცილენი გამოუჩნდენ, მთავრობა იძულებულია შემოიღოს საერო და საქალაქო თვითმართველობები, სახელმწიფოს აქვს ფაბრიკა-ქარხნები და სხვა სამრეწველო დაწესებულებანი. ჩვენში კი არც ერთი ეს არ იყო, ერიც ახლად მოსულიერდა და თვითგამორკვევის გზაზე შედგა. იმ დროს რუსეთის ხალხს თავისი თავი უკვე ნაპოვნი ჰყავდა და გვერდით უდგა საკუთარ ნაციონალურ მთავრობას. —საქართველო საშინელი გაპირვებით ეძებდა თავის თითქოს ჩამქრალ ნაციონალურ „მე“-ს; ჰყავდა ახალი საზოგადოებრივი კლასი, რომელსაც მეთაურობა უნდა ეკისრა, არ ჰქონდა თვითმართველობა, მრეწველობა, არ ებადა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი აზრი და, რა გასაკვირველია, რომ საერთო რეაქციის ხანაში მის ინტელიგენციას არ აღმოჩენოდა საკუთარ „მე“-ში დატრიალების შესაძლებლობა და სრულიად დამფრთხალი და გზა დაბნეული ამოდგომოდა გვერდით ყოვლის შემძლე მთავრობას. აი, ამ ობიექტური პირობებით აიხსნება ის მონური სულის კვეთება, რომელიც ასე ახასიათებს ჩვენს მამებს.

II

ამ საშინელ საზოგადოებრივ ატმოსფერაში წარმოიშვა ჩვენში მარქსისტთა ჯგუფი ოთხმოცდაათიან წლებში. ნახევრად დაშლილი ფეოდალიზმი, ახლად ფეხადგმული ბურჟუაზია და პროლეტარიატი, ახალი სხივებით ოდნავ გაშუქებული გლეხობა და ამავე დროს მონური და ათასჯერ მონური საზოგადოებრივი აზრი, —აი, რა სურათი დახვდა ამ ჯგუფს. რა ძნელი და რა საშინელი იყო ამ ჯგუფის თავგამოდებული გამოსვლა! რამდენი გმირული ენერგია უნდა ყოფილიყო ამ წრეში, რომ ამ დაშყაყებულ საზოგადოებაში გაებედათ ახალი სიტყვის თქმა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ასეთი უმაგალითო და გააფთრებული წყეველა-კრულვით შეეგებენ ე. წ. „მესამე დასს“ ჩვენი დამყაყებული ინტელიგენციის ყველა ფენები განურჩევლად დამსახურებისა და ხნოვანებისა. ამ ჯგუფის ბელადები: ნინოშვილი, ნოე ჟორდანია, ფ. მახარაძე, სილ. ჯიბლაძე, მიხ. ცხაკაია და სხვები მოღალატეებად და საქართველოს დამაქცევლებად იყვნენ გამოცხადებულნი. რა სახელით არ ნათლავდენ მათ! ძველებიდან ერთად-ერთი გიორგი წერეთელი ამოუდგა ამ დასს გვერდით, რისთვისაც მანაც ბევრი დაცინვა იწვნია.

სხვათა შორის ილია ჭავჭავაძემ დიდი და დიდად გაწრთვნილი ჭკუის კაცი „გეურქ აღა“ წერეთელად „მონათლა“—ვითომდა გასომხდა და საქართველოს უღალატაო.

მოკლედ რომ ვთქვათ, მესამე დასის გამოსვლა დამპალ ჭაობში ქვის ჩაგარდნას ჰგავდა. შეირყა აშმორებული ტბა და მტრების დასაშხამავად გველ-ბაყაყებიც ამოძრავდენ. დიდხანს არ დაწყნარებულა გველთა სისინი. მეოცე საუკუნეშიც კი იყვნენ ისეთი „მოაზროვნენი“, რომელნიც სერიოზული სახით ამტკიცებდენ, რომ საქართველოში მარქსიზმის იდეას საფუძველი სრულებით არა აქვს, ხოლო რასაც ჩვენ სინამდვილეში ვხედავთ, ყოველივე ეს შემთხვევითია, ჩვენებური უვიცობის ბრალია (ასე ღრმად იყვნენ მარქსიზმის მოწინააღმდეგენი განსწავლულნი) და ნახავთ, რომ სულ ახლო მომავალში „ამ უნიადაგო მოძღვრებას“ წესი აეგოსო. დიახ, მეოცე საუკუნის პირველი ათეულის ბოლოშიც კი ასე ინუგეშებდენ თავს ჩვენი „შინ გაზრდილნი“ მოაზროვნენი... ყველამ ვიცით, როგორ ახდა მათი წინასწარმეტყველება.

მარქსიზმის რევოლუციონური სული საქართველოსთვის სულ ახალი და უცნობი მოვლენა იყო. მართალია, ნოე ჟორდანიას სიტყვით, „ევერიის“ კენსერვატიზმს ჩვენს ერში გასავალი სრულებით არ ჰქონდა. „ევერია“ მიდიოდა ერთ მხარეზე, ხოლო ჩვენი ხალხი კი მეორეზე, „მაგრამ ნამდვილი რევოლუციონური სიტყვა მას მარქსიზმის შემოტანამდე მაინც არ გაეგონა; ეს სიტყვა ჩვენს ნაროდნიკებს უნდა ეთქვათ, მაგრამ ჯორჯაძის სიტყვით,“ ჩვენში არ იყო არაფერი მსგავსი იმის, თუ რა აღფრთოვანებით იყო აღტურვილი რუსეთის ინტელიგენცია „ხალხში სვლის პერიოდში“.

ამავე დროს მარქსიზმი ნიშნავდა ჩვენი ინტელიგენციის ორად გაპობას, უდიდეს და სამუდამო გათიშვას. ეს გათიშვა შეიძლება მესამე გათიშვად ჩაითვალოს. პირველია სამოციან წლებში მომხდარი „მამათა და შვილთა“ შორის ატეხილი დავა, რომელშიც ერთ მხარეზე იდგა ძველი თაობის წარმომადგენელნი: ბარბარე ჯორჯაძე, გრიგოლ ორბელიანი და სხვები, მეორეზე კი ილია და მისიანები. გადის დრო და 80 წლებში „ტეტიათა მოტრფიალენი“ და „იმედის“ ჯგუფი ჰბედავს უკვე მოძველებული ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ხმის ამოღებას, მაგრამ ეს ხმა ერთობ სუსტია, ხოლო ათი თხუთმეტი წლის შემდეგ მარქსისტთა ჯგუფს გააფთრებული იერიში მიაქვს „ევერიელები“-ს წინააღმდეგ. ბრძოლას მეთაურობს ნოე ჟორდანია, რომელიც თავის „ქართულ პრესაში“ საფუძვლიანად განიხილავს წარსულ თაობათა მოღვაწეობას და სასტიკ განაჩენს გამოუტანს მას. მესამე დასის ბრძოლამ დრომოკმულ იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრწყინვალე ნაყოფი გამოიღო და პირველი რევოლუციის დროს უკვე აშკარა

შეიქნა, რომ მთელი ერის უმეტესობა—პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა—ამ მიმართულებას გაჰყვა.

მესამე დასის მუშაობა უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ ქართულ პიროებებთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული და ჩვენი ცხოვრების შესწავლას უნდა დაყრდნობოდა. მართლაც, ჟურნალ „კვალში" მრავალი წერილი და გამოკვლევაა ჩვენი ცხოვრებიდან მოთავსებული. ჟორდანიას და მახარაძის ეკონომიურ-პოლიტიკური წერილები მთელ ეპოქას შეადგენენ ქართული აზროვნების ისტორიაში. ამ მოღვაწეთა დაუღალავ ლიტერატურულ მუშაობაზე აღიზარდა ჩვენი რევოლუციონური ინტელიგენციის მთელი თაობა, რომელიც სათავეში მოექცა მერმინდელ ჩვენს ცხოვრებას. ნელ-ნელა და შეუდრეკლად გაიწშინდა ჩვენი დამყაყებული ჭაობი, ჩამოყალიბდა ცხოველი აზრი და ჩვენი მშრომელიც თამამად ამოუდგა გვერდით საქვეყნო იდეალებისათვის მებრძოლ კლასს—პროლეტარიატს. დიდი ტანჯვითა და წვალებით ჩვენი ერის უმეტესობამ, როგორც იქნა, თავი დააღწია მამა-პაპურ პატრიარქალურ აზიურობას და მარქსისტული სოციალიზმის წითელი დროშით საერთაშორისო სცენაზე გამოვიდა. ამაზე უდიდესი ფაქტი ქართველი ერის ისტორიამ არ იცის. მე-20 საუკუნეში ქართული აზროვნება მარქსიზმის დროშის ქვეშ მიმდინარეობს.

ფრიად საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ უყურებდენ მესამე დასის მოღვაწეობას თვითონ მისი სულიერი მამები და მიმრქმელნი: „ნინოშვილი და გიორგი წერეთელი. აი როგორი შინაარსის წერილი მიუწერია 1894 წლის 4 მარტს გიორგი წერეთელს ეგნატე ნინოშვილისთვის".

ძვირფასო ეგნატე!

თქვენი წინა წერილის პასუხი მინდოდა მომეწერა პრინციპიალურად და ეს პრინციპი პრაქტიკულ ცხოვრებაში მსოფლიო გარემოებათა შეთანხმებით როგორ უნდა დავიცვათ. საქმე ისაა, რომ გერმანიის სოციალისტები მანამდე ძმები არიან ფრანცუზების და მთელი ქვეყნის, სანამ მათ ეროვნულ პიროვნებას, მათ ენას, მათ ისტორიას, მათ კულტურას არავინ შეეხება. აგრეთვე ისინი ითხოვენ, რომ გერმანიის ხელმწიფობამ საფრანგეთის ეროვნება არ დაჩაგროს. ამიტომაც ჩაყარეს სოციალისტები ციხეში, რომ იმათ ნამდვილ სოციალურ პრინციპით ამართეს დროშა. ფრანცუზი და მისი სამშობლო ჩვენგან ხელშეუხებელი უნდა დარჩესო. რათ გვინდა მისი ელზას-ლორენის წართმევა, ან მათი ეკონომიურად გატყავება ომის გამოცხადებით და კონტრიბუციის აღებითო. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ფრანცუზებს დაეძლიათ 1870 წლის ომში და რეინის პროვინციები წაერთმიათ გერმანიისათვის და ხალხისათვის ხუთი მილიარდი წაეგლიჯათ, როგორ მოიქცეოდენ გერმანიის სოციალიტები? მაშინ ნახავდი, თუ გერმანიის სოციალისტები ფრანცუზებს მტრად არ გამოაცხადებდენ და ზედ არ შეაკვდებოდენ. ნამდვილი სოციალიზმი იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი ტერიტორიიდან ავბარგდეთ, ჩვენი ისტორია დავივიწყოთ, ჩვენი ტიპი უკუაგდოთ, ქართული დავივიწყოთ, რუსული ენა შევითვისოთ და რუსები გავხდეთ. არა, სოციალიზმი ინდივიდუალურ თვისებას, როგორც კერძო ტიპისას, ისე ერო-

ენებისას, არ ეხება. ეხება კი არა, კიდეც იფარავს და აქ არის პროგრესიული მხარე თვით სოციალიზმისა. ქართველი, რუსი, ფრანცუზი, გერმანელი, სომეხი, ჩაჩანი, გოტენტოტი და ათასი სხვა იმ ტიპზე დარჩენ, როგორც ისინი შეუქმნია ბუნებას, გეოგრაფიულ გარემოებას, ისტორიულ ცხოვრებას და ეთნიურ კანონების ზეგავლენას. სოციალიზმი მხოლოდ ითხოვს, რომ ყოველი კაცი, ღვთისგან შექმნილი, ეკონომიურ უთანასწორობით არ იჩაგრებოდეს, ყოველი ნაცია, მეორე ნაციის ძალმომრეობისაგან ეკონომიურად არ იჩაგრებოდეს. როცა ამ გარემოებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ასეთი პრინციპი წარმოდგება სოციალურ დოქტრინისა,—ერთმა სახელმწიფომ მეორე სახელმწიფო არ დაჩაგროს, ერთმა ერმა მეორე ერი არ დაჩაგროს, ერთმა კაცმა მეორე კაცი არ დაჩაგროს და ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა საკუთრება—მასაზრდოებელი-მოისპობა და ყოველი მათგანი თავისი შრომით ბედნიერი იქნება. კერძო საკუთრება საზოგადო საკუთრებად გადაიქცევა, რომ უფლება ცხოვრებისა უფრო სამართლიანად განაწილდეს.

„ამიტომაც ჩვენ თუ ჩვენს პოლიტიკურად დაჩაგრულ გარემოებას არ მივაქციეთ ყურადღება და ვიყვირეთ საქართველოსა და რუსეთს შუა საზღვარი არ უნდა იყოსო, ქართველი და რუსი ერთიაო, ამით ძალმომრეობაზე დამდგარი რუსები ისარგებლებენ და გვეტყვიან, როგორც ახლა კიდეც გვეუბნებიან: თქვენ ადექით და ციმბირში გადასახლდით. იქ ბევრი ადგილებია და ფართოდ, გაშლით იცხოვრებთო.

,,აი, ამის გამო ჩვენ ნუ ვუმტყუნებთ სოციალურ პრინციპს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს სოციალური პრინციპი არ გადაიქცევა ჩვენსავე დასაკლავ დანად. ჩვენს ბედში მდგომარე ხალხი ორივე ხელით უნდა ვეჭიდებოდეთ ჩვენს ისტორიას, ცხოვრებას, ჩვენს ქართველობას და ამასთანავე ჩვენსავე ქვეყანაში ვავრცელებდეთ სოციალურ იდეებს, რომ წოდებითი და შეძლებითი უთანასწორობა რამენაირად მოვსპოთ. რუსებთან ძმობის გამოცხადება მანამდე შეუძლებელია, სანამ მის მთავრობას ბრჭყალებში ვყავართ გამოკლული და რუსის ხალხი იმას ცდილობს, რომ თავის მთავრობის ძალღონით ჩვენ წაგვართვან უხსოვარი დროიდან ჩვენი კუთვნილი მიწა-წყალი, თბილი ჰაერი, და მშვენიერი ბუნება და თვითონ დაიპირონ. აი, ამ გარემოების ძალით ჩვენ უნდა ვიყოთ ნაციონალ-სოციალისტები მანამ, სანამ ქვეყანაზე დაჩაგრული ნაციები, როგორიც ჩვენცა ვართ, არ განთავისუფლდებიან სხვა უფრო ძლიერი ნაციის მონობისაგან.

,,ჩვენ, რომ ბოლგარიის ან გერმანიის, ან იტალიის, ან რუსეთის მდგომარეობაში ვიყოთ პოლიტიკურად, ე. ი. სრული განთავისუფლებული ვიყოთ, მაშინ დიახაც გავშლით კოსმოპოლიტურ ბაირაღს და მთელ ქვეყანას თანასწორი უფლების მქონე ძმებად აღვიარებთ. მაგრამ დღეს რომ პოლიტიკურ მონობაში ვართ გამოკლული, კოსმოპოლიტურ-სოციალური პრინციპი ყელში დანას გაგვიყრის და ჩვენს ლეშზე რუსები (ხალხი) გაიძღებენ მუცელს[1]).

ამ ფრიად საინტერესო წერილიდან აშკარად ჩანს, რომ ნინოშვილი სრულიად ინტერნაციონალურ თვალსაზრისზე მდგარა, წერეთელი კი სოციალიზმის იდეას ნაციონალური თვალსაზრისით მიდგომია და იმდენად სწამებია იგი, რა-

[1]) „რევ. მატიანე“ № 1 (6), გვ. 139—140.

შდენადაც საქართველოსათვის გამოსადეგი იქნებოდა. წერილის მიდგომა და გაგება მრავალ მხრივ წინასწარმეტყველური გამოდგა, როგორც ჩვენი, ისე მთელი ევროპის სოც.-დემოკრატიული პარტიებისათვის, რომელთა მსოფლიო ომის დაწყებიდანვე თავიანთ დროშაზე ეროვნული პრინციპები წააწერეს და სამშობლოს ფარგლებში მოქცეულნი—ერთგულად იცავდენ თავის სამშობლოს სხვა ერების თავდასხმისაგან და ამავე დროს სხვებსაც შეუჩერებლივ ეომებოდენ.

რაში უნდა ვეძიოთ მარქსიზმის ჩვენში გამარჯვების საიდუმლოება? დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ იგი რომელიმე პიროვნების ნიჭისათვის მიგვეწერა, ამ ჯგუფის კეთილი სურვილებით და კაი კაცობით აგვეხსნა. ამის მიზეზი ერთობ ღრმა არის და ცხოვრების სინამდვილესთან დაკავშირებული. ეს ის მიზეზია, რომლის მეოხებით აიხსნება, როგორც ჭავჭავაძის თაობის კონსერვატიზმი, ისე მარქსისტული ჯგუფის რევოლუციონერობა.

საქმე ისაა, რომ ოთხმოციან წლებიდან საქართველოს სინამდვილეში ქალაქი და, საზოგადოდ, ქალაქური აღებ-მიცემობა და კულტურა უკვე რეალურ ძალად გადაიქცა. მართალია, ბურჟუაზიის განვითარება ისე სწრაფად არ წასულა, როგორც ამას მარქსისტები ამტკიცებენ—ეს შეცდომა კიდეც აღიარა ჟორდანიამ,—მაგრამ ცხოვრების მიმართება ისეთი იყო, რომ ეს საფეხური აუცილებელი შეიქნა. მთელი ევროპის სივრცეზე კაპიტალიზმი ბატონობდა, ირგვლივ მისი ატმოსფერა მეფობდა და ჩვენს პატარა ეროვნულ გემსაც ძალუმად არყევდა იქიდან მოვარდნილი ქარიშხალი.

ახლად ჩასახული მარქსიზმი სწორედ ამ მოვარდნილი ქარიშხალის საფუძველზე მაგრდებოდა, და მისი გამარჯვება ამ გარემოებამ უზრუნველჰყო. მარქსიზმი მხოლოდ განსაზღვრულ ეკონომიურ ვითარებაში პოულობს პოხიერ ნიადაგს. ის კლასი, რომელსაც იგი აღიარებს თავისი პრინციპების გამტარებლად, პროლეტარიატი,—მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების პირობებში წარმოიშვება. და აი ამ ურთიერთობაში, თუმც ნელა და საშინელი ტანჯვით, მაგრამ ჩვენშიაც წარმოიშვა მარქსიზმისათვის დასაყრდნობი საფუძვლები—მუშათა კლასი, ნახევრად გაპროლეტარებული გლეხობა და მშრომელი ინტელიგენცია, რომელიც თავისი ობიექტიური მდგომარეობის გამო იძულებულია პროლეტარიატს გვერდით ამოუდგეს.

ამ კონსპექტიურ, მაგრამ აუცილებელ მიმოხილვის შემდეგ, გადავდივართ ჩვენი ლიტერატურის შემდეგ თემაზე: მუშათა მოძრაობის ასახვა ჩვენს ლიტერატურაში.

განცოფილება მეზუთე.

მუშათა მოძრაობა

მუშათა კლასი და მისი მოძრაობა კაპიტალისტური დროის მოვლენაა. ამ კლასის ჩანასახს ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეების ქალაქი იცნობს: სახელოსნოებში მომუშავე ქარგლები და შეგირდები დღევანდელი პროლეტარიატის წინაპრებია. სანამ ძველი ქალაქი ხელოსნობით კმაყოფილდებოდა და მთელი წარმოება პატრიარქალურ პირობებში იყო ჩამწყვდეული, ამ ელემენტების რიცხვიც ერთობ განსაზღვრული იყო და მათი ზრდაც კუს ნაბიჯით მიდიოდა წინ.

მაგრამ საქონლის მანუფაქტურულად დამზადებამ და შემდეგ ადამიანის ხელის მაგიერ მანქანების გამოყენებამ, საშინელი სისწრაფით გაამრავლა მუშათა რიცხვი და დღეს, მრეწველობით დაწინაურებულ სახელმწიფოებში მუშათა კლასი ერის უდიდეს ნაწილს შეადგენს. თანაც წარმოების პირობების გამო ამ კლასის გაელენა ერთობ ძლიერია მთელ ეროვნულ ცხოვრებაზე. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ზოგიერთი დიდი ერის ცხოვრება და საერთო მიმართულება პროლეტარული კლასის გაელენის ქვეშ მიმდინარეობს. მთელი მსოფლიოს მეექვსედს მუშათა კლასის მიერ შექმნილ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს რომ თავი დაანებოთ, დიდად გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ინგლისის ეროვნული ყოფაცხოვრება ერთიანად არის დამოკიდებული მუშათა კლასის ყოფაქცევაზე. ასევე ითქმის გერმანიაზე. ბელგიაზე და რამდენადმე საფრანგეთზედაც. მართალია, პოლიტიკურ ცხოვრებაში ევროპაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს დიდ მერყეობას, მაგალ. ინგლისში სახელმწიფოს სათავეში სამარეში ჩასასვენებლად გამზადებული პარტია—კონსერვატორები—დგას და გერმანიას კიდევ ძველისძველი გამომშრალი გენერალი მეთაურობს—მაგრამ ყოველივე ამას შემთხვევითი და წარმავალი ხასიათი აქვს, ყველაფრიდან აშკარაა, რომ დღეს თუ არა, ხვალ მუშათა კლისი იქაც დაეპატრონება მართვა-გამგეობის საქმეს და ამნაირად ეს შედარებით ახალგაზრდა კლასი, რომელიც პოლიტიკურ ძალად მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში იქცა, მალე მთელი მსოფლიოს სვე-ბედს დაეპატრონება.

ჩვენი მუშათა კლასი წარსული საუკუნის ოთხმოციანი წლების შვილია. 1887 წელში ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში 2153 ფაბრიკა-ქარხანა იყო და მუშათა რიცხვი 15 ათასამდე ადიოდა. რასაკვირველია, ეს არ იყო დიდი ქარხნები და მუშათა რიცხვიც, შედარებით, მცირე იყო. 1893—94 წლებში ქარხანათა რიცხვი უკვე 2797-მდე და მუშათა რიცხვიც 25 ათასამდე ადის. დღეს კი საქართველოს პროფესიონალური კავშირები. ორას ათასამდე მუშა მოსამსახურეს აერთებენ.

სახელოსნოებში თუ ფაბრიკა-ქარხნებში დაგროვილ პროლეტარიატს ჩვენ-

ში თავიდან ზურგს უმაგრებდა ნახევრად გაპროლეტარებული და გაღარიბებული გლეხობა, რომელმაც თავისი მდგომარეობის გამო მალე შეიგნო მეცნიერული სოციალიზმის სარჩული, ხელი ჩაჰკიდა ქალაქებში დაგროვილ მოძმე ელემენტებს და, აღიარა რა პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეთაურობა, დღეს მედგრად ეწევა სახელმწიფო ამშენებლობას მუშათა კლასის იდეალების მიხედვით.

მუშათა კლასი და მისი მოძღვრება—მარქსისტული სოციალიზმი — ფაქტიურად უკვე პირველი რევოლუციის დროს დაეუფლა მთელ ქართულ ეროვნულ ცხოვრებას. 1905 წლის რევოლუცია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი პროლეტარიატის და ღარიბი გლეხობის საქმე იყო, განმათავისუფლებელ მოძრაობის დროშა მუშათა დაკოჟრილ ხელებს ეპყრა. რევოლუციის დამარცხებით მუშათა კლასი თითქოს ერთიანად ჩამოაშორეს პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზედგაელენის საშუალებას, მაგრამ ეს რუსეთში მოხდა, ჩვენში კი სულ სხვა პირობები შეიქმნა: ქართველი ერის ცხოვრებაში პირველი რევოლუციის აქეთ არც ერთი ისეთი საქმე არ გადაჭრილა, რომელშიც გადამწყვეტი და, ყოველ შემთხვევაში, უაღრესად გავლენიანი სიტყვა ჩვენს მუშათა კლასს არ ეთქვა.

ვერავითარმა რეაქციამ ვერ შესძლო საქართველოს მუშათა კლასის დამორჩილება და პირზე კლიტის დადება. რა საკითხის გადაჭრაში არ მიუღია მას მონაწილეობა საშინელი რეაქციის მძინვარების დროს? სახალხო უნივერსიტეტები, მუშათა თეატრები, კოოპერაცია, ერობის შემოღების საკითხი, სახელმწიფო დუმის თუ საქალაქო არჩევნები, წერა-კითხვის საზოგადოების დემოკრატიზაცია, საქართველოს ტერიტორიის დანაწილების საკითხი, უმაღლესი სასწავლებლის გახსნა, პრესა და საზოგადო ლიტერატურა,—ყველგან და ყველაფერში მძლავრად გაისმის ამ კლასის ხმა, მთელი ერი უსმენს მის წარმომადგენლებს და ძალაუნებურად აღიარებს მის მეთაურობას.

ქართული პრესა ნახევრად მის ხელშია, მაშინდელ სოციალ-დემოკრატების ყოველდღიური ორგანო მედგრად იცავს მშრომელთა ინტერესებს, აწესრიგებს მთელი ერის ცხოვრებას და გმირულ ბრძოლას აწარმოებს ბიუროკრატიასთან, რომელიც განუწყვეტლივ ატუსაღებს მუშათა წრეებიდან გამოსულ ფიქტიურ რედაქტორებს, მაგრამ ერთი დახურული რედაქციის მაგიერ მეორე იხსენება, ერთი და იგივე საგაზეთო ქაღალდის ფურცელი ხან „ელვის“ სახელით გამოდის, ხან „საყვირი“-ს და ხან კიდევ „მერცხლის“. საიმპერიო წარმომადგენლობაში—სახელმწიფო სათათბიროში, საქართველო ხომ სულ სოციალისტებით იყო წარმოდგენელი.

ერთი სიტყვით, ქართველი ერის სიღრმიდან სულ ახალი კლასი წარმოიშვა, რომელმაც მთელი ერის ცხოვრება თავის გზაზე წაიყვანა და დღესაც გამარჯვებული მიუძღვის მას შრომის სამეფოსაკენ.

როდესაც ქართველი ერის სვეტედს სრულიად ახალი კლასი დაეპატრონა, ეს უპირველეს ყოვლისა იმას ნიშნავდა, რომ ძველ მმართველ კლასს გზა უნდა ეტია და ეს ასეც მოხდა: ძველებმა ცხოვრების კიბეზე უკვე იმდენი საფეხური აიარეს, რამდენიც შეეძლოთ ობიექტური პირობების გამო და ბოლოს ფარხმალიც დაჰყარეს. იარაღის დაყრა პირველად ეკონომიურ სფეროში მოხდა, შემდეგ კი ფსიქოლოგიურში. მართალია, ყოველდღიური პრესა ჯერ კიდევ იბრძოდა, მაგ-

რამ ძველების მხატერული ლიტერატურა უკვე ცხრაასიან წლებში ამოიწურა და ბოლოს ერთიანადაც დადუმდა.

სამოციანი წლების მგოსნები—ილია და აკაკი—უკვე დასრულებული პოეტები იყვნენ და თავიანთი მოღვაწეობის ბრწყინვალე ხანა უკვე განვლეს, რაიმე ახალის და ორიგინალურის მოცემა მათ უკვე არ შეეძლოთ. ყაზბეგი ადრე გადაიცვალა, ტეტიათა მოტრფიალეთაგან რაფიელ ერისთავი 1901 წ. მიიცვალა, ხოლო ცოცხლად დარჩენილნი უკვე წაკითხულ წიგნებს წარმოადგენდენ. მართალია, იყო რამდენიმე ახალი მწერალი, რომელთაგან ყველაზე მეტ იმედებს შიო არაგვისპირელი იძლეოდა, მაგრამ საერთოდ ახალი ლიტერატურა ბევრად ჩამორჩებოდა ძველს.

ეს აშკარად იგრძნო განსვენებულმა კიტა აბაშიძემ და 1901 წელს („ცნობის ფურცელში", № 1366 და სხ.) ის აზრი გამოსთქვა, რომ ჩვენი ლიტერატურა უკვე მოკვდა და არც არის იმის იმედი, რომ გამოცოცხლდება და ფეხზე დადგებაო. მან მოახდინა ამ საკითხის გამო ანკეტა, მაგრამ არც ერთ ოპტიმისტურ პასუხს არ დაეთანხმა და ბოლოს დაასკვნა, რომ ჩვენი ლიტერატურის აწმყოს გათვალისწინება „ჰბადებს ჩვენში მწარე უსასოებასო" (ცნ. ფ. № 1429, 1901 წ.)

ეს აზრი მიუღებელი იყო მესამე დასისათვის და „კვალის" ფურცლებიდან კიტა აბაშიძეს ივ. გომართელი გამოეკამათა. 1901 წლის „კვალის" მე-15 № გომართელი სწერდა: „მესამოცე წლებში ჩვენი ცხოვრების ერთბაშმა პროგრესმა გამოიწვია ლიტერატურის აღფრთოვანება და გაფურჩქვნა, დღეს კი ცხოვრება სხვა გზას დაადგა და ამიტომ ლიტერატურაც სხვა მიმართულებას ღებულობს. ახალ გზაზე ერთბაშად მტკიცედ სიარული შეუძლებელია და ამიტომ ჩვენს დღევანდელ ლიტერატურას რაღაც გაუბედაობა ეტყობა; ცხოვრება ჯერ კიდევ მტკიცე კალაპოტში არ ჩამდგარა, ამიტომ ლიტერატურასაც სიმტკიცე აკლია. ყოველივე ეს მომასწავებელია ჩვენი ლიტერატურის ევოლუციისა და არა სიკვდილის". ერთი სიტყვით, გომართელი და მთელი მესამე დასი ახალი დემოკრატიული საქართველოს მოსარჩლენი არიან და მათ ღრმად სწამთ ჩვენი ლიტერატურის ამ გზით აყვავება.

სინამდვილემ ეს შეხედულება ერთიანად გაამართლა: ძველების ლიტერატურამ რაკი თავისი დანიშნულება შეასრულა, სრულიად ბუნებრივი გზით წერტილი დაუსვა თავისსავე თავს. ეს მიჯნა იყო პირველი რევოლუცია, რომლის ქარცეცხლში წარმოიშვა, როგორც ახალი საქართველო, ისე ახალი ლიტერატურა. განახლებულ საქართველოს მშრომელი ხალხი დაეუფლა და ლიტერატურაც ამ გზით უნდა განახლებულიყო. მართლაც, პირველი რევოლუციის შემდეგ მკვდრად მიჩნეულმა ჩვენმა ლიტერატურამ მძლავრად გაშალა ფრთები და სულ რამდენიმე წლის განმავლობაში ზედიზედ წარმოიშვა ნიჭიერ მგოსანთა და მწერალთა სახელოვანი რიგები.

ქართველი დემოკრატიის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი რევოლუციის შემდეგ თავდავიწყებით დაეწაფა ამ ლიტერატურას და ერთი უბრალო ლექსი რა არის, ისიც კი არ რჩებოდა წაუკითხავი. ქართველ მწერალს და, საზოგადოდ, მწერლობას იმაზე უფრო ბრწყინვალე ხანა არ ქონებია: პოლიტიკურ

ასპარეზზე დამარცხებული ენერგია ლიტერატურისკენ გაემართა და უმაგალითო გატაცების მოწამენი შეეიქენით. გატაცებით შემოქმედებენ მწერლები, თავდავიწყებით კითხულობს მკითხველი. მთელი საქართველო უდიდეს ლიტერატურულ ლაბორატორიად გადაიქცა. ამაზე ბრწყინვალე ხანა ქართულ ლიტერატურას არ ჰქონებია, ამდენი მკითხველი მას არაოდეს არ ჰყოლია. მართალია, ყველაფერი იმ დროინდელი არ ყოფილა დიდი ხელოვნური ღირებულების, მაგრამ საზოგადოების სულიერ მოთხოვნილებას მაინც აკმაყოფილებდა, ზრდიდა მას ლიტერატურულად და პოლიტიკურად და გზას უკაფავდა ახალ და უფრო მაღალ ღირსების ხელოვნურ შემოქმედებისაკენ. აშკარა შეიქნა, რომ ქართული ლიტერატურა, მართლაც განახლდა და სულ ახალ-ახალ ჰორიზონტებისკენ გასწია. ამ განახლების სათავე ჩვენი მშრომელი ხალხის სიღრმეში იყო. მაგრამ თვალთა ხედვის, ისარი ძველებურად სოფლის ტყე-ველიდან კი არ იყო მომარჯვებული, არამედ სახელოსნოებიდან, ქარხნებიდან და, საზოგადოდ, ქალაქიდან. ახალი საქართველოს ცხოვრება ქალაქური ურთიერთობის გავლენის ქვეშ ვითარდება. ეს უდიდესი დამახასიათებელი თვისებაა ახალი ლიტერატურის.

პირველი მწერალი, რომელმაც ყველაზე ადრე ააღერა ქალაქის ქუჩებიდან მშრომელთა სულისკვეთების გამომსახველი ქნარი, იოსებ დავითაშვილი იყო. მართალია, იგი მე-19 საუკ. ოთხმოციანი წლების მოვლენაა და, შეიძლება, ვისმე ხელოვნურად ეჩვენოს მისი მეოცე საუკუნეში გადმოტანა, მაგრამ მისი შემოქმედების ძირითადი თვისებები ახალი ლიტერატურის მამამთავრად ხდიან მას და ჩვენც მისი განხილვით ვიწყებთ.

იოსებ დავითაშვილი

(1850—1887)

იოსებ დავითაშვილი მრავალ მხრივად საინტერესო მოვლენაა ჩვენს დემოკრატიულ ლიტერატურაში. მართალია, უდროოდ სიკვდილის გამო მას არ დასცალდა ფართოდ გადმოეშალა თავისი სული და გული, რომ ამ გზით მისი ნიჭის სიღრმეც აშკარად დაგვენახა, მაგრამ, რაც დასწერა, ისიც ფრიად დამახასიათებელი და საყურადღებოა. მის თხზულებათა საშუალო ტანის ერთ ტომში უსათუოდ მრავალ წახნაგოვან შემოქმედებასთან გვაქვს საქმე. დეე, ზოგი დამახასიათებელი ხაზი მკრთალად ჩანდეს და გულუბრყვილობით აღსავსე იყოს, ბევრგან პრიმიტიულობაც გადმოსჩქეფდეს, ის მაინც ეპვს გარეშეა, რომ უბრალო დაბეჩავებულ ხელოსან მუშას საკმაოდ ფართო ჰორიზონტი ჰქონდა და გრძნობიერ გულთან ერთად აზრიც მძაფრად უმუშაობდა.

ი. დავითაშვილი ს. რუისიდან (გორის მაზრა) იყო. მამამისი იყო უბრალო გლეხი, რომელიც ერთხანს ფეიქრობდა და ხანაც მეწისქვილეობით ირჩენდა თავს. იგი იყო თავადი ციციშვილის ყმა. ადრე დაობლებული პატარა იოსები ძმას ჰყავდა ტფილისში მსახურად, მაგრამ ვერ შეეგუა იქაურობას და გორისკენ გამოიპარა. აქ ის დურგალთან დადგა შეგირდად. ამ დროს ბატონი ციციშვილი შეუწყარა და სოფელში წამოიყვანა. აქედან ის ძმამ გამოისყიდა და მეჩუქურთმეს მიაბარა. 1872 წ.ეს ხელობა დაასრულა, მაგრამ სიღარიბის გამო ატესტატის

გამოსყიდვა ვერ მოახერხა. ამ მომენტიდან იწყება მისი უგზო-უკელოდ სიარული ლუკმა-პურის ძებნაში: ხან გაზეთ „იეერიის“ დამტარებელია, ხანაც სახელოსნოს მუშა და ხან კიდევ სცენის შავი თანამშრომელი. სიღარიბისა და შეიწროების მეტი მას არაფერი უნახავს ცხოვრებაში, რომელიც ნამდვილი დედინაცვალი იყო მისთვის. მაგრამ ამ პატარა ადამიანს იმდენად ძლიერი სული აღმოაჩნდა, რომ უბრალო მონიდან—ციციშვილის ყმობიდან --ისეთ პირად გადაიქცა, რომელმაც მაშინდელი ჩვენი საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრო და პირადი მიწერ-მოწერაც კი ჰქონდა ისეთ დიდ ადამიანებთან, როგორიც აკაკი წერეთელი იყო. დავითაშვილს სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი ტანჯული მუშის ფსიქოლოგია:

„მუშა ვარ და მისთვის ვიცი,
მუშის ბედი თუ რაც არი:
ის ულელში შებმულია
ქედ მოდრეკით, როგორც ხარი.

—

მის გარუჯულ მაგარ კანსა
მუდამ რეცხავს ოფლის ღვარი.
შრომობს მუშა... თანც ღიღინებს,
აგონდება მაცხოვარი.
აგონდება და მხნევდება,
პირჯვრის წერით შრომას აგრძობს
და, ვინც უშრომლადა ყლაპავს,
იმათ მტრობას მაინც არ გრძნობს.

—

მუშა რომ ვარ მისთვის ვიცი
მუშის გულის პასუხები...
ღმერთმა მუშებს გაუმარჯოს,
უქმ-მყლაპელებს არ ვეხები“.

ამ ლექსში, როგორც ერთ წვეთ წყალში, აშკარად გამოსჭვივის დავითაშვილის შემოქმედების დამახასიათებელი ხაზები. უპირველეს ყოვლისა პოეტმა იცის, რომ ეს ქვეყანა უსამართლობაზეა აგებული: ერთ მხარეზე დგას მუშა, რომელსაც „მუდამ რეცხავს ოფლის ღვარი“ და ქედ მოხრილია, როგორც ხარი,— მეორე მხრით კი ხედავს „უქმ-მყლაპელებს“. მეორე ხაზი: დავითაშვილის მუშას თავისი მდგომარეობა შეგნებული აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ აქტიურ მებრძოლად ვერ გადაქცეულა და ამიტომ მუქთა მყლაპელების მიმართ „მტრობას მაინც არ გრძნობს“, მესამე: შვებას სარწმუნოებაში ჰპოებს, პირჯვარს იწერს, მაცხოვარი აგონდება და „უქმყლაპელებს არ ეხება“. რელიგიური მოტივი, რომელიც ასე ხშირია დავითაშვილის პოეზიაში, დღევანდელ მუშას ღიმილს მოჰგერის, მაგრამ მაშინდელი მუშისათვის სრულებით მისაღები და დამახასიათებელი იყო იგი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ დავითაშვილის პოეზია—ეს მუშათა მოძრაობის განთიადზე ამღერებაა და ამიტომაა მისი შესწავლა მრავალი მხრივ საინტერესო.

აი კიდევ მეორე დამახასიათებელი ლექსი:

„რამ დაგაშრო შე ოხერო,
ღარიბების ბედის წყარო...
ამოდუღდი, რომ ქვეყანა
ერთნაირად გაახარო.

მე გულსა მწვავს ეს სოფელი
ორ ნაირად გაყოფილი;
ბედით ჩაგრულს უღვთოდ სტანჯავს
თავის ბედით კმაყოფილი.

ზოგი ხარობს და ზოგი კი
ბნელს მარხია, როგორც ჭური,
მძლავრნი ამ ჭურს ჩასძახიან:
გაგვიწიე სამსახური“.

აქაც აშკარად ჩანს, რომ პოეტს სწორეთ აუთვისებია სინამდვილის სინტეტიურობა; ეს სოფელი ორ ნაირად გაყოფილი, ზოგის სიხარული და ზოგის დამარხვაც. საინტერესოა ამ ლექსში ბედის წყაროსადმი მიმართვა: „ამოდუღდი, რომ ქვეყანა ერთნაირად გაახარო“.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ერთნაირ გახარებაში პოეტი სოციალიზმს ჰგულისხმობს, ან გრძნობს ინსტიქტიურად, მუშურად. როგორც დავითაშვილის ბიოგრაფიიდან ჩანს, იგი ერთგულად ემსახურებოდა ხელოსან მუშათა მიერ ამ-ხანაგობების დაარსების იდეას და ერთ თავის წერილში აი რა მნიშვნელოვან აზრს გამოსთქვამს იგი: „თვით გამოჩენილი და სახელგანთქმული შულცე დელიჩის წესდებაზედაც შედგენილი ამხანაგობაც კი მხოლოდ დროებით დაეხმარება გაპირვებულს მუშა-ხელოსნებს“-ო. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენს პრიმიტივს ოთხმოციანი წლების რეაქციის დროსაც კი მოუხერხებია გერმანელი სოციალური რეფორმატორის შულცეს მოძღვრებასთან გაცნობა, მაგრამ ის ამით მარტო როდი დაკმაყოფილებულა; მას სრულებითაც არ მიუღია მისი აზრი მონურად და კრიტიკასაც კი უწევს: შულცეს ამხანაგობებიც კი მხოლოდ პალიატივია და საბოლოოდ მუშათა კლასს იგი ვერ იხსნისო. მაშ რა დაიხსნის ამ კლასს? ალბად ეს საიდუმლოება იცოდა ჩვენმა დავითაშვილმა—ეს იყო სოციალიზმის იდეა, რომლის ქადაგება გაისმოდა მაშინდელ ნაროდნიკულ წრეებში.

მუშის აწინდელი მდგომარეობა დავითაშვილის აზრით არ არის სასიხარულო:

„მუშის ოფლითა ირწყვება
მინდორი, მთა და ქედია:
ის შრომობს სხვები ძღებიან,
დაკარგული აქვს ბედია“.

მაგრამ მუშამ უნდა შეიგნოს თავისი მდგომარეობა და უკეთეს მერმისი-სათვის უნდა იბრძოლოს:

„რა გითხრა, მუშაე მშრომელო,
ტვირთი რომ გაწევს დიდია,
ეცადე უქმნი დატვირთო,
იკმარე, რაც რომ ჰზიდია“.

ამ ლექსის ბოლო სტრიქონებშიც ჩვენი პოეტი სოციალიზმს უნდა გულის-ხმობდეს: მარტო შენ რაც უღელი ზიდე იკმარე და ახლა ეცადე ისეთი პირო-ბები შექმნა, რომ უშრომელი არავინ დარჩესო.

დავითაშვილი მარტო ქალაქის მუშებს არ უგალობს. მას სოფლის გლეხის ბედიც თვალ წინ უდგას. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსი „გლეხი“:

„მთელი ერის მარჩენალი
გლეხკაცია მიწის მუშა;
რაც რომ მძიმე უღლად აწევს
არ იქნა, არ დაიფუშა.

წლითი წლამდე გლეხი შრომობს,
წაუხრია მისთვის ქედი,
ფიქრობს, თუ რით შეიცვლება
დაბურდული მისი ბედი“.

დავითაშვილის მუშა და გლეხი ჯერ კიდევ შეგნების პირველ საფეხურზე დგას, საკუთარი ძალა მოძრაობაში არ უცდია და სხვისი შემყურეა. ისინი ასე შიმართავენ პოეტს:

„რასაც გვპირდებით, ჩვენცა ვგრძნობთ,
არ დაგვკარგია იმედი,
არ დაგვივიწყოთ, გვაღვიძეთ,
რომ არ დაგვატყდეს შავბედი.
რასაც თქვენ გვირჩევთ, იმას ვიქთ,
ასრულდეს თქვენი ნებაო,
ჩვენც თან მივყვებით ჩანჩალით,
ვინაც წინ წაგვიძღვებაო“.

დიდებული ლოზუნგი—„მუშათა განთავისუფლება მუშისავე ხელით უნ-და მოხდეს“, ჯერ უცნობია შეგნების დაბალ საფეხურზე მდგომ მუშისათვის, რომელიც საკუთარ ფეხზე ვერ დამდგარა და სხვას ეძიებს წინამძღოლად.

დავითაშვილი ნათლად ხედავს, რომ მის ირგვლივ გაუნათლებლობა და ბნელია, ამიტომ იგი ყოველ ფეხის გადადგმაზე გაიძახის:

„გლეხებმა წიგნი ვისწავლოთ,
ეს არის ჩვენი ვალიო.
გვეყოფა, რაც რომ გვეძინა,
დროა გავაღოთ თვალიო“.

პოეტს ღრმად სწამს, რომ

„სწავლაა ბნელის ფარანი,
სწავლა ცხოვრების ხიდია.

ამიტომ იგი ყოველთვის ჩასჩიჩინებს მოძმეებს, იკითხონ წიგნები და ჟურნალ-გაზეთები. მგოსანი დარწმუნებულია, რომ ამ გზით მუშებში შეგნება შევა და ისინიც ბოლოს თავიანთ ინტერესების დაცვას შეიძლებენ.
ჩვენი პოეტი ყოველ მხრივ დაბეჩავებული და დაჩაგრული არსება იყო, მაგრამ მასში ღრმად სცემდა საზოგადოებრივი გრძნობების ტალღა. ამიტომაა, რომ მას თავისი შემოქმედება ფართოდ გაუშლია და სხვადასხვა თემებზე სწერს ლექსებს: ქალაქის მუშათა ბედი, გლეხი და მისი ყოფა-ცხოვრება, სამშობლოს ბედი,— ყველაფერი აინტერესებს მას.

„სამშობლოს სიყვარულმა
ამიმღელვარა გული“ სწერს ერთ ლექსში.

უცხოელები პოეტის სიტყვით, ჩვენზე ამბობენ:

„ასე მდიდარი ქვეყანა
ვფიქრობ, რამ წაახდინაო,
ახლა თუმც სუსტობს, მაგრამ კი
სიკეთე უძღვის წინაო.

რამდენიმე მშვენიერი ლექსი უძღვნა მან სამშობლოს: „სამშობლო, ჩემო ლამაზო“, თამარ მეფის შექება და სხვ.

„წყეულიმც იყოს ის კაცი ღვთისგან,
ვისაც სამშობლო ჯრ ჰყვარებია“-ო—ამბობს პოეტი, რომელიც ერთ კერძო წერილში ასეთ აზრს გამოსთქვამს: “არიან ისეთი იდიოტებიც, რომელნიც უარყოფენ სამშობლო ენასო“.
ის ღრმად გრძნობს საერთო ეროვნულ უბედურებას:

„გადაიარე წყვდიადო,
გამო, მზეო გამობრწყინდი,
გაანათე ჩვენი მხარე,
სიბნელეს ნუ შეუშინდი“.—

მას კიდევ ბევრი აქვს სათქმელი, მაგრამ იცის რომ არ ათქმევინებენ:

„მამაც ამ რიგად ტანჯულა,
ვით ვიტანჯები შვილია,
თუმცა სათქმელი ბევრი მაქვს,
ვერ გამიღია პირია“-ო.—სწერს იგი.

საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ ამ გულწრფელი და ნიჭიერი მუშა-პოეტის ლექსები ხშირად გულუბრყვილობის და პრიმიტიულობის ბეჭდით არის აღნიშნული, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ იგი დიდად საყურადღებო მოელენაა ჩვენს

ლიტერატურაში და შესანიშნავად ახასიათებს ჩვენს—მუშათა მოძრაობის—პირველ ეტაპს *).

დავითაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთ პატარა, მაგრამ ფრიად საყურადღებო ფაქტს ჰქონდა ადგილი. გაზეთ „იეერიის“ 1887 წ. № 56 დაბეჭდილია: „ჩვენ მიეიღეთ დასაბეჭდად შემდეგი წერილი, **რომელზედაც ასამდე მუშა და ხელოსანს** უწერია ხელი. „ბ-ნო რედაქტორო! გუშინწინდელ თქვენს გაზეთში დაბეჭდილმა დეპეშამ, რომელიც თელავიდან არის გამოგზავნილი, მოგვიტანა ფრიად სამძიმო და სამწუხარო ამბავი გლეხის იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების თაობაზედ. **ტფილისის მდაბიო მუშა ხალხი სულით და გულით მწუხარენი ვართ ჩვენის წრის საუკეთესო თანამოძმის და თანამემამულის**, იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო. იოსებ დავითაშვილს ჩვენ ეიცნობდით, როგორც ჩვენთვის გულშემატკივარს, სიტყვით და საქმით ჩვენთვის მზრუნველს და ჩვენის ქვეყნის სიკეთისათვის დაუცხრომელს მუშას. გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით აუწყოთ განსვენებულის ნათესავთა და ამხანაგთ ჩვენი ღრმა და გამოუთქმელი მწუხარება“.

ეს სიტყვები ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს ჩვენი მუშათა კლასის ისტორიაში, ვინაიდან აქ საქმე გვაქვს ქართველი „მდაბიო მუშა ხალხის“ პირველ ორგანიზაციულ გამოსვლასთან. ამ მდაბიო ხალხზე უკეთ ვერავინ ვერ დააფასებს დავითაშვილს. რა გულწრფელი სიტყვები და წარმტაცი ფაქტია: პოეტის ქნარი ერთგრძნობაში აკავშირებს ახლად ფეხადგმულ ახალ ეროვნულ და ინტერნაციონალურ როლს!

არც ერთ მწერალს საქართველოში ასეთი გულუბრყვილო და წრფელის განცდით აღსავსე დაფასება არ ჰღირსებია!

იროდიონ ევდოშვილი

(1873—1915)

I

ირიდიონ ევდოშვილის სახელი და ლიტერატურული მოღვაწეობა მჭიდროდ არის შეკავშირებული პირველი რევოლუციის წინა ხანასთან და თვით ამ დიად ისტორიულ მოვლენასთანაც. მგოსანი ახალგაზრდობიდანვე ჩადგა რევოლუციონური ინტელიგენციის რიგებში და აღფრთოვანებით ეგებებოდა ჩვენი დემოკრატიის ამოძრავებას და გათვითცნობიერების გზაზე გამოსვლას.

პირველი რევოლუციის განთიადზე ჩვენი მგოსნის მრავალი ლექსი პირდაპირ სახალხოდ იყო გადაქცეული. მუშები, მოსწავლე ახალგაზრდობა, რევოლუციონური ინტელიგენცია,—ყველა აღტაცებით იმეორებდა ევდოშვილის პროტესტით სავსე ლექსებს. თეატრებში, სკოლებში, ოჯახებში, ქუჩაში—ყოველგან შეგეძლოთ გაგეგონათ:

*) დავითაშვილის შესახებ იხ. ჩვენი რედაქციით სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემული მისი ლექსების სრული კრებული. ე. ს.

„მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე, მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული!
„წინ, წინ, მედგრად შევებრძოლოთ
ჩარხუკულმართ ამ ჩვენს დროსა,
და ჩვენს რაზმს წინ წავუმძღვაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა“.

იმ დროს, როდესაც საზოგადოებრივი ატმოსფერა ბრძოლის ჟინით იყო გაჟღენთილი, ყოველი რადიკალური სიტყვა აღფრთოვანებას იწვევდა და ევდოშვილის ლექსებიც თოფის წამალივით ინთებოდა.

ჩვენი მგოსნის შემოქმედება შეგვიძლია გავყოთ ორ ნაწილად: ლირიკად და სინამდვილის ამსახავ სურათებად. ევდოშვილი უმთავრესად პროლეტარულად განწყობილი ლირიკოსია. იგი თვალს ადევნებს ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას, ცდილობს შეიგნოს მისი შინაარსი, აშკარად დგება ჩაგრულთა მხარეზე და გულის წყრომით აღსავსე ლექსებს უძღვნის მშრომელი ხალხის მტერსა და ორგულს. უსამართლობით გულდასერილ პოეტს გაზაფხულის მშვენიერებაც კი არ უნდა მიიღოს.

„კვლავ გაზაფხული, კვლავ ია-ვარდი,
კვლავ ბულბულთ სტვენა დაგვიტკბობს სმენას,
კვლავ სიხარული, ცეკვა, ნავარდი
და კვლავ ბუნება ეძლევა ლხენას.
მაგრამ ვით ეჭვრეტდე ვარდსა და იას,
ვით შევსტრფიალო მზიანსა დღესა,
ვით გამახაროს უტყვთა მეჯლისმა,
ოდეს გულს ჰგმირავს მეტყველთა კვნესა“.

მებრძოლ პოეტს არაოდეს არ ავიწყდება „მეტყველთა კვნესა“ და ჩაგრულთ ბედი. კეთილშობილურ პროტესტთან ერთად იგი უდიდესი სევდით არის დაავადებული.

„ნუ, ნუ იწვევ სულს აყვავებულ მხარეს,
სადაც ადგილი არა აქვს ურვას, არც სიმწუხარეს,
აბა რად მინდა ოცნებითა ერთ წუთს ვტკბებოდე
და მერე ისევ ცხარე ცრემლად დაეიღვრებოდე“,-ო

ამბობს მოქალაქეობრივი გრძნობებით გაჟღენთილი მგოსანი.

პირადი გრძნობა და საკუთარი თავი პოეტს თითქმის ერთიანად მიუვიწყებია და მხოლოდ საზოგადოებრივის გრძნობით ცხოვრობს. არ არის წამი, როდესაც ევდოშვილის არსება საზოგადო ინტერესებიდან გამოთიშულად გრძნობდეს თავს და პირად უბედურებას დასტიროდეს.

„მე არა ვსტირი ჩემს სიკაბუკეს,
არც გულის სატრფოს, არცა მყოლია,

მარტოკა გდება, მწარე ცხოვრება,
ვეპვობ ქუდ-ბედად თან დამყოლია,
„მე ჩემს გარშემო მომესმის კვნესა,
მაშვრალი ხალხი ტვირთ-ქვეშა გმინავს,
მათი ვაება, უსამართლობა,
ვითა ისარი, გულსა მიგმირავს“,

ასე დამღერს მგოსანი, რომლის სიტყვები ერთიანად შეეფერებოდა მაშინდელი საზოგადოების სულიერ მდგომარეობას. მომწიფებული მოძრაობის სული და გული სწორედ „მაშვრალთა ხალხის ტვირთ ქვეშა გმინვა“ იყო, ამას აშკარად გრძნობდა და ხედავდა ყოველი პატიოსნად მოაზროვნე ადამიანი და ვინ იქნებოდა ისეთი, რომ „უსამართლობა, ვითა ისარი“ გულში არ ჩარჭობოდა!

ხშირად ევდოშვილის ლექსები საერთო ფრაზებითაა შეზავებული და რიტორიულ დეკლარაციებს იძლევა, დღეს ჩვენთვის ეს აშკარაა და ნათლად ვხედავთ, რომ ნაკლებად ჩანს კონკრეტული მხატვრული სახე, მაგრამ იმ დროს, როდესაც ეს ლექსები იწერებოდა, თვითონ საზოგადოებაც ასეთსავე გაურკვეველ და ჩამოუყალიბებელ მდგომარეობას განიცდიდა. ყველა პროტესტანტობდა, ყველა იწუნებდა არსებულს, მაგრამ კონკრეტულად რაში უნდა გამოხატულიყო ახლის განხორციელება, არაევინ არ იცოდა და ამიტომ ყველა საერთო ფრაზით იკმაყოფილებდა თავს. ოღონდ თვითმპყრობელობა დავამხოთ და მეორე დღესვე ისე მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას, როგორც ჩვენ გვინდაო,—ასეთი იყო მაშინდელი სულიერი ვითარება, რომელსაც აგრე ეგუებოდა ევდოშვილის ქნარი.

ევდოშვილს ღრმად სწამს, რომ მომავალი ჩაგრულებისაა:

„მაგრამ მოვა დრო და სიტკბოებით
შენც გაგიღიმებს დღის განთიადი,
იგი იქნება დრო განახლების...
დროი ბრწყინვალე, დროი დიადი“,

ასე მიმართავს მგოსანი მაშვრალთა სამეფოს. დიახ, მგოსანი შეუერყეველი იმედით არის გაჟღენთილი, იგი გვეუბნება:

„ვიცი, რომ ბრძოლის შემდეგა
მზე გამოკრთება გზაზედა,
და თავის სხივსა უმანკოს
აათამაშებს ნამზედა“-ო,

მაგრამ იგი სრულებითაც არ არის ბავშურის ოპტიმიზმით შეპყრობილი და სინამდვილეს პირდაპირ შესცქერის თვალში:

„კიდევ იმედი... კვლავ იმედი...
მხოლოდ იმედი—სხვა არაფერი...
ნუ თუ იმედის მოლოდინშია
უნდა დავლიო პირქუში დღენი,
მაგრამ ასე სჯობს! დეე იმედმა
ბრძოლად იწვნიოს ნატკენი გული,

დეე ცრემლებმა მორწყოს ყამირი,
მერე ადვილად გაიელის ხნული.
მე ამ იმედით აღფრთოვნებული
პირსწორედ ეუცქერ მძლავრთ უკმეხობას,
ვინც რომ სხვის ოფლით იკვებებიან,
საფრად ხმარობენ „ძმობა-ერთობას“.
მე ამ იმედით აღფრთოვნებული
სიამით განვსჭვრეტ დიდებულ ხანას,
როს მაშვრალთ გულით ამოხეთქილი
გმინვა „განთიადს“ ამცნებს „ქვეყანას“.

პოეტს ხშირად უიმედობაც კი იპყრობს

„ოხ, მეგობარო, მომეცი ხელი,
დავეყრდნო ზედა ქანცმილეული.
მითხარი რამე, ნუგეში მამე,
თორემ ბედკრულსა მიტყდება გული“.

ეედოშვილი ხანდახან სანტიმენტალობაში ვარდება და მისი სევდაც გადაჭარბებულად გეჩვენებათ, მაგრამ არის წამი, როდესაც მგოსნის სევდას შენც იზიარებ.

„ღამეა კაეშნიანი...
თვალი ვერ ხედავს ვერასა,
ქარი კვნესს, ქარი სისინებს,
ქარი დასტირის ბნელასა...
ფიქრი... ფიქრი... და ფიქრები...
არ ჰშორდებიან გონებას,
გული სევდებმა წაიღეს,
სული მიეცა ღონებას,“

II

ასე კვნესის პოეტის ქნარი იმ დროს, როდესაც პროტესტით გაჟღენთილმა საზოგადოებამ მშვენიერად იცოდა, თუ რას ნიშნავდა „კაეშნიანი ღამე“,—ეს მაშინდელი რეჟიმი იყო,—და რის გარშემო ტრიალებდა მგოსნის „ფიქრი... ფიქრი... და ფიქრები,“ აი, ამ დროს არ შეიძლებოდა სრული თანაგრძნობა და ურთიერთის გაგება არ დამყარებულიყო პოეტსა და საზოგადოებას შორის.

ეედოშვილი, როგორც ვთქვით, უმთავრესად ლირიკოსია, მაგრამ შიგა და შიგ პლასტიურ სურათებსაც იძლევა. ეს სურათები ამოღებულია საზოგადოების იმ ნაწილიდან, რომელიც დაჩაგრულია, გაბატონებულთა უღელ ქვეშ გმინავს და რომელთაც მთელი თავის არსებით თანაუგრძნობს მგოსანი. ჩვენ წინ იშლება ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე „მატანტალას“ სურათი;

„დღეს როგორც გუშინ ქუჩა-ქუჩა კვლავ იარები,
ტანს ჩვრები გფარავს, ფეხებს წყლული და იარები,“

ასე მიმართავს პოეტი ცხოვრების „მეტ ბარგად" გადაქცეულს, რომელიც შაშინ სჭირდებოდა ამ სოფელს, „ოდეს ჭაბუკსა, სიცოცხლით საესეს, ჯან-ღონე" ჰქონდა, „სჭიმავდა ძარღვებს", „ოულსა ჭღვრიდა", და იგი კი სხვა კაცს მიჰქონდა". ერთ დროს მატანტალა ცხოვრებისათვის საჭირო არსება იყო და უზომოდაც ყვლეფდენ მას. დღეს კი, „როცა გატყდა ჯანი, უსუსტა მკლავმა", უკვე არ გამოდგება საექსპლოატაციოდ და ნახმარ ჩვარივით სადღაც მიგდებულს „სადმე ქუჩაში ამოგიყა ტანჯული სული"-ო, ეუბნება პოეტი. მუშის პიროვნება თავისთავად არაფრად არ ფასობს, დაფასებულია მხოლოდ მისი „ძარღვების ჭიმვა" და, როცა მოკვდება, მის შესახებ ასე იტყვიან: „მოკვდა ჭია და მატანტალა"-ო. ასეთ ნაირად ფასდება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მშრომელი და მისი სიცოცხლე.

ტანჯვაში და ვაგლახში მიმდინარეობს მუშის არსებობა დღიდან დაბადებისა. იგი ასეთის ნაღველით დამღერის:

„მე დავიბადე ძველ წნულის ქოხში,
ლერწამი იყო ჩემი აკვანი,
ზევიდან ჩვარი ძლივსა მფარავდა,
სიცივით კრთოდა შიშველი კანი,
დედის ნანასა ქარი სისინით,
ქოხს შემოჭრილი, ბანსა აძლევდა,
და ჩემი გული იმა ხმაზედა
გამოურკვეველ შიშითა კრთოდა".

ეს გამოურკვეველი შიში თან სდევს მას მთელ მის სიცოცხლეში და ბოლოს:

„შიშველს მიწაზე, დიდი ქარხნის ქვემო სარდაფში,
იწვა მუშაკი, ზედ ეხურა ჩოხის ნაგლეჯი,
თავი დაეყრდნო კონკის ძველი ტოპრაკისათვის,
მხოლოდ ეს იყო მისი სიმდიდრე, მისი აეჯი",

თავი ანება თავის ცოლშვილს, ტოლ-ამხანაგებს, ვეღარ გაუძლო ცხოვრების ორონტრიალს და სადღაც ძაღლურად ხდება სული...

აგერ კიდევ უკულმართ საზოგადოებრივი ცხოვრების მსხვერპლი „განკიცხული", რომელიც ტორტმანით მოდის დუქნის წინ:

„ვინ იცის, ღამე სად ათია, რომელ სარდაფში,
ყელზე მოეგდო თავსახვევი გახუნებული
და ძველი კაბა ამოეკლო ჭუჭყში და ლაფში,
სახეზე უჩანს უზნეობის შავი ლაქები",

მან დიდი ხანია დაკარგა უმანკოება, „დუხჭირ ცხოვრებამ გადულახა ყმაწვილი გული" და დღეს „სახლიდან გამოაგდო ლოთმა დედამ და ახლა ჰქვია ქუჩის გოგო და მაწანწალა". გულის მომკველი სურათია და პოეტიც სამართლიანად გოდებს.

აი კიდევ სიმბოლიური სურათი: ბატონები ნელი ნაბიჯით, დინჯად დასეირნობენ,

„იმათ მახლობლად ფეხშიშველა ათი წლის ბიჭი
კალათით ხელში იდგა კრძალვით, ჰყიდდა იასა
და აგერ მის წინ შედგა ერთი ცილინდროსანი,

რომელმაც ია აიღო და „პატრონს ფასად გადაუგდო ხუთ გროშიანი“. ასეთია პლასტიური სურათი, რომელიც შემდეგ აზრებს მოჰგვრის პოეტს:

„პატარა მუშავ, მომავალო ოფლისა მღვრელო!
შენც მიულოცე გაზაფხული იით ბატონსა,
მაგრამ შენ ვიღა მოგილოცავს სხვაგვარ გაზაფხულს?
ვინ გაგაგონებს: აიმართა სიმართლის დროშა“?

ევდოშვილს უყვარს ცხოვრების ბსკერზე მოქცეულ გერების ჩვენება:

„სახე ნაცემი, დაკაწრული, ჩაშავებული
იწვა ქუჩაზე პერანგისა მარტო ამარა,
მის გვერდზე ეგდო არაყისა უძირო ბოთლი,
მისი მტარვალი. მაინც იმან დაასამარა“,

ასე აგვიწერს პოეტი კიდევ ერთს მაწანწალთაგანს, რომლის გვერდით

„იქავე ახლო ქალაქის ბრბო სცემდა ტაშიტუშს,
ლაზღანდარობდენ მშიერ კუჭით კონკის ძველები“

ესენიც წაქცეულის ძმები არიან და მისებრ ნაძირალებად გადაუქცევია ისინი ცხოვრებას. ადამიანთა ამავე ჯგუფს ეკუთვნის გარყვნილი ბიჭუკელაც, რომელიც

„მიდის მიგოგავს შიშველ ფეხებით,
ხან ილანძღება, ხან მუშტებს ჰკუმშავს,
გულს ახალუხი გაუღეღია,
კეფაზე ქუდი წამოუხურავს.
მიდის, მიგოგავს, თანაც ნელ-ნელა
უახლოვდება მეხილის დუქანს,
აცოცა ხელი და ოსტატურად,
ვითომ ეხუმრობო, ჩაუკრა ბუქნას“.

ეს არსება პატარაობიდანვე დაღუპვის გზაზე დგას და მისი ხსნა შეუძლებელია.

გარდა ცხოვრებისათვის უვარგის და მის მიერვე უსამართლოდ დაღუპულ არსებებისა ევდოშვილი თვითონ წარმოებაში ჩაბმულ მუშებსაც გვიხატავს. ასეთია, მაგალითად, „მჭედელი პეტრე“ და ასოთამწყობი, რომელიც კბილის ღრჭენით დამღერის:

„ჩვენ სულ ვაწყობთ ერთმანეთზე
პაწაწინა ლითონ-რკინას,
ზოგი აქეთ, ზოგი იქით,
ზოგიც კიდევ განაპირას.

მკვდრის სუდარას სახე გვიგავს,
თვალები კი მიმქრალ სანთელს,
ლომიც იყო, ვერ აიტან
ფეხზე დგომას, ძმაო, ამდენს“ და სხვ.

III

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ეკდოშვილი გაცილებით უფრო ნაყოფიერი და ძლიერია ლირიკულ პროტესტებში, ვინემ სინამდვილის პლასტიურად ასახვაში. აქვე უნდა შეენიშნოთ ისიც, რომ მისი სურათები ლუმპენ პროლეტარების პორტრეტებია და სამრეწველო პროლეტარიატის ცხოვრების მამოძრავებელისა და ღირებულებათა შემქნელის ტიპს ჩვენი მგოსნის შემოქმედებაში ვერ ეხედავთ. ეს, რასაკვირველია, პოეტის ნიჭის ბრალი არ არის, ვინაიდან ამ ტიპის მუშა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული და მისი შემოქმედებაც ნაკლებად ჩანდა ჩვენს სინამდვილეში. არა მარტო ჩვენში, ასე იყო რუსეთშიც. მოვიგონოთ მაქსიმ გორკის—პირველი რევოლუციის ქარიშხლის მაუწყებელის შემოქმედების ობიექტები: ესენი ცხოვრების ნაძირალები არიან—მაწანწალები—და ჩვენს სიმპატიას მარტო პროტესტანტული სულის კვეთებისათვის იპყრობენ.

ეკდოშვილის მუშა, მართალია, უსამართლობას გრძნობს, მაგრამ ის ჯერ კიდევ დიდად ვერ დაშორებია იოსებ დავითაშვილის მიერ მოცემულ მუშას, რომელიც ასე მიმართავს პოეტს:

„რასაც გვპირდებით, ჩვენცა ვგრძნობთ,
არ დაგვკარგვია იმედი,
არ დაგვიეიწყოთ გვალვიძეთ,
რომ არ დაგვატყდეს შავბედი.
რასაც თქვენ გვირჩევთ, იმას ვიქ-თ,
ასრულდეს თქვენი ნებაო,
ჩვენც თან მივყვებით ჩანჩალით,
ვინაც კი წაგვიძღვებაო“.

ეკდოშვილის დროც სწორედ ისეთი ხანა იყო, როცა ჩვენი მუშები ძლიევას დგებოდენ საკუთარ ფეხებზე; მათ ჯერ კიდევ ვერ შეეგნოთ, რომ „მუშათა განთავისუფლება თვითონ მუშათა საქმეა“ და ამიტომაც წინამძღოლ ინტელიგენტებს და მოწინავე მუშებს მიჰყვებოდენ „ჩანჩალით“. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ჩვენი მუშები არც მოტყუილებულან ამაში და ეკდოშვილი მუდამ სწორ და კლასიურ გზაზე აყენებდა მათ.

„რას, შესცქერ, ძმაო, ფანჯარაში მდიდრის ქულაჯას?
არა ჰგავს განა კონკად ქცეულ შენს ძველ ფარაჯას?
შენ გააკეთე, შენ შეჰქმენი, ძმაო, ეგ ფარჩა,
მაგრამ რაღაცა მანქანებით შენ კი არ დაგრჩა.
ის სხვამ წაიღო, შენ გარგუნეს ეს კონკის ძველა.
ასე რად ხდება? ჰკითხე შენს თავს მაინც ერთხელა“!

ამ ლექსში მოცემული სურათი მსჯელობით საესე მთელ ტომზე უფრო მეტ გავლენას ახდენს მკითხველზე და კლასიურ გათვითცნობიერებასაც დიდად უწყობს ხელს.

ასეთივე მომხიბვლელი კონტრასტებია ლექსში „საღამო ქალაქში", რომელშიც აწერილია მშვენიერი საღამო და ამ ბედნიერების წიაღში მყოფნი. აქ პოეტი თავის საყვარელ ხერხს მიმართავს:

„ბედნიერებო, გამოდით გარე,
მხოლოდა თქვენთვის ანათებს მთვარე...
შენ კი, საწყალო, ბედს რო ემდური,
ამ მეჯლისიდან გამოიპარე!
თორემ, გარწმუნებ, მწვავე იარა
გულს აგეშლება და გაგამწარებს,
ეს ტურფა ღამე თვით ოცნებაში
შავსა ნაღველსა შემოგაპარებს"-ო და სხვ.

ევდოშვილის პოეზიამ პირველი რევოლუციის ხანაში დიდი სამსახური გაუწია ჩვენს მებრძოლ მშრომელ ხალხს, მისი ქნარი გულწრფელად ადიდებდა თავისუფლებისათვის მებრძოლთ და გამამხნევებელის ჰანგებით ატკბობდა ყველას. სხვა ლექსებს შორის მისი „გურული ნანა", რომელიც რეაქციის მძვინვარების დროს დაიბეჭდა, პირდაპირ სახალხო ლექსად გარდაიქცა.

„იავნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო,
კარგად იცი ჩემო კარგო,
ვინ შეგაშინაო.
მტარვალების მათრახებმა
ჩვენ დაგვაფრთხინაო,
ტყეში თოვლზე გირწევ აკვანს...
იავნანინაო.
იავნანა, ვარდო ნანა...
იავ ნანინაო,
მამაშენსა მათრახებმა
სისხლი ადინაო.
თოკით შეკრეს და შებოჭეს
იავ ნანინაო,
ჯაშუშს ვერსად დაემალა,
ბევრიც ირბინაო...
სად გაგათბო, რა გიშველო,
შენ გენაცვალეო,
ჯერ ტკბილი არ გიგემია
მწარე დალიეო...
იავ ნანა, ვარდო ნანა,
იავნანინაო,

„უყურე ჩემსა ცრემლებსა
თოელზე დაიბნაო და სხვ.

ეს ლექსი სამი ამოდენა კიდეე იქნება და ეედოშვილის პოეზიის ნამდვილი მარგალიტია.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ეედოშვილი, საზოგადოდ, მძიმე კილოთი სწერს და ბარათაშვილის და ილიას ლექსთა მუსიკალობის გავლენა ატყვია.

ვარლამ რუხაძე

(დაიბადა 1874 წ.)

რუხაძე დავითაშვილის მსგავს პირობებშია აღზრდილი: სკოლის კარები მას არ უნახავს, პატარაობიდანვე უშუალოდ იყო ჩაბმული პრაქტიკულ ცხოვრებაში და ლუკმა პურის ძებნაში. ცხოვრების სიდუხჭირემ ვერ ჩააქრო მისი მაძიებელი სულის მისწრაფება და საკუთარი ძალღონით ხარბად იმის შეძენა, რაც მისთვის სკოლას არ მიუცია. იწყებს წიგნების კითხვას, თვითგანვითარებას და მალე ერკვევა თანამედროვე ცხოვრების სირთულეში. სინამდვილის მიერ თავიდანვე შრომის უღელში შებმული, საკუთარის გამოცდილებით ხედავს ამ ქვეყნიურ უსამართლობას და მალე იბადება მასში თავისი აზრისა და გრძნობის საქვეყნოდ გამოთქმის სურვილი. რუხაძე კარგა ხნის განმავლობაში შიშითა და კრძალვით გამოსთქვამს თავის აზრებს, ბორძიკ-ბორძიკით დგამს ნაბიჯებს, მაგრამ გადის დრო და იგი უფრო გაბედული ხდება, მისი მხედველობის ჰორიზონტი თანდათან ფართოვდება და ვითარდება. რუხაძის თანდათანი ზრდა და წელში გასწორება ეს ქართველი მუშის შეგნების და თანდათანი ამოქმედების პროცესია. შეგნება პრიმიტიულის უბრალოებით იწყება:

„ოთხი რამ მიყვარს, ოთხ რასმე
ვეტრფი გულით და სულითა;
ოთხი რამე მწამს, ოთხ რასმე
თაყვანს ვსცემ სიყვარულითა;
ერთს ეწოდება სიმართლე
მეორეს—თანასწორობა,
მესამეს—თავისუფლება
და მეოთხესა ერთობა“.—ასე სწერდა რუხაძე 1899 წელში. დღეს ამ ლექსის წაკითხვაზე თავშეკავებულად გვეღიმება, ხოლო მაშინ კი შეუგნებელი მუშისთვის ეს უსათუოდ რაღაცას ნიშნავდა.

რუხაძემ პირველი რევოლუციის წინა წლებში დაიწყო წერა, მაგრამ მისმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ განსაკუთრებით ფრთა გაშალა რეაქციის ხანაში. იგი უმეტესად ლირიკოსია და იმავე დროს გარეშე სინამდვილესაც ასახავს.

აი, მუშის პროფილი, რომელიც
„გუშინ მთელი დღე შავ ქვას სთხრიდა

ბნელ მაღაროში,
არ იზოგავდა თვის ძალღონეს
შრომისა შვილი.
რომ მით ეშოვნა ღარიბ-ღატაკს
ორიოდ გროში
და მით ერჩინა უბედური
წვრილი ცოლშვილი''.

აგერ კიდევ სხეულით მოეაკრე ქალი კარებთან

,,რომ ატუზულა შალმოხურული''...

ქარხნის კედლებთან ასეთი სურათია:

,,აგერ დიდ ქარხნის ალაყაფის
კარების წინა,
წელში მოხრილი დგას ვაჟკაცი
მშიერ მწყურვალი.
საქმეს თხოულობს, მაგრამ არავინ
აძლევს უბედურს
და მწარედ გმინავს, ეკიდება
კაეშნის ალი''.

,,თავეფეხშიშველა, გახვეული ძველ ფარაჯაში'' სამეკიტნოში ზის ლოთი, რომელიც ნაძირალად გადაქცეულა და რომელიც თავის უბედურებას ,,დუხჭირ ცხოვრებას'' აბრალებს.

,,აგერ ქუჩაში წელში მოხრილი,
სახე გამხდარი, ჩამოკონკილი
მოდის გლახაკი ძიგძიგ-კანკალით,
თან მწარედ სტირის სასომიხდილი'',

სურათი სურათს მისდევს:

,,ქოხები ძილს მისცემია,
დიდ დარბაზში ლხინი არი:
როიალი სვენს და გრგვინავს,
აქ ცეკვაა, იქ ხარხარი.
გარეთ, იქვე, კედლის ძირას,
ტანჯული და წამებული,
შრომის შვილი გდია, ძინავს,
საცოდავად მოკლანჩხული''.

კიდევ სურათი:

,,შავებში გამოხვეული,
თმა გაწეწილი, მწუხარე
კენესის ქვითინებს სალომე,
ცრემლი ცრემლზე სდის მდუღარე.

წინ უდევს შვილის ცხედარი
მტარვალთა ხელით მოკლული,
როდესაც უსამართლობას
ებრძოდა გააფთრებული''.

ასეთი პროფილები ბლომადაა გაბნეული რუხაძის ლექსებში. მშვენიერი და აზრიანია მისი ,,ქალაქი'' სურათებში. როგორც უკვე ვნახეთ, ევდოშვილიც იძლევა ამისგვარ სურათებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რუხაძეს უფრო მეტი სურათი მოეპოვება, თუმც ისიც ევდოშვილივით ცხოვრების გერებს და ლუმპენ პროლეტარებს გეიხატავს, ხოლო შეგნებული და გათვითცნობიერებული მუშა, რომელიც ახალი ცხოვრების მეთაური უნდა შეიქნეს, არც რუხაძის შემოქმედებაში ჩანს. მართალია, ასეთი ტიპის პროფილი რუხაძის თვალწინაც გაიკროლებს, მაგრამ სურათის და სინამდვილეში ჩაქსოვილ მოქმედების ნაცვლად ჩვენს მსჯელობასთან და, საზოგადოდ, ინდივიდუალობას მოკლებულ სქემატიზმთან გვაქვს საქმე. მაგალითისათვის დაეუკვირდეთ ლექსს ,,პროლეტარიატის სიმღერა'':

,,გარს გვახვევია საზარი ბნელი,
შორს მთის იქით ჩანს სხივი სინათლის
და ჩვენც იმისკენ მივეშურებით,
მივაფრიალებთ დროშას სიმართლის,
ნარ ეკლით მოცულ გზაზე მივდივართ,
წინ გვხვდება სისხლის მსმელ მხეცთა კრება,
ქედმოუხრელად ვებრძვით, გვებრძვიან...
მხვერპლს მსხვერპლი მოსდევს, სისხლი იღვრება—'' და სხვ.

უსამართლო ცხოვრების სურათები ვარლამ რუხაძის სულსა და გულში გულწრფელ აღშფოთებას იწვევს და მგოსანიც თითქმის ყოველ ლექსში გვამცნევს თავის სიმპატია-ანტიპატიას.

,,მარად ვმღეროდი და ახლაც ვმღერი,
მაგრამ ცრემლებსაც ვაფრქვევ მალულად:
არ მსურს ჩემს კვნესას ისმენდეს მტერი
და სთვლიდეს თავსა გამარჯვებულად.
მე მონა არ ვარ და, როცა ეხედავ
ჩემს გარეშემო მონის ბორკილებს,
მათ დასამსხვრევად მახვილსა ვჭედავ
ბრძოლის ველისკენ ვეძახი გმირებს''.

პოეტს გულს უკლავს უსამართლობით სავსე ცხოვრება და მისი მომწამველი ჭაობი:

,,მომწყინდა მუდამ ჭაობში
ხოხვა... ვაგლახის ყურება,
რა სიცოცხლეა სიცოცხლე
თუ ნისლით დაიბურება,
ვერ ავა შვების მწვერვალზე,
ცრემლთა ზღვად დაიწურება''.

ამიტომ მგოსანი გულის სიღრმიდან ამოიკვნესებს:

,,მუდამ მიწაზე ხოხვა, მომწყინდა
რო ვნახო ზეცა ერთხელ,—მეც მინდა:
მომეცით ფრთები მეც გავფრინდები''.

რუხაძის სული მუდამ ძიებაშია:

,,ბილიკს მივყვები მაღლობზე,
მივდივარ სვენებ-სვენებით,
ხან კლდე შემხვდება, ხან ხრამი,
ხან ველი სავსე შვენებით,
ხან ნარი გამკრავს, დამნესტრავს
თავის წვეტიან ენებით.
მე მაინც წინ, წინ მივდივარ,
მსურს ვნახო ლურჯი სამყარო,
სხივთა ჩანჩქერში შევცურდე,
სული და გული ვახარო
და შემდეგ კაცობრიობას
მზის უკვდავება ვახარო''.

ასე მღერის ჩვენი მგოსანი, რომელსაც პირად ბედნიერებაზე არაოდეს არ უფიქრია და მუდამ სამოქალაქო გრძნობებით იყო გაჟღენთილი.

რუხაძისათვის, როგორც ლირიკოსისათვის,

,,არიან წამნი, როდესაც გულზე
შემოგაწვება ბოლმა ნაღველი,
ფიქრობ აწმყოზე, ფიქრობ წარსულზე...
და მომავლისგან არაფერს ელი.

მაგრამ მეორე მომენტიც იცის მგრძნობიარე გულმა:

,,არიან წამნი: იმედი ფრთებს შლის,
შორს იფანტება სევდა, ნაღველი,
გულში იღვიძებს სურვილი წინსვლის,
გრწამს მომავალი, მისგან ხსნას ელი''.

საერთოდ, რუხაძე იმედიანი და მებრძოლი პოეტია და მუდამ ასე იმღეროდა:

,,ხსნა ბრძოლაშია, ბრძოლაში,
ამაო არის ცრემლები.
ფუი მას, ვისაც მონურად
დაუკრეფია ხელები''.

ვარლამ რუხაძის ლექსთა კრებული რამდენჯერმე გამოცემულია. ამათში ყველაზე უკეთესია შემოქმედების და მხატვრულის სისრულით მესამე წიგნი ,,ცხოვრების ყვავილები''.

ნ. ზომლეთელი

(დაიბადა 1880 წ.)

ნ. ზომლეთელი (ქურიძე) ეკუთვნის მგოსანთა იმ ჯგუფს, რომელიც თავგანწირული ეკვეთა ქვეყნის მტერთა და ორგულთა რევოლუციის დამარცხების ხანაში.

მისი მსუბუქი და უბრალო ლექსები, მისი წრფელი და გულისწყრომით აღსავსე გოდება მომხიბლავ ჰანგებად გაისმა საერთო უიმედობისა და დამარცხების ხანაში.

ჰაერი გესლით გაეღენთილია,
ჭეშმარიტება უარყოფილი,
ძალმომრეობა მაღლა მჯდარია,
თავისუფლება გულგაპობილი,

ამ ხილვით განაწამები პოეტი გულის სიღრმიდან ამოიკვნესებს:

,,ქარო დაჰბერე ძლიერად,
გაჰფანტე ღრუბელთ გროვანი.
ცავ, გადიწმინდე, ბუნებავ,
შესწყვიტე კვნესა-გლოვანი.
ზღვავ, აბობოქრდი, აზვირთდი
და ააყენე ქაფები,
გულო, ატოკდი, აძგერდი,
ჩანგო მომართე ძაფები...
დაჰბერე ქარო, დაჰბერე,
გაჰფანტე ღრუბელთ გროვანი,
ცავ, მოიწმინდე, ბუნებავ,
ლხინზე შესცვალე გლოვანი.

სიმართლის მოსარჩლე ყოველთვის დევნილი ყოფილა, ასეთი ბედი ეწვია ზომლეთელსაც, მაგრამ მას ოდნავადაც კი არ მოუხრია ქედი ბოროტების წინაშე:

,,დაე, მდევნიდენ სიმართლის თქმისთვის,
ჯვარზე გამაკრან, მაწამონ, მტანჯონ;
დე ჩემი სიტყვა და ჩემი საქმე
„აუკულმართონ. ბოროტად საჯონ,

პოეტი მაინც არ დრკება, იგი ამბობს:

„არწიეის თვალით გავხედავ მყობადს,
ოცნების ისარს შევასხამ ფრთებსა,
გულს შემოვავლებ ჯავშანთა ფოლადს
და გავწყვეტ აწმყოს მავთულ-ხლართებსა''.

უბედურთა მგოსანი თვითონაც უბედურია:

,,ჩანგს სიმები ვერ ავუწყე,
ვრძნობით ველარ ავაღერე,

ველარც კილო გამოვნახე,
ვერც სიტყვები შევუფერე...
ზეცა ცრუა... მიწა ყრუა...
მე ეს მტანჯავს, ამას ვჩივი.
და შენ სად ხარ, განთიადო,
მომაშველე შენი სხივი''

აწმყო არ აკმაყოფილებს პოეტს:

,,როს აწმყოზე მწვავედ ვჩივი,
ჩემთან კვნესის ჩემი ჩანგი,
რა ექნა, ამ ,,შავ სინამდვილეს''
თუ ვერ გახდა ჩემი ჩანგი.
და რადგანაც ჯოჯოხეთს ჰგავს
ტანჯვის ცეცხლი, სევდის ქარი,
მწვავე არის ჩემი ლექსი,
და მკაცრია ჩემი ქნარი.
მაგრამ, როცა მომავალზე
გამიტაცებს მძლეური ქარი,
ოცნება ფრთებს გაისწორებს,
მეც მის ფრთებზე ვზი და მიექრი.
სიხარულის სამეფოსკენ
მიმიწოდებს მძლავრად გული,
,,მაშინ მკერდით ქუხილი ქუხს
და ყივილი გაბედული''

ზომლეთელი, საზოგადოდ, ნაყოფიერი პოეტია. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლექსი და მოსწრებული იუმორისტული ნაწარმოები (სწერს ონისიმეს ფსევდონიმით). სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისათანავე იგი მშრომელთა ინტერესების დაცვას შეუდგა და დღემდის გულწრფელად და ნიჭიერად ემსახურება ამ დიდ საქმეს.

ამ ჟამად იგი მუშაობს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.

ი ა ს ა მ ა ნ ი

(დაიბადა 1885 წ.)

იასამანმა (მიხეილ კინწურაშვილი) წერა დაიწყო პირველი რევოლუციის წინაწლებში, მაგრამ მისი ნიჭი განვითარდა რეაქციის ხანაში. მის შემოქმედებას ახასიათებს უპირველეს ყოვლისა გრძნობიერება და შინაგანი ცეცხლით დაწვა.

იასამანის პოეზიის ნაკადული ნელა მიმდინარეობს და გარეგნულად თითქოს მშვიდ სახეს ატარებს, მაგრამ მისი ტალღა მიკარებისთანავე გწვავს იმ ნელის ცეცხლით.

,,ფოთლები ცვივა... თან მიაქვს
იმედი უდროდ დამჭკნარი,
ქნარია მეპირისუფლე
და მესაფლავე ზამთარი.

მეპირისუფლე დასძახის
ულრან ხევხუვში ობლებსა
და ლოშნის დაუსრულებლად
ჩამოწყვეტილსა ფოთლებსა.

ფოთლები ცვივა... იმედი
მათ თან მიჰყვება ჩამჭკნარი...
მასაც მომტაცებს გრიგალი,
მასაც მომტაცებს ზამთარი''.

ასე კენესის გულხელდაკრეფილი მგოსანი, რომელიც თაეის გარშემო უსაშართლობის და მაშვრალთა ჩაგვრის მეტს ვერას ხედავს.

,,შავ ფიქრებს შავ ოთახიდან
გავექეც მეტად მწუხარე,
სასაფლაოს გზას გავუდექ
გონარეული, მდუმარე.

საფლაეი ვნახე ობოლი
ძმის უდროდ დაკარგულისა,
გადათოშილი ყინვისგან
დამწყლულებელი გულისა''...

აი, კიდევ სასაფლაოს სურათი:

,,აქ მარხია, ვინც ხანმოკლე
სიცოცხლე ხალხს ანაცვალა,
მისი ტანჯვით ვინც იტანჯა,
ვის ესმოდა მისი ძალა''...

იასამანის ნიკი საშინელი რეაქციის ხანაში მწიფდება, სახალხო უბედურებით დაავადებული მისი მუზა ასე კენესისს:

,,ფრთებზე შემისვა ნიავმა,
ობოლ ფოთოლსა მადარა,
ყაეშნიანი ტიტინით
შავი საეალი მატარა.
სასაფლაოზე მდუმარე
ტირიფი შემხვდა ობოლი,
მესაიდუმლეს საფლავთა
შემოძარცვოდა ფოთოლი...
ფრთებზე შემისვა ნიავმა,
ობოლ ფოთოლსა მადარა,

კაეშნიანი ტიტინით
. საფლავ-საფლავად მატარა''.

იყო დრო, როდესაც პოეტის აღმაფრენა ფრთაგაშლილი ნავარდობდა, მაგრამ

,,სხვა იყო ის დრო, სხვა არის ახლა
სხვა ზღვა, სხვა გემი, სხვა ნიაღვარი'',

მაშერალთა სამეფოს ისევ ბოროტი ძალა დაეუფლა:

,,სანახაობა წარსულისა უკვე შეცვლილა,
წარგზავნილია შორეს, შორეს ნეტარი დილა...
გემი აღარ ჩანს: ზღვის უფსკრულში ჰპოვა მან ბინა,
იმედის საფლავს შეეფეთა და დაიძინა''.

დამარცხებულ ქოხთა შორის ასეთი სურათია:

,,მწარე ამბები მოედო
ქალაქებს, დაბა-სოფელსა
უდროდ დაკარგულ შვილებზე
ძაძა ჩაიცვეს მშობელთა...
სოფლის ჯვარედინ შარაზე
ბევრი დააგდეს გმირები,
ყორნებს დაურჩა სამარხი
უდროოდ განაწირები.
ყორნები ჩამოფრენილან,
სოფელი ისმენს ჩხაკილსა —
და სევდიანი იგონებს
ამბავს გადამხდარს, გავლილსა''.

პოეტი სრულებითაც არ არის უიმედო მტირალი. იგი გოდებს, მაგრამ მისი გოდება კეთილშობილურია, მისი ფარხმალი საიმედო ადგილს არის შენახული დროისათვის, ახლა კი

ამოიშრიტოს ეგ ტბა სევიდსა,
შეწყდეს, ნუ ისმის მოთქმა დედისა!
ისევ გაისმას სიტყვა გმირული,
კვლავ გაჩნდეს რაზმი თავგანწირული''.

პოეტი ასე მიმართავს მეგობრებს:

იმედის სხივი ისევ აენთოს...
კვლავ ამეტყველდეს ჰანგი გრძნეული,
გადაიწეროს წიგნი ბრძოლისა:
შიშში ლა ჰპოებს ნუგეშს გრძნეული.
დეე, ამბები დახოცილ ძმებზე
,,ცხელ ტყვიასავით ეძგეროს გულთა
და შავი ჯვრები უწარწერონი,

გამოხატავდენ მიცვალებულთა.
ხოლო იქ სიმუხთლე სუფევს,
სად იმედები გადაითოშა
იქ წერტილები დაისვას ბლომად:
მიხვდენ, დროებით დაეშვა დროშა".

იასამანმა შინაგანი ტანჯვით განიცადა პირველი რევოლუციის შემდეგ მოვლინებული რეაქცია. მისი ჩუმი სევდა წარმტაცია, მაგრამ პოეტის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ იგი ლირიკას ვერ შორდება და ამ ფორმით თავის პოეტურს სულს გვაცნობ. ამ რკალის გარღვევა შემოქმედების შემდეგ საფეხურზე აიყვანს მას.

გიორგი ქუჩიშვილი

(დაიბადა 1886 წ.)

გიორგი ქუჩიშვილი (ჩხეიძე) ჩვენი დემოკრატიის დაბალ ფენებიდან არის გამოსული. მამამისი ერთხანს მეზვერედ იყო თელავის მაზრაში, მერე მეწისქვილედ. ადრე დაობლებული გიორგი დედასთან ერთად ლუკმა პურს ეძებს ტფილისში: ხან ხელზე მოსამსახურეა, ხან ოქრომჭედლობას სწავლობს, ხან ზეინკლობას და ხან კიდევ რას. სკოლამ ძალიან ცოტა მისცა მას. მისი აღმზრდელი და დამავალებელი ქუჩა იყო. აქ იგემა გიორგიმ თანამედროვე ცხოვრების უკუღმართობა და პირადად განიცადა შიმშილი, წყურვილი, დამცირება და დამდაბლება.

გიორგი ნიჭიერი და ცნობის მოყვარე ბავში იყო, ამიტომ ქუჩამ და მისმა ატმოსფერამ სრულებითაც ვერ ჩაულაპა მისი არსება, პირიქით, ერთიანად გაამწარა იგი და შურისძიების შხამით გაჟღინთა. ეს გრძნობა პატარა გიორგისათვის მხსნელი ვარსკვლავი შეიქნა ამ საშინელი ცხოვრების წუმპეში.

გიორგიმ წერა დაიწყო 1908 წელში, პირველი რევოლუციის შემდეგ ჩამოწოლილ რეაქციის ხანაში. პირველ ლექსებიდანვე აშკარა შეიქნა, რომ ქართულმა პოეზიამ კიდევ ერთი პროტესტანტული სულით გაჟღენთილი ქნარი შეიძინა. პროტესტანტული ხმა ქუჩიშვილის გამოსვლამდეც გაისმოდა ჩვენს ლიტერატურაში, დემოკრატიული სულის კვეთების გამომხატველი პოეზია საკმაოდ იყო განვითარებული, ამიტომ ქუჩიშვილის მოვლინება თავის თავად დიდი ორიგინალობა არ იქნებოდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ გიორგის ნიჭმა თავიდანვე ცეცხლით დაკვესა და რევოლუცონური ტემპერამენტით იფეთქა. ქუჩიშვილს არ ეხერხებოდა წყნარი და დამშვიდებული შემოქმედება. ის მუდამ თრთის, იწვის, ზიზღს აცხადებს, კბილთა ღრჭენით მიიწევს მტარვალისაკენ, მუშტებით მირბის მტერზე და მუდამ ჟინით შეპყრობილი გაჰკივის:

,,ნუ, ნუ მიბრალებთ!.. ნუ ვგონივართ
მონა მორჩილი!
მონა საბრალო, ცრემლის მღვრელი,
სუსტი, უღონო!

მე მუშა მქვიან... მუშა-ურჩი,
ზიზღით აღვსილი,
და მსურს სიტყვა ვთქვა, გესმით
სიტყვა საგასაგონო!..

ამ სიტყვებში უკვე დავაკაცებული ქართველი მუშის ხმა ისმის, იმ მუშისა, რომელსაც კარგად შეუგნია თავის მდგომარეობა და მოწოდება, რევოლუციაში მონაწილეობა მიუღია, ბარიკადებზე სისხლი უღვრია და დღეს, როდესაც იგი მოწინააღმდეგეს დაუმარცხებია, სრულებითაც არ უნდა ბედს შეურიგდეს და გააფთრებით ეძებს თავის ადგილს ამ ცხოვრებაში. მას ვერ აშინებს ბრძოლის სიძნელე, მისი გული გაკაჟებულია და რწმენით აღსავსე.

„მაშ თუ დაეცე, სულო ჩემო,
მყისვე აღსდექი!
არ გამაგონო მოღლილობის
სუსტი ძახილი!
იმღერე მუდამ... და შენი ხმა
ვით მეხთა მქექი
მტერსა ჰზარავდეს, გულს უპობდეს,
როგორც მახვილი“.

ასე მღერის პოეტი, რომელსაც ამ ტონისათვის არაოდეს არ უღალატია.

„მე რისხვა ვიყავ,
რისხვა წყევის და შეჩვენების!
ბრწყინვალე ძღვევით
ზე აღემართე იმედის მთები!..
ჩემსა წინაშე თვით მპყრობელნი
ურიცხვ მონების
ქედსა იხრიდენ,
შიშით თრთოდენ ყველა ღმერთები.
არწივის ფრთებით
აღმა ვქროდი გრიგალ ქარივით,
ზეცად ვიტანდი
გმირვას, კვნესას დედამიწისას,
იქ მეხად ვქმნიდი
სულთა ხდომის დამკრთალ ზარივით,
გუმბათს მოესხლეტდი,
ძირს ესტყორცნიდი, სიმაგრეს მტრისას“.

ასე გაისმის ქუჩიშვილის მუზის ყიჟინა, რომელიც ცეცხლად ედებოდა ქართველი მუშის სულსა და გულს.

„აღსდექით ძალნო მტრისანო,
აღსდექით, გვტყორცნეთ ისარი!
სალ-კლდედ ქცეულა მებრძოლი
მუშათა გულის ფიცარი“—

მოუწოდებს მჩაგვრელებს ჩაგრულთა მგოსანი. აღფრთოვანების გარდა გულწრფელ მგოსანს სევდაც აწვება ხოლმე, მაგრამ ეს დროებითია.

„გულო ჩემო, ჩვენს სიმღერას
თუმც თანა სდევს გლოვის ზარი;
მომკვნესარე სიმთა ყღერას
კაეშანმაც მისცა მხარი,
მაგრამ მაინც არ ემონო
გარდამავალ ბედის წერას,
არას დროს არ გამაგონო,
რომ უმტყუენე ქუჩის კერას“.

ქუჩიშვილის ცქრიალა მუზა ნიჰიერად ასახავს სხვადასხვა სურათს. აი გაზეთების დამტარებლები—ნამდვილი ქუჩის შვილები, რომელნიც ასე დამღერიან:

„ჩვენ უსახლკარო
ქუჩის შვილები
ვხარხარებთ, ვიცინით, ვხარხარებთ.
შუა ღამისას წამოშლილები
დავდივართ, გაზეთებს ვატარებთ.
ქუჩიდან ქუჩაში,
კარიდან კარში,
ვწანწალებთ,
ძმობილნო,
ვწანწალებთ,
ყინვა-ავდარში,
თოელ-ჟუაპში,
ლაფში,
ვკანკალებთ,
დობილნო, და სხვ.

ქუჩას სხვა შვილებიც ჰყავს:

„წკრიალებს სიმი, ქვითინებს სიმი,
სევდიანი ხმით მღერის გოგონა.
ღაწვს დაკვდომია უმანკო ღიმი,
თვალებზე ბუკთის ცრემლების კონა“.

კიდევ სურათი:

„ბნელ ქუჩებში
სძინაეთ გლეხებს,
სძინაეთ ჩვრებში
და ყინვებში;
ძაგძაგებენ,
ქვებზე ყრიან,
ძილშიაც კი
ცრემლებს ჰღვრიან.“

ქუჩიშვილი თავის შეგნებით და გრძნობებით მუდამ მოწინავე პროლეტა რიატთან იყო და მის სულის კვეთებას გამოხატავდა, მის დარდ-ვარამს უმღერდა, ამიტომ მას არ შეეძლო ნაძირალების ხატვაზე შეჩერებულიყო. ეს არსებანი, რასაკვირველია, შესაბრალისნი არიან, და პოეტიც გვაბრალებს მათ, ხშირად სანტიმენტალობაშიც კი ვარდება,—მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არსებანი ხშირად ცხოვრებისათვის სრულიად გამოუსადეგარნი არიან და სამუდამოდ დაღუპულთა რიცხვს ეკუთვნიან. მათი იმედით ვერც მტერს შეებრძოლები და ვერც მოყვარეს მიეგებები. ამიტომ მოაზროვნე პოეტი ცდილობს ისეთი ელემენტი გამონახოს მუშათა შორის, რომელიც, მართლაც, ცხოვრებისთვის სასარგებლო და მისი გარდამქმნელი ელემენტია. სამწუხაროდ, ვერც ქუჩიშვილმა მოგვცა სამრეწველო პროლეტარის ყოველმხრივი სახე: მისი ლექსი „პროლეტარიატი“ და რამდენიმე სხვა მხოლოდ დეკლარაცია და პროგრამაა ამ მხრივ, კონკრეტობა კი არ ჩანს.

„ჩვენ ყველგანა ვართ
უთვალავნი, უძლეველნი.
ჩვენი ლაშქარი—ლაშქარია ბრწყინვალე შრომის...
ჩვენ აღვაშენეთ ქალაქები უზარ-მაზარნი...
აუარებელ სიმდიდრით და საკვირველებით.
ჩვენ ყველგანა ვართ... მიწის გულში, მაღაროებში,
მის ზედაპირზე—დიდ ქარხნებში, დიდ ფაბრიკებში“—და სხ.

ეს საერთო ფრაზებია. თავი და ბოლოა, პოეტმა ის გვაჩვენოს სურათებად, თუ როგორ ააშენა მუშამ ეს ქვეყანა, რა სურათებში იშლება მისი ყოფა-ცხოვრება, როგორია მის გრძნობა-მისწრაფება და სხვ. ამ მხრივ სხვა ჩვენს პოეტებთან ერთად ქუჩიშვილიც მოისუსტებს.

საერთოდ კი ქუჩიშვილი ნამდვილი და ძალდაუტანებელი პოეტია, მისი უბრალო ფერები მიმზიდველი და მომხიბლავია, მისი ლექსი პოეტურის თრთოლეითაა სავსე.

ნ ო ე ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე

(1883—1920 წ.)

ნოე ჩხიკვაძის, როგორც პირადი ცხოვრება, ისე პოეტური შემოქმედება, გულის გამგმირავი ტრაგიზმით არის აღსავსე. შეუპოვარი სულისა და მეხისებური ტემპერამენტის მგოსანი ვერ ურიგდებოდა ვერც თავის სილარიბეს და ვერც მისი პიროვნების არად მიჩნევას,

„მე ამ სოფლად არა მაქვს,
არც პური, არც უფლება“,

და ვერც ირგვლივ გამეფებულ უსამართლოებას:

„მე ვერ ვპოულობ ნეტარებას სინამდვილეში,
სინამდვილეში გული ჩემი სევდით მკვდარია,

ბედნიერება არ მინახავს სიყმაწვილეში,
ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ტანჯვა, გლოვა-ზარია."

ასე გოდებს პოეტის გრძნობიერი და უაღრესად სოციალური არსება.

„ქვეყნის ტანჯვით ვიწვი, ვდნები, როგორც სანთელი,
„მე კი არავინ არ ამინთო გრძნობის კანდელი...
აწ მსურს ცრემლით მოვიფონო და სულ ეტირი მე,
რა ვქნა, რა ვქნა, რა ვიღონო, შენი პირიმე".

პირადი და საზოგადოებრივი უბედურება—აი, გრდემლი და ჩაქუჩი, რომელთა შორის გამომწყვდეული იყო ტანჯული ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. პოეტი ჩხიკვაძე ქართველ მშრომელთა ღვიძლი შვილი იყო და, როგორც ასეთს, არ შეეძლო, არ ეგრძნო მშობლის ტრაგედია. პირველ რევოლუციაში მან მხურვალე მონაწილეობა მიიღო, ის ეწრთო თავისუფლებისათვის მებრძოლებთან ერთად, მისი მთრთოლვარე სული გმირულად გაჰკიოდა:

„მეგობრებო! რწმენა—სალი,
გული—ცეცხლი—რკინა,
მხარზე თოფი, წელზე ხრმალი
მედგრად წინ და წინა!"

იგი არის

ჰეშმარიტების მაძიებელი
და უხილავზე შეყვარებული.—

მას ეზიზღება სიფლიდით, ვერაგობით და უსამართლობით სავსე ცხოერება:

„შორს ეს ქვეყანა, ეს არე მარე, მე უნდა განველო გზა ეკლიანი,
აქოთებული შურის სამეფო, სიცოცხლე ტანჯვის ალ-ცეცხლიანი,
დავაგდო აწმყოს საწყალი სიბრძნე, ეს კაცუნები მახვილ-ხრმლიანი,
და სიყვარულის სასუფეველში ვპოოთ სრულქმნილი ადამიანი".

ასეთი მისწრაფებით იბრძოდა პოეტი; მაგრამ ამა ქვეყნის ძლიერთაგან პასუხად გამათრახება და ციხე მიიღო (1906 წ.). აქედან იწყება მისი ტრაგედია და უმაგალითო სულის წვა, რომელიც 1920 წელში ტრაგიკულად დასრულდა—მოულოდნელად დაიმსხვრა ციური ჩანგი.

ჰკითხულობ ნოე ჩხიკვაძის ლექსთა კრებულს და თანდათან ჰგრძნობ რაღაც საშინელების მოახლოებას. ნიჭიერი პოეტი ელვის სისწრაფით ეცლება შემოქმედების ცეცხლოვან მწვერვალებს და სულგანაბული უსმენ მისი მომხიბლავი ქნარის ჟღერას. ყოველი ამოკვნესა თავზარს გცემს; გგონია ცად ავარდნილი პოეტი პირქვე დაემხობა და გულის შემზარად ამოიგმინებს... თრთი, ცახცახებ, იწვი ციურის ცეცხლით... გულის წყრომა, აღტაცება, შემოქმედების უფსკრულებზე ქანაობ და... უცებ სიმი წყდება, პოეტი იღუპება და კრებულის ბოლოშიც გულის გამგმირავ სიტყვებს ჰკითხულობ: „დაუმთავრებელი ლექსი":

„ლოცვით ვერ დაეძლევ მწუხარების შავსა ზმანებას,
ცრემლთა ჩანჩქერით ვმუნვა ჩემი არ განელდება.

მე სიკვდილს ველი... ჩემს გარშემო ჟამი ბნელდება...
საფლავის კართან ჩრდილთა ღმერთის ვუცდი ბრძანებას“...

და უბედურმა პოეტმაც მიიღო ეს ბრძანება. საშინელი იყო ეს სიკვდილი ქართული პოეზიისათვის, რომელმაც ნოე ჩხიკვაძეში დაჰკარგა დიდი გაქანების შემოქმედი და მუდამ მაძიებელი, მუდამ უკმაყოფილო და მებრძოლი სული.

დაინთქა და დაიღუპა, ქვეყნად რაც მებადა,
რა ვიღონო, რა ვეძიო? სად წავიდე, სადა?
გარს მარტყია მე უდაბნო გაუვალი, ვრცელი,
მიწა მდევნის და ზეცამდე არ მიმიწვდა ხელი.
ვერსად ბინა ვერ ვიპოვნე მე ჩემს სამშობლოში,
სიცოცხლითვე ჩემი სული ტირის შაე კუბოში“.

ასე კვნესის ჩხიკვაძის გრძნეული ქნარი, რომელსაც არ შეგიძლია ყური არ ათხოვო.

„მე არ ვეძებ სილამაზეს უსულგულოს, ცარიელსა,
ჩემ ფოლადის სიმღერებში ვქმნი ავთანდილ-ტარიელსა,
რომ დაჩაგრულ მოძმის ბედი გმირთა მკლავით გამოვეედო,
და ცხოვრების განვლილ გზაზე ნეტარებით მოვიხედო“...—

გვეუბნება ჩხიკვაძე, რომელიც სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე „დაჩაგრულ მოძმის ბედით“ იტანჯებოდა, მას უგალობდა და შეჰხაროდა. პოეტი ხედავს, რომ

„წყდება ხალხი, მზის სხივების უნახავი,
იწვის ცრემლი გრდემლზე სისხლად დაწურული
და წყვდიადით მიდის მუშის ყოფნა შავი,
ცხოვრებისა დუხჭირ ზღვაში ჩაძირული.
„ამ უბანში მე ვყოფილვარ... მე მინახავს
მშიერ, ტიტველ, პაწაწინა ბავშთა გროვა...
მე მსმენია და ღრმად გულში ჩამისახავს
მათი კვნესა, უნუგეშო მათი გლოვა“,

ყოველივე ეს გულს უწამლავს მგოსანს:

„შხამით და გესლით აღვსილია ჩვენი არსება,
ჩვენი სიცოცხლე სიკვდილივით მოწამლულია“...

მაგრამ

ვით გრიგალი ცეცხლეული ზღვიდან ზღვაზე გადამფრენი,
საუკუნეთ მწვერვალებზე ისე იყოს ფრენა შენი,
ქვეყნის ტანჯვით დაკოდილი დაემსგავსე ელვის სიოს,
ვერც სიკვდილმა დაგიჭიროს, ვეღარ ჟამი დაგეწიოს“.

მუდამ ღარიბმა და დატანჯულმა პოეტმა მთელი თავის საშინელებით განიცადა მაშრომელთა დამარცხება:

„ჩვენ არ შეგვეძლო დედის წრფელი ლოცვა—ალერსი,
ცის ნამზე წმინდა, მზის სხივებზე უმხურვალესი,

ჩვენ არ გეეღირსა მადლი წმიდა სიყვარულისა
და მხოლოდ შეგვრჩა განწირული ქმენვა სულისა".

ასეთია სიმართლისათვის ტანჯულთა ბედი,

„მაგრამ ჯერ კიდევ სიყვარულის ნეტარ სიმთ ეღერით,
ცხოვრების გრიგალს ავყეეთ ბრძოლის მედგარ სიმღერით,
თუმც ნეტარება და სიმართლე უფსკრულს მიჰფარდა,—
დეე გაიგონ, როგორ გვწამდა, როგორ გვიყვარდა".

ჩვენი მგოსანი სრულებით არ არის სევდის ტრაფარეტი და ხელოვნური მოწყობილობის მოდაზე მორთული არსება, ის გულის გამგმირად დამღერს:

„მე მსურს ვილხინო გიჟური ლხინით,
განუსაზღვრელად მსურს მე ვილხინო,
დავითვრე ენებით, დავითვრე ჟინით
და ისე მოვკვდე არ მოვიწყინო.

მთელი სიცოცხლე ეტიროდი მწარედ,
ეტიროდი მწარედ და თან ვგალობდი,
ცხოვრების შვილი, ცხოვრების გარედ
მშიერ-მწყურვალი დავწანწალობდი"...

პოეტი უსაშინელეს მარტოობას გრძნობს:

„ვინ მკითხულობს, ვინ დამეძებს, ვის ეუყვარვარ მე?
აცრემლებულ თვალთ ვაცეცებ, მოდი, ხმა გამე.
ირგვლივ ცივა, სისხლიანი ღამეა, ღამე,
გული მტკივა, სანუგეშო მითხარი რამე".

ეს ლექსი, რომლის მთელად მოთავსება ჩვენ აქ არ შეგვიძლია, შესანიშნავი ნაწარმოებია ჩხიკვაძის ლექსებში, ხოლო მეორე ლექსი—„სიმღერა", აკაკის „ალმართ-ალმართ"-ის შემდეგ ქართული ლირიკის გარდუვალი მწვერვალია:

„მე არ ვიცი, რად ვარ სევდით დამწვარ-დაგული,
მე არ ვიცი, რატომ მტკივა გრძნობა და გული,
მსურს შვების ხმა გავიგონო და სულ ეტირი მე,
რა ვქნა, რა ვქნა? რა ვიღონო შენი ჭირიმე?
ვის ეუყვარვარ, ვინ მიყვარდა, ვინ შემიყვარებს?
უთვისტომოს განწირულსა არვინ მიკარებს,
ამ ცრუ სოფლად დავალ ობლად, ბევრი ვეწვალე,
ვერ ვინ ვპოვე თანამგრძნობლად, შენ გენაცვალე,
ვინ დამჩაგრა, ვინ მარგუნა ეს ცრემლის დენა?
ვინ დამიგმო ზეცის კილო, ზეციმაფრენა?
მსურს სიმღერა მოვიგონო და ჰა, ეტირი მე...
რა ვქნა, რა ვქნა, რა ვიღონო შენი ჭირიმე?...

საუბედუროდ ეს შესანიშნავი ლექსიც შემოკლებით მოგვყავს.

ჩხიკვაძის ლექსებში მრავალი ობოლი მარგალიტია გაბნეული. საჭიროა ან ლექსების პირადად წაკითხვა და მათი ტრაგიულობის უშუალოდ განცდა.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ როგორც საქართველოს მშრომელთათვის, ისე ქართული ახალი ლიტერატურისათვის ჭეშმარიტად „უღვთო იყო" ამ ადამიანის უდროოდ დადუმება.

ს. აბაშელი

(დაიბადა 1885 წ.)

საშა აბაშელი (ჩოჩია) რეაქციის ხანაში გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. პირველივე მისი ნაბიჯი შემჩნეულ იქნა და მალე მისი მხატვრული ნიჭი მომხიბლავად აპრიალდა ქართული პოეზიის ჰორიზონტზე. აბაშელის მჩქეფარეგულს ორი ისარი ჰქონდა განწონილი: ერთი იყო რუხი საღებავების ხილვით მოწყენილი სულის თვალის წარმტაც ფერებისკენ მისწრაფება და მეორე

„წარსულთა დღეთა მოგონება, აწმყო საზარი,
ტანჯვის ცრემლებში გალესილი მწარე ნაღველი".

აბაშელი პირადად ეწრთო პირველი რევოლუციის ზვირთებში, ის მედგრად იბრძოდა ბედნიერების მაძიებელთა რიგებში და, როდესაც

„მწუხრის ნისლმა დამიჩრდილა გზა მზისაკენ გასაკაფი,
მთის შავ ქედზე, შავ ღრუბლებში ჩაიხლართა სხივის ძაფი.
ცის ვეშაპმა დაატყვევა, სასოებით ვინც მიყვარდა
და ხელიდან, მტრისგან ძლეულს, ბასრი ხრმალი გამივარდა".

აი, ამ საშინელ დროს მოჰკიდა მან ხელი ქნარს:

„და ჰა, მუზავ, შენთან მოველ, ხელთ ავიღე შენი ქნარი,
მსურს შევსცვალო სიმთა ჟღერით უნუგეშო გლოვის ზარი".

მგოსნის უკანასკნელ ფრაზაში სრულებით არ არის გადაჭარბება: აბაშელის ქნარმა ჭეშმარიტად შესძლო „უნუგეშო გლოვის ზარის" სიმთა ჟღერის შეცვლა. მშრომელთა უბედურებით გულგანგმირულ მგოსანთა შორის აბაშელი დიდად არ გამოირჩევა პოეტური ტემპერამენტის მხრივ, მაგრამ მისი შემოქმედების მხატვრული სისრულე და ფერთა თვალის წარმტაცი კამკამი ერთი დაკვრით აყენებდა მას საქართველოს მგოსანთა პირველ რიგებში. აბაშელმა ერთიანად დასძლია სხვა მგოსანთა პუბლიცისტური ელფერი და სამოქალაქო გოდება მომხიბლავ მხატვრულ ლეჩაქში გახვია. თუ აბაშელამდის აკაკის „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო" ან კიდევ ორბელიანის „ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეღება" საღებავთა კლასიკურ და გარდუვალ შეხამებად გვეჩვენებოდა, აბაშელის სამხატვრო ტილოს გაშლის შემდეგ ყოველივე ამან პრიმიტივობის ელფერი მიიღო: აშკარა შეიქნა, რომ ახალი ქართული პოეზიის თვალი საშინლად გამახვილებულიყო და მომხიბლავ ათვისების უნარით შესანიშნავად იქერდა ფერთა ათასნაირ ლივლივს. ამას ამტკიცებს აბაშელის ყოველი ლექსი, მისი პირველ კრებულიდან: „მზის სიცილი", რომელიც გამოვიდა 1913 წელს.

მგოსნის გამახვილებულმა ემოციამ საქართველოს ბუნების სიმშვენიერესთან და სამხრეთის მზის ცხოველმყოფელობასთან ერთად ღრმად შეისისხლხორცა ნშრომელთა ტანჯვა:

„დრო გაიყინა, გაქვავდა ცვალებადობა ჟამისა,
მიდუნდა მაშვრალთ სავანე, წყარო ძალთ-დასაბამისა,
საამო ზრახვით ღელვილი სულის კვეთება გმირისა
ყრუდ განიავდა, ვით კვნესა შწუხრის ჟამს ანატირისა“.

დამარცხებული აღმაფრენა გულხელდაკრეფილია:

„ღამის მანტიით შემოსუდრულს სძინავს სოფელსა,
გლოვის სიმები მკვდრულ სიჩუმეს დაუწყვეტია,
შავ ჩრდილთ ქსოვილი წამოუსხამს უტყვ მინდორ-ველსა,
რუც არ შრიალებს, მასაც ძინავს, ხმა გაკმენდია“.

შეორე ადგილას პოეტი ამბობს:

„მახსოვს დილა მოციმციმე, შვების ცრემლით ანათრთოლი,
ციურ მნათობს შესცინოდა უკუნეთთან შენაბრძოლი,
წალკოტს გული მოექარგა მძივად წყობილ ალმას ნამით,
ირგვლივ ისე მოხიბლული ნეტარებდა ლხენის წამით...
საუკუნეთ განაპედი კაცთ ბორკილი იმსხვრეოდა,
ძველი ქვეყნის ძველი ჰანგი, ახალ ჰიმნში ინთქებოდა“.

ამ ბედნიერი წამების მოგონება მგოსანს სიცოცხლეს უწამლავს:

„ცას შეეყურებდი ხელაპყრობილი,
მაგრამ უცრემლო სულით ვნებული,
ლოცვას ვერ ვთხზავდი სვედით პყრობილი“.

მგოსანი ამბობს:

„დიდხანს ვიყავ მიწის მკერდზე, მონურ გრძნობით მიჯაჭვული,
დიდხანს ვიყავ სასტიკ ბედ ქვეშ უიმედოდ განაბული;
ტანჯვის ცეცხლის ნაპერწკლებით დასერილი მქონდა გული,
სულს სწამლავდა მწვავე გესლით მწარე ცრემლის ნაკადული“.

ამიტომ მგოსანი ცდილობს თავი დააღწიოს მომშხამველ აწმყოს:

„ოცნების შრიალს გავყვები; სწრაფვას დავიტკბობ წამისას,
დავტოვებ აწმყოს უმადლოს, ბურუსს გავაპობ ღამისა,
დაკოდილ სულის აჩრდილად მომავალს მოვევლინები,
რომ მოვტაცო ჩაგრულთათვის სამოქალაქო ჰანგები...

პოეტი ზეცისკენ მიისწრაფვის, მისი სული ვერ ურიგდება ამ ქვეყნიერ ბროზას:

„ნაზ ოცნებით ანაფრენი, ცის ეთერში დავბინავდი,
მთვარის შუქის ცივ ტალღებში ვერცხლის ფრთებით დავფრინავდი:
ხან ცის მნათობს ეუგალობდი, ხან ვარსკვლავთა გვირგვინს ეწნავდი,
ხან უცოდველ ძილში მყოფი ტკბილ სიზმრების ზღაპარს ვთხზავდი“.

ბედნიერი იყო პოეტი, მაგრამ ის იმდენად მდიდარია სოციალური გრძნობებით, რომ არ შეუძლია პირადი ბედნიერებით დაკმაყოფილდეს, ვერ ეგუება ეგოისტურ განცდებს და ისევ იქ მიილტვის, სადაც ამდენი ტანჯვა უგემებია:

,,მაგრამ ბოლოს ცის სივრცეში ვერ გავუძელ მარტოობას,
სულს მოსწყინდა ცაში ფრენა, ისევ ვმონებ მიწის გრძნობას;
მომაგონდა ცრემლის გუბე, მომაგონდა მონის ხუნდი
და ცხოვრებით გულნატკენი ისევ მიწას დავუბრუნდი''.

გულნატკენია ცხოვრებით. მაგრამ მაინც მასვე უბრუნდება, ვერ გაშორებია მშობელს და მისი ავკარგით უნდა იცხოვროს, მასთან იტანჯოს და ეწამოს. მაგრამ ეს არ არის უმიზნო ტანჯვა:

,,სევდის ცრემლი მინდა დავწვა, მინდა დავწვა ცრემლის ნამი,
და მის ორთქლში მსურს გავლესო წარსულ დროთა წყევის შხამი,
და ვით მეხი, ვსტყორცნო ზეცას, რომ სამყარო შეეარყიო,
ციურ არსთა უცხო წალკოტს მიწის ცრემლი შეეფრქვიო.
და თუ მიწის ოხვრა-კვნესა ცის სიხარულს შეეუერთე,
ცა და მიწა შეეარიგე, მიწის შვილი გაეღმერთე,—
მაშინ მოვქსოვ ცეცხლის კიბეს ამომაყალ მზის სხივებით,
შიგ ჩავაქსოვ ცისარტყელას, მოვრთავ ცისკრის ფერად ქვებით,
და გავაბამ მიწით ცამდე გაუქრობელ ცეცხლის ხიდად,
ბნელ ცხოვრების მძიმე ტვირთის ცის წიაღზე ასაზიდად,
რომ ღმერთების ქვეყნად ყოფნა არვის უჩნდეს საკვირველად,
მიწის შვილი ცისკენ ელიდეს საიდუმლოს სახილველად''.

აბაშელის პოეზია ხელოვნების მშვენიერებით აგვირგვინებს ჩვენი სამოქალაქო გოდებით შეპყრობილ მგოსანთა შემოქმედებას. მისი მშვენიერი და აზრიანი ლექსი, რომელიც შეფუთვილია მომხიბვლელ ფერთა ლეჩაქში, უაღრეს ესთეტიურ სიამოვნებას იწვევს, მერე რა უბრალო სიტყვებით, რა სადა გასაგებად იქნება მისი ლექსის ყოველი ქანდაკება;

აბაშელი ნაზი ლირიკოსია, მაგრამ მის ნიჭს უმეტესად სურათოვნობა და პლასტიკა ახასიათებს. უკანასკნელი მომენტით იგი უაღრესად ორიგინალურია ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა პირდაპირ ვთქვათ, რომ მისი ლექსების პირველი კრებული გაცილებით უფრო მაღლა დგას მეორეზე: ,,ანთებული ხეივანი'': მართალია, აქაც მრავალ სათუთ განცდასთან გვაქვს საქმე, აქაც ბევრხელ დაგწვავთ აბაშელი პოეტურის ცეცხლით, მაგრამ ,,მზის სიცილის'' ავტორისაგან გაცილებით უფრო მეტს მოველოდით. ამის მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ აბაშელი ერთიანად მოემწყვდა ლირიკის ვიწრო რკალში და ცხოვრების პლასტიურად ხატვას თავი ანებ». ლირიკის ვიწრო ბილიკიდან კი მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა გამოსვლა. მართალია „მზის სიცილის" პლასტიკა ჩანასახისაა, მაგრამ სწორედ აქედან იწყება ცხოვრებასთან ეპიურად მიდგომა. საფიქრელი იყო, რომ აბაშელის ნიჭი აქაც ძლევა მოსილად განაგრძობდა მსვლელობას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამის ნიშნები ნაკლებია.

ახალმა ქართულმა პოეზიამ უსათუოდ უნდა მოგვცეს ახალი ქართველის მხატვრული სახეც, გარეშე ამისა ლიტერატურის განვითარება არ შეიძლება. აბაშელი ჯან-ღონით სავსე შემოქმედია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი არ დაემსგავსება იმ პირველ მოწაფეს, რომელიც სრულიად მოულოდნელად ჩარჩა მოსამზადებელ კლასში.

ობოლი მუშა

(ს. თავაძე, დაიბადა 1890 წ.)

ობოლი მუშის (სოლომონ თავაძე) პირველი ლექსი 1912 წელში დაიბეჭდა, მგოსანი ამ დროს ციხეში იჯდა. მას 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობისათვის ათი წლის ციხე მიუსაჯეს. ციხიდან განთავისუფლდა თებერვლის რევოლუციის დროს. ციხეში იჯდა შვიდ წელიწადს.

ამ დრამატიულ ცხოვრებას სოლომონის სულსა და გულზე შესაფერი გავლენა უნდა მოეხდინა. ეს ასეც მოხდა, მაგრამ ციხის გავლენა სრულებითაც არ ყოფილა დადებითი—ციხემ ვერ დაიმორჩილა სიმართლისათვის მებრძოლის გული—პირიქით, ის კიდევ უფრო გააკაჟა და საბრძოლველად გაასალკლდევა:

„ირგვლივ სიჩუმე, ირგვლივ სიმშვიდე,
თითქოს ლოცვას სთხზავს მთები და ბარი,
მხოლოდ სხივებზე ზვირთ-მონარნარე
დუდუნებს ტკბილად, დუდუნებს მტკვარი.
ვზივარ საკანში ჩემს ფანჯარასთან,
მთვარეს შევცქერი სხივმოელვარეს,
გულში ვკლავ სევდას, ვივიწყებ აწმყოს,
ვივიწყებ წუთით ტყვეობას მწარეს.“

საკანის ფანჯრიდან გადმომზირალი მგოსანი ჭეშმარიტად დამახასიათებელი სურათი იყო შავი რეაქციისათვის, მაგრამ არა მისდა განსამტკიცებლად, არამედ უარსაყოფად. ობოლი მუშა ერთი წუთითაც კი არ შერიგებია მის გარშემო გამეფებულ საშინელებას და მედგრად დამღეროდა:

„რას ღამხარხარებ, მახინჯო სახევ,
მაგრე ბოროტად რად ილიმები?!
იქნებ ბგონია მებრძოლის სულში
ჩააქრო სხივი—რწმენის სიმები!

გასალკლდევებული მგოსანი გეპირდება:

„ბრძოლის ცეცხლის ალში გაეხვევ
შრომის შვილის ბორკილებსა;
ბრძოლის ცეცხლით ამოვაშრობ
ცრემლის გუბეს, სისხლის ტბებსა..
ბრძოლის ცეცხლში დაეწვავ გვირგვინს,
დღეს რომ მტარვალს თავსა ჰხურავს,

ბრძოლის ცეცხლით დავსწვავ რიდეს
განთიადს რომ შავად ჰბურავს".

პოეტის გული ხშირად სევდითაა აღვსილი:

„რა ვქნა, რატომ არ მშორდება შავი ფიქრი გულის მწველი?
ღვთის შვილია ადამის ძე, თუ მხეცია სისხლის მღვრელი?
რა ვქნა, მარად რად მიხატავს ფიქრი მე ჯვარს წამებისას?
რად ეძვრეტ მარად სისხლის გუბეს და ნაკადულს. ცრემლებისას".

ასე ჰგოდებს მგოსანი, რომელიც ოცნებით მუდამ გაურბის სინამდვილეს:?!

„ვინ თქვა, რომ ტყვე ვარ შებორკილი, მონად ქცეული,
დუხჭირ ცხოვრებით განწირული ადამიანი.
რომ არ არსებობს ჩემთვის ზეცა სხივ მოფრქვეული,
რომ დღე და ღამე მწარედ ვგმინავ გულსევდიანი;
არა ეს მხოლოდ სიზმარია, შავი სიზმარი" და სხვ.

ობოლ მუშას გარდა ლირიული ლექსებისა პოემებიც აქვს და ცხოვრების ობიექტიურ სურათებსაც ხატავს. ყველა ამ ნაწერებში იგი მშრომელთა გულწრფელი მოსარჩლეა.

მას აქვს გამოცემული რამდენიმე წიგნი, მათში ყველაზე ძლიერია „შორინათელი".

ბ ა ბ ი ლ ი ნ ა (ხოსიტაშვილი)

ბაბილინა გულწრფელი პოეტია თუმცა, თავიდანვე ძალიან ცოტას სწერდა. მის მგრძნობიარე გულს ძლიერ სტანჯავს ჩაგრულთა ბედი.

„ერთად ქედს ვხრიდით შრომის უღელ ქვეშ,
ჰანგსა მწუხარეს ვმღეროდით ერთად,
ორიეს გვწამდა სხვა მომავალი,
იმასა ვრაცხდით მხსნელად, ჩვენს ღმერთად.
გაზაფხულის პირს ნელსა ნიავსა
მთა ველად მქროლავს მივსდევდით თანა,
ია გვინდოდა იქ მოგვეკრიფა
და ქარხანაში ჩამოგვეტანა.
მაგრამ შენ მოსწყდი, შრომამ მოგკვეთა,
მკერდმა მაშვრალმა ამოიგმინა!
სად დავასვენოთ შენი ცხედარი?
არა გაქვს კერა, არა გაქვს ბინა"...

ასე გოდებს ბაბილინა უბინაო და უსახლკარო ქარხნის მუშის ბედის შესახებ. იგი მღერის

...ქარხანა, შრომის უღელი
ჩემი სიცოცხლის გაზაფხულს ნთქავენ
და მანქანები დაკოდილის ხმით
გულის შემზარავს გლოვას მოსთქვამენ

პოეტი გრძნობს, რომ იგი „ყოველ დღე იქ იმარხება“

„სად თავის სხივებს ვერ აწვდენს ზეცა,
სად ქედმოხრილი, დამონებული
მუშაობს ყველა, ვმუშაობ მეცა“.

გარეშე პირობათა დამამონებელ პირობებს პოეტის სული არაოდეს არ შერიგებია და აღშფოთებულ პროტესტს უცხადებს სულის შემხუთველ რეჟიმს.

ვასილ ტუქსიშვილი

მგოსანთა ამ ოჯახს ეკუთვნის აგრეთვე ტუქსიშვილი, რომლის ქნარიც რეაქციის ხანაში აღერდა დამარცხებულთა ინტერესების დასაცველად. ეს ხანა უპირველეს ყოვლისა „ღირებულებათა ხელახლა შეფასების ხანა“ იყო და ტუქსიშვილმაც, მისივე სურვილით რომ ვსთქვათ, სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისათანავე დაიწყო „კვლავ ფიქრი უკვე ნაფიქრის“. მაგრამ ამ ფიქრის შედეგი არ ყოფილა ძველის უარისყოფა და გამარჯვებულთა წინაშე ქედის მოხრა: ტუქსიშვილი ისევ მუშათა ინტერესების სადარაჯოზე დარჩა.

რა ვუყოთ, თუ დღეს ჩანგს საიმედო
ძაფი მოეშვა, გაუწყდა ჰანგი,—
მახვილს თუმც პირი ქარქაშში უდევს,
მაგრამ ვერ დალეულ დღეს იმის ჰანგი.

ეს იმიტომ რომ მუშათა საქმეს მრავალი მოსარჩლე ჰყავს:

„მარტო არა ვარ, აქ, ჩემს გარშემო,
შერაცხულ გულთა გაისმის ძგერა,
და შენ საწყეველად, პირქუშო ბედო,
ყველას სწადიან ჩემთან სიმღერაო,--

მღერის პოეტი.

ტუქსიშვილი მუდამ მუშათა კოლექტივში ჰგრძნობს თავს და მისი მუზაც მუდამ მაშვრალთა ბედს თუ უბედობას დაჰგალობს.

ბ. ახოსპირელი

(1880—1920 წ.)

ბეგლარ ახოსპირელი (ახპატელოვი) ევდოშვილის ჯგუფის მგოსნებს მიეკუთვნება. იგი ევდოშვილის თანამედროვე იყო და მისი ქნარიც ამ მგოსნისებურად ღღერდა. ახოსპირელი გულწრფელად უმღეროდა მაშვრალთა თავგანწირულ ბრძოლას და მისი კეთილშობილური სული საკაცობრიო იდეალებით იყო გაჟღენთილი. მას გულს უკლავდა ირგვლივ გამეფებული უსამართლობა.

„კვლავ მოხველ ჩემთან, შუა ღამევ, ბნელით მოცულო,
სევდიან სახით, ბედით კრულსა კვალად მეჩვენე;
კვლავ განმიახლე ჭირნი ჩემნი, უფსკრულის სულო,
და გულსაკლავად, სავალალოდ მკერდს მიმისვენე“.

პოეტს სწამდა, რომ გამარჯვება დაჩაგრულთა მხარეზე იქნებოდა:

დაჰკრავს ჟამიო,—მეუბნებოდენ,—
მონა დალეწავს მონის ბორკილებს
და დღე ნეტარი გაუთენდებათ
უღვთოდ ნაწამებ ცხოვრების შვილებს,

მაგრამ ბოროტი ჯერ კიდევ გამარჯვებულია და პოეტიც გოდებს:

„იერემია, შენებრ გოდება
მე ბედით კრულსა რომ შემძლებოდა,—
ყოველი წვეთი ჩემი სისხლისა
ცრემლთა ნაკადად გადიქცეოდა“.

ახოსპირელს გარდა ლირიკული ლექსებისა პოემებიც აქვს.

დ. თურდოსპირელი

(დაიბადა 1888 წ.)

I

დ. თურდოსპირელიც (დ. ჩხეიძე) რეაქციის ხანაში გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. მისი ხმა თავიდანვე გულწრფელი იყო. ის მთელი თავის გატაცებით ჩაგრულთა მხარეზეა:

ღამეა, ღამე საზარი,
წყვდიადი მეფობს ყველგანა,
შავი ნისლებით მოცულა
მაღლა ცა, დაბლა ქვეყანა.

პოეტს გულს უკლავს ეს სურათი და გულდათუთქული სწერს:

„ვით მივეგებო აღდგომას,
ვით ეუძღვნა ნეტავ სალამი,
ოდეს ძირს გდია ტალახში
ჩვენი დროშა და ალამი“.

თურდოსპირელმა მშრომელთა უბედურება თავის პირად უბედურებად აქცია და ყოველ მის ლექსში ჩვენს წინ მოწამებრივი სახით დათალხული მგოსანი დგას:

არა, არ ვნატრობ პირად სიამეს,
ოცნებით ფრენას ცისა სივრცეში,
მე მსურს ხალხთ შორის ვიმყოფებოდე,
მათთან ვიწოდე გენიის ცეცხლში.

მე მათით ვცოცხლობ, მათით ვსულდგმულობ,
მათთან არს ჩემი ფიქრი, გონება,
მათი სიამით გული ნეტარობს
და მათი ქმუნვით იგიც ღონდება.

ამ აზრისათვის თურდოსპირელს არაოდეს არ უღალატია.

ამავე ჯგუფის მგოსნებს ეკუთვნიან კაპ. გოგოლაძე, დ. მეჩონგური და სხვ. ამ წრიდანვე გამოვიდა ხ. ეარდოშვილიც, რომელიც შემდეგ წლებში საკმაოდ დაშორდა პირვანდელ მიმართულებას.

II

უკვე განვიხილეთ ჩვენი განახლებული ლიტერატურის მგოსნები, ახლა გადავალთ ბელეტრისტებზე.

ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში წარმოშობილი ახალი ტიპები, გარდა პოეზიისა, შემოქმედების სხვა ფარგლებშიც უნდა ასახულიყო. ლექსი და პოემა, საზოგადოდ, ვიწროა ტიპის ყოველი მხრივ დასასურათებლად, ამ ფორმებში ძნელად გადაიშლება სანამდვილის ყოველდღიურობა და შიგ მოქმედი ადამიანის მრავალნაირი სახეობა. მოთხრობა და რომანი კი გაცილებით მეტ შესაძლებლობას იძლევა ამ მხრივ და თანაც უფრო მთლიან და ყოველ მხრივ ასახავს ცხოვრების მრავალ ფეროვნებას.

ჩვენი მგოსნების ლექსები, როგორც ვნახეთ, ძალიან ხშირად ლირიკული ხასიათისაა და ნაცვლად სურათის გადაშლისა, ამ სურათის გამო მგოსნის არსებაში აღძრულ გრძნობებზე გველაპარაკება; თვითონ სურათი კი არა ჩანს, იგი პოეტს ჩვენთვის უხილავად წარმოუდგენია და საკუთარ ოცნებაში ეტრფის მას. მოთხრობაში კი პოეტის პირადი განცდანი არა ჩანს და პირველ ადგილას სახეებია სურათებად წამოყენებული.

როგორია ეს სახეები ჩვენს ახალ ლიტერატურაში? რა სძულთ, რას ეტრფიან? რა ახალ ღირებულებებს ჰქმნიან? აი, რა გვაინტერესებს ჩვენ.

ძველმა ლიტერატურამ მოგვცა ძველი ცხოვრების ღირებულებათა მატარებელი ტიპები მისი ავკარგიანობით. მაგალითად, ჩვენ ვიცით ლუარსაბ თათქარიძე ყოველ მხრივ: თვალწინ გვიდგას მისი სახე და ყოველდღიური ცხოვრება, სახლ-კარი და კარ-მიდამო; ვიცით მისი საზრუნავი და გულის ტკივილი. ვიცით მისი აზრები ცხოვრების მრავალ საკითხებზე და სხვ. ცოცხლად გვიდგას თვალწინ დანიელ ჭონქაძის ოსმან აღა და დურმიშხანი, ვიცით მათი სულის კვეთება, წარსული, აწმყო. ვიცით როგორი იყო მათი ბედი. არაოდეს არ დაგვავიწყდება სოლომონ მეჯღანუაშვილის სახე, მისი მოქმედების არე და თვითონ მისი ნამოქმედარი. ამ ტიპს ჩვენ ცოცხლად ვარჩევთ მისი დროის დანარჩენ ტიპებისაგან. ერთი სიტყვით, ძველი ლიტერატურის პერსონაჟებიდან ჩვენ რომ გრძელი კოლეიდოსკოპი შევქმნათ და შიგ ამ ტიპთა გარშემო ასახული ყოფა-ცხოვრება სურათებად წარმოვადგინოთ,—უსათუოდ მთლიან წარმოდგენას მივიღებთ ჩვენი წარსულის შესახებ.

სწორედ ასეთი მოთხოვნილებით უნდა მივუდგეთ ახალ ლიტერატურასაც.

მხოლოდ მაშინ დაერქმევა მას ახალი, თუ მან მართლა შესძლო შეექმნა ახალი ცხოვრების ასახვა, მართლაც ახალი და ძველისაგან განსხვავებული თავისებური პონორამა.

ვნახოთ რას გვეტყვიან საამისოს ლიტერატურული საბუთები...

ეგნატე ნინოშვილი

ეს მწერალი გარდამავალ და ფრიად რთულ ხანაში ცხოვრობდა. როგორც უკვე ვნახეთ, ეს ის დროა, როცა მამების ლოიალობა და ქედის მოხრის პოლიტიკა ლოლიკურ დასკვნამდე მივიდა: ტახტსა და საკურთხეველს ერთგულად უმეცდენ გუნდრუკს. მთავარი ქურუმი ილია ჭავჭავაძეა, რომლის გარშემო შემოკრებილია მთელი ქართველი მოწინავე ინტელიგენცია.

ამ დროს მესამე დასის ჯგუფი ძველთათვის სრულიად მოულოდნელად და გასაკვირველად ამბობს ჭეშმარიტად ახალს, უჩვეულო და რევოლუციონურ სიტყვას. ეს რევოლუციონური პირველი სიტყვა ეკუთვნის ნინოშვილს, რომელმაც თავის მხატვრულ შემოქმედებაში ერთგვარი ჯამი გაუკეთა ჩვენს ძველ ლიტერატურას და მეორე მხრივ, მომავალი განვითარების სამნები აღნიშნა. მკლავაძეები, არწივაძეები, შალიკაშვილები, უქმაძეები, მუნჯაძეები და უიშვილები მათი უუფლებობით და სიბეჩავით ძველი ცხოვრების იტოგებია; ხოლო პალიასტომის ტბის ივანე („პალიასტომის ტბა") დროიძე და სპირიდონ მცირიშვილი უკვე მომავლის გამოსავალი მიჯნებია. ივანე და მისი ვაჟი ქალაქის მუშის—პროლეტარის—წინამორბედია, დროიძე ახალი დროის ბატონია—კაპიტალისტი,—ხოლო მცირიშვილი მშრომელი ინტელიგენციის რევოლუციონური თაობის მამამთავარია. ეს ტიპი ჩვენ მიერ აღებული თვალსაზრისით ყველაზე საინტერესოა და მრავალ მასალას იძლევა.

ინტელიგენტის ტიპები ქართულ ლიტერატურას, მართალია, ბევრი არა ჰყავს, მაგრამ არც ერთი მათგანი მცირიშვილს არა ჰგავს. ისინი თავადაზნაურობიდან არიან გამოსულნი და ძირითადი მათი თვისება უსაქმობაა და ლაპარაკი. ვერაფერ ღირებულებას ისინი ვერ ჰქმნიან და სხვისი ნაშრომით ცხოვრობენ. გიორგი ერისთავის ინტელიგენტები—ივანე და ბეგლარი—უნიადაგო მეოცნებენი არიან, სამსახურში შესვლას არ კადრულობენ და თავიანთ მამებივით ცხოვრებაში გამოსვლისათანავე „ხაზეინობაზე"—ფიქრობენ. ვერც ერთი მათგანი ცხოვრების სინამდვილეს აღღოს ვერ უღებს და მხოლოდ მამა-პაპათა მონაგარს ჰფლანგავს. არდაზიანის დიდებულიძე უსულგულო დეკლარაციაა, ჭონქაძის კნიაზ ლიბერალი—ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს ლაპარაკობს, აკაკის რუსეთუმე გ. ერისთავის ტიპების სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. გ. წერეთლის კიკოლიკი და ჩიკოლიკიც ჩხირკედელა აზნაურული ინტელიგენტებია; ხოლო ილიას არჩილი ხომ სულ თავიდან ბოლომდე ფრაზიორია და მშრალი დეკლარატორი. ასეთივე ტიპია მისი და—კესოც.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ძველ ქართულ ლიტერატურაში ცნობილი ტიპები და პორტრეტები, არც ერთ მათგანს სპირიდონ მცირიშვილი არა ჰგავს. ჩამომავლობით იგი გლეხია და დაბადებიდანვე შრომის ატმოსფერაში გაიზარდა; თვი-

თონ მისი პირადი ცხოვრების დედაბოძს შრომა და საქმიანობა შეადგენდა. ამიტომ არის, რომ იგი მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ შრომაში და გარჯაშია. სხვისი ნაოფლარი ერთი ლუკმაც კი არ ჩასულა მის პირში.

მაგრამ ეს არ არის პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვა და ჭაპანწყვეტა,—სპირიდონ მცირიშვილი უპირველეს ყოვლისა სხვებისათვის იღწვის, მთელი მისი სიცოცხლის მისწრაფების საგანს დაბალი—მისივე წრის და მდგომარეობის —ხალხი შეადგენს. ამით განირჩევა იგი დანარჩენ ქართველ ინტელიგენტ ტიპებისაგან. მისი ჰორიზონტი ფართეა და ბრწყინვალე, მისი ყოველდღიური მუშაობა დაბალი ხალხის საბედნიეროდ არის მიმართული. სპირიდონი სრულებით არ არის კმაყოფილი იმით, რასაც იგი აკეთებს, ის არ არის უბრალო კულტურტრეგერი და პატარა საქმეების კაცი. არა, მან კარგად იცის, რომ მარტო სკოლებისა და სამკითხველოების გახსნით მისი მოღვაწეობა არ განისაზღვრება, მაგრამ ერთ მომენტში, განვითარების ერთ საფეხურზე, ესეც დიდი საქმეა. დესპინეს ეუბნება: „მეშინია, რომ ვერ შესძლო იმ გზაზედ სვლა, რომელიც მე ცხოვრებაში ამომირჩევია. ჩვენი ცხოვრების გზა მეტად ეკლიანი და ძნელი საავალი იქნება". ამ სიტყვებიდან და მოღვაწეობიდან ნათლად ჩანს, რომ სპირიდონ მცირიშვილი ქართველი რევოლუციონერების მამამთავარია. ჩვენი ცხოვრების სიღრმეში დატრიალებულმა რევოლუციონურმა გრიგალმა სწორედ ამ გზით აიდგა ფეხი. მცირიშვილი შეგვიძლია მივიღოთ სოფლის მასწავლებლის ერთ-ერთ ტიპადაც. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ ნინოშვილის მიერ დახატული მცირიშვილი უსათუოდ ახალი დროის ადამიანია და მას ყოველივე კავშირი გაწყვეტილი აქვს არჩილების და რუსეთუმეების საქართველოსთან. ჩვენი ერის ეანახლების ერთი სათავე უსათუოდ ამ წერტილიდან იწყება.

დუტუ მეგრელი

დუტუ მეგრელს (დიმიტრი ხოშტარია, დაიბადა 1867 წ.) აქვს ერთი კარგი მოთხრობა „დაშორებულნი", რომელშიც მოცემულია ახალი ცხოვრების ერთ-ერთი წარმომადგენელის საკმაოდ ცოცხალი სახე. ეს არის სტუდენტი სიმონი, რომელიც არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის უნივერსიტეტიდან გამორიცხეს და პოლიციის თვალყურის სადევნებლად სოფლად გაგზავნეს. ღარიბი და საბრალო მშობლები, სატრფოს ღალატი და ყოველმხრივი შევიწროვება,—აი რა ხვდება მას აქ. მაგრამ იგი მაინც გულს არ იტეხს, გარეშე პირობების წინაშე ქედს არ იხრის და მზად არის ბოლომდე იბრძოლოს საზოგადო საქმისათვის. სიმონი არ არის უსულგულო დეკლარატიული სქემა და მისი სახე უსათუოდ მხატვრულ შთაბეჭდილებას ჰქმნის...

შიო არაგვისპირელი.

(დედაბრიშვილი, დაიბადა 1867 წ., გარდაიცვალა 1926 წ.) არაგვისპირელი არ ყოფილა ყოფაცხოვრების მწერალი, ის უმეტესად ფილოსოფიურ საკითხებს ეხებოდა და ადამიანის ყოველმხრივი დახასიათება მას არ მოუკია. იგი

წინასწარ აღებულ რაიმე იდეის გასამართლებლად და ნათელსაყოფად ერთგვარ ექსპერიმენტს ახდენდა ადამიანთა სულსა და გულში და ამიტომ სინამდვილიდან მარტო ნაგლეჯ-ნაგლეჯ სურათებს გვაძლევს.

ეს სურათები კი, უნდა ითქვას, რომ ხშირად ახალი, ნერვიული ცხოვრების ახალ ტიპებს იძლევა. არაგვისპირელის პერსონაჟები სრულებით არ ჰგვანან ჩვენი ძველი და მდორედ მიმტბორავ ცხოვრების წიაღში აღმოცენებულ ტიპებს; არა, ისინი ქალაქური კულტურის შვილები არიან, ახალ სოციალურ კულტურულ პირობებში აღზრდილან და მათი გრძნობაც და აზრიც ახალი ცხოვრების შესაფერია. უსათუოდ ახალი საქართველოს პირობებში წარმოშობილი ტიპებია. მისი მოთხრობების „რა ზიზღით მიცქერის", „მხოლოდ მხრები ავიჩეჩე", „ქარი კი ზუოდა", „ბალღი ყოფილხარ," „ციცინათელა" და სხვ. შეიძლება კაცი შეედაოს. არაგვისპირელს იმ იდეების გამო, რომელიც მის მოთხრობებშია გატარებული, შეიძლება აქ ბევრი რამ საკმაოდ და ხელოვნურად გვეჩვენოს, ეგების ავტორის მიერ ზოგიერთ სადაო განზოგადებას ჰქონდეს აქ ადგილი, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ მოქმედი პირები უსათუოდ ცხოვრება განახლებული, გართულებული და გამძაფრებული საქართველოს შვილებია. მათი სკეპტიციზმი და ცხოვრების ეშვის თვალით დაკვირვება, აწონდაწონვა, უდიდესი პროგრესის თავდებია. ცხოვრების განახლებას ხელს უწყობენ არა მარტო ისინი, ვინაც სპირიდონ მცირიშვილივით გარეშე სინამდვილეს ღებულობენ და თანაც მის გადასაქმნელად იბრძვიან, არამედ ისინიც, ვინც ამ სინამდვილეს ერთიანად უარყოფენ და საშინელი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ. ძველის ნგრევა იმავე დროს ახლის შენებაც არის. მხატვრულ ლიტერატურაში მისაღებია, როგორც ნინოშვილის მეთოდი, ისე არაგვისპირელის. ამ მწერლის შემოქმედების შესახებ ჩვენ შემდეგ განყოფილებაშიც ვილაპარაკებთ და მხოლოდ მერე გვექნება მის შესახებ მთლიანი წარმოდგენა.

ია ეკალაძე.

(იაკობ ცინცაძე დაიბადა 1872 წ.)

ია ეკალაძე იმ დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როდესაც საქართველოს ცხოვრებაში სულ ახალი ნაკადული შემოიჭრა და ჩვენი ცხოვრება განახლების გზაზე შედგა. ეს იყო გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები. როგორც უკვე ვნახეთ, ამ ხანაში ჩვენში პირველად ითქვა ნამდვილი რევოლუციონური სიტყვა და თანაც დაიწყო ამისი შესაფერი საქმიანობა. მართალია, ერის ზედაპირზე ჯერ კიდევ ძველი ქერქი ჩანდა, ხალხის ზედაფენები, ინტელიგენცია, ჯერ კიდევ ძველებური საცოხნით იკვებებოდენ და თვალცრემლიანი ურწევდენ იმ აკვანს, რომელიც ილია ჭავჭავაძემ „ბაზალეთის ტბის ძირას" ნახა,—სწორედ ამ უიმედოთა და იქვიანად განწყობილთა წრეში გაიფურჩქნა არაგვისპირელის შუბლშეკმუხვნილი ნიჭი.—დიახ, მართალია, ერთის მხრივ ასეთი სურათი იყო, მაგრამ სინამდვილის საძირკველში სულ სხვა ნაკადულები აჩუხჩუხდენ და მაგრად ეკვეთენ ძველებურად გაყინულ ზედაპირს. აი, ამ ნაკადულების აჩხრიალება შე-

ამჩნია ია ეკალაძის დაკვირვებულმა თვალმა და მწერლის შემოქმედების საგანიც ეს ახალი მიმდინარეობა შეიქნა.

ეკალაძის ტიპები, თუ სახეები, უსათუოდ ახალი დროის მოვლენებია, მათი ფიქრი და მისწრაფებაც დროის შესაფერია და საქართველოს წარსულ სინამდვილისათვის უჩვეულო და უნახავი. ეკალაძის ტიპები უპირველეს ყოვლისა დაბალი წრიდან გამოსული ელემენტებია—რაზნოჩინცები,—აქ არ გრძნობთ თავად-აზნაურულ ატმოსფერას და ყველგან დემოკრატიული სულიერი განწყობილებაა. ღარიბი ინტელიგენტი, რომელიც პროლეტარის ბედში იმყოფება და უბრალო მოხელეები—აი ეკალაძის პერსონაჟები.

ეკალაძის ნაწერები შეგვიძლია ორ ჯგუფად დავყოთ: ლექსები ზროზად და მოთხრობები. ლექსებში ლირიკულადაა გამოთქმული მწერლის პირადი აზრი და გრძნობა. მწერალი მუდამ ჟამს ჩაგრული ხალხის ბედზე და დახსნაზე ფიქრობს და გულის კვნესით ამბობს:

„ოხ, რად არ ძალმიძს, მე ბედკრულსა სამოელისებრ
მოვნახო გმირი გამომხსნელი ხალხთა ტანჯვისგან,
ვისაც შეეძლოს შურდული ჭკრას ბილწსა გოლიათს,
დასცეს მონობა, სილაჩრესა ფრთა შეაკვეცოს
და აღფრთოვნებულ, გაღვიძებულ ხალხთა სიმრავლეს
მამაცურადა წინ გაუძღვეს...“

იგი ასე მიმართავს ცას: „მე მინდა მარად თვალყურს ვადევნებდე ქვეყანას, გავიგო როდის მოეღება ბოლო მტარვალებს“-ო და განაგრძობს:

„ზეცავ, შენ უცადე იმ დროს, როდესაც ტანჯულთა კვნესა-ქვითინი ლახერად გაუვლის გულში მტარვალებს; როდესაც მათი ცრემლი ნიაღვრად გადაიქცევა და წალეკავს ამ უღმერთოთ, მათ ძალმომრეობაზე აგებულს ბედნიერებას; როდესაც აღიგვება მათი სახელი და ყალბი შარაეანდედი სამარცხვინო ძოწეულად შეეცვლებათ“-ო.

ეკალაძის რწმენით მთელი ქვეყანა უსამართლობითაა სავსე, „ავკაცობას დაუბღუჯია მთელი ქვეყანა“. მწერალი ვერ შეჰგუებია ადამიანთა შორის გამეფებულ ბოროტებას და ტყვს მიაშურებს, რათა დროებით მაინც გაშორდეს „უნდოთა ბინას“, მაგრამ ვერც აქ მოუსვენია მის სულს და აქაც უთანასწორობის სურათს ხედავს.

მწერლის რწმენით ამ ქვეყნიურ უსამართლობას მხოლოდ ბრძოლა აღგვის, „იბრძოლე მარად, მუცლით ხოხვა რა ბედენაა“-ო, ამბობს იგი.

ეკალაძის მოთხრობებიდან ყველაზე საყურადღებოა: „ილიკო ბედენაძე“, „თეო“, „კრებაზე“, და „ოღონდაც“. ილიკო ბედენაძე ინტელიგენტი პროლეტარია და ლუკმა პურის შოვნაში სული ხდება. მას შეგნებული აქვს ამ ქვეყნიური უსამართლობა: „მეც ხომ ისეთი უმწეო, ისეთი მოძულებული ვარ, როგორც ის გლეხები, რომელთაც ძაღლადაც არავინ აგდებს, მაშ რა გვეშველება ერთ მეოთხედს კაცობრიობისას—„კვნესით ამბობს იგი“. ბოლოს კი ისევ იმ აზრს დაადგა, რომ ცხოველმყოფელი შეერთება თუ ღა უშველის რასმე, „თორემ მისი მსგავსი ადამიანების ცხოვრება, მარტო ოხერა, ტანჯვა და ვაება იქნებაო“. ასე

ამბობს ეკალაძე ბედანაძის შესახებ. ეს მოთხრობა დაბეჭდილია 1894 წელში. დამეთანხმებით, რომ ეკალაძის თვალთა ხედვა და მიდგომა, სწორედ დროული და რევოლუციონური ყოფილა. თვითონ ბედენაძის ტიპი უსათუოდ სინამდვილიდან არის ამოღებული: წაიკითხეთ ჩვენი რევოლუციონური მოღვაწეების ბიოგრაფიები და აშკარად დარწმუნდებით ბედენაძის მხატვრულ სინამდვილეში.

მოთხრობა „თეო“ თუმც ხელოვნურად მოისუსტებს, გაპიანურებულია, სანტიმენტალურია, სურათს სიტყვა სჯარბობს,—მაგრამ მოქმედი პირები უსათუოდ ახალ სინამდვილიდან ამოღებული პერსონაჟებია. ზურა ბედენაძისებური ღარიბი ინტელიგენტია, მაგრამ სულიერად მდიდარია და სრულებით არ კმაყოფილდება პირადი ბედნიერებით. თვის სატრფოს, თეოს, რომელიც ახალი ინტელიგენტ ქალის ტიპს წარმოადგენს, ასე მიმართავს იგი: „დღეს რომ ჩვენ ბედნიერები ვართ, ვეცადოთ სხვასაც შევუმსუბუქოთ თავისი მწარე ბედი... ჩვენ დაგვაახლოვა ხალხზე ლაპარაკმა, და მოდი ისევ ამ ხალხისათვის ზრუნვა იყოს ჩვენი სიყვარულის თავდები. ჩვენი სოფლების ცხოვრება გაძიმწარებულია, შეუბრალებელი ისტორიის ქარტეხილს დაუძაბუნებია, უვიცობის წყვდიადში გაუხვევია. აი, მაგათ უნდა შევწიროთ ჩვენი მცირეოდენი ცოდნა, შევწიროთ ჩვენი სიცოცხლეც, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვს“.

თეოცა და ზურაც მდგომარეობით პატარა ადამიანებია,—სოფლის მასწავლებლები, მაგრამ მათ მკერდში დიდი გულის ფეთქვაა და საკაცობრიო იდეალებისათვის წვა.

ესკიზი „კრებაზე“ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლების სურათს იძლევა,—თუმცა ავტორი ერთობ გაშარჟებულ სურათს ხატავს. შეიძლება ამ კრებაზე დამსწრე ინტელიგენციის ზოგიერთი წევრები, მართლაც უსაქმურნი და ენის ხალხი იყო, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ შიგა და შიგ დადებითი პირებიც იყვნენ, ბედენაძეები და ზურები,—ამ კრებებზე აღიზარდენ. მოლაპარაკე და ენაჭარტალა ინტელიგენციას ავტორი მუშებს უპირდაპირებს. ესენი ხმის ამოუღებლივ იდგენ კრებაზე და მოწიწებით შეჰყურებდენ ინტელიგენციის ლაპარაკს. ავტორის სიტყვით, ისინი „ანთებულ სანთელსავით შესცქეროდენ ორატორებს“. აი, ბოლოს, რა სთქვა ერთმა მუშათაგანმა—ნიკოლამ: „ჩემს აზრსა თბოულობთ, ბ. თავმჯდომარე! მე რა უნდა მოგახსენოთ, ერთი უბრალო, უსწავლელი კაცი ვარ. ოხ, ნეტა შემეძლოს ეს ჩემი გული ამოვიღო და წინ გადაგიშალოთ, მაშინ გაიგებდით, რასა ეფიქრობ,—მაშინ წაიკითხავთ ჩემისა და ათასი ჩემისთანას გულის ნადებსა. ჩვენ გვწყურიან წინსვლა, ქვეყნის ვაგება, ადამიანობა... მე თქვენში, ნასწავლებში, ჯერედავ ხსნის იმედსა, მაცხოვარივით გიყურებთ, „გაგვიძეხით წინ, ჭკუა გვასწავლეთ“ და სხვა... ნიკოლას სიტყვამ კრებაზე მოლაყბე ინტელიგენტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მათ იგრძნეს, რომ დაბალი ხალხი მათგან საქმეს მოითხოვდა, საქმეს ცოცხალსა და მშრომელთა შემაკავშირებელ—ამამოძრავებელს...

ეს მოთხრობა დაწერილია 1897 წელში, ე. ი. სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენი მუშათა კლასი აქტიურად ებრძოდა ცხოვრების უღელში და მეთაურებისგან საქმიანობას მოითხოვდა. ინტელიგენციაც გრძნობდა განთიადის მოახლოებას და ისიც ინსტიქტიურად იწყებდა ბორგვას. იწყებოდა სიტყვების

ხანა, რომელიც ყოველთვის წინ უსწრებს საქმიანობას, „პირველიდგან იყო სიტყვა", რომელსაც თან მოჰყვა მოქმედება, — ეს მოხდა მეოცე საუკუნის განმავლობაში, ჩვენ სინამდვილეში დატრიალებულ რევოლუციის წიაღში. ეკალაძის კალამს ეკუთვნის ლექსისებური ესკიზი: „მუშა ბოქულაძის შვილი", რომელიც შამასთან შედარებით ერთობ რევოლუციონურად არის განწყობილი და სრულებით არა ჰგავს გრ. ორბელიანის ბოქულაძეს, რომ მის მჩაგვრელს იქ, ზეცაში, უპირებს ანგარიშის მოთხოვნას.

ია ეკალაძე, მართალია, შემოქმედებით ახალ საქართველოს სფეროშია, მაგრამ ტეხნიკისა და სტილის მხრივ ის კიდევ ძველისკენ იხრება. ეს გარემოება ცოტა არ იყოს, მისი შემოქმედების გავლენას ასუსტებს. მის თხუზულებათა პირველი წიგნი 1903 წელში გამოიცა. ახალმა თაობამ და, საზოგადოდ, ახალგაზრდობამ აღტაცებით მიიღო ეს ნობათი.

პ. ირეთელი

(პოლიო კალანდაძე, დაიბადა 1876 წ.)

ახალი ლიტერატურის ტიპების ასახვაში ირეთელსაც საკმაო ღვაწლი მიუძღვის. პირადი ცხოვრებით რევოლუციონურ მუშაობაში წრთობილი ირეთელი კალმის ხელში მომარჯვეებით იწყებს ახალი ცხოვრების დასურათებას. მას აქვს მოთხრობათა და ესკიზთა მთელი რიგი, სადაც ახალ სახეებს ვხედავთ. ასეთებია: „შავი მიხა", „საბედისწერო გზით", და სხვ. ყველაზე უფრო ცნობილი და მუშათა წრეებში სახელმოხვეჭილია მისი ხუთ მოქმედებიანი დრამა „დამარცხებულნი", რომელიც კარგა ხნის განმავლობაში არ მოშორებია ჩვენი დემოკრატიული თეატრების სცენებს. აქ გამოყვანილია საერთო საქმისათვის თავდადებული მუშები, ექსპლოატატორები და მათი ზურგის გამამაგრებელნი მთავრობის აგენტები, ირეთელის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მრავალი იუმორისტული ფელეტონი და სატირა.

ტრიფონ რამიშვილი

(დაიბადა 1878 წ.)

ტრ. რამიშვილი ახალ მწერალთა გუნდს ეკუთვნის. მან შექმნა ახალი ყოფა-ცხოვრების გამომხატველი დრამები: „მეზობელნი" და „ექიმი აშირბაჯიანი", აგრეთვე მოთხრობა „მიტრო მეედლიშვილი". რამიშვილის კალმის საგანი უმთავრესად ძველ-ახლის შეტაკება და გადმოშლაა, მისი პიესები ყოველთვის საკმაო მაყურებელს იზიდავს და განსაკუთრებით ქალბალ ფენების სულსა და გულს ხედება. ტრ. რამიშვილი სახელმოპოვებული და სიმპატიური დრამატურგია. მისი ნაწერებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა დრამა „საბედისწერო დამბაჩა".

ნ ა რ-კ ა ნ ი

(ნიკოლოზ კურდღელაშვილი, დაიბადა 1878 წ.)

ნარკანიც მწერალთა ახალ რაზმს ეკუთვნის. იგი მთელი თავის არსებით მუშათა დამცველია, და მისი მოთხრობების ყოველი სურათი ახალი სახეების გადმოცემითაა დატვირთული. სამწუხაროდ, ამ მწერლის ნაწერები ყოველდღიურ გაზეთებშია გაბნეული და მკითხველი საზოგადოება ნაკლებად იცნობს მას.

ივანე გომართელი

(დაიბადა 1877 წ.)

ამ ფრიად ნიჭიერი ადამიანის კალამს მრავალგვარი ლიტერატურული ნაწარმოები ეკუთვნის, განსაკუთრებითი დამსახურება მიუძღვის მას ახალი საქართველოს ლიტერატურის წინაშე მხატვრული კრიტიკის სფეროში. ლიტერატურის სხვა დარგშიც უცდია მას თავისი კალამი და ყოველთვის საყურადღებო სურათები მოუცია. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წერილი მოთხრობა და რამდენიმე ნაწარმოები. გომართელი ყველგან ორიგინალური და ნიჭიერია, მისი კალამი ყოველთვის ახალი ცხოვრების სურათს იძლევა, თუმც ხშირად დეკლარატიულობა და რეზონიორობა სძლევს. მან დასწერა პიესები „ქოხში“, და „წამხდარი სისხლი“, რომელიც პირველი რევოლუციის დროს დაიბეჭდა. როგორც დრამატურგი იგი სუსტია.

ლ ა ლ ი ო ნ ი

(არსენ მამულაიშვილი, დაიბადა 1866 წ., გარდაიცვალა 1918 წ.)

ეს მწერალიც ახალი დროის შვილია. მისმა კალამმა მოგვცა რამდენიმე ცოცხლად ასახული სურათი და ტიპი თანამედროვე ცხოვრებიდან, ასეთებია მოთხრ. „რაქვიანას“ მოქმედი ინტელიგენტი, „თინა“, „დამშვიდება“ და სხვ. ამ მოთხრობებში ლალიონი ყველგან სინამდვილის დაკვირვებული ამსახველია და ხელოვნურ სურათებს გვიხატავს. საუბედურად, იგი ერთობ ძუნწი მწერალი იყო და საკმაოდ ვერ გაშალა ფრთა. გურიის ეტნოგრაფიულ ფარგლებში ჩაკეტვაც ძალიან უშლიდა ხელს. ჩვენმა ლიტერატურამ უკვე განელო ის საფეხური, როდესაც თვითეული მწერალი რომელიმე პროვინციის ზნეჩვეულებებს ახასიათებს, ამ კუთხის კილოკავით გველაპარაკება. ნინოშვილის დროს კიდევ ეპატიებოდა ეს, ხოლო ლალიონის დროისთვის უკვე მიუღებული იყო.

ვასილ ბარნოვი

(დაიბადა 1857 წ.)

ვასილ ბარნოვი, ანუ ბარნაველი, უმეტესად ჩვენი ეროვნული წარსულის მხატვარია, მისი ნიჭი ისტორიული რომანებით ხასიათდება, თუმც ხანდახან

თანამედროეობასაც ეხება. ასეთია რამდენიმე მოთხრობა, მაგ. „ამქრის შვენება“ და „მუშა“. პირველ მოთხრობაში გამოყვანილია ქალაქის ხელოსანი, რომელიც თავისი ხელობის პოეზიით არის გატაცებული. „მუშა“-ში მოცემულია სოფლიდან ჩამოხვეწილი მეეზოვის სახე, რომელიც ნაკლებად ატარებს სპეციფიურ მუშურ ხასიათს: ის უფრო ძველი ტიპის მუშაა, ვინემ ახალი ცხოვრების ნაყოფი. თუმც ასეთი მუშის არსებობაც დღესაც შესაძლებელია.

ზ ო ტ ი კ ე

(თომა ჩიკვილაძე, დაიბადა?...)

ზოტიკემ თებერვლის რევოლუციამდე დასწერა დიდი მოთხრობა „ახალი ტალღები“, რომელშიც მოცემულია პირველი რევოლუციის დროის ტიპები და სურათები. უმთავრესად დასურათებულია მუშები. მართალია, მოთხრობას აკლია მხატვრული შემოქმედების ელფერი და ხშირად ოქმობრივი სისწორით არის გადმოცემული სინამდვილე, მაგრამ ეს კი აშკარაა, რომ ჩვენს წინაშე ახალი ეპოქაა გადმოშლილი თავისი მაჯის ცემით და სულის თქმით.

შალვა დადიანი

(დაიბადა 1874 წ.)

შ. დადიანი ნიჭიერი მწერალია. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მინიატიურა, მოთხრობა და პიესა. ჩვენ აქ არ შეგვიძლია მთელი მისი შემოქმედების განხილვა, ჩვენი შრომის ხასიათს ეს არ ეგუება. ჩვენთვის საყურადღებოა მისი პიესა: „მღვიმეში“ და „როს ნადიმობდენ“. ეს პიესები პირველი რევოლუციის გავლენითაა დაწერილი და ავტორი ყველგან მშრომელთა წინაშე იხრის ქედს და ტაშს უკრავს მათ ბრძოლას და გამარჯვებისაკენ მისწრაფებას. მას აქვს პიესები: „შენი ჭირიმე“, „გეგეჭკორი“ და სხვ.

იასონ ნიკოლაიშვილი

(დაიბადა 1865 წ.)

ნიკოლაიშვილმა დასწერა რამდენიმე მოთხრობა: „ცოლ-ქმარი“, „იუდას ამბორი“, რამდენიმე მოთხრობა ციხის ცხოვრებიდან და სხვ. ჩვენი ერის ურთიერთობიდან.

მიხ. ადამაშვილი-ჯავახიშვილი

ეს მწერალი პირველ რევოლუციის ხანაში გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე და რამდენიმე თავის მოთხრობაში დაგვიხატა „დამცირებულთა და დამდაბლებულთა“ ყოფა-ცხოვრება. ამ მხრივ საყურადღებოა მისი: „კურკას ქორწილი“, „ჩანჩურა“ და სხვ. ჯავახიშვილის შესახებ ჩვენ ვრცელი წერილი გვაქვს მოთავსებული 1925 წლის ჟურ. „მნათობის“ № 5—6.

კ. მაყაშვილი

(დაიბადა 1875 წ.)

მაყაშვილის კალამს ეკუთვნის ლექსთა მთელი რიგი პირველი რევოლუციის დროიდან. იგი გულწრფელი დემოკრატია და მისი სიმპატია დაჩაგრულებისაკენ არის. მაყაშვილი სწერდა აგრეთვე ეროვნული გრძნობებით სავსე ლექსებს, სწერდა აგრეთვე სასიყვარულო და იუმორისტულ ლექსებს. 1914 წ. გამოვიდა მისი ლექსთა კრებული „ლირიკა“.

ნინო ნაკაშიძე

(დაიბადა 1872 წ.)

ნინო ნაკაშიძემ (ნ. ანთაძე) პირველი რევოლუციის ხანაში დაიწყო წერა. მისი მოთხრობების გმირების სამოქმედო ადგილი გურიაა, სადაც კაპიტალისტური ურთიერთობა საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით ყველაზე ადრე განვითარდა და სოფლის მეურნეობის დაცვის ნიადაგზე მუშა ხელმა ქალაქს მიაშურა. ხელზე მოსამსახურენი, ძიძები და ბედის მაძიებლნი, აი რა ხალხი წარმოიშვა ამ ორონტრიალში. ნინო ნაკაშიძე უმეტესად ამგვარ მოელენებს აგვიწერს. სხვათაშორის მის კალამს ეკუთვნის პიესა: „ვინ არის დამნაშავე“, რომლის მთავარი გმირი, ბესია, ფულის გულისათვის ამერიკაში გარდიხვეწება, რის გამო მისი ოჯახი დაღუპვისა და დაქცევის გზაზე დგება.

ამ მოთხრობებში ავტორის თანაგრძნობა ყველგან დაბალი ხალხისკენ და, საზოგადოდ, დაჩაგრულებისაკენ არის.

ჯოლა ლომთათიძე

ეს დღემდე ნაკლებად შემჩნეული მწერალი დიდ მოვლენას წარმოადგენს განახლებულ ქართულ ლიტერატურაში. იგი შესანიშნავია, როგორც ხელოვანი, როგორც ეპოქის მამოძრავებელ იდეების მხატვრულად ამსახავი და, ბოლოს, როგორც მრავალფეროვანი და ფართო ჰორიზონტის მქონე შემოქმედი. ამ წიგნის ერთ განყოფილებაში—ნაციონალურ საკითხში—ჩვენ უკვე შევეხეთ მას და ვნახეთ, რომ ეროვნული გოდების ბუმბერაზების—ორბელიანის, აკაკის, ილიას და ყაზბეგის შემდეგ, მან უსათუოდ დიდი ორიგინალობა გამოიჩინა ეროვნული საკითხის ინტერნაციონალურ ნიადაგზე მხატვრულად გაშლით. მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ ჯოლა ლომთათიძეზე ნიჭიერად, მხატვრულად და ორიგინალურად არავის უწერია. ამ საუკუნეშიც ბევრი ლექსი თუ პოემა დაწერილა საქართველოს ბედის შესახებ, (ა. შანშიაშვილი, ფაშალიშვილი, მჭედლიშვილი), მაგრამ ყოველივე ეს გასული საუკუნის პატრიოტულ ნაირის გაზოძახილია და არაფერ ორიგინალურს არ შეიცავს, ვერსად ახალი დროის შესაფერისი თვალსაზრისით მიდგომას თქვენ ვერ ხედავთ. მხოლოდ ლომთათიძე გამოიყოფა ამ მხრივ თავის მოთხრობით: „უბის წიგნიდან“.

ამ საინტერესო მწერალზე ჩვენ უკანასკნელ განყოფილებაშიც ვილაპარა-

კებთ, აქ კი შევეხებით მას იმდენად, რამდენადაც მისი შემოქმედება მასალას გვაძლევს მუშათა მოძრაობის ასასახავად და მისი იდეალების შესაცნობად.

ჭოლა ლომთათიძის შემოქმედება, რომელიც არსებითად უკვე ჩვენ მიერ განხილულ მგოსანთა და მწერალთა შემოქმედების სფეროში იშლება, რაღაც განცალკევებულ და განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ისიც იმისთვის იბრძვის, რისთვისაც მთელი ჯგუფის მწერლები იბრძვიან, ის მაინც სხვებს არა ჰგავს და მისი შემოქმედება განსაკუთრებული ორიგინალობის ელფერს ატარებს. მისი სიტყვა გულწრფელი და მომხიბლავია, მისი მანერი უბრალო და მომჯადოებელია, მისი მიდგომა ორიგინალური და თავისებურია.

ჭოლა უმთავრესად ლირიკოსია. ყოველი მისი მოთხრობა პროზით დაწერილი ლექსია, რომელშიც ანკარა წყალივით ამოჩუხჩუხებს უდიდეს საკაცობრიო იდეალებისათვის თავდადება და მაშერალთა საქმისათვის თავგანწირვის სიტყვა და საქმე. ყველა თავისი მოთხრობების მთავარი მოქმედი პირი თვითონ ავტორია, რომელმაც პირადად განიცადა ქართველ მშრომელთა უსაზღვრო აღფრთოვანების და მერე დამარცხებისა და ბრძოლის ველიდან უკუქცევის ხანა. ერთი წუთითაც კი არ დაშორებია იგი მშრომელთა ლაშქარს ამ ორ უმძაფრეს ხანაში. პირველი რევოლუციის დროს მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა და რეაქციის დროსაც არავისათვის დაუთმია ეს საპატიო როლი: შვიდი წლის განმავლობაში საკატორღო ციხის ბორკილებს ატარებდა და ბოლოს 1915 წელს— მშრომელი ქვეყნის სიყვარულში აღმოხდა ტანჯული სული ქალაქ სარატოვში. მე არ ვიცი მეორე ქართველი მწერალი, რომლის ბედი და პირადი სიცოცხლე აგრე ყოფილიყოს გადანასკეული მისთვის საყვარელ იდეალებთან და მისწრაფებებთან. ერთი წუთითაც კი არ მოშორებია ჭოლა თავის სათაყვანო საგანს--- მშრომელების ბედზე ზრუნვას, მათი ბედნიერებითაც დამტკბარა და უბედურებითაც გამაძღარა.

მართალია, მისი პირადი ცხოვრება უმეტესად საშინელებით იყო მოცული, მაგრამ იგი იმით მაინც ბედნიერი იყო, რომ ბუნებამ უდიდესი გამოთქმის ნიჭით დააჯილდოვა და მთელი თავისი სულის წვა და მისწრაფება შესანიშნავი ხელოვნებით აგვისახა. ვინ მოსთვლის, რამდენი თავდადებული ეწამა ჭოლა ლომთათიძესთან ერთად მშრომელთა ინტერესებისათვის! მაგრამ ჭოლასთან შედარებით ისინი ორჯერ უბედურები შეიქნენ: თავიანთი სულისკვეთება ტანჯვასთან ერთა დ გადმოუშლელად ჩაიტანეს მიწის ჯურღმულებში. სამაგიეროდ ჭოლა შეგვიძლია მივიჩნიოთ მათი სულის კვეთების გამომსახველად. ამ მხრივ იგი უსათუოდ ტიპიური მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში და მისი პირადი განცდებიც ქართულ მებრძოლთა მთელი თაობის დამახასიათებელია.

ჭოლას მოთხრობებში, როგორც ვთქვით, უპირველესად თქვენ ხედავთ, მუშათა ინტერესებისთვის მებრძოლ პროლეტარ ინტელიგენტს, რომელიც შავი რეაქციის მძვინვარების დროს ციხის ჯურღმულებშია მომწყვდეული და იქიდან იწვის და იდაგება მშრომელთა უკუქცეული რაზმის დამარცხებით. მაგრამ ეს არ არის უიმედო ტანჯვა და გარემოებათა წინაშე ქედის მოხრა; ეს არ არის ძველი იდეალების უარის ყოფა და ახალი კერპის წინაშე წამოჩოქება. არა, ჭოლა

ლომთათიძე გაუტეხელი მებრძოლია და მისი მშვენიერი მოთხრობების ყოველი ბგერიდან სწორედ ეს გამოსჭვივის. წაიკითხეთ მისი „თეთრი ღამე", „გრამოფონი", „საპყრობილეში", „ჩემი დღიური", „სახრჩობელას წინაშე" და თქვენ აშკარად დარწმუნდებით ამაში. ამ მოთხრობებში მოცემულია მთელი თავისი საშინელებით და თანაც უბრალოებით ციხის ეპოპეია, მისი სხვადასხვა ტიპებით, ჰომიროსისებურ სიმშვიდით გადმოშლილია ამ საშინელი ადგილის ლოდად ქცეული ყოველდღიურობა, მაგრამ ვერსად, ვერც ერთ ადგილას თქვენ აქ ვერ ნახავთ ციხის გამართლებას, მის წინაშე უძლურებას და მისი მძლეთა მძლეობის გარდუვალობას. ჭოლას აზრით ყოველივე ეს წარმავალია და დროულია, დღეს დამარცხებული მუშათა კლასი კვლავ აღდგება, კვლავ გაშლის წითელ დროშას და ამ საშინელებასაც ბოლო მოეღება.

იმ ხანაში, როდესაც ეს მოთხრობები იწერებოდა, რუსეთის ცნობილმა მწერალმა ლეონიდ ანდრეევმა დასწერა თავისი სახელგანთქმული „Мои записки", რომელშიც ერთიანად გაამართლა ციხე, აღიარა მისი სრული ჭეშმარიტება და კანონიერება და ადამიანის პიროვნება სრულიად უძლურ ქმნილებად გამოაცხადა. ამ მოთხრობებში მან ჯვარი დაუსვა 1905 წ. რევოლუციის იდეალებს და ერთიანად გაამართლა შავი რეაქცია.

ვერაფერ ამის მაგვარს ლომთათიძის შემოქმედებაში თქვენ ვერ ნახავთ, აქ ყველგან ბრძოლაა და შეურიგებლობა. შეიძლებოდა ჩვენი აზრების დასამტკიცებლად ლომთათიძის მოთხრობებიდან შესაფერი ადგილები მოგვეყვანა, ან და მოთხრობების ანალიზი მოგვეხდინა, მაგრამ ჭოლა ისეთი ხელოვანია და მისი მოთხრობები ისეთი ოსტატობით არის შეკერილი, რომ ცალკე ადგილების ამოღებით სრულიად დაიკარგება მათი სურნელება და მკითხველიც ყალბ შთაბეჭდილებას მიიღებდა. ამიტომ ჩვენ ყველას ვურჩევთ მთლიანად წაიკითხონ ჩვენ მიერ დასახელებული მოთხრობები. ეს კითხვა მოჰგვრის მათ უდიდეს ესთეტიურ და გონებრივ სიამოვნებას.

ჭოლა ლომთათიძე ახალი საქართველოს ხორცი—ხორცთაგანია, მისი შემოქმედება მხოლოდ და მხოლოდ ახალი ცხოვრების პირობებში წარმოშობილ სახეებს და იდეებს იძლევა. იგი თანამედროვე მოწინავე აზროვნების შუაგულში დგას და აქედან ათვალიერებს მთელ ჩვენს ცხოვრებას. ჭოლას შემოქმედების გამოსაყალ წერტილად ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მისი მოთხრობა „უბის წიგნიდან", რომელშიც იგი მთელის თავის არსებით ენათესაობა ჩვენს წარსულს: „გადამაქვს თვალი სურათიდან სურათზე, მოგონებიდან მოგონებაზე, სტრიქონიდან სტრიქონზე და, მგონია, რომ ჩვენი ისტორიის დასაწყისიდან ცოცხალი ვიყავი მე, რომ ფეხდაფეხ, კვალ და კვალ, მხარ და მხარ, დავდევდი ჩვენს ბედს",—ამბობს იგი აქ და ასე დაასკვნის: „ვდგავარ მაღლობზე მე და თითქოს მივდივარ, მივიკაფავ გზას, თავს ვიცავ და იკარგება საზღვარი; იკარგება საზღვარი, იკარგება განსხვავება და მხვდება წინ სპარსი, ოსმალო, რუსი, ინგლისელი, იაპონელი და მხიარული, აღტაცებული ვაძლევ მათ ხელს და ძმურად, ამხანაგურად ვკოცნი მათ". ამ სტრიქონებიდან აშკარად ჩანს, რომ ჭოლასათვის ძველი საქართველო უკვე განვლილი საფეხურია და დღეს უკვე ახალი ჰორიზონტები იშლება მის წინაშე.

ამ მოთხრობით ჰოლას შემოქმედება სულ ახალ, ჩვენი ლიტერატურისთვის უცნობ არეში გაიშალა. ეს გაშლა არ ყოფილა მარტო გარეგნული სახის მატარებელი და მხოლოდ ყოფაცხოვრების ამბავი. არა, ჰოლას ნიჭი ამაზე მარტო არ შეჩერებულა და, რაც თავი და თავია, მან ამ ახალი ცხოვრების მამოძრავებელი იდეები მოგვცა მხატერული სახეებით. მწერალი ამავე მოთხრობაში ამბობს: მე წვერი ვარ იმ პარტიის—მუშათა პარტიის, რომელმაც მთელი ქვეყანა უნდა გარდაქმნასო. ქვეყნიერების გარდაქმნაზე მეოცნებეს საამისო ძალაც უნდა შესწევდეს, მისწრაფებაც უნდა ჰქონდეს. მაგრამ ეს მარტო როდი კმარა, უხეშ ფიზიკურ ძალას არაოდეს არ გარდაუქმნია ცხოვრება, რომლის განმათავისუფლებელი და ახალ ყლორტებად ამყვავებელი მუდამ შემოქმედი და ცხოველი აზრი ყოფილა. არც ერთი ეს თვისება ჭოლა ლომთათიძეს არ აკლია: მის მოთხრობათა ყოველი სტრიქონი ენერგიისა და დაუშრეტელი მისწრაფების ჩქეფაა, მისი აზრი მუდამ ახალი, ცხოველი და დროს შესაფერი. „ჩვენ ქუჩაში გვინდა გამოვიდეთ და დროშა ჩვენი გამოვამზეუროთ. გავშალოთ წითელი დროშა, შემოვეხვიოთ მას და შევესძახოთ ქვეყანას—„დაგამარცხებთ, გავიმარჯვებთ“—ამბობს „პირველი მაისის“ პერსონაჟი, რომელსაც სწამს, რომ ჩვენი ცხოვრების განახლება მაშვრალთა კოლექტიური მოქმედების და ბრძოლის შედეგი იქნება.

კოლექტივიზმის იდეა მუშათა მოძრაობის დედა ბოძია, ამ იდეის ნიშნის ქვეშ ვითარდება მთელი სოციალისტური მოძრაობა, იგი არის მთელი ქვეყნიერების გარდამქმნელი და განმაახლებელი საფუძველი. ინტერნაციონალურ გზაზე გამოსულ საქართველოს სიღრმეშიც უნდა ამოეხეთქა ამ იდეას და ევროპიულად განახლებულ საქართველოსაც უნდა მიეღო იგი. ჭოლა ლომთათიძის შემოქმედება აშკარად ამტკიცებს ამ აზრის სისწორეს. წაიკითხეთ მისი შესანიშნავი მოთხრობა „საღრჩობელას წინაშე“ და აშკარად დარწმუნდებით ამაში. ამ მოთხრობას ჩვენ ქვევით შეეხებით უფრო დაწვრილებით, აქ კი დავასკვნით, რომ ჭოლას შემოქმედებით მთელი ახალ ქართულ ლიტერატურას ულრმესი კალაპოტი გაუკეთდა და ჩვენი განახლებაც უტყუარი ფაქტია. ქართველმა მშრომელმა ახალი იდეები არა მარტო თავით მიიღო, არა მარტო გარეგნულ ცვლილებების მოხდენაში გვიჩვენა თავის შემოქმედების მძლეთა-მძლეობა, არამედ გულითაც შეიგრძნო და შეითვისა ახალი ეპოქის სუნთქვა, მხატერულად მიიღო და ამნაირად ყოველ მხრივ დაეუფლა ახალი ცხოვრების სათავეებს.

ძველ დროში ერის ცხოვრებაში ძირითად ცვლილებებს ხალხთა გადასახლებანი ახდენდა,—მრავალჯერ გაჩანაგდა ძველი საქართველო ამ მოვლენის გამო,—დღეს კი ერის ცხოვრების ძირიანად გარდაქმნას შინაური ეკონომიური და პოლიტიკური რევოლუციები ახდენენ. საქართველოსაც ეს ბედი ეწია: მის ეკონომიურ განახლებას პოლიტიკური განახლებაც მოჰყვა და ძველისძველი აზიური ერიც ერთიანად ეზიარა ევროპიულ ცხოვრებას და იდეებს. ეს უკანასკნელი მოვლენა, როგორც ენახეთ, შესანიშნავად ასახა ახალმა ქართულმა ლიტერატურამ—მშრომელთა წიაღიდან გამოსულმა.

ჩვენ გავარჩიეთ მწერალთა მთელი გუნდი, რომლიდანაც პირველობის გვირგვინი უსათუოდ ჭოლა ლომთათიძეს უნდა მიეძღვნას. მისი სახე მაღლიდან გად-

მოჰყურებს მთელ ჩვენს ცხოვრებას და ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენმა ახალმა ლიტერატურამ უსათუოდ ჭოლას მიერ აჩქეფებულ ნაკადულში უნდა მიიღოს ნათელი.

დასასრულ ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოვიხსენიო აქ ჩემი რომანი „შოთა ბროლიძე", რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა 1911 წ. [1]). ეს ნაწარმოები თავისი შინაარსით ეკუთვნის ამ განყოფილებაში განხილულ მიმართულებას და მიზნად ისახავს ახალი ტიპის—ჩვენი ცხოვრების განმაახლებელს წარმოებაში ჩაბმული მუშის—სახის აჩვენებას. დაწვრილებით ამ რომანის შესახებ ლაპარაკი უხერხულად მიმაჩნია სრულიად გასაგები მიზეზის გამო...

ამ განყოფილებაში მოთავსებულ მწერალთა ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე ბელეტრისტი პართენაშვილი, ს. რემონიძე, ილია რუხაძე და . იონა თლუღელი (იოხა ბელიაშვილი † 1925 წ.).

ბოლოს ერთი შენიშვნაც. მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაში ჩვენ გვაქვს ორი ცნობილი ლექსი მუშის შესახებ: ერთი „მუშა ბოქულაძე"—ეკუთვნის გრიგოლ ორბელიანს, მეორე „მუშა"—ილია ჭავჭავაძეს.

ორივე ეს ლექსი მრავალ მხრივ არის საყურადღებო. ილიას მუშას ასეთი ეპიგრაფი აქვს: „В труде проходит жизнь его и не приносит ничего".

ეცვე აზრია ამ ლექსში გატარებული:

„მოვკვდები და მსწრაფლ ჩაგჭედენ საკაცეშია,
უცრემლოდ, ძმაო, ჩაგიშვებენ სამარეშია.
ეგრედ უბრალოდ გაფუჭდები,—და ჩვენს ხსოვნასა
არაფერი არ მოაგონებს შენს „აქ" ყოფნასა".

ილია, როგორც ჰუმანიურად განწყობილი ბატონი, ამის გამო, რასაკვირველია, იბრალებს მუშას, რომლის უზომო ტანჯვა კარგად აქვს აწერილი ამ ლექსში. მუშას მაშინდელი საზოგადოების თვალში არაფერი მნიშვნელობა არ ჰქონდა და არც მისი მუშაობა ფასდებოდა ღირსეულად: ის უბრალო პირუტყვია, რომელიც ტვირთის საზიდავად იყო გაჩენილი და უხმოდ ემორჩილებოდა თავის ბედს. ილია იბრალებს მას და გულაჩვილებულია მისი ბედის გამო.

გრიგოლ ორბელიანიც, რომელიც 60 წლებში ბატონობას იცავდა, 80 წლებში მაღალ ფარდოვანის სიტყვებით შეზავებულ ლექსს სწერს და მისი დამოკიდებულებაც მუშისადმი ისეთივეა, როგორც ილიასი; თუმც ორბელიანის მუშა უფრო შეგნებულია და მან მშვენიერად იცის, რომ „კაცთა შორის კაცად არ მიჩნეულია" და მის მტანჯველებს ასე ეუბნება:

„განცხრომის ძეე, ნებიერად გაზრდილო,
ეს ქვეყანა შენთვის არის შექმნილი,
ველს სიმწვანე, ცის ლაჟვარდი, მის შუქი,
გაზაფხული სუნნელების ნიავით,
შენ გეტრფიან, გახარებენ, გატკბობენ...
შენთვის ბრწყინვენ თვით ლამაზი თვალებიც;
ნაზი წელი რხევით შენკენ რონინებს;
მიმოქრიან შენთვის ზღვაში ხომალდნიც" და სხვ.

[1]) ვახსენებ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ პროგრამებშია შეტანილი. ვ. ხ.

დიახ, ასე შეგნებულად და განსწავლულად ალაპარაკებს ორბელიანი ბოქულაძეს, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება და მუშამ მედგრად უნდა მოითხოვოს თავისი, იგი მას ასე ათქმევინებს:

ჰე, ძმავ, წადი შენ შენს გზაზე სიმღერით...
მე ჩემს ბარგსა, როგორმე იქ მოვიხსნი,
სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,
საუკუნოს განსასვენსა ალაგსა".

ერთი სიტყვით, ორბელიანის მუშა ერთობ თვინიერი არსებაა და საიქიოს უპირებს თავის მჩაგვრელს ანგარიშის გასწორებას, სააქაოს კი მზად არის უპროტესტოდ იცხოვროს.

როგორც იოსებ დავითაშვილის განხილვიდან ვნახეთ, ასეთი სულიერი განწყობილება მართლაც შეიძლება ჰქონებოდა ერთ დროს მუშებს, მაგრამ, რაღაც საეჭვოა, რომ აგრე განვითარებულ და ყველაფრის მცოდნე მუშას ისიც არ სცოდნოდა, რომ თავისი ბედი თუ უბედობა აქ, ამ ცოდვილ დედამიწაზე უნდა გადაეწყვიტა მასვე. გრიგოლ ორბელიანის მიმართულებისთვის ეს ლექსი სრულებით დამახასიათებელი არ არის და შემთხვევით განწყობის შედეგად უნდა ჩაითვალოს.

არც ილიას და არც ორბელიანს, რასაკვირველია, სახეში არ ჰყოლია დღევანდელი სახის მუშა, რომელიც ფაბრიკა-ქარხნებშია. ამ ორი მწერლის მუშა იმ ლუმპენ-პროლეტარების წინაპრებია, რომელთაც ხშირად გვიხატავენ ეედოშვილი და ზოგიერთი სხვები.

ასეთია ის ლიტერატურა, რომელმაც ასახა ჩვენი მუშათა მოძრაობა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სამრეწველო პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრება და იდეალები ჯერჯერობით ვერ დაუსურათებია სათანადოდ ჩვენს ლიტერატურას. მაგრამ ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არა თუ ჩვენში, რუსეთშიც კი არ არის. მუშათა კლასის შემოქმედება მთელი სიგრძე-სიგანით ჩვენი თანამედროვე ცხოვრების საქმეა და მომავლის ლიტერატურაც უფრო ძლიერ და მხატვრულ სახეებს მოგვცემს, ამ მთელი ქვეყნის ცხოვრების გარდამქნელ კლასის ცხოვრებიდან.

დასასრულ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ განყოფილებაში განხილული ლიტერატურა ერთიანად ქალაქის გავლენითა დაწერილი, მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურა კი საკვლევით სოფლურ ფონზეა გაშლილი. აშკარაა, რომ ქართველი ერის ცხოვრება უკვე გამოვიდა სასოფლო შუკების და პეიზაჟების გავლენიდან და ევროპის მსგავსად ქალაქური ელფერი მიიღო.

ზოგადი საკითხები

ყოველი ერის ლიტერატურა ჩვენ შეგვიძლია სამ საფეხურად გავყოთ. პირველ საფეხურზე ხდება ერის სხვადასხვა ნაწილების კუთხურ—ეტნოგრაფიული ლიტერატურული დასურათება, მეორე საფეხურზე გაერთიანებული ნაციონალური ნაწარმოები იქმნება და მესამეზე—უკვე მსოფლიო მნიშვნელობის საკითხების გაშუქება ხდება.

მართალია, ჩვენს ლიტერატურას მე-19-ტე საუკუნეში ასეთი თანამიმდევრობით არ უვლია, მაგრამ დასახელებულ სამ ჯგუფში მოსათაესებელი ნაწერები უსათუოდ მოგვეცა.

ჩვენი მწერლების მოთხრობათა მთელი რიგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს გვისურათხატებს. მაგ.: „კაცია ადამიანი?“ ქართლის ყოფაცხოვრებას ხატავს, ყაზბეგის მოთხრობებში მრავალი ეტნოგრაფიული ელემენტია მთიულეთის ცხოვრებიდან ამოღებული. ზოგიერთეული ყაზბეგს ამის გამო ეტნოგრაფ მწერალსაც კი ეძახიან. ნინოშვილის მოთხრობები გურიის ყოფაცხოვრებას გვისურათხატებს. დუტუ მეგრელი თუმც მკრთალად, მაგრამ მაინც სამეგრელოს გვიშლის თვალ-წინ. დავ. კლდიაშვილი ხშირად ხომ ერთი პაწაწინა პროვინციის—ოკრიბის—მხატვრად გვეელინება და სხვა. ამ მოთხრობების გმირები თავის პროვინციის წარუშლელ დაღს ატარებენ და მათი ზნე-ჩვეულება, თუ კილო-კაეი ?ხოლოდ საქართველოს ამ კუთხის მოვლენაა.

მეორე ჯგუფის ნაწერებს უნდა მივაკუთვნოთ ისეთები, რომელშიაც მოცემულია საქართველოს ტეოიტორიალურ-ეროვნული მთლიანი სახე; დასურათხატებულია, საზოგადოდ, ქართველი ადამიანის ტიპი—არა იმერული ან გურული, ან ქართლელი - და სალაპარაკო ენაც ლიტერატურაში მიღებული საერთო ენაა. ასეთ თხზულებებად უნდა აღვიაროთ ყველა ჩვენი მგოსნების—ვაჟა-ფშაველას გამოკლებით—ნაწერები: ჭონქაძის „სურამის ციხე“, ილიას „ოთარაანთ ქვრივი“ და „გლახის ნაამბობი“, გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“, ყაზბეგის რამდენიმე მოთხრობა, არაგვისპირელის მოთხრობები, ლომთათიძის ნაწერები და სხვა. ამ ნაწარმოებთა ტიპები შედარებით ნაკლებად—ან სრულებით არ ჰგავან ჩვენი ქვეყნის რომელიმე კუთხის ტიპს და თანაც მათი სალაპარაკო ენა უმეტეს შემთხვევებში მაინც საერთო ნაციონალური—ლიტერატურული ენაა.

მესამე ხასიათის თხზულებები, რომელთა შესახებ ჩვენ სპეციალურად ამ განყოფილებაში, უნდა ვილაპარაკოთ, ისეთებია, რომელნიც თავისი მნიშვნელობით და თემით ნაციონალურ-ქართულ ფარგლებს შორდებიან და ყველა ერისათვის საინტერესო საკითხებს ეხებიან და გვისურათხატებენ. ასეთ ქმნილებებად ჩვენ მიგვაჩნია ნ. ბარათაშვილის ლექსთა უმეტესობა, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“, ვაჟა-ფშაველას საუკეთესო პოემები, არაგვისპირელის მოთხრობები, ჭოლა ლომთათიძის „სახრჩობელას წინაშე“, გალ. ტაბიძის ლექსები და ზოგიერთ მგოსნების ნაწერები „ცისფერ ყანწების“ ჯგუფიდან.

როდესაც რომელიმე ერის ლიტერატურა მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებს ეხება, ეს მომწიფებასა და სიღრმავეს ნიშნავს; ეს იმის მომასწავებელია, რომ **ეროვნული აზრის ლტოლვა უკვე ვერ ეტევა ნაციონალურ** ფარგლებში, მან უკვე ამოსწურა ადგილობრივი საკითხები და უფრო ფართო ასპარეზს ეძებს ფრთების გასაშლელად. რასაკვირველია, ისე კი არ ხდება თითქოს მთელი ლიტერატურა ერთბაშად სწყვეტდეს კავშირს ყოველივე ადგილობრივთან და საკაცობრიო იდეების გაშუქებას იწყებდეს. დიდი გაქანების მწერლების გვერდით ყოველ ეპოქაში არიან ადგილობრივი მნიშვნელობის მწერლებიც. თანაც ფილოსოფიური საკითხების ამსახველი მწერლები ყოველთვის უპირველეს ყოვლისა ნაციონალურნი არიან, მათი იდეები ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენდებიან და

ჭქედან ისეთი სიღრმითა და სიმძლავრით ეითარდებიან, ისეთი ძალით მიიწევენ სულ ზევ-ზევით, რომ ცისკენ აჭრილ ალვის ხესავით, რომელსაც შორეული ადამიანიც კი დაინახავს, მრავალთათვის ყურადღება მისაქცევი ხდებიან.

შეიძლება რომელიმე მწერალი ერის ფარგლებში გენიალური ნიჭის იყოს, მაგრამ დანარჩენ ერებისათვის მას მნიშვნელობა არა ჰქონდეს. მაგ. პუშკინი რუსეთის ეროვნულ ლიტერატურაში მიუღწეველი გენიალობა შეიქნა, მაგრამ რუსეთის ლიტერატურა მსოფლიო შარა გზაზე დოსტოევსკიმ და ტოლსტოიმ გამოიყვანეს. ამ მწერლებამდე რუსეთის ლიტერატურას მარტო ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა, ხშირად ეტნოგრაფიულ ფარგლებს ვერ შორდებოდა. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ არც დოსტოევსკისა და არც ტოლსტოის ყველა ნაწერები სრულებით არ ჩაითვლება მსოფლიო მნიშვნელობის, თხზულებად. ასეთებია დოსტოევსკის: „ძმები კარამაზოვები", „დანაშაული და სასჯელი" და „იდიოტ". ტოლსტოის: „ომი და ზავი" და „ანა კარენინა" და ზოგი სხვა.

რასაკვირველია, ჩვენი ლიტერატურა თავისი სიღრმე-სიგანით ამ ბუმბერაზებს ვერ შეედრება, ისიც აშკარაა, რომ ჩვენს მწერლებს ამდენად არც ევროპიელთა ყურადღება დაუმსახურებიათ,—ამის მიზეზები მხატვრულ სისრულის გარდა პოლიტიკურიც არის. შეუმჩნეველ საქართველოს ლიტერატურით აბა ვინ უნდა დაინტერესებულიყო, მაგრამ ჩვენ სხვა თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ საქმეს. საკითხი ისე უნდა დაისვას, რომ იგი ჩვენ გვეხებოდეს: რა ხასიათის საკითხებზე იყო ყურადღება მიქცეული ქართველი მწერლების მიერ მარტო ადგილობრივზე, თუ მსოფლიო მნიშვნელობის? რა ფარგალში ტრიალობდა ქართული აზრი: კონკრეტულ, ყველასათვის დასანახ და ხელშესახებ მოვლენათა გარშემო, თუ ფართო განზოგადების ნიჭსაც ჰქონდა ადგილი? მე მხოლოდ ამ თვალსაზრისით ვეუდგები საკითხს.

ყოველი ფილოსოფიური თემა ბოლოს და ბოლოს ცხოვრების კონკრეტ პირობების ანარეკლია,—თუმც ხშირად არა პირდაპირის გზით, არამედ კონტრასტიულად, თვით ოლიმპიელი გიოტე მჭიდროდ იყო დაკავშირებული „ვერტერითა" და „ფაუსტით" თავის ეპოქასთან. ასე რომ შეცდომა იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ე. წ. განყენებულ საკითხები ცხოვრების სინამდვილეს არ ეყრდნობაო. ესა თუ ის ფილოსოფიური აზრი კონკრეტ ისტორიულ პირობებში წარმოიშვის ხოლმე, მაგრამ ფართო განზოგადებითი ხასიათის გამო ზეიელე შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს იგი დროისა და სივრცის გარეშე წარმოშობილიყოს.

6. ბარათაშვილი

I

პირველი ფილოსოფიურად მოაზროვნე მწერალი საქართველოში იყო ნიკ. ბარათაშვილი, რომლის შემოქმედების ერთ მხარეს —ეროვნულს—უკვე შევეხეთ. ჩვენ ის ეპოქაც საკმაოდ დავახასიათეთ, რომელშიც სახელოვანი მგოსანი ცხოვრობდა. ეროვნული გემის დაქვესკნელება, 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებული უიმედო სულიერი განწყობილება, ბატონყმობის ხუნდებში ჩაჭედილი ფართო მასა, მომკვდარი საზოგადოებრიობა და სამხედრო

ლეზების წკრიალი' პირადი ბედნიერების საძიებლად,—აი რა ახასიათებდა ბარათაშვილის დროს. ყოველივე ამას დაერთო თვითონ მგოსნის პირადი უბედურებანი: სიღარიბის გამო უნივერსიტეტში ვერ მიდის, დაკოჭლებული საყვარელ-სამხედრო სამსახურში ვერ შევიდა, საზოგადოებრივ უბედურებას პირადიც ემატება და ჩვენი მგოსანიც იძულებულია გულმოკლული ჩაიკეტოს თავის სულის-სიღრმეში და იქ ეძიოს მიუღწეველ სურვილთა დაკმაყოფილება. პოეტს სრულებითაც არ უნდოდა პირად ნაჭუჭში ჩამწყვდევა, მაგრამ გარეშე სინამდვილემ მორცხვ მიმოზასავით დააკრეფინა გასაფრენი ფრთები. აი რა ტრაგიზმით აღსავსე წერილს სწერს იგი 1842 წელში თავის დას: „ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი იყოს, რომელიც შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ.—არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მომძულებია ამდენი მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს ცხოვრებაში. ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ენახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არ ჰქონია; ვისიც გუნება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არც თუ გონება ჰქონია; ვისიც ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მოვიდრიკო თავი?".

შესანიშნავი დახასიათებაა. მკვდარი საზოგადოებრივი ცხოვრება სწორეთ ასეთის სახის არის და მგრძნობიარე ადამიანს ჭეშმარიტად არ შეუძლია გარეშე პირობებში დასაყრდნობის მონახვა. ბარათაშვილის აზრით წუთი სოფელი სავსე და ვრცელია. მართალია, ბევრი უბედურებაა „ამ საძაგელს ქვეყანაში", მაგრამ ადამიანებში მაინც რომ არ მოტყუებულიყო, კიდევ შეიძლებოდა სულის თქმა და განსასვენებელის მონახვა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ადამიანში ადამიანური არაფერია და მგოსნის კეთილშობილური ბუნებაც თავისივე „მე"-ში იკეტება და პირადი არსებობის მიზანს არკვევს. ზერელედ მოაზროვნე ადამიანი შეიძლება ერთიანად შეიწიროს, გაანადგურეს და გააუფერულოს ასეთმა მდგომარეობამ, მაგრამ ბარათაშვილი ღრმა არსების არის და გარეშე განმანადგურებელი გავლენა ვერაფერს აკლებს მას. ის ვერ დააკმაყოფილა მისმა წრემ, მაგრამ დაღუპვისაგან მისმა მედგარმა ბუნებრივმა ნიჭმა დაიცვა.

პირველი საკითხი, რომელიც სრულიად ბუნებრივად უნდა დაბადებოდა ასეთნაირად განწირულ და განმარტოებულ პოეტს, უსათუოდ ეს უნდა ყოფილიყო: ვინ ვარ მე? საიდან მოველ და სად მივდივარ? რა არის ჩემი დანიშნულება? ქედი უნდა მოვიხარო გარეშე პირობების წინაშე და წავშალო ჩემი ინდივიდუალობა, თუ რაიმე ღირებულებას ვატარებ და ამიტომ სიცოცხლე უნდა შევინარჩუნო?

ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას" პოეტი ცდილობს გამოარკვიოს ადამიანის ხასიათის რაობა და იმ დასკვნამდე მიდის, რომ

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა—წუთი სოფელი,
თუ არაოდენ საწყაული აუსებელი".

რატომ არის ადამიანის ბუნება აღუსებელი საწყაული? იმიტომ რომ

„ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს?“
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“

ნატვრით ადამიანი ბევრს რასმე ინატრებს და ესეც რომ აუსრულდეს, მაინც მისი არსება დაუკმაყოფილებელია, „გული კრულია კაცისა ხარბი და გაუძღომელი“. არათუ პატარა ადამიანები, არამედ ქვეყანათა მპყრობელი მეფეებიც კი არ ცხოვრობენ მოსვენებით, სულ ერთია—კეთილია ის, თუ ბოროტი, კეთილი მეფე მუდამ იმის ცდაშია, რომ თავისი სამეფო კიდევ უფრო გააბედნიეროს და ბოროტიც იმას ფიქრობს: „როდის იქნება ის სამეფოცა ჩვენი იყოს“-ო და სხვის ჩაყლაპვაზე ოცნებობს.

„მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც ბოლო უნდა მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?“

ეს აზრი რომ სხვანაირად ესთქვათ, აი რა გამოვა: თუ ადამიანის სიცოცხლე ბოლოს მაინც სიკვდილით თავდება, თუ ამ საშინელ ბოლოსაგან „ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი“, მაშინ რა საჭიროა ესოდენი წვალება და ჭაპანწყვეტა? რად ვცდილობთ „აღუსებელი საწყაულის“ ავსებას და ვიმწარებთ წუთისოფელს?

საკითხი აშკარად არის დასმული, მაგრამ პასუხის გაცემა სხვადასხვანაირად შეიძლება. თუ წუთი სოფლის წვალებიდან მაინც არაფერი გამოდის,—მაშინ უნდა უარვყოთ იგი და გავშორდეთ მას; ერთი პასუხი ასეთი იქნება. არა უარის ყოფა, არამედ მისი მიღება, ბოროტებაზე თვალის დახუჭვა და პირად სიტკბოებაზე ფიქრი

„სანამ ცოცხალვარ ვახარებ,
ჩემს ვარდსა, ჩემსა იასა“.

შეიძლება ასეთნაირი პასუხიც იქნას გაცემული. მესამენაირად არ შეგვიძლია ვუპასუხოთ: მივიღოთ აქაურობა, როგორც ფაქტი და ვეცადოთ მისი უარყოფითი მხარეების გაუმჯობესებას. მოკლედ რომ ვსთქვათ, პასუხი შეიძლება ორნაირი ხასიათის იყოს: პიროვნების თვალსაზრისიდან გამომდინარე და საზოგადოებრივ მოსაზრებაზე დამყარებული.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ჯერჯერობით პიროვნების თვალსაზრისზე დგას და მისი პირადი ინტერესების მიხედვით უდგება ამ ქვეყნიური ცხოვრების მიზნის შეცნობას. მისთვის აშკარაა, რომ ცალკე პიროვნება, თუ მარტო პირადი ინტერესების თვალსაზრისიდან გამოდის, უსათუოდ პესიმისტურ დასკვნამდე უნდა მივიდეს, უარყოფითად უნდა დაიფასოს ამ ქვეყნიური ცხოვრება და თავისი არსებობაც ანტისოციალურად უნდა გაათავოს: ან თავი მოიკლას, ან და პირადი სიტკბოების ძიებას ემსახუროს.

მართალია, ბარათაშვილი, პირადად, უარყო მაშინდელმა ჩვენმა ცხოვრებამ, მაგრამ თვითონ ბარათაშვილის პიროვნებაში იმდენი გამძლეობის ძალა და სოციალობა აღმოჩნდა, რომ ის არ დაემონა წუთიერ გავლენას, ღრმად განვერიტა ადამიანის ცხოვრება და ინდივიდის თვალსაზრისიდან საზოგადოებრივზე გადა-

ვიდა. დიდი რამ არის პიროვნება, და მისი ინტერესი, მაგრამ ბოლომდე მისთვალსაზრისზე გაჩერება არ შეიძლება, ინდივიდი სოციალური არსებაა და მისი ინტერესის გამორკვევის დროს ამ მომენტის უგულებელ ყოფა ყოვლად შეუძლებელია.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

გარდა პირადი ჩვენი ინტერესებისა, ჩვენ იძულებული ვართ საზოგადოებრივსაც ანგარიში გავუწიოთ.

„მაგრამ, რადგანაც კაცნი გვქვიან შვილი სიფლისა,
უნდა კიდეც მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა“.

ყველა დროის ღრმა და საღი მოაზროვნენი სწორეთ ასე სწყვეტდენ ამ ურთულეს საკითხს და, პირდაპირ გასაკვირველია, თუ საიდან აღმოაჩნდა თავის დროზე ყველასაგან უმნიშვნელოდ მიჩნეულ ბარათაშვილს ამდენი შინაგანი მორალური ძალა! ირგვლივ უაზრობა და ფუქსავატობა, საზოგადოებრივი უიმედობა პირად ცხოვრებაში სრულიად დამარცხებულია და ამავე დროს ასეთი ბრძნული და ღრმა რწმენა!

ადამიანის ბუნება რომ „აღუვსებელი საწყაული“ იყო, ეს საკუთარი განცდით იცოდა ნიკოლოზ ბარათაშვილმა. მთაწმინდის ბუნება ლამაზია და წარმტაცი. დამატკბობელია მისი მაცდურობა და მომხიბლავია ცის ხატება, მაგრამ მგოსნის სულისათვის ეს როდია საკმაო და არც ისევნებს იგი.

„აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ;
მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან“.

მიმართავს იგი ზეცას.

„მე შენსა მჭვრეტელს მაეიწყდების საწუთროება,
გულისთქმა ჩემი შენს იქეთა ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს აქ ამაოება“...

ასეთია მგოსნის სულის აღმაფრენა, მაგრამ, ვაი, რომ მალე ფრთები ეკვეცება მას და მიზანს ვერ აღწევს: მისი ფიქრნი ცამდე „ვერ მიაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან“, მისი გულის თქმანიც „ვერ სცნობენ გლახ მომაკვდავნი განგებას ციურს“. აქაურ ამაოებისგან თავდასაღწევად მგოსანი ზენართ სამყოფს ეძიებს, უნდა შეიცნოს ბუნების საიდუმლოებანი, ყოველივე იცოდეს, უკვდავად იქცეს, მაგრამ ყოველივე ეს ადამიანისათვის მიუღწეველია და ბარათაშვილის სულსაც ღრმა სევდა ეუფლება. მარად ჟამს მაძიებელი სულის მიერ მისწრაფებათა მიუღწევლობა,—აი ბარათაშვილის სევდის მთავარი მიზეზი.

II

ჩვენი მგოსნის ყოველი ლექსის კითხვის დროს ჩვენს წინაშე დგას შუბლშეკრული და ჩაფიქრებული მგოსანი, რომელიც წუთი სოფელში ყოველ ნაბიჯზე უსამართლობას, იდეალთა მიუღწევლობას და კაცთა სიავეს ხედავს. არის

წამი, როდესაც უსასოებაც კი იპყრობს მას. ეს გრძნობა უკიდურესობამდეა მისული „სულო ბოროტო"-ში. იყო დრო, როდესაც პოეტს ღრმად სწამდა ამ ქვეყნიური სიკეთე და ჰქონდა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება", მაგრამ გადის ხანი და ნაცვლად მგოსნის არსებას სული ბოროტი დაეუფლა „გონების და სიცოცხლის აღმაშფოთრად".

„ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილ კაცობას?
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას!
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი".

ასეთი გულის წყრომით მიმართავს მას მგოსანი, რომელიც კენესის:

„რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო,
ჰკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი".

ამავე მოტივზეა უმთავრესად აგებული ცნობილი ლექსი „მერანი". გარეშე პირობებით მოშხამული მგოსანი, რომელმაც მთელი თავისი საშინელებით განიცადა სულიერი ობლობის საშინელება („სული ობოლში") გიჟურად მინდობია ზღაპრულ მერანს.

„გაჰკვეთე ქარი, გააპქ წყალი, გადაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი".

შეჰღაღადებს მას „თავგანწირული მხედარი", რომელსაც თითქოს ერთიანად დაჰკარგვია ადამიანებისადმი რწმენა და „მხოლოდ ვარსკვლავთა თანამავალთა" ამცნობს გულის საიდუმლოებას. გამწარებული პოეტი არ ინაღვლებს, თუ არ დაიმარხება „წინაპართ საფლავებ შორის", თუ არ დაიტირებს სატრფო გულისა და მოაკლდება სწორთა და მეგობართა. ყოველსავე დაჰკარგავს მგოსანი, ყველაფერზე უარს იტყვის,—მას დამტირებელნიც აღმოუჩნდებიან:

„სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა, ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვიდა ნაცვლად მიეალალებენ სვავნი მყივარნი".

დიახ, მიზანტროპიით შეპყრობილი მგოსანი უტყვთა შორის იშოვის ჭირისუფალთ და ამიტომ, დეე, მოწყდეს სამშობლოსაც,—ოღონდ მერანი კი მიქროდეს, რათა

„კვნესა გულისა, ტრფობისა ნაშთი მიეცე ზღვის ღელვას
და შენს მშვენიერს აღტაცებულს გიჟურსა ლტოლვას",—

ამას ეტრფის პოეტი და ამიტომ სურს, რომ გასწიოს მერანმა და „შეუმოკლოს მოუთმენელსა სავალნი დღენი".

მაგრამ ამ სასოწარკვეთილების ჟამსაც ბარათაშვილი ისევ ღრმად მოაზროვნე პიროვნებაა და საშინელ კრიზისის დროსაც მის არსებაში მხსნელ ფეიერვერკად გაიელვებს უაღრესი ღირებულების სოციალური გრძნობა და ისიც მსწრაფლ ივიწყებს თავის „მე"-ს და როგორც „ფიქრნი მტკვრის პირად"-ში, აქაც საზოგადოებრივ თვალსაზრისზე დგება და იმედ მოცემული ამბობს:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება
და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება.
და ჩემს შემდგომად მომძესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს
და შეუპოერად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს“.

ბარათაშვილის აზრით, პიროვნების ხსნა ისევ საზოგადოებრიობაშია, ცალკე ინდივიდი მუდამ უნდა გრძნობდეს თავის თავს მთლიან კოლექტივის ნაწილად; მონაწილეობას უნდა იღებდე საერთო ბედნიერების შექმნაში; უნდა სწამდეს, რომ „ცუდად არ ჩაიელის“ მისი „განწირული სულისკვეთება“ და მის შემდეგ სხვათათვის იოლად საველელი გზა მაინც დარჩება თელილი.

ბარათაშვილის შემდეგ მალე ერთი საუკუნე გაივლის, დიდ მანძილზე დავშორდით ჩვენ მას, მაგრამ ჩვენი დიდებული მგოსნის ნააზრევი ისე ღრმაა, რომ დღესაც, სულ სხვა ეპოქაში და სხვა პირობებში, ყოველი ჩვენთაგანი ქედს მოიხრის მისი აზრების წინაშე. ჩვენი დროის ისტორიის ხელისუფალი და მომავალი ცხოვრების მედგრად გადამფურცლავი— მშრომელი მასა—ამავე კოლექტივისტურ თვალსაზრისზე დგას და პიროვნების ხსნას ისიც ბარათაშვილივით კოლექტივის სულსა და გულში ჩაქსოვაში ხედავს: მას სწამს პიროვნება და მისი ინტერესები, მაგრამ არც საზოგადოებას გაურბის იგი,—ქვეყნიერების გარდამქნელად სწორედ ეს ფაქტი მიაჩნია მას. პროლეტარიატის მსოფლმხედველობა ძირიანად უარყოფს ცალკე ინდივიდის ანარქისტულ გარეწრობას,—ობიექტიური პირობები ქმნიან ამგვარ მის შეგნებას,—და მის მისწრაფებას სოციალურ პირობებს უთანახმებს.

ბარათაშვილი, როგორც ამ თვალსაზრისზე მდგომი მგოსანი, პროლეტარული აზროვნების წინამორბედია, ამისი უარისყოფა არავის არ შეუძლია. მაგრამ მარტო ამით არ თავდება ამ დიდებული მგოსნის წინასწარმეტყველური განცდა და აზროვნება. ბარათაშვილი ამავე დროს თავგანწირული მებრძოლი და რევოლუციონერის სულით დაჯილდოებული შემოქმედია.

ბევრის აზრით ბარათაშვილი ამ ცხოვრებას უარყოფითად უყურებს, პესიმისტია და ფატალურად ემონება ადამიანის გარდუვალ ბედს, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების პირველ ხანიდან დასტრიალებს მას.

III

რას ნიშნავს სიტყვა პესიმისტი? ეს არის წუთისოფლის უარყოფითად შეფასება და, საერთოდ, მისი უარყოფა. აზრთა და გრძნობათა ასეთი განწყობილება ძველისძველია. ცნობილი სარწმუნოება—ბუდიზმი—მსოფლიოს პესიმისტურ გაგებაზეა დამყარებული. ახალი დროის მოაზროვნეებმა,—შოპენჰაუერმა და ჰარტმანმა დროის შესაფერი დასაბუთება მისცეს ასეთ შეხედულებას. ბუდას მოძღვრებით ადამიანის არსებობა ტანჯვაა, რისი მიზეზიც უაზრო და უმიზნო ნდომაა—აღუსებლობა; ამ ტანჯვისაგან ჯერ ბუდას ზნეობრივ დარიგებითა ასრულება გვიხსნის და მერე სრული გაქრობა. არსებითად ასეთნაირადვე აზროვნობენ ახალი დროის პესიმისტურად განწყობილი ფილოსოფოსებიც.

რა არის ამ მოძღვრებისა და ბარათაშვილს შორის საერთო?

ჩვენი მგოსანი რომ გარეშე ქვეყანას უარყოფითად ახასიათებს, ეს აზრი უდაოდ უნდა ჩაითვალოს. „ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს“, სწერს იგი თავის დას. ადამიანი გარეგნულად არის დიდებული და თვალის წარმტაცი, თორემ ზოგი უგულოა, ზოგიც განუსჯელი და გაუტანელი, ზოგიც ცბიერი და „წეთნი საშინელის საწამლავისა“. პოეტი ისეა ამ ცხოვრებაზე გულაყრილი, რომ ბუნების მეტს არავის არ ენდობა და არ ენათესავება. „მერანში“ მან უარყო ტოლ-ამხანაგი, ნათესავები და მშობლები, უარყო გულის სატრფოც კი და მათ ნაცვლად „სვეანი მყიეარნი“ გაიხადა ჭირისუფლად, ქარიშხალს დაუნათესავდა და „ვარსკვლავნი თანამავალნი“ იწამა. იგი გულამოსკვნილი დასტირის თავის სულიერ ობლობას და მხოლოდ მთაწმინდის ბუნებაში და მტკვრის დუდუნში ეძებს სევდიანი ფიქრთაგან გართობას.

ბუდასაეით ბარათაშვილიც იმ აზრის არის, რომ ადამიანის მუდმივი ბორგვა და მოუსვენრობა მისივე მისწრაფებიდან—აღუსებელ საწყაულიდან—გამომდინარეობს.

„მე შენსა მკვრეტელს მაეიწყდების საწუთროება,
გულისთქმა ჩემი შენს იქეთა ეძიებს სადგურს“-ო.

იმართავს პოეტი მთაწმიდის მაღლობიდან ზეცას.

„მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მომაკვდავნი განგებას ციისა“.

მგოსნის ნდომანი და ფიქრნი ზეცამდე „ვერ მიაღწევენ და ჰაერშივე განიბნეეიან“,

პირადივე უძლურების შეგნება უსაზღვრო სევდას იწვევს ბარათაშვილის არსებაში. ადამიანის მისწრაფებათა მიუღწეველობაეე ათქმეეინებს მას:

„მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს“-ო.

ადამიანის ამ ქვეყნიური ბედი მკაცრი და დაუნდობელია, ის მუდამ მრისხანებს და ავის მეტს არას უქადის ადამიანს; ყოველივე ამით მოშხამული მგოსანი მერანის ფრთებით სადღაც გადაკარგვასაც კი ლამობს, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ბარათაშვილი მაინც არ მიდის ბუდიზმის მაგვარ პირადი გაქრობის დასკვნამდე და სრულებით არ მიილტვის სიკვდილის წიაღში საუკუნო განსვენებისკენ. არა, ბარათაშვილი თავიდან ბოლომდე ცხოვრების უარყოფით მხარეებთან მებრძოლი მგოსანია და არსად მკაცრი ხვედრის წინაშე ქედს არ იხრის. მან იცის, რომ წუთი სოფელში ბევრი რამ არის ცუდი, მაგრამ სრულებითაც არ უდგება საკითხს მეტაფიზიკურად და ყველგან და ყოველ პირობებში ერთსა და იმასვე არ იმეორებს. ბარათაშვილმა მშვენიერად იცის ცხოვრების დიალექტიკა და იმ დროსაც კი, როდესაც მისს სულსა და გულს სევდით გაჟონავს მთაწმინდის სულის შემხუთავი დარდი, როდესაც გგონია, რომ სასოწარკვეთილი პოეტი უიმედო დაემხობა პირქვე, აი ამ დროსაც კი მას სწამს, რომ ამ საშინელ ცხოვრებას მიმზიდველი მომენტიც აქვს:

„მწუხრი გულისა—სევდა გულისა—ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება ღილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის გაანათებს“.

ეს დასკვნა სრულიად ეწინააღმდეგება პესიმისტურ მსოფლგაგებას, თუ მსოფლშეგრძნობას: წინა დებულება, მართალია, მსოფლიოს უარმყოფელია, მაგრამ დასკვნაში იგი ისევ არის მიღებული, თუნდაც ერთის, მაგრამ მაინც მიმზიდველის და დამხსნელის—დილამზიანი—მომენტისათვის.

ბარათაშვილის გული უკვე შეეთვისა ბედის ვარსკვლავის მოღრუბვლას, ,,შეეჩვია გული სევდათა კრთოლვას'', მაგრამ იგი სრულებითაც ხელს არ იღებს ბრძოლაზე:

,,ნუ გგონია ბედსა მით დამიმწარებ,
რომ უეცრად ბუქით ნისლს მოიფარებ'',

მიმართავს იგი ბედის ვარსკვლავს.

არის წამი, როდესაც პოეტი ,,ჰკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალია'', მაგრამ ბედის—ბოროტი სულის—მონად მაინც არ აცხადებს თავს, ,,განვედი ჩემგან'' და ისე დამტოვეო,—ეუბნება მას. მას სრულებით არ უნდა დასამარება და ასე მიმართავს ბედის ვარსკვლავს:

,,მოციმციმდი, მოდი. გამომიდარე,
შენგან ბნელი გული გამომიდარე,
კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,
ნაპერწკალი ეშხისა მომაყარე''.

ჩვენ ზევით განვიხილეთ ბარათაშვილის ორი შესანიშნავი ლექსი: ,,მერანი'' და „ფიქრნი მტკვრის პირას''. როგორც ვნახეთ, ორივე ეს ლექსი თავის დასკვნებში სრულებითაც არ არის პესიმისტური და პოეტი თავის წმინდა მოვალეობად სთვლის ამ ქვეყნიურ ცხოვრებასთან ბრძოლას მისდა გარდასაქმნელად.

,,მაგრამ, რადგან კაცნი გვქვიან, შვილი სოფლისა,
უნდა კიდეც მიედიოთ მას გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს;
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს,''.

ეს აზრი საკვლევით ეწინააღმდეგება პესიმიზმის ჩვეულებრივ გაგებას და სასტიკად ცდებიან ისინი, ვინც ბარათაშვილის მებრძოლ სულს უიმედობის ლეჩაქში ჰხვევენ,

,,ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება,
და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს...,

აშკარაა, რომ არც ეს აზრია ბუდიზმისებური დასკვნის მატარებელი და უკეთილშობილესის გრძნობით გაჟღენთილი სოციალურ ორგანიზმში გათქვეფას ამ ქვეყნიური ცხოვრების დედა აზრად აღიარებს.

ცხოვრების მკაცრი ანალიზი, მისი ავისა და კარგის გადმოშლა და ამ უკანასკნელისათვის თავგანწირული ბრძოლა,—აი რა ახასიათებს ბარათაშვილის შემოქმედებას. და სწორედ ამიტომ ვუწოდეთ ჩვენ მას რევოლუციონერი და

თანამედროვე პროლეტარულ იდეების წინამორბედი, რომლის მუდამ მაძიებელი. მთრთოლვარე და მებრძოლი სულის მიუღებლობა არც ერთ რევოლუციონერს არ შეუძლია. რევოლუციონერობა უპირველეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ჯერ აღნუსხავს ცხოვრების უარყოფით მხარეებს და მერმე თავგანწირულად იბრძვის მათ შესაცვლელად და გარდასაქმნელად.

ბარათაშვილიც ასეთი ტიპის მგოსანია.

ამას წინეთ ერთმა კალმოსანმა დასწერა: ბარათაშვილი კლასიური მწერალია, თავად-აზნაურულ დეკადანსს გამოხატავს და ამიტომ პროლეტარიატისთვის იგი მიუღებელიაო. ამაზე ხეპრული აზრი ჯერ არავის უთქვამს ამ დიდი მგოსნის შესახებ. ყოველი მწერალი, რასაკვირველია, რომ განსახღვრულ კონკრეტ პირობებში ჰქმნის თავის თხზულებებს, მაგრამ განა შეიძლება იმისი თქმა, რომ თვითეულ საზოგადოებრივ ჯგუფს მარტო თავისი პირადი ინტერესები აქვს, მისი მოქმედება მხოლოდ და მხოლოდ ეგოისტურია და საერთო საკაცობრიო მომენტს არ შეიცავსო? ყოველ კლასს თავის ნაგრძნობ-ნაazრევში, გარდა პირადად მისთვის სასარგებლო მომენტისა, ობიექტური და ყველასთვის საჭირო რაღაცაც აქვს. საკაცობრიო კულტურის სალაროში მასაც შეაქვს ყოველ ადამიანისთვის სასარგებლო რაღაც წვლილი, რომელიც მარტო მის საკუთრებას არ შეადგენს. ბარათაშვილის შემოქმედების ანალიზმა ჩვენ აშკარად დაგვარწმუნა ამაში. აქ მე უნდა შევნიშნო ისიც, რომ ბარათაშვილის დროს ჩვენი თავად-აზნაურობა სრულებით დეკადანსს არ განიცდიდა და დიდი უვიცობაც არის ამ მხრივ ბარათაშვილის მიდგომა.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბარათაშვილის მსოფლმხედველობაზე გავლენა ჰქონდა საერთოდ იმ უიმედო სულიერ განწყობილებას, რომელსაც „მსოფლიო გოდება“ ეწოდება და, რომელიც საფრანგეთის რევოლუციის დამარცხების ნიადაგზე წარმოიშვა ევროპაში. ამ რევოლუციისაგან მთელი ქვეყნიერების გარდაქმნას გამოელოდენ, მაგრამ რევოლუციამ ეს იმედი მაშინვე ვერ გაამართლა, ქვეყნიერების განახლების საქმე არც ისე იოლი შეიქნა, როგორც გულუბრყვილოდ განწყობილთ ეგონათ და ამ ნიადაგზე დროებით ერთგვარი უიმედობაც კი გამეფდა მთელ ევროპაში. ამ ნიადაგზე აღმოცენებულ უიმედობის ლეჩაქში გახვეულ ლიტერატურას „მსოფლიო გოდების“ გამომხატველს უწოდებენ. მსოფლიო გოდებას ევროპაში გამოსთქვამდენ შატობრიანი, ბაირონი, გიოტე, ნოვალისი, ლეოპარდი და სხვ. რუსეთში უმთავრესად ლერმონტოვი, ჩვენში კი ბარათაშვილი.

ამ ლიტერატურული მიმართულების თვისება იყო ადამიანის უძლურებისა და არარაობის გამო წუხილი და გოდება, ამ ქვეყნიური ცხოვრების წარმავლობა და უაზრობა, უკეთეს მერმისისაკენ სასოწარკვეთით ლტოლვა და სხვ.

ამ მიმართულებას გამოხატავდენ ისეთი გენიალური ნიჭის პატრონი მგოსნები, როგორიც იყვნენ ბაირონი და გიოტე. მათ მხარს უმშვენებდა დიდი ნიჭის მქონე მგოსანთა მთელი რიგი. ამ მიმართულებამ მოიარა მთელი ევროპა და ყველა ერის გულში ჰპოვა გამოძახილი. მაშინდელი სოციალური პირობები ისეთი იყო, რომ მთელი მსოფლიო ახალი ეპოქის მიჯნაზე იდგა: ფეოდალურ ევ-

რიპას ადგილი უნდა დაეთმო ბურჟუაზიისათვის. არ შეიძლებოდა, რომ ამ უდიდეს პროცესს უმტკივნეულოდ ჩაეცლო და მთელი მაშინდელი კაცობრიობა არ აეფორიაქებია, როგორც ეკონომიურად, ისე ფსიქოლოგიურად.

ამ მოძრაობას, როგორც ესთქვით გავლენა ჰქონდა ბარათაშვილის შემოქმედებაზედაც.

ილია ჭავჭავაძე

ილია მრავალმხრივი ნიჭის პატრონი მწერალი იყო. მის კალამს ერთნაირად ემორჩილებოდა, როგორც მხატვრული სურათების შექმნა, ისე პუბლიცისტური წერილების წერა. არ ყოფილა ჩვენი ერის ცხოვრებაში ისეთი საკითხი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე არ შეხებოდა. მის დროს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, ლიტერატურა და, საზოგადოდ, კულტურული ასპარეზი ხელუხლებელ ნიადაგს წარმოადგენდა და ილიას, როგორც თავისი ქვეყნის ერთერთ უდიდეს გულშემატკივართაგანს, ღრმად მოაზროვნე და ნიჭიერ პიროვნებას, რასაკვირველია, არ შეეძლო, სადაც საჭიროდ დაინახავდა, არ გამოჩენილიყო და თავისი სიტყვა არ ეთქვა. ჩვენ აქ ვეხებით მას როგორც ხელოვანს და მისი მოღვაწეობის სხვა მხარეები ჩვენს წიგნში ვერ შევა.

ილ. ჭავჭავაძე განვიხილეთ ჩვენ, როგორც ა) ეროვნული გოდების მატარებელი მგოსანი, ბ) როგორც ბატონყმობის დამასურათხატებელი და გ) როგორც გლეხთა და ყოფილ ბატონების ურთიერთობის გამაშუქებელი ბატონყმობის შემდეგ.

სამივე ამ საკითხის გაშუქების დროს ილია იყო მხოლოდ და მხოლოდ ქართული ეროვნული მწერალი, რომლის შემოქმედებას წმინდა ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა და მხოლოდ ჩვენთვის, ქართველებისთვის, საპირბოროტო საკითხებს აშუქებდა.

მაგრამ ილიას აქვს ისეთი ხასიათის ნაწარმოებიც, რომელიც შეეხება არა მარტო ჩვენს ცხოვრებას, არამედ ხელს ჰხვევს სხვა ეროვნებათაც. ნიკ ბარათაშვილის მსგავსად იგი ეხება ისეთ საკითხს, რომელიც ყველა ერის შვილისათვის საინტერესოა და საარსებო საგანს შეადგენს. ამ საკითხის ასე თუ ისე გადაჭრა ყველა ადამიანს ერთნაირად ეხება, ვინაიდან იგი ადამიანის საერთო ბუნებიდან გამომდინარეობს.

ჩვენ სახეში გვაქვს ჭავჭავაძის ცნობილი პოემა „განდეგილი“ და მისი დედა აზრი. „განდეგილის“ შექმნამდე ილია ჭავჭავაძე მხოლოდ ქართველთათვის დასანახი მწერალი იყო, ხოლო ამ პოემით მისმა მხატვრულმა შემოქმედებამ და მოაზროვნე შუბლმა სხვა ერთა ყურადღებაც მიიპყრო, ილია უკვე აშორდა ნაციონალურ ნიადაგს და საქვეყნო პანთეონში მოიპოვა ბინა.

რას შეიცავს ამ პოემის დედა აზრი?

„განდეგილში“ დაპირისპირებულია ორი ერთმანეთის მოპირდაპირე ადამიანი—არც ერთი მათგანი ერთმანეთს არა ჰგავს—არც გარეგნულად, არც მსოფლშეგრძნობით და არც მსოფლმხედველობით.

პირველად თვალწინ დაგვიდგება განდეგილის ასეთი ხატება:

„სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი,
სიწმინდის მადლით დაშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა,
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
თითქო მათ შიგან ჩასახებულა
თვით სათნოება, კდემით მოსილი.
თითქო ნელისა სიხარულითა
სამოთხის ღია კარს შეჰხარიან
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან.
ლოცვით და მარხვით ხორც უძლურ-ქმნილი
ჰგავდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძლევით მოსილსა და განდიდებულს“.

პოეტის სიტყვით მწირი

„არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩნეოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა“.

ტანჯული და წამებული ხორცი, ცად მიპყრობილი თვალები, სასოებით გულხელდაკრეფილი წმინდანი,-აი, ვინ დგას ჩვენს წინაშე.

„განუდეევნია გულიდამ ყველა:
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და განბანილი.
დღე და ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცი სულისთვის უწამებია,
და თვით ჟურჟელი იგი წყმედილი
ცრემლით ურეცხავს, უსველებია.
განყენებულა წუთისოფლიდან,
აქ სული მისი აყვავებულა,
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა“,—

ასეთია განდეგილის წარსული და აწმყო, მისი წამებაც -ღმერთს შეუწირავს და

„სასწაული ნიშნად მადლისა
მღაღადებელზედ მოუვლენია:

სარკმლიდან შემოსული შუქი მწირის ლოცვანს „უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა“.

ამ სურათს აი რა ხატება დაუპირდაპირა პოეტმა:

„თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქ-ფენით,
გულმკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!..
დახე მის ტუჩთა! თითქო თვით ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.

. ხოლო ცეცხლა პირს
ქალს დაღალულსა მისძინებოდა,
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს
ვით სმყვარელსა ზედ დაჰხარობდა.
საოცარ იყო მიძინებული,
იგი სიტურფე, იგი შვენება!
თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება!
თითქო თვით მადლსა შვენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაბნეია
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის ღვაწვზე დაულეია!

ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშე სიცოცხლით მფეთქავი ხორციელებაა, ამ ქვეყნიური ცხოვრებით გალაღებული არსება, რომელიც პირგაცინებული წარუდგა ბერის წამებულ სხეულს, ჩამომხმარ სახეს და ცად მიმართულ მიბნედილ თვალებს. იბრძვის ორი დასაწყისი: ამ ქვეყნიური და ზეციური, ხორცი და სული, წარმართობა და ქრისტიანობა.

მშვენიერი ასული მსოფლიოსაც თავისებურად გრძნობს, მას ჰხიბლავს სილამაზე, მის ცქერით გატაცებული ცხვარსაც კი ჰლუპავს:

„ლამაზი იყო ამ დღის საღამო,
რა რიგ შვენოდა მზე დამავალი!
შეეხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,
გავშტერდი, ველარ მოვსხლიტე თვალი“.

ამ ქვეყნიურობის ემბლემას მიწიერ გრძნობებთან ერთად აზრიც მიწიერი აქვს. მასში ყოველმხრივად შეკუმშულა ეს ქვეყანა: ხორცით, გრძნობით და, ბოლოს, აზრით. როდესაც შენი სენაკი შორით დამინახავსო—ეუბნება ბერს,—მაშინ

„მომგონებია მამის ნათქვამი.
იქ, ყინულებში, კაცი ცხოვრობსო,
სულისთვის ხორცი გაუწირნია,
უწუთისოფლოდ მარტოკა ძლებსო.

გამკვირვებია მე ეს ამბავი...
მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყნას ღვთითვე დაბადებულსა?
ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთისოფელი?
განა მისთვის. რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?
ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,
ჩემს ტოლსა და სწორს, ლხინს და სიხარულს?
ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!
ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს".

ასე მსჯელობს მწყევსი ქალი, რომლის ყოველი სიტყვა მისი სხეულის ფეთქვაა. ამ ენით მისი წარმტაცი სხეული მეტყველებს. ის ერთიანად ბუნებრივი არსებაა, არაფერში თავისთავს ძალას არ ატანს, ამბობს იმას, რასაც გრძნობს, აზროვნობს ისე, როგორც ამას მისი სხეული უკარნახებს. რიი! უნდა დაუპირდეს ყოველივე ამას განდეგილი, რომელსაც საშინელი ბრძოლა გაუწევია თავისთავზე, უწამებია სხეული, უნებივრებია სული და ნებისყოფის მუხრუჭებით ებრძვის ბუნების საღ მოთხოვნილებებს?

განდეგილს ეგონა, რომ მან უკვე სამშვიდობოს გასცურა და თავისი თავი ერთიანად გარდაქმნა, „თავი ახლად იშვა" და რაღაც ახალი ტიპის ადამიანს წარმოადგენს, რომელიც ერთის „ბუნებისგან» შესდგება, — განსახიერებული სულია. მაგრამ სასტიკად მოტყუვდა იგი: სინამდვილის საწინააღმდეგო ტენდენციაზე აგებული მისი იდეალი პირველ განცდისთანავე დამარცხდა და უკიდურესობამდე მიყვანილმა აზრმა თავისივე თავი უარჰყო.

ბუნებრიობის უარისყოფა და ცხოვრებისგან განდგომა ადამიანს ჰლუპავს,— აი, ამ პოემის დედა-აზრი. ბუნებრიობაზე დაყრდნობა და მასთან შეთანხმებული იდეალები,—ამაშია პიროვნების არსებობის დანიშნულება.

მაშ უნდა ვიწამოთ ხორცის ნებივრობა და სულიერი ცხოვრების დახშვა! ამით ხომ პირდაპირ ცხოველად გადაქცევის ქადაგებამდე მივალთ! გვეტყვიან ჩვენ. ამ შენიშვნაში არის ერთგვარი სიმართლე.

საქმე ისა, რომ პრინციპიალურად ასკეტიზმის უარისყოფა შეუძლებელია, ყველაფერი დამოკიდებულია დროზე და პირობებზე, აბსოლუტური ქეშმარიტება ქვეყნად არ არსებობს.

პირად მოთხოვნილებათა შეზღუდვა, მოძმეთათვის ტანჯვაწვალება და თავგანწირვა, რითაც აგრე მდიდარია ყველა დროის რევოლუციონერთა ცხოვრება, განა იმავე ასკეტიზმის ნატეხი არ არის? რომელი დაუუდებული ბერის თვითწამება შეედრება საკაცობრიო იდეალებისთვის სიცოცხლეგაწირებულთა გმირობას? განა ჩვენი დროის ასკეტი არ არის ის ირლანდიელი, რომელმაც ვერ აიტანა ინგლისის მიერ თავისი სამშობლოს შეურაცხყოფა და პროტესტის ნიშნად შიმშილით თავი მოიკლა?!

მაშასადამე, არის შემთხვევა, როდესაც სხეულის ნებივრობის გამართლება

ყოვლად შეუძლებელია. თან ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ცხოერების მამოძრავებელი და გამამშვენიერებელი ყოველთვის თავგანწირული გმირობა ან სულიყოფილა და არა განცხრომით მცხოვრები სხეული.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი რამ: განდეგილის მისწრაფება სრულიად ეგოისტურია, მას სხვისთვის არაფერი არ უნდა, სხეულს იმიტომ სტანჯავს, რომ იქ საკუთარი სული იცხონოს. სულ სხვაა რევოლუციონერების ასკეტიზმი, რომელიც მოკლებულია ეგოიზმს და ალტრუიზმით გაჟღენთილი სხვათა გასაბედნიერებლად არის მიმართული. პირველი სახის ასკეტიზმი, რასაკვირველია, უარსაყოფია, როგორც ანტისაზოგადოებრივი, მეორე კი მისაღები, როგორც უაღრესად სოციალური.

ილიას „განდეგილი"-ს დედა აზრის გაგების დროს ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჩვენმა დიდმა მწერალმა თავის პოემაში სასტიკად დაგმო ეგოისტური ასკეტიზმი. ამ ქვეყნიური ცხოვრების მიღება და მის გასაუმჯობესებლად ბრძოლა ალტრუისტულის—თუ გნებავთ, სოციალურის—გრძნობებით,—აი, რა სთქვა ილია ჭავჭავაძემ თავის „განდეგილში".

ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა

(1861 — 1915)

I

ვაჟა-ფშაველა დიდი მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. ამ მწერლის შემოქმედება შესანიშნავია, როგორც თავისი ორიგინალობით, ისე სიღრმით და თემათა სირთულით.

ვაჟა-ფშაველას მუზა განსაკუთრებული იერით დგას ქართული ხელოვნების პანთეონში. აქვე არის ილიას შუბლშეკმუხვნილი „პოეტი", მეწამულის ზღვის გასაპობად რო კვერთხი აღუმართავს. „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის", ღაღადებენ მისი მოკვეთილი ბაგენი. მის გვერდით აკაკის მუზა კისკასობს: გაღიმულ ტუჩებში, მოელვარე თვალებში, ცისფერ ლეჩაქში შეფუთვნილი შიშველი სხეული, ფუნთუშა მარმარილო, მფეთქავი ნაკვეთები და... ფრენას ყვავილიდან ყვავილზე, ნექტარის წუწვნა, „არ მომკვდარა"-ს ჰანგებით...მათიაც აქ არის, ყაზბეგის ემბლემა: ხელში კომბალი, ცხერის ჯოგი, წყაროთა ჩქერი, ხევხუვებში ჩახუვლება და სიყვარულით გარინდება. გრძნობათა თქეშის მოვარდნის მომენტი... რაფიელ ერისთავის ბერუებიც და სესიებიც აქ დგანან ჩაფიქრებულნი და გოდებით მოცულნი.

არც ერთ ამ მწერალთაგანს არა ჰგავს ვაჟა. ამ ბუმბერაზთა შორის დავაკაცდა მისი მუზა, ამ შემოქმედების გვერდით გაიფურჩქნა იგი, ამათი სისხლი სცემდა მის სხეულში, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არ დაემსგავსა. „თქვენი მიწოვავ მე ძუძუ, მადლიან ბარაქიანი"-ო,—ეუბნება ვაჟა სამშობლოს მთებს. ამავე ძუძუებს სწოვდენ ეს მწერლებიც, მაგრამ ვაჟას მუზა სულ სხვა სახის შეიქნა, სხვა ელფერს ატარებს.

ჩვენ წინ დგას იმედი საზიკაული, ვაჟას ორეული, რომელიც

„შაიბურება ნაღვლითა,
როგორც მყინვარი ნისლითა“,

მას სტანჯავს სამშობლო ქვეყნის უბედურება:

„სოფლისა, თემის ავკარგი
კვლავ უტარებავ კისრითა“,

იგი შეუდრკელად დგას და მოელის რაღაცას, როგორც „მთანი მაღალნი“ და თანაც ვაჟასთან ერთად მეუფეს ევედრება:

„გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრკელადა,
ვფიქრობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა.
გულს დარდი გამიდიადე
ამ სანეტარო საგანზე;
დაწერე ფიქრი ღრმა, მწვავე
ჩემი გონების საბანზე.
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი.
ნუ დამასვენებ ნურას დროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული.
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა... და სხვა.

ეს ის ცეცხლია, რომელიც სწვავდა ილიას, აკაკის და ყაზბეგს. პირველი წვა იმავე ცეცხლში იგემა ვაჟა-ფშაველამ, აქ შეიტრუსა დაბადებისთანავე მისი მუზა. მას აჩრდილივით დასდევდენ ლელა, ლუხუმი, კვირია და გულს უშხამავს სანათას გლოვა:

„სანათაი ვარ მე, შვილო,
აფროშაურის ქალია.
აქა ვარ გამოთხოვილი,
ბერიძე მყავდა ქმარია.
შვიდი დავკარგე ვაჟკაცი
თითო ლომისა დარია,
შვიდნივ გამიწყდა ერთ დღესა,
მამაც იმათთან მკვდარია“.

დიახ, ვაჟაც სამშობლო ქვეყნის უბედურებით არის გულგანგმირული, მაგრამ მისი დიდი ნიჭი ვერ ეტევა ამ შედარებით ვიწრო ფარგალში და მშობ-

ლიური ქვეყნის უბედობის ნიადაგზე მსოფლიო მნიშვნელობის საკითხებს მიწვდა.

მისი პოემები: „ალუდა ქეთელაური", „გოგოთურ და აფშინა", „სტუმარ მასპინძელი", და „გველის მჭამელი" სრულიად განსაკუთრებულ და შესანიშნავ მოვლენას შეადგენენ ქართულ ლიტერატურაში.

უფრო მეტად ჩვენ აქ ამ ქმნილებებს შევეხებით.

ყოველი მოვლენა მაშინ არის გასაგები, როდესაც მისი წარმომშობი პირობები ვიცით. ჩვენ ყველგან ამ მეთოდით ვხელმძღვანელობთ. გარეშე ამ გზისა ლიტერატურული მოვლენის ახსნა მხოლოდ სიტყვების თამაშია და აღეირაწყვეტილი სუბიექტივიზმის ჯირითი.

ვაჟა სალიტერატურო ასპარეზზე 1880 წელს გამოვიდა. პირველ წლებში იგი უბრალო თარგმნას ეწეოდა, 1884 წელს კი დაიბეჭდა მისი მომხიბლავი მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი"; 1886—1887 წ.წ. გამოქვეყნდა „ალუდა ქეთელაური", „გოგოთურ და აფშინა" და „მოხუცის ნათქვამი"; 1893 წელში დაიბეჭდა „სტუმარ მასპინძელი" და 1901 წ. „გველის მჭამელი". გარდა ამისა სიკვდილის დღემდე განუწყვეტლივ იბეჭდებოდა ბუნების სუნთქვით გაჟღენთილი და წრფელის ლირიზმით აღსავსე მისი წვრილი ლექსები.

ჩვენ ვხედავთ, რომ დიდი მგოსნის ქნარის ჟღერა ,ისეთ საზოგადოებრივ ატმოსფერაში გაიფურჩქნა, როდესაც ჩვენი სამშობლო გარეგნულად სრულიად მშვიდ და უშფოთველ ცხოვრებას განიცდიდა. ოთხმოციანი წლების რეაქციის შავი ფრთები მეოცე საუკუნის დასაწყისამდე გვეფარა თავზე; რეაქცია არ ყოფილა მარტო პოლიტიკური, იგი საზოგადოებრივიც იყო და ამნაირად მთავრობა და საზოგადოების ზედა ფენები ერთი გზით მიდიოდენ.

როგორც უკვე ვნახეთ, ჩვენი ერის აზროვნებაც „მესამე დასელების" გამოსვლამდე საშინლად მოდუნებული და კონსერვატიული იყო. ჭავჭავაძის კონსერვატიული „ივერია" პოლიტიკური და საზოგადოებრივი სიბრძნის სახარებად იყო მიჩნეული.

ქართული ნაციონალიზმიც ამ ხანებში დიდ კრიზისს განიცდიდა, აწმყოში ის დიდ სანუგეშოს ვერ ხედავდა და მომავალიც ბუნდოვანად ესახებოდა.

ყოველი იდეა მაშინ ცხოველმყოფლობს და შლის ფრთას, როდესაც მას გამტარებლად ჰყავს ერის რომელიმე ნაწილი. ეროვნული იდეის მატარებლად ჩვენში თავიდანვე აღიარებული იყო ისევ ის წოდება, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მეთაურობდა ჩვენს ცხოვრებას, ე. ი. თავად-აზნაურობა. ეს რწმენა ძვალსა და რბილში ჰქონდათ გამჯდარი სამოციანი წლების მესვეურებს. მაგრამ როდესაც გამოირკვა, რომ ეს წოდება ეკონომიურად და პოლიტიკურად თანდათან პირქვე დაექანა, აშკარა შეიქნა, რომ ერის მეთაურობას იგი ვერ გასწევდა. საჭირო იყო ახალი ეროვნული ძალის ძებნა, მაგრამ ეს გზა არც ისე იოლი შეიქნა: თავად-აზნაურული წრეებიდან გამოსული ჩვენი ინტელიგენცია სრულიად ბუნებრივი მიზეზების გამო ვერას გზით ვერ გაშორდა მამაპაპურ ხოდაბუნებს და თათქარიძეების კარ-მიდამოს. ერის დაბალი ფენების სულისკვეთება და მისწრაფება ზათთვის არც ისე გასაგები და სასიყვარულო იყო. ამ ფენებს ისინი ღებულობდენ იმდენად, რამდენადაც მათი ძალ-ღონის გამოყენება მოსახერხებელი და შე-

საძლებელი იქნებოდა მათი, ინტელიგენციის, იდეალებისთვის. აშკარა იყო, რომ ძველი თაობა მიდიოდა თავისი მისიის შესრულების შემდეგ, ახალ თაობას კი ჯერ კიდევ ვერ ეთქვა საკმაოდ გაბედული და ახალი სიტყვა.

ამ სიტყვის თქმა განიზრახა იმ ჯგუფმა, რომელსაც „ტეტიათა მოტრფიალეებს“ ეუწოდებთ და, რომელიც პირველად ერთიანად გაემიჯნა ქაქუაძეების კონსერვატიზმს, უკუაგდო თავად-აზნაურობაზე ფიქრი და თავისი შემოქმედების საგნად მშრომელი გლეხობა და მისი ინტერესები აღიარა. ეს კი იმის მომასწავებელი იყო, რომ ეროვნული ცხოვრების ახალი მეთაური უკვე ნახული იყო. „ტეტიათა მოტრფიალეთა“ გეზის შეცვლაზე უკვე ვილაპარაკეთ; გადის დრო და შათ მაგიერ მოღვაწეობას იწყებს „მესამე დასი“, რომელმაც ნამდვილი რეოლუციონური სიტყვა სთქვა.

ამ ხანაში გამოსულ მწერალთა მთელ რიგს ემჩნევა ორი თვისება: ნაციონალიზმი და ხალხოსნური მიდრეკილება, „ტეტიათა მოტრფიალეების“ გავლენა. ვაჟას შემოქმედება ამ ორ პოლუს შუაა მომწყვდეული. მას გულს უკლავს მშობელი ერის უბედურება, თანაც ერის დამხსნელად მშრომელი წოდება—გლეხობა—მიაჩნია. ის ნაციონალისტიც არის და დემოკრატიც, მას მთელი თავის პოეტური ცეცხლით უყვარს მშრომელი გლეხობა.

„გმირებს უყვირის, დაეძებს
ჩემი დაფი და ნაღარაო„,—

ბალობდა მე-19 საუკუნის საქართველოს ჰომიროსი.

„გმირთა სამარეს, როგორც ხატს,
სამთხვევად დაეღირებიო“—

ბანს აძლევს ვაჟაც და ისიც აკაკისავით გმირებს დაეძებს.

თანამედროვეთა გასამხნევებლად და „ხმალზე მისაწვდომად“ გრ. ორბელიანიდან მოყოლებული ჩვენი ეროვნული გოდების ქურუმები მეფეებისა და დიდებულების იდეალურ სურათებს ქმნიდენ. მართალია, ვაჟა-ფშაველა ძალიან ენათესაეებოდა მწერალთა ამ წრეს შემოქმედების ერთ წერტილში, მაგრამ წარსულიდან გმირებს იგი უბრალო ხალხში ეძებდა და არა ერის ზედა ფენებში. ხალხოსნური ატმოსფერის გავლენა აქ უდაოა და აშკარა. იმედი საზიკაული, გოგოთური, ალუდა; ქვირია, სათანა, ლელა, ლუხუმი, ჯოყოლა, ზვიადაური, მინდია,—აი ეს სახეები, რომელნიც მთიულეთის სიპებიდან გამოქანდაკებულან და ქვის გულით აღჭურვილნი, უკედავების ემბლემებად შემოგვცქერიან. მუზარადი, ჩაჩქანი, ფარი და შუბი,—აი მათი აუცილებელი სამკაული. ესენი არიან ჩვენი ერის ჯავარი და ზნეობრივი ძალის ყავარჯენნი, მათზეა დაყრდნობილი ვაჟას აზრიც და აქედან ამაღლებით ცდილობს იგი გადახედოს მთელ მსოფლიოს.

ვაჟა რომ ამ ფარგლებში დარჩენილიყო, ის უსათუოდ ბევრს წააგებდა და მას ექნებოდა მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა.

მისი პოემები საკაკობრიო თემებს გვიშლიან ადგილობრივ ისტორიულ ფონზე.

II

გავსინჯოთ „ალუდა ქეთელაური“, იგი ხევსურთა საყვარელი გმირია.

„ალუდა ქეთელაური
კაცია დოვლათიანი,
საფიხვნოს თავში დაჯდების,
სიტყვა მოუდის მზიანი“.

ქისტებმა გაძარცვეს ხევსურთა სოფელი,—წაასხეს საქონელი. ალუდა დაედევნება მათ გმირს—მუცალს და სძლევს მას. თემის ჩვეულება იყო დამარცხებულისთვის მკლავი უნდა აეჭრათ და ხალხისთვის ეჩვენებინათ. ალუდამ არ შეურაცხყო ვაჟკაცი მუცალი, არ დაასახიჩრა იგი და ამნაირად თემის ჩვეულება არ შეასრულა. თემიც განურისხდება მას. მაგრამ ალუდა სრულებითაც არ იხრის ქედს და კიდევ გადადგამს თემის საწინააღმდეგო ნაბიჯს: მსხვერპლს სწირავს მუცალის სულის გამოსახსნელად; ხევის ბერი უარს ეუბნება „სამხეწროს“ მიღებაზე, მაშინ ალუდა მესამედ სცოდავს თემს;

გაჯავრდა ქეთელაური,
ფერი დაიდვა მგლისაო;
ხელი გაიკრა ფრანგულსა,
შუქი ამოხდა მზისაო.
უქნივა მოზვერს ქედზედა,
თავი მოგორავს ძირსაო“.

ამით ალუდას ბედი გადაწყდა, მან გარეშე ქვეყნის შვილი შეიბრალა და თავისიანების ადათ-ჩვეულებას წიხლი ჰკრა, მაშ

„მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცა ღრუბლის შენამზირები“.

ალუდა თემის მოღალატეა, ამიტომ

„სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირენი;
ნუ დაინანებთ, ექმნენით
ცოლ-შვილის ამამტირენი!
წადით, უმტვრიეთ შავ ბნელსა
სახლისა, ციხის კარები,
ცეცხლი მიეცით საძოვარს,
ცასა წვდებოდეს ალები“.

ალუდა ძლიერი პიროვნებაა, მას სწამს თავისი სიმართლე და თუმცა ამბობს, რომ

„თვისი მიწა-წყლის გაწირვა
ძნელი ყოფილა მეტადა,
მუხლში არ მომდევს, გულშია
ბნელი ჩამიდგა სვეტადა“-ო,

მაგრამ მაინც ვაკაცურად სტოვებს მშობლიურ კარმიდამოს და ცოლშვილიანად გადაიხვეწება.

როგორც ვხედავთ, აქ სრულიად კონკრეტ და საყოფაცხოვრებო მოვლენაში ჩაქსოვილია დიდი და გადაუჭრელი პრობლემა პიროვნებისა საზოგადოების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. ალუდას პიროვნება თავისიანებთან შედარებით განვითარებულია, ის გამოჭყოფია ჯოგურ მდგომარეობას და მტკიცედ ადგას საკუთარ აზრს, ის „კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებაა“ და თავისი ინტერესები აქვს. მეორე მხრივ—თემსაც თავისი ინტერესები ამოძრავებს და ამნაირად დაეჯახა ორი სხვადასხვა თვალსაზრისი. ვინ უნდა დასთმოს?

თემმა ალუდა განდევნა, მაგრამ ამით საკითხი არ გადაჭრილა, ალუდა თავის გზას განაგრძობს და, სადაც დაბინავდება, იქაც იმავე ძლიერ პიროვნებად დარჩება.

მეორე პოემაში—„სტუმარ მასპინძელი“,—რომელიც იმავე თემაზეა დაწერილი, ეს საკითხი პიროვნების ფიზიკურად მოსპობით იჭრება. მაგრამ, როგორც ქვეეით ენახავთ, ზნეობრივი გამარჯვება მაინც პიროვნებას რჩება.

ჯოყოლამ შეცდომით სტუმრად თავისი თემის მტერი—ზვიადური—მიიღო. თემი გაბრაზდება და ზვიადაურს მოკვლას უპირებს. ჯოყოლა ეყრდნობა თემის ადათს—სტუმართ-მოყვარეობას და მოითხოვს, რომ ზვიადაურს მის ოჯახში ხელი არ ახლონ. მაგრამ, არაფერი გაუდის: თვითნება თემი ფეხქვეშ სთელავს თავისსავე წესს და ზვიადურს თავიანთ სასაფლაოზე აწამებენ, ჯოყოლას კი ბოიკოტს უცხადებენ. როცა თემს გასაჭირის დღე დაუდგა, ჯოყოლა, რაკი მებრძოლებში არ გაირიეს, ცალკე იბრძვის და გმირულადაც კვდება, მაგრამ თვითნება თემი მას ნაკურთხ მიწაშიც კი არ მარხავს: ჩვენ რო შერცხვენილი უკან გამოერბოდით, მან მარტო რად გამოიჩინა გმირობაო.

„ეხლაც მასხარად აგვიგდო,
წინად ხომ ბევრჯელ აგვრია,
სოფლისა გადრა ინდომა
ჩვენ კი ტალახში გაგვრიაო“, ამბობს თემი.

თავი მოიკლა ჯაყოლას ცოლმა აღაზამაც, რომელმაც მტრის—ზვიადუარის—შეყვარებით ფარულად თემს შესცოდა. ამნაირად თემმა ორი ადამიანი იმსხვერპლა და გამარჯვებაც თითქმის მას დარჩა, მაგრამ ზნეობრივი უპირატესობა მაინც დაღუპულებისაკენაა:

ხალხში ლეგენდა შეიქმნა:

„სასაფლაოდან წამოვა
აჩრდილი ფარხრმალიანი,
გულზე უწყვია დაკრეფით
მკლავები სამკლავიანი,
მივა და მიესალმება
თავის ძმობილსა მდუმარედ.
იქვე აღაზაც ამოდის
სახე მოწყენით, მწუხარედ“.

მთელი თემი ქედს იხრის ამ სურათის წინაშე და ამნაირად თვითონვე გრძნობს თავის საქციელის უგუნურებას და მის მიერ დაღუპულ პიროვნებათა უპირატესობას.

ამ პოემაშიც მთიულეთის ყოფაცხოვრების საშუალებით დასმულია მსოფლიო მნიშვნელობის საკითხი—პიროვნებისა და კოლექტივის ურთიერთობის შესახებ და, როგორც ვხედავთ, პოეტი უპირატესობას პიროვნებას აძლევს, თუმცა თემი და მისი ინტერესები ვაჟა ფშაველასთვის წმინდათა-წმინდას შეადგენს. ამ საკითხს ქვეითაც შევეხებით, აქ კი ვიტყვით, რომ ვაჟას პოემების იდეები ევროპის ლიტერატურისათვისაც თავსამტვრევ საკითხებს შეადგენს. ეს საკითხი ქართულ ლიტერატურაშიც ყოფილა დასმული, ნიკოლ. ბარათაშვილის პოეზია არსებითად საზოგადოების და პიროვნების გარშემო ტრიალებს; როგორც ვიცით, ბარათაშვილი სინთეზის გზას ადგია: პიროვნება უნდა შეუთანხმდეს საზოგადოებას—„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს," გვეუბნება მგოსანი. ვაჟა-ფშაველა კი შეთანხმებაზე კრინტსაც არ სძრავს და ერთიანად პიროვნების მხარეზეა.

ბარათაშვილიცა და ვაჟაც ერთნაირი უდროობის ხანაში ცხოვრობდენ, ფართო საზოგადოებრივი ძალები ორივეს დროს შებოჭილი იყო და ყოველგვარი სკეპტიციზმის, თვით კრიტიკისა და ადამიანის პირად ძალთა გადაფასებისთვის ფართო ასპარეზი იშლებოდა. მართალია, საზოგადოებრივი უსამართლობისათვის არც ერთს ქედი არ მოუხრია, პირიქით, სასტიკად იბრძოდა ორივე, მაგრამ თვითეულმა მათგანმა მაინც თავისებური გადაწყვეტა მისცა თავსატეხ საკითხებს. ბარათაშვილი დიდი ტანჯვისა და განცდების შემდეგ ისევ საზოგადოების წევრობას არჩევს. მართალია, ბაირონის ჩაილ-ჰაროლდივით ისიც გარბის თავისი მერანის საშუალებით, მაგრამ ქვეყნიერების წყევლა მაინც არ ისმის მის შემოქმედებაში. კოლექტივის უარის ყოფა და პიროვნების განდიდება ბარათაშვილის აზროვნებას არ ეგუება.

ვაჟა-ფშაველა კი ერთიანად პიროვნების მხარეზეა, თუმცა იმავე დროს კოლექტივი და მისი სამსახურიც მისთვის წმიდათა-წმიდას შეადგენს. ბარათაშვილისებურ სინტეზს პიროვნებისა და საზოგადოების შორის ისიც აღიარებს. ამას ქვევით ვნახავთ, მაგრამ იგი ძლიერი და საკუთარი მოაზროვნე პიროვნების თაყვანის მცემელიც არის. რად ეტრფის იგი ძლიერ ადამიანს? იმიტომ რომ იგი მოსე წინასწარმეტყველივით წაუძღვეს ერს დასახსნელად.

ქვეყნის სიყვარული და სამსახური მთავარი სასიცოცხლო ინსტიქტია ვაჟასათვის:

„გულს ნუ გამიტეხ, ტანჯვაში
მამყოფე შეუდრკელადა,
ეფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა.
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,
შვილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი საყოფი".

გალობს იგი.

მგოსანი არა თუ გაურბის საზოგადოებას და ბუნებას, არამედ თავის თავს მთელი ბუნების ნაწილად სთვლის და ერთიანად ცხოვრობს ამ ქვეყნიერების ინტერესით. ყველაფრის გალმერთების და სიყვარულის გრძნობა—პანთეიზმი—ვაჟაფშაველასთვის პირდაპირ მთელი არსებობის საკითხია.

„საგმობიც ვიყო, ქედს არ ვხრი,
თავი მდიდარი მგონია,
ისეთი, თქვენმა ძმობამა,
ჯერ არვის გაუგონია.
მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა:
მთაში—მთა, ბარად ბარია,
ცა-ვარსკვლავების ჯარია.
დილით მზე მანათობელი,
ღამის გუშაგი მთვარეა.
მდიდართ სიმდიდრის ღილინი,
ბეჩავთ ქვითინი მწარია;
ავდარი, ჟინჟღლი, ცის ქცევა,
ცა მოწმენდილი, დარია;
დილით გაფურჩქნა ვარდისა,
მთელი იმისი გვარია;
ია ულრანს ტყეს მოსული,
თალხ—კაბა, ენა მტკბარია;
კლდის თავს გაშლილი პირი-მზე,
მთის სასახელო ქალია;
მარგალიტივით მდელოზე
ბრჭყვიალა დადის ცვარია...
ზამთრის ზვავების ქუხილი,
ზაფხულის წვიმის ღვარია,
იქ ჯოჯოხეთი, სამოთხის
თუ დამიკეტეს კარია;
ხარს ვგეავარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ“.

ასე მომხიბლავად გამოსთქვამს ვაჟა თავის უდიადეს განცდას. ის კურთხევას უძღვნის ყოველივე ამ ქვეყნიურ სიკეთეს და პირადი გაქრობის ჟამიც კი უაღრეს კანონიერ და ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია:

„მფარავდეს შენი მარჯვენა,
კალთა სამოსლის შენისა,
სანამ არ მოვა დრო-ჟამი
სულ ბედის ამოქშენისა.

სული შენ, ლეში—მიწასა,
აღარა ვგლოვობ ამასა:
თევზი—წყალს, ცასა—ვარსკვლავი,
შვილი—დედას და მამასა".

დიახ, ასე უყურებს ვაჟა ფშაველა ამ ქვეყნიურ ცხოვრებას და მასში მის მონაწილეობას. ის ნამდვილი მინდიაა—„გველის მჭამელი",—საზოგადოებრივი ვრძნობებით, მთელი არსებით გაჟღენთილი და დაავადებული,—მაგრამ, როგორც ენახეთ, ჩვენი პოეტი პიროვნების განდგომასაც აღიარებს. არის მომენტი, როდესაც თემი და საზოგადო კოლექტივი ვაჟას უგუნურად და თვითნებად მიაჩნია: იგი სპობს ძლიერ პიროვნებას და თავისივე თავის დასაყრდნობს, როცა უნდა, თავის წესს დაიცავს, როცა უნდა დაარღვევს, პიროვნების მოსაზრება და ინტერესი მისთვის არაფერს წარმოადგენს და თავისი თავი უდიდეს კერპად მიაჩნია, რომელსაც ყველაფერი უნდა ეწირებოდეს.

III

როგორი უნდა იყოს ვაჟას აზრით პიროვნება?

ძლიერი, შეუდრეკელი და თავის თავთან, თავის შინაგან „მე"-სთან ზნეობრივად შეთანხმებული. მეორე მხრივ—გარემოსთანაც შეწყობილი. ამ აზრზეც აგებული მისი „გოგოთურ და აფშინა" და „გველის მჭამელი".

აფშინა განთქმული ყაჩაღი იყო მთიულეთში და სხვისი ძარცვით ირჩენდა თავს, ის საკუთარი ინტერესებით მცხოვრები პიროვნებაა და არავის არ დაინდობს. მას პოეტი უპირდაპირებს საქვეყნო საქმისთვის თავდადებულ გოგოთურს, რომელმაც აფშინა დაამარცხა და აიძულა ხელი აეღო ყაჩაღობაზე. აფშინამ, მართლაც უარჰყო ძველი გზა და თემის სამსახურში ისე შორს წავიდა, რომ ხევის ბერადაც კი აირჩიეს.

მაგრამ თავისი რწმენით ის ისევ ყაჩაღია და შესტირის იმ დროს, როცა იგი თავის ნებაზე ცხოვრობდა და არავის ანგარიშს არ უწევდა:

„ამბობენ: ქვითინი მოდის
ღამ-ღამ ბლოს თავით ქაცისა:
„ვაჰ, მკედარო ვაჟკაცობაო,
ცოცხლად დამარხავ თავისა!"

გარეგნულად გამოცელილ აფშინას თავი ცოცხლად დამარხულად მიაჩნია და ამნაირად იგი უბედური არსებაა. მან უღალატა თავის თავს, თავის ბუნებას, ვერ შესძლო სიკვდილი თავის სანუკვარ რწმენისათვის და სამუდამოდაც გაუბედურდა.

ასეთია ვაჟა-ფშაველას აზრი პიროვნების შესახებ. ინდივიდს უნდა შეეძლოს თავისი რწმენისა და ხასიათის დაცვა, არ უნდა გატყდეს, თუნდაც მას ჩვენი ბრანდის, ალუდა ქეთელაურის, ბედი მოელოდეს.

ამავე იდეაზეა აგებული „გველის მჭამელიც"; აქაც პიროვნებამ, მინდიამ, უღალატა თავის თავს, ცოლის დაკინებით დაარღვია ბუნებასთან კავშირი და ისიც გაუბედურდა. დაირღვა მისი სულის შინაგანი მთლიანობა, დაირღვა გარე-

შეებთან კავშირი და მინდიას დაღუპვაც აუცილებელი შეიქნა. ის ვერ იცავს ძველებურად სამშობლოს და თავს იკლავს. ამნაირად თავისი ბუნების მოლალატე პიროვნებისათვის, ვაჟას აზრით, აუცილებელია დაღუპვა: ან ზნეობრივი—აფშინა, ან და ფიზიკური—მინდია.

ვაჟას არსებაში ორი დასაწყისი იბრძვის: ძლიერი და მოწამებრიობამდე მიღწეული საზოგადოებრივი გრძნობა და თანაც საკმაოდ ძლიერი ინდივიდუალიზმი. ის არ არის ანტისაზოგადოებრივ გრძნობით გაჟღენთილი არსება, რომელიც თანამედროვე ევროპის ნერვიულმა ქალაქმა წარმოშვა, არა, ვაჟა უძრავი სალი კლდეების შვილია და მისი ნერვებიც რკინისებურია, მერყეობა მან არ იცის; ამავე დროს მისი აზრი მარტო მთიულეთზე არ არის მიჯაჭვული, ის სხვა ერების ცხოვრებასაც უკვირდება, თავის ეპოქის იდეებსაც იცნობს და თავისი სამშობლოს პრიმიტიული ცხოვრების პირობებში საქვეყნო იდეებს გეიშლის თვალწინ.

ვაჟას პოემები უდიდეს მხატვრულ ემოციებს იწვევენ და აზროვნებასაც უაღრესი ინტენსიობით ამუშავებენ. მომჯადოებელი უბრალოება, კლასიკური სურათიანობა, ადგილობრივობის სურნელება და ყოველივე ამაში ოსტატურად ჩაქსოვილი დამფიქრებელი და აზროვნების გამაალმასებელი დედა აზრი,—აი რა ახასიათებს ვაჟას პოემებს.

საერთოდ კი ვაჟას პოეზია და მის მიერ შექმნილი ქვეყანა რაღაც მომჯადოებელი სანახაობაა, რომლისათვის გული ვერ მოგიწყვეტია. თქვენს წინ დგას მთაში ამოკვერილი საქართველო თავისი ბუნებრიობით, ყოფაცხოვრებით, წყაროთა შხუილით, ნისლით მობურვილი; ვაჟაც არის უკმეხი, გაუტეხელი, რკინისებური ნებისყოფიანი, წრფელის მისწრაფებით, გარკვეული გამოხედვით. ძარღვი, ჯავარი, რწმენა... და ყოველივე ეს მომხიბლავ ჩადრში გახვეული, ანკარა პოეტური გრძნობებით ნაკურები.

ჩვენი მგოსანი ერთის მხრივ—უაღრესად ნაციონალური მოვლენაა, მეორე მხრივ კი მისი გმირული ხედვა მსოფლიოს გაჰკურებს. მისი შემოქმედება ჰხიბლავს, ატყვევებს ყოველ ქართველს, გულში ხვდება, საზოგადოდ, ყოველი ადამიანის გულს, უდიდეს გონებრივ მუშაობას იწვევს ყოველი ერის არსებაში.

სკანდინავიის მთა-გორამ და ზღვით დასერილმა მიწაწყალმა იბსენის გამოკვეთილი პიროვნება მისცა მსოფლიო ლიტერატურას, პიროვნება ძლიერი და უაღრესი შემოქმედებითი ენერგიით აღსავსე., თვით ძლიერი და შეუდრეკელი, მთელი თავისი სიცოცხლე ძალღონე-მოდუნებულ ბურჟუაზიულ ევროპაში, იგი ძლიერ და გაუტეხელ პიროვნებებს ეძებდა, რათა ამ გზით მიეგნო დაავადმყოფებულ და ინდივიდუალობას მოკლებულ ადამიანის განმაახლებელ ძალისათვის.

ჩვენმა ოლროჩოლრო მამაპაპურმა მთამაც მოგვცა ძლიერებით აღბეჭდილი შემომქმედი, რომელიც დაცემული სამშობლოს ფეხზე დასაყენებლად ხან რომ კოლეკტივის ამოძრავებაში ხედავდა ხსნას, ხანაც ძლიერ პიროვნებას ეძიებდა, ეძიებდა იმ მხსნელ გმირს, რომელიც მსგავსად ხალხის წიაღიდან გამოსული ლუხუმისა, გლეხის ქალ ლელასა და მწყემს კვირიასა მთელ ერს გაუძღვებოდა სიმბოლიურ ბახტრიონისკენ ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად. ამ ძიე-

ბაში მისი აზრი ჭრაეალჯერ აშორდა მთიულეთის ორწოხებს და იალბუზის ნწვერვალივით მოეევლინა მსოფლიო აზროვნებას.

საქართველოს შეუძლია ისე იამაყოს მთელი ქვეყნის წინაშე ვაჟა-ფშაველათი, როგორც იბსენით ამაყობს სკანდინავია. ამის უფლებას გვაძლევს ჩვენი მგოსნის პოეტური სიძლიერე, ადგილობრიობაზე აღმოცენებული სურნელება და ღრმა ფილოსოფიური აზრები.

ᲨᲘᲠ. ᲐᲠᲐᲒᲕᲘᲡᲞᲘᲠᲔᲚᲘ

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმ საზოგადოებრივ პირობების შესახებ, რომელშიც წარმოიშვა არაგვისპირელის შემოქმედება. ვაჟა-ფშაველას სალისკლდისებური ხასიათი ამ უიმედობის და უდროობის ხანაშიც გულგაუტეხელია და ლუხუმებს დაეძებს კვერთხით ხელში, რომ ხალხს მიუძღოდეს, ხოლო არაგვისპირელის ნაზი და პასიური სული უიმედობამ და პესიმიზმმა დაცხრილა. ამავე პირობებმა მოგვცა ია ეკალაძეც, რომლის თვალთახედვა ერის ქვედა ფენებისკენ არის მიპყრობილი და განახლების ტალღების ტლაშანსაც საკმაოდ გვასმენს. ეკალაძის ნიჭი რომ უფრო ღრმა ყოფილიყო, ის უფრო დიდ კვალს დაამჩნევდა ჩვენს ლიტერატურას, რომელშიც მისი როლი ისეთივე იქნებოდა, როგორიც იყო 90 წ. წ. წარმოშობილი მ. გორკის მნიშვნელობა რუსეთის ლიტერატურისათვის.

„ქარიშხალისა და იერიშის“ დროს ადამიანი მიუღწეველ მიზნებს უსახავს თავისთავს, რევოლუციონურ ტალღაზე წამოსკუპებულს თავი ყოვლის შემძლე ჰგონია და უსაზღვრო ნაპირებისკენ გაქანებული შეუსრულებელ რასმე აკისრებს პიროვნებას. მაგრამ, როდესაც მიზანს ვერ აღწევს და გადამეტებულ მოთხოვნილებებს ვერ ასრულებს, მაშინვე სკეპტიციზმი ´იპყრობს და უკან იხევს. ამ მომენტშიც იგი ისეთივე უკიდურესობაში ეარდება, როგორშიც აღურთოვანების დროს იყო და თვითკრიტიკაც და თვითგანსჯაც საშინელი სიმძაფრით წარმოებს. რა ვყოფილვარ მე? რისი შემძლე? რა ტვირთის ამწეევი? ამ საკითხებზე უაყოფითი პასუხი, რასაკვირველია, მზად არის.

ამნაირად წარმოიშვა მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილი მიმდინარეობა „მსოფლიო გოდება“, რომლის გენიალური წარმომადგენლები ბაირონი და გიოტეა.

არაგვისპირელის სკეპტიციზმიც უპირველეს ყოვლისა იქითკენ მიიმართა, რომ გამოეკვლია, თუ რას წარმოადგენს ადამიანი და რა ძალის მატარებელია იგი. ადამიანი, მისი აზრით, თავისთავად შეუცნობელი სფინქსია. მოთხრობა „ადამიანში“ ვკითხულობთ: „ადამიანი!.. ადამიანი!.. ძალას ატანდა თავის თაეს თედო, მაგრამ აზრი აზრს არ ეკარებოდა; თითქმის იმის თავში მარტო ერთი წარმოდგენის მეტი აღარა მოიპოვებოდა რა და სიტყვა „ადამიანი“ ისევ სიტყვად დარჩა და შინაარსი ვერა მოუპოვა რა!“ დიახ, ასეთია ადამიანი, როცა იგი შენს წინაშე დგას, მაგრამ თუ ამოქმედდა, მაშინ კი დაინახავ, რომ იგი საშინელი ეგოისტია და დაუნდობელი. მისთვის არაფერი წმინდა არ არსებობს ქვეყანაზე: არ სწამს სიყვარული, მეგობრობა, პატიოსანი სიტყვა, მოყვასისათვის თავდადება, ფეხებზედაც არ ჰკიდია სამშობლო და მშობელი ერი, მისი

სამშობლო—მისი გულია, სადაც გაძღება, მისი საყვარელი ადგილიც ის არის. ამ თემებზეა აგებული ეტიუდები: „ქარი კი ზუოდა“, „მხრებილა ავიჩეჩე“; „ბალღი ყოფილხარ“, „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ და სხვ.

ამავე დროს ადამიანი სრულიად უძლური არსებაა, რომელიც უნიადაგო ოცნებით იტყუილებს თავს. ეტიუდი „ბუნების მეფენი“ აშკარად ხდიან მწერლის ამ აზრს.

მართალია, არაგვისპირული უმეტეს შემთხვევაში უარყოფითად აფასებს ადამიანს და მის ძალღონეს, არ სწამს მისი უანგარობა და მაღალ იდეალებისკენ მისწრაფება, სამუდამოდ ჩაფლულად სთვლის ეგოიზმის ჭაობში, მაგრამ არის წამი, როდესაც არაგვისპირელის მსოფლმხედველობაშიც სხვა ნაპერწკალი გაიელვებს და შავბნელ მიდამოს „ციცინათელა“ გაანათებს. მართალია, იგი წამსვე სიბნელეში ინთქება, მაგრამ მაინც ანათებს და იმედის ფრთებით დაფრინავს. ეს აზრი გატარებულია „ციცინათელა“-ში.

ერთის მხრივ—სინამდვილის უარყოფითმა მხარეებმა და მეორეს მხრივ—ციცინათელათა ნათებამ სამუდამოდ გაბზარა არაგვისპირელის გული, რომელიც ვერასგზით ვერ შერიგებია უხეში სინამდვილის მიერ ყოველივე იდეალურის ფეხქვეშ გათელვას და შეურაცხყოფას.

ადამიანის სულის მოუსვენრობა და მორალური ძიება არაგვისპირელმა დაგვიხატა თავის „გაბზარულ გულში“, რომელიც, საერთოდ, სუსტ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს *).

ჭოლა ლომთათიძე

ჭოლა ლომთათიძე, რომელსაც ჩვენ საკმაოდ გავეცანით, მრავალიმხრივ საინტერესო მწერალია. მაგრამ იგი არ გვეყოლება საესებით გაცნობილი, თუ კიდევ ერთის მხრივ არ მივუდექით მას. ლომთათიძეს აქვს ერთი შესანიშნავი მოთხრობა—„სახრჩობელას წინაშე“, რომელშიც ღრმა ფილოსოფიური აზრია გატარებული და რომელიც ჩვენ სხვა განყოფილებაშიც მოვაქციეთ. მაგრამ მაშინ ერთი თვალსაზრისით შევეხეთ ამ მოთხრობას, ახლა კი მეორე მხარე უნდა გავაშუქოთ.

ჭოლა ლომთათიძე მთელ თავის ყურადღებას ადამიანის სულისა და გულის, შინაგანი არსების ამოცნობას ანდომებს. ეს საკითხი მას ისე აწუხებს, როგორც ნიკოლ. ბარათაშვილს და შიო არაგვისპირელს. ჭოლას აზრით „ძე კაცის“ დიდი ეგოისტური არსებაა და ყველგან და ყველაფერში თავის პირად კმაყოფილებაზე ფიქრობს. მოთხრობა „უსათაუროს“ პერსონაჟმა, რომელიც თავდადებული რევოლუციონერია, თავის ცოლს—ხვარამზეს, ნება არ მისცა მტერთან ბრძოლის დროს გმირულად შეჰყროდა სასიკვდილო ხიფათს. „შენც მხოლოდ შენი ლამაზი ცოლი, შენი საყვარელი ქალი გინდოდა გადაგერჩინა, მხოლოდ შენი ცოლი,—სწერს მას ხვარამზე, რომელიც უსაყვედურებს მას, რომ დიადი საქმე დაგავიწყდა იმ წუთს და შენს პირადობაზე ფიქრობდი. დაუ-

*) იხ. ჩემი წერილი ჟურ. „მნათობში“ 1926 წ. № 1.

სრულებელი მოთხრობის „ძე კაცისა“ გმირი იტანჯება იმის გამო, რომ მისი სატრფო თურმე უმისოდაც კარგად იცხოვრებს; შეუძლია ისე მოეწყოს, რომ მისი დახმარება და სიყვარული სრულებითაც არ დასჭირდეს.

დიახ, ადამიანი ყველაფერს პირადის თვალსაზრისით უდგება და მხოლოდ იგი სწამს და იმას აღიარებს, რაც პირადად მას აამებს და მის ინდივიდუალობას დააკმაყოფილებს.

მაგრამ ჭოლა ლომთათიძე ჩვეულებრივი მეტაფიზიკოსი იქნებოდა, რომ ასეთი მისი ზანაჩენი საბოლოო და უცვლელი ყოფილიყო ადამიანის შესახებ. მან მშვენივრად იცის სინამდვილის დიალექტიკა და მისი მუდმივი ცვალებადობა. ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება. ადამიანის სამოქმედო გარეშე პირობებიც მუდმივ ცვალებადობაშია, ამიტომ თვითონ ადამიანის ხასიათიც ერთგვარ დაუდგრომლობას განიცდის: ერთ მომენტში ერთნაირია, მეორეში—მეორენაირი. დღეს შეიძლება იგი, მართლაც, უსაზღვრო ეგოისტია, მაგრამ ხვალ, მეორე პირობებში, ის უაღრესად სოციალური არსებაა, და თავგამოდებით იბრძვის საქვეყნო იდეალებისთვის. არ შეიძლება ყოველთვის ერთი საზომით მივუდგეთ მას და ერთნაირად დავაფასოთ მისი არსება.

ჭოლას აქვს ერთი ყველა მის მოთხრობებზე უკეთესი ნაწარმოები „სახრჩობელას წინაშე“, რომელიც უსათუოდ ღრმა და მსოფლიო მნიშვნელობის თემაზეა აგებული. ამ მოთხრობის პერსონაჟს რევოლუციონურ მოღვაწეობისათვის დახრჩობა გადაუწყვიტეს. იგი საშინელ სულიერ განცდაშია. მისი ფსიქოლოგია გონების შემარყეველის სინამდვილით და ხელოვნებით არის გადმოცემული. ამ მოთხრობაზე უკეთესი პსიქოლოგიური ნაწარმოები ქართულ ენაზე არ მოიპოვება. პირველ ხანებში ჩვენს თვალწინ დგას ცხოველური შიშით შეპყრობილი არსება, რომელიც დახრჩობის შიშით ლამის გაგიჟდეს. ის მთელი სხეულით თრთის, ცახცახებს და მიზანში ამოღებულ ნადირივით საკუთარ უმწეობაში იკრუნჩხება. დადგა მისი აღსასრულის დღე, იღუპება უკვალოდ, უშედეგოდ, ქრება, როგორც უბრალო მწერი. „ჩამომაფარებენ სახეზე ტომარას, შემაყენებენ სკამზე და ორ ბოძშუა გადმოკიდულ გასანთლულ ბაწარში გამოაყფინებენ თავს. ჯალათი გამომაცლის სკამს ფეხქვეშ, დამეკიდება ფეხებზე, რომ თოკი უფრო შემომეხვიოს კისერზე და შემდეგ გამაკონწიალებს... მე შემეკმეცა სული, მოვინდომებ კისრისკენ ხელის წაღებას, მაგრამ ხელები მაგრად იქნება გაკრული, დავწვრილდები, დავიღმანჭები, მოვინდომებ ყვირილს, კენესას, მარა ვერ შეეძლებ... ენას ძაღლივით წამოვაგდებ, თვალები გადმომცყვია ბუდიდან, დავიწყებ ტრიალს და რამოდენიმე წუთის შემდეგ გავჩერდები ჰაერში... და ამ სურათის წინაშე გულგრილად იქნებიან გაჩერებულნი პროკურორი, მღვდელი ჯვარით ხელში, ციხის უფროსი, ექიმი, ჯარისკაცები“. ჭეშმარიტად შემარყეველი სურათია, საშინელი თავისი უბრალო ტრაგიულობით. ასე ლაპარაკობს თავის თავზე ფიზიკურად დამფრთხალი და ათრთოლებული ადამიანი, რომელიც თავის თავს მარტო გრძნობს და გარეშეთაგან გამოთიშულია.

მაგრამ გადის ხანი, პირველი შიში და თავზარდაცემა გაიელის, ნერვები წყნარდება, განწირული არსება უკვე მრსულიერდება და ცხოველური შიშიც გაიელის, საკუთარ განწირულ სიცოცხლისთვის ცახცახი უკვე შენელდა. დასახრ-

ჩობად გამზადილს აგონდება თავისი სიცოცხლის უბედნიერესი წამები და მის არსებასაც სულ სხვა აზრები და განცდა ეუფლება. „აბა, ერთი ის რად ღირს, ამბობს იგი,—რომ ჩემი საშუალებით ბევრი, ბევრი თავი ამუშავებულა, ბევრი დაფიქრებულა! განა მე არ ვიყავი ბედნიერი, რომლის გატაცებულ სიტყვაზე იმდენს ანთებია თვალები და გულში ბრძოლის ცეცხლი აგზნებია, სისხლი ამუშავებულა, აჩქარებულა! მე ერთი იმ ბედნიერთაგანი გახლავარ, რომელსაც მიმიღია რწმენა, ატოკებული, გატაცებული შემითვისებია ის და შემდეგ სხვებისათვისაც გადამიცია ის და ამნაირად მეც გადაშიბამს ახალი რგოლი იმ დიდი და მტკიცრო ჯაჭვისათვის, რომელსაც მუშათა პარტია ეწოდება, მუშათა მებრძოლი არმია“. ამ სიტყვებიდან აშკარაა, რომ ეს განწირული ადამიანი თავს ისევ სოციალურ არსებად გრძნობს, თავისი თავი და მუშობა კოლექტიეის ნაწილად წარმოუდგენია და პირად უკვდავებასაც აქ ხედავს იგი. ამის შემდეგ არც სახრჩობელაა საშიშარი და არც სიკვდილი. იგი ეაჟკაცურად გასწორდება წელში და ზიზღით მიმართავს ძლიერთა ამა ქვეყნისათა: „ჩემს სახრჩობელას მე არ გავცელი თქვენს კეთილდღეობაზე. თქვენ, რომელთაც ბედნიერება აგიშენებიათ სხვის უბედურებაზე, რომელთაც აატირეთ ქვეყანა, დედას დაუკარგეთ ალერსი მშობლისა და ქმარს წაართვით ცოლი, რომელთაც მოპარეთ ლუკმა ულუკმოთ, ნაშრომი მშრომელთ... ეს თქვენი ჭკუაა, ასე რომ აწამა ქვეყნიერება, თქვენმა ჭკუამ შექმნა მშიერთა არმია, თქვენმა ჭკუამ მოწამლა ჰაერი... თქვენი სიყვარულიც მძაგს და სიძულილიც, თქვენ მიერ შექმნილა ზნეობაც და კანონიცა, მძაგს თქვენი ღმერთი, რომელმაც იქადაგა ყოვლად ბინძური სიტყვა—მოთმინება თქვენი სისაძაგლისა. იუდა ვერ იქნებოდა იუდა, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, თქვენ, რომლებიც ისე აძაგებთ და ანათებას უთვლით მას ახლა, როცა ქრისტე აღარ არის საშიში თქვენთვის, როცა ის თქვენი მომხრეა, ახლა აღარ გეპირიათ იუდა და აძაგებთ მას!.. ქურდები ადამიანის ბედნიერებისა, თქვენ სჯით იმას, ვინც ნაქურდალისკენ ხელს გაიწვდის, გამყიდველნი, გამაუპატიურებელნი მეციერებისა. და ნათელი აზრის თქვენ კანონს იხმარიებთ მაშინ, როცა პატრონი თავის საქონელს მიაგნებს და თავის უფლების აღდგენას მოითხოვს“.

მრავალი მხრივ შესანიშნავია ეს ადგილი: ერთის მხრივ—სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული ბურჟუაზიული საზოგადოება თავისი ზნეობით და მოქმედებით და მეორეს მხრივ—გაშუქებულია უძნელესი პრობლემა პიროვნებისა და კოლექტიეის შესახებ.

ჰოლას აზრით „პიროვნება მაშინ არის ბედნიერი და უკვდავი, როდესაც იგი თავის არსებას და მოქმედებას კოლექტიეის ნაწილად გრძნობს, როდესაც მისი აზრი და გრძნობა გარეშეთა ნაგრძნობ-ნაფიქრს უერთდება. ეს არის უაღრესად ცხოველმყოფელი იდეა, რომელიც ასულდგმულებს ყოველ ამომავალ რევოლუციონურ კლასს. ჩვენს დროში ასეთი კლასი მუშათა კლასია, რომელიც მედგრად ატარებს ცხოვრებაში ყველა ქვეყნის მშრომელთა შეერთების პრინციპს და წითელი დროშით ხელში გაბედულად მიიმართება სოციალიზმის სამეფოსკენ. ჰოლა ლომთათიძის არსების ყოველი წერტილი ამ საკოცობრიო იდეით არის გაჟღენთილი. ამავე იდეით აღტაცებული მისი გმირი სიკვდილის საშინელ საიდუმლოებასაც კი სძლევს: „რა იქენი სახრჩობელავ, ჯალათო! რად

დაჰკარგე შენი საშიშარი სახე, რად მიცქერი აგრე უფერული და უშინაარსო?.. და შენც სიკვდილო, ნუთუ ასეთი სუსტი ხარ?.. რატომ ველარ მაშინებს შენი გულგრილი სახე. შენი ცივი ქშენა? ვერა, ველარ დამძლევ ბებერო, ვერა! ამაყად, უშიშრად გიყურებ თვალებში, ამაყად, უშიშრად ავაბიჯებ ფეხს სკამზე (სახრჩობელას წინაშე)“...

ასეთია იმ პიროვნების სულიერი განცდა, რომელმაც თავისი თავი მთელის ნაწილად იგრძნო.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი

ამ მწერალს მოთხრობათა საკმაო რიცხვი აქვს დასტამბული, მაგრამ ჩვენი აზრით საყურადღებოა მხოლოდ მისი „მოლიპულ გზაზე“ და „ეკლესიის გარშემო.“ პირველის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, აქ შევეხებით მეორეს. მოთხრობა „ეკლესიის გარშემო“ სადად და უბრალოდ გვისურათებს თვითონ სამღვდელოების მხრივ სარწმუნოებით ვაჭრობას და, საზოგადოდ, მათ ანგარებიან საქმიანობას. რელიგიის საწინააღმდეგო რაიმე ნაწარმოები ქართულ ენაზე ამ მოთხრობაზე უკვეთესი არ მოიძებნება.

ლეო ქიაჩელი

(1884 წ.)

ლეო ქიაჩელი (შენგელაია) სალიტერატურო ასპარეზზე რეაქციის ხანაში გამოვიდა. მას დაბეჭდილი აქვს წვრილ მოთხრობათა მთელი რიგი და რომანი „ტარიელ გოლუა“ წვრილი მოთხრობები უმეტესად მისტიური შინაარსისაა და მოქმედნი პირნი სხვებთან მუდამ შიშით კანკალებენ შეუცნობელ ძალთა წინაშე. ტარიელ გოლუა ერთიანად რეალური ნაწარმოებია და შეეხება პირველი რევოლუციის ხანას. ეს პერსონაჟი უსათუოდ ტიპიურია, ჩვენში დატრიალებული რევოლუციები გოლუასთანა ტიპების ხელით მოხდა. საქართველოს განახლებისა და გარდაქმნის დროშა ერთად ასეთმა ელემენტებმა აღმართეს. გოლუა საკმაო სისრულით აქვს ავტორს. ეს რომანი რამდენჯერმე გამოიცა, რუსულადაც არის ნათარგმნი. ქიაჩელის მოთხრობათა კრებული ცალკე წიგნადაა გამოსული. ავტორი სწერს აგრეთვე საბავშო მოთხრობებს.

იოსებ გედევანიშვილი

ამ მწერლის კალამს ეკუთვნის რამოდენიმე დრამატიული ნაწარმოები (მსხვერპლი, გამცემი) და მოთხრობა. გედევანიშვილის თხუზულებები გაშლილია პირველი რევოლუციის ფონზე. პიესა „მსხვერპლი“ მთელი წლების განმავლობაში იდგმებოდა ქართულ სცენაზე და დიდი პოპულარობით სარგებლობს. აქ მხატვრულადაა გადმოშლილი ჩვენი გლეხობის ბრძოლა რევოლუციის ხანაში. გედევანიშვილის

კალამს ეკუთვნის აგრეთვე ალეგორიული შინაარსის პიესა „სინათლე", რომელიც შრავალჯერ დადგმულა ქართულ სცენაზე დასურათებული.

ნ. შიუკაშვილი

(1876 წ.)

ნ. შიუკაშვილმა დასწერა რამდენიმე ფსიქოლოგიური დრამა: „სიმახინჯე", „მეგობრობა", „მთის ზღაპარი" და სხვ. ამ დრამებში იგი გეისურათხატებს ზოგადი ხასიათის საკითხებს.

გალაქტიონ ტაბიძე

(დაიბადა 1892 წ.)

გ. ტაბიძემ 1908 წელში დაიწყო მწერლობა. მისი ნიჭის თვისებანი უკვე აშკარად გამოირკვა შავი რეაქციის მძვინვარების ხანაში. ერთი და იგივე ეპოქა ყოველთვის სხვადასხვა მიმართულების მწერლებს წარმოშობს, რაც ერთის მხრივ—ცხოვრების მრავალფეროვნებით აიხსნება და მეორეს მხრივ—თვითონ მწერლის ტემპერამენტზე და შინაგან ხასიათზეა დამოკიდებული.

სინამდვილე არ წარმოადგენს ერთფეროვნებას, იგი რთული და მრავალწახნაგოვანი მოვლენაა. ამავე დროს იგი არც ერთ წერტილზეა გაყინული, მუდამ მოძრაობს და მუდამ იცვლება. ცხოვრების რომელ კუნჭულში დგას მწერალი და რომელი წახნაგი განსაზღვრავს მის გრძნობასა და აზრს?.. სად დგას იგი—იქ, სადაც მოძრაობა და მაჯის ცემაა, თუ, სადაც სიწყნარე და კონსერვატიზმია? აი, ორი საკითხი, საიდანაც უნდა გამოვიდეთ მწერლის შემოქმედების გამორკვევის დროს.

მაგრამ ეს მარტო როდი კმარა. თუ სინამდვილეს არა ჰყავს ღრმად და ნიჭიერად ამსახავი პიროვნება, რომელიც საკუთარ შემოქმედების ბრძმედში გაატარებს განსაზღვრული მომენტის დედა-აზრს და მიდრეკილებას, თუ მას არ აღმოაჩნდა ფართო დამტკიცების უნარი და ნიჭი, ისე მის შინაარსს და მამოძრავებელ მიზეზს ვერაოდეს ვერ მივწვდებით. მაშასადამე, მწერლის ნიჭი ის გამოსავალი წერტილია, საიდანაც უნდა იწყებოდეს მთელი ჩვენი მუშაობა.

ერთობ ძნელია ორივე ამ უდიდესი მნიშვნელობის საკითხების სწორად გაშუქება, ყოველწამს მოსალოდნელია შაბლონურად მისი გადაჭრა. რამდენადაც კი შეგვეძლო, ჩვენ ყოველთვის ეცდილობდით ეს შაბლონი აგვეშორებია თავიდან. ასე გვინდა მოვიქცეთ ტაბიძის მოკლედ განხილვის დროსაც.

უკვე განვიხილეთ მგოსანთა მთელი რიგი, რომელნიც სწორეთ იმ დროს მოქმედებენ, როდესაც ტაბიძის ნიჭი შლიდა ფრთას. აბაშელი, ლომთათიძე, ჩხიკვაძე და სხვები სწორეთ ამ დროს აყალრებდენ ქნარს, მაგრამ ტაბიძე არც ერთ მათგანს არ ჰგავს. ისინი გაბედული მებრძოლები არიან, მათი მსოფლმხედველობა ნათელი და იმედიანია, ცხოვრებას ისინი ღებულობენ, როგორც ფაქტს, მაგრამ ამავე დროს თავგანწირვით ებრძვიან მის უარყოფით მხარეებს.

ტაბიძე კი სულ სხვაგვარად უყურებს საკითხს, ის ბარათაშვილისებური შუბ-ლით გიყურებს სინამდვილეს.

„წუხს ჩემი სული—ვიი სამრეკლო, ცის უდაბნოში"-ო, ამბობს მგოსანი და თანაც ასე გოდებს:

„ბუნებავ, ტრფობის წმინდა ყვავილი
რომ დამაბარე, ვერსად ვერ ვპოვე,
ბედნიერება ჩემთვის არ არის,
ბედკრული შვილი გამომიგლოვე".

პოეტი ერთ დროს ბედნიერად გრძნობდა თავს:

„მქონდა მიზანი... ბრძოლა იყო ცა მისი მცნების,
მაგრამ კაცთ გესლით დავუძლურდი და მოვიშხამე".

ეს იყო ერთ დროს, ახლა კი სასოწარკვეთილი ამბობს:

„ვიცი ბოლო აქვს ქვეყანაზე ყოველგვარ სახეს,
მაგრამ წამებას, ჩემს წამებას კი არ აქვს ბოლო"...

აწმყო საშინელია მისთვის:

„სიმკაცრით შემხედავს საშველი,
თვალები შეკრული კამარის:
ჯვარს ეცვი, თუ გინდა! საშველი
არ არის, არ არის, არ არის"...

ამიტომ უიმედოდ დაასკვნის:

მე საფლავს ვეძებ, რომ დამიამოს
და დამავიწყოს გულის ღრმა წყლული?

ასე უიმედოდაა განწყობილი ჩვენი მგოსანი, რომელიც პირველ ხანებში უფრო ნათელი მსოფლმხედველობის იყო და ბარათაშვილისებური ხსნის ნაპერ-წკალიც გაუელვებდა ხოლმე მას. *)

ტაბიძის თვალთახედვა შავი რეაქციის პირობებში არ იყო მებრძოლ ძა-ლებისკენ მიპყრობილი. პოეტის სათუთი და პასიური არსება ვერ შეეწყო რე-ვოლუციონურად განწყობილთ და მკაცრი დაწოლის ჟამს მელანქოლიურად მოიკეცა საკუთარ სულში დასაღვენთად. ტაბიძე ჯერ ახალგაზრდა მგოსანია და და მის ნიჭს კიდევ შეუძლია სხვადასხვა საფეხურებიდან მოგვევლინოს.

იოსებ გრიშაშვილი

(დაიბადა 1889 წ.)

ი. გრიშაშვილი (მამულაშვილი) ცქრიალა და კისკისა ნიჭის პატრონია. მისი მუზის ყოველი გარხევა მცინარე პოეზიის ჩხრიალია; მუდამ თრთოლვა და გრძნობით წვა, სიხარულით და ენებით ცახცახი,—აი მისი შემოქმედების სუ-ლი და გული.

გრიშაშვილის პოეზიის საგანს სიყვარული შეადგენს. მას გამოცემული აქვს თავისი ლექსების ორი მოზრდილი ტომი. მისი ლექსის ყოველი სტრიქონი ენე-

* იხ. ჩვენი წერილი ჟურნალ „ცისარტყელაში" 1920 წ. № 2.

ბითაა გაელენთილი და სიყვარულის ნაზი გრძნობა წმინდა წყაროსავით გადმოჰქუხს იქიდან.

სიყვარული მარადიული და ამოუწურავი თემაა. რომელი დროის მგოსანი გინდათ, რომ ამ გრძნობის წინაშე ქედი არ მოეხაროს. ქართული ქნარიც შოთა რუსთაველიდან მოყოლებული დღევანდლამდე ერთგულად უგალობს ამ წმინდა გრძნობას და მთელი ჩვენი არსებობის დედა აზრის შემცველს.

სიყვარული ორგვარი სახის მატარებელია: ხორციელის და სულიერის. მოპირდაპირე სქესთა დაახლოება ან ხორციელობის ნიადაგზე ხდება და ან სულიერი ნათესაობის და მეგობრობის. ამიტომ ყველა ერისა და ყველა დროის მგოსნები ამ ორი წერტილის გარშემო აელერებენ ქნარს: ან ხორციელობას უგალობენ, ან და სულიერ სიმშვენიერეს აქებ-ადიდებენ; ისიც არის, რომ ორივე ეს ელემენტი მოეპოვება ერთსა და იმავე მგოსანს.

შოთა რუსთაველისთვის სიყვარულში პლასტიურობა პირველ ადგილზეა დასმული,—მისი გმირები ლამაზი და მიმზიდველნი არიან, მაგრამ იგივე რუსთაველი უბრალო გრძნობელობიდან ძალიან შორს არის და სიყვარულის წმინდა გრძნობა მისთვის უპირველეს ყოვლისა გმირულ გრძნობათა აღმძვრელია. „იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“ო გვასწავლის იგი. სიყვარულის კონკრეტულობას და ხორციელად ერთიმეორესთან დაახლოებას რუსთაველი მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევებში გვისურათებს.„ შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“ და ამნაირად მუდამ იდეალურისაკენ მისწრაფება, მისთვის ბრძოლა და თავდადებაო, ესაა რუსთაველის მრწამსი. ჩვენი სიამაყე მგოსანი უპირველეს ყოვლისა სიყვარულის გმირულ და ამამაღლებელ ელფერს ეტრფის. „სიყვარული აღგვამაღლებს“, „ვით ეკვანნი, ამას ელერენ მოციქულნიო“,—ამბობს შოთა.

სიყვარულის და, საზოგადოდ, მგრძნობელობის გამომხატველი პოეტები ჩვენში შოთას გარდა არიან ბესიკი (მე-18 საუკუნე) და ალ. ჭავჭავაძე. ამ მგოსნების თვალთა ხედვა არსებითად განირჩევა შოთასაგან. როგორც ბესიკისათვის, ისე ალ. ჭავჭავაძისათვის სიყვარული ხორციელობისგან აღიძვრის. ბესიკს ატყვევებს „ტანი ტატანი“, „გულწამტანი“, „უცხოდ მარები“, „წარბ-წამწამ-თვალნი“, „მკლავნი მომკლავნი, თითნი თლილნი, მოსახვეველნი“. ლამაზი სხეული ბესიკისათვის ყველაფერია, „სჯობს, რომ არ ჰყვანდეს მიჯნური, ან მოჰკლას ამისთანა მან,“ ამბობს იგი.

ალექ. ჭავჭავაძეც მშვენიერ სხეულს ეტრფის, მას აფრთოვანებენ „ლაშლოყალბილნი, მკლავნი წერილნი, შავნი თმანია“. გრიგოლ ორბელიანი შოთასავით შორით გასცქერის თავის სატრფოს, „ეტლი ჰრბის... სატრფო მშორდების! თანა სდევს ჩემი მეს სული“, ეს სურათი ერთგვარი სიმბოლოა მგოსნისათვის. ნიკ. ბარათაშვილი სიყვარულში იდეალურ მხარეს ეძიებს. მართალია, იგი ამბობს:

„მიყვარს თვალები, მიბნედილები,
ეშხისა ცეცხლით დაქანცულებიო“,

მაგრამ მანვე იცის, რომ

„თვით უკედავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დაბერებს.
მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა ჰშობს სიყვარულსა
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსა“.

შემდეგი ჩვენი დიდი მგოსნები, რომელნიც ასკეტიური სულით იყვნენ გაჟღენთილნი და თავისი პირადობა ერთიანად უარყვეს საზოგადოებრივის წინაშე, სიყვარულის გრძნობას, რ.გორც პირადს, ყოველთვის გაურბოდენ და მასში მუდამ იდეალურს ეძიებდენ. აკაკის სატრფო რაღაც სიმბოლიური, ხელუხლებელი და ხორცშეუსხმელი არსებაა. ილიას სიყვარულიც ასკეტიური სახისაა და მწყემსის ქალის სურათი, რომელიც სავსეა ხორციელობით, გაღიმულ საეონაროლას ჰგავს.

ჩვენს ჟორჟ-ზანდს—ეკ. გაბაშვილსაც, რომელიც უმეტესად ამ გრძნობას დასტრიალებს, სიყვარული ერთობ იდეალურად აქვს წარმოდგენილი. სიყვარული უაღრესად გამაკეთილშობილებელი და მაღალი გრძნობაა ამ მწერლის აზრით. ამაზე წმინდა გრძნობა მეორე არ გააჩნია ადამიანს.

სიყვარულის ასეთი გაგება თითქმის ერთიანად დაეუფლა ჩვენს ლიტერატურას. თანაც ამ თემაზე დაწერილი ყოველიეე უსაქმურობად და მაღალ იდეის ღალატად იყო გამოცხადებული. იმ დროს, როდესაც თვითმპყრობელობა მაჯლაჯუნასავით აწვა მთელი ქვეყნის სასიცოცხლო ძალებს, როდესაც საქვეყნო საქმისათვის მებრძოლებით სავსე იყო ციხეები და ციმბირის ველები და, როდესაც მთელი ერის ყურადღება თავისუფლების მოპოვებისკენ იყო მიპყრობილი, მაშინ სიყვარულის პირად გრძნობაზე წერა პირდაპირ დანაშაულად ითვლებოდა. ასეთი შეხედულება განსაკუთრებით განმტკიცდა პირველი რევოლუციისა და მის მომდევნო რეაქციის ხანაში. მშრომელი ხალხი სისხლისაგან იცლებოდა და მისი მგოსნებიც გოდებით უნდა ყოფილიყვნენ შეპყრობილნი. და ეს, მართლაც, ასე იყო. რეაქციის გაძლიერების პროცესში წარმოიშვა მწერალთა ორი ჯგუფი—ევდოშვილისა და შანშიაშვილ-გრიშაშვილის გარშემო. ორივე მხრივ გოდება გაისმოდა: პირველნი გოდებდენ მუშათა კლასის დამარცხების გამო, მეორენი,—უფრო მეტად შანშიაშვილი, ფაშალიშვილი და მუედლიშვილი,—ეროვნული ჩაგვრის გამო.

აი, ამ საერთო გლოვისა და გოდების დროს, სრულიად მოულოდნელად, ქართული პოეზიის ასპარეზზე მომხიბლავად გამოკრიალდა გრიშაშვილის მუზა, რომელიც ერთიანად ხორციელება იყო და პირადი სიტკბოების კულტს აღიარებდა. კოცნის ცხოვრების აზრად დასახვა, ოქროს ფეხები, ზლაპრები გამაკში, დამატყვევებელი სიცილი, ვნებით თრთოლვა...

ასკეტიურად განწყობილნიც შეშფოთდენ. როგორ, ჩვენ ვტირით და ეს იცინის? ჩვენ საზოგადო საქმეს ვუგალობთ და ეგ პირადს გვიქადაგებს?

საზოგადოების დიდი ნაწილი გრიშაშვილს უარყოფითად შეხვდა. მაგრამ მის ლექსებს მაინც ინტერესით ჰკითხულობდენ. დაჟინებით უარყოფდენ, მაგრამ მაინც დაჟინებით ჰკითხულობდენ. და ეს იმიტომ, რომ გრიშაშვილის ლექსებში ისეთი რაღაც იყო, რომლის გამო მათი წაუკითხაობა არ შეგეძლოთ,—ეს იყო პოეზიის ანკარა ნაკადულის ლუკლუკი.

გრიშაშვილის ჩვენს მწერლობაში შემოსვლა მამათა მონასტერში მომხიბლავი ასულის შიშვლად გამოჩენას უდრიდა. გარბიან წმინდა მამები, იჯმნიან ეშმაკისაგან, თვალებზე ხელებს იფარებენ, მაგრამ იმავე დროს თითებშიც ქურდულად უყურეტენ ნშვენიერ სხეულს. რას იზამთ, ხელოვნურად ჩამხრჩვალი ბუნებრივი გრძნობა თავისას უკარნახებს ადამიანს!

ასე მოხდა გრიშაშვილის გარშემოც: მან მალე მიაღებინა ურწმუნოთ თავისი შემოქმედება და მისი პოეზიაც ერთიანად შეედუღა ქართულ ლიტერატურას. საზოგადოებას მოსწყინდა გლოვა, მას უნდოდა სიცილიც.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ გრიშაშვილის მუზა პირველ ხანებში ხშირად ჰკარგავდა კდემამოსილებას, ვარდებოდა ეულგარულ გრძნობელობაში და „ბარაშაჯანით" ართობდა საზოგადოებას. ასე რომ იმ ხანებში ჩვენი მგოსანი მთლად მართალი არ ყოფილა.

გრიშაშვილი სიყვარულში მარტო ხორციელობის მომენტს აჩჩნევს და ხანდახან ცხოველურ მხარესაც კი უგალობს. თემატიურად იგი დიდ ინტერესს არ წარმოადგენს. სიყვარულის პრობლემა გრიშაშვილმა ერთობ გაამარტივა და მეშჩანობის ფარგლებში მოაქცია. ჩვენთვის საინტერესოა იგი, როგორც ქართული ლექსის ფორმის უაღრესად გამამშვენიერებელი და შეუდარებელ სილამაზემდე ამყვანი.

ქართული ლექსის გამშვენიერებასა და ტეხნიკის უმაღლეს საფეხურზე აყვანაში გრიშაშვილს უსათუოდ რევოლუციონერის როლი ეკუთვნის. ამ მხრივ მისი დამსახურება უდაოა. გრიშაშვილის რითმა, ეპიტეტი და სურათი უაღრესად სრული, ცქრიალა და მომხიბლაობით აღსავსეა. ვინ იფიქრებდა, რომ აკაკის შემდეგ ჩვენს ლიტერატურაში ლექსს კიდევ გამშვენიერება დასჭირდებოდა! შაგრამ გრიშაშვილის ხალასმა ნიჭმა და პოეტური განცდის უნარმა ქართულ ლიტერატურაში დიდი რეფორმატორის როლი ითამაშა. გრიშაშვილის შემდეგ უკვე შეუძლებელი შეიქნა ძველებურად წერა და ქართველმა მკითხველმაც აშკარად იგრძნო, რომ ბევრი ის ლექსი, რომლითაც ის აქამომდე აღტაცებაში მოდიოდა, გარითმული პროზაა და არა პოეტური ქმნილება.

ჩვენი პოეტი დღესაც ენერგიულად მუშაობს სალიტერატურო ასპარეზზე და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი ნიჭი კიდევ ბევრ ძვირფას მარგალიტს შესძენს ჩვენს ლიტერატურას.

ა. შანშიაშვილი

(დაიბადა 1888 წ.)

შანშიაშვილისა და გრიშაშვილის სახელები ტრადიციულად ერთი-მეორესთან არის გადაბმული. როგორც ვიცით, ახლო წარსულში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და ლიტერატურა ორ დიდ ბანაკად იყო გაყოფილი: ერთ მხარეზე უდგენ სოციალ-დემოკრატია და მისი მიმდევარი ფენები და მეორეზე სოციალისტ-ფედერალისტების პარტია. მწერალთა და მგოსანთა ერთი ჯგუფი ერთ ბანაკში იდგა და მეორე—მეორეში. შანშიაშვილი და გრიშაშვილი სოციალისტ-

ფედერალისტების ბანაკში იდგენ და ამნაირად მეორე ჯგუფთან—ევდოშვილის მიმდევრები—სოციალ-დემოკრატიის ბანაკში მდგომთა მიმართ ერთგვარი მტრული განწყობილება ჰქონდათ. ეს ორი პოლიტიკური პარტია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა ერთმანეთშორის. ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობდენ აგრეთვე ორივე ბანაკის მგოსნებიც. როცა ამ ბრძოლას ახლო აკვირდები, ასე გეგონებათ, რომ ხშირად ამ მგოსანთა შორის მაინც სადაო არაფერი უნდა ყოფილიყო. ყოველი მწერალი, თუ ის გულწრფელი შემოქმედია, ღირსია იმისი, რომ ის ცნობილი იქნას, როგორც დე-ფაქტო, ისე დე-იურე,—მაგრამ ჩვენს პირობებში ხშირად ეს არ ყოფილა და ბრძოლაც მახინჯ ფორმებს იღებდა.

ევდოშვილისა და დავითაშვილის მიმდევარი მგოსნები თავისი შემოქმედების საგნებად მხოლოდ სოციალურ საკითხს აღიარებდენ და პროლეტარიატისა და გლეხობის ინტერესებს უგალობდენ. მეორე ბანაკში კი პირველ ადგილზე ეროვნული ჩაგვრის საკითხი იყო დაყენებული. ორივე მხარე შეგნებულად გაურბოდა ისეთ თემებს, რომელსაც მოწინააღმდეგე ბანაკი ეხებოდა. ეს ქმნიდა საშინელ გადაჭარბებას და ცალმხრივობას. მხატვრული შემოქმედება ორივე ბანაკში, ხანდახან მაინც, დღიურ მოვლენებს ეწირებოდა და საჭირო სიღრმე და ობიექტიურობა აკლდა. ბოლოს და ბოლოს ეს გადაჭარბება შენელდა: ორივე მხარე მხატვრულად ისე ამაღლდა და გაღრმავდა, რომ აშკარად დაინახეს თავიანთი შეცდომები, მაგრამ ძველი ტრადიციების მიხედვით ერთმანეთისადმი სიყვარული მაინც არ დამყარებულა.

როდესაც დღეს უკან მოვიხედავთ და ამ ხანას ვაკვირდებით, ჩვენთვის აშკარაა, რომ მგოსანთა ორივე ჯგუფმა უდიდესი სამსახური გაუწია ქართველ ერს და ქართულ მწერლობას.

ევდოშვილის ჯგუფი სოციალური საკითხის გარშემო აკავშირებდა ქართველ ერს, შანშიაშვილ-გრიშაშვილის კი (მათ მიჰყვებოდენ: კ. გამსახურდია, არ. ჭუმბაძე, ფაშალიშვილი, მჭედლიშვილი) მე-19 საუკუნიდან ნაანდერძევ ეროვნულ თვითშეგნებას ემსახურებოდა. იმ ხანაში ორივე ჯგუფს ასე ეგონა, რომ მხოლოდ ის იყო კანონიერი მოვლენა და საქართველოს მხსნელი, მაგრამ ჩვენი განვითარების შემდეგმა საფეხურმა აშკარა ჰყო, რომ ეს ორი ბანაკი ერთ და იმავე საქმეს—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას—ემსახურებოდა და, ამნაირად, მათი შემოქმედების სინთეზი მოხდა: დღევანდელი საქართველო ორ ძირითად ფაქტორის გარშემო დამკვიდრდა: ერთი მხრივ—მოხდა უდიდესი სოციალური გარდაქმნა აგრარული საკითხის გადაჭრითა და სოციალიზმის სფეროში შესვლით და მეორე მხრივ—ქართველმა მშრომელმა მოიპოვა ეროვნული დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

რაც შეეხება შანშიაშვილს, ის ნიჭიერი და ნაყოფიერი მწერალია. მისი სამხატვრო ტილო და შემოქმედების ჰორიზონტი ფართოდაა გაშლილი. თავის ტოლებში იგი ამ მხრივ ყველაზე წინ დგას. შანშიაშვილი პირველი რევოლუციის მიწურულში გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე და ყურადღება მიიპყრო რეაქციის ხანაში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალი პოეზიის შექმნაში და სტილის დახვეწაში. მისი ლექსები გაჟღენთილია გულწრფელის ეროვნული გოდებით. სწერდა აგრეთვე სიყვარულის შესახებ. დაწერილი აქვს რამდენიმე ის-

ტორიული დრამა და პოემა. შანშიაშვილს ჩვენ აქ დაწერილებით ვერ განვიხილავთ: ერთი იმ მოსაზრებით, რომ მას არ ახასიათებს თემათა სიახლე და ორიგინალობა და მეორეც ჩვენი წიგნის გეგმაში ეს არ შედის.

ესევე უნდა ვსთქვათ ჭუმბაძეზე, გამსახურდიაზე, მშედლიშვილზე და სხვებზე. ეჭვი არ არის, რომ ლიტერატურის ისტორიის სისტემატიურ კურსში მათ შესაფერი ადგილი დაეთმობათ, მაგრამ აქ მეტის თქმა არ შეგვიძლია.

ზრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ნიკოლოზ მიწიშვილი და სხვები

I

ეს მწერლები „ცისფერ ყანწელების" ჯგუფს შეადგენენ. უმეტესობა მათგანი სალიტერატურო ასპარეზზე თებერვლის რევოლუციის წინა წლებში გამოვიდა. ყველაზე ადრე გამოსულია გრიგოლ რობაქიძე, რომელიც „ყანწელების" სული და გულია.

ამ ჯგუფმა ახალი სიტყვა სთქვა ქართულ ლიტერატურაში; ახალი და ქართულ მწერლობისათვის სრულიად უჩვეულოა ის იდეიური ნიადაგი, რომელზედაც „ყანწელები" დგანან. ახალია მათი სალიტერატურო ფორმებიც.

ჩვენ განვიხილეთ თითქმის მთელი ქართული ლიტერატურა მე-19-ტე საუკუნიდან მოყოლებული და აშკარად დავრწმუნდით, რომ ყველა ჩვენი მწერალი ერთიანად დამწვარი იყო საზოგადოებრივი საკითხებით. საზოგადოების სამსახური და მისი საჭირბოროტო საკითხები მათი სიცოცხლის მთელ აზრს შეადგენდა, გარეშე ამისა მათ ვერც კი წარმოედგინათ თავიანთი თავი.

„სოფელი იმად არა ღირს,
კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე
ვერა რას არგებს მამულსა",

ამბობდა გრიგოლ ორბელიანი.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს",

ბანს აძლევს ბარათაშვილი.

„დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ქმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,

მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული“.

ღაღადებს ილია ჭავჭავაძე.

აკაკიმ მთელი თავისი გენიალური ნიჭი ერის სამსახურს შესწირა, მისი პოეზიის ყოველი წერტილი საზოგადოებრივი ცეცხლით იწვის. აკაკი ფიცავს:

„გამიქვავდეს მაშინ ენა,
თუ რომ ვისმე მოვეფერო!
და გამიხმეს ეს მაჯრენა,
თუ სიმრუდით სიმთ ვაქლერო.
რა გინდ ბედით ვიყო კრული,
საშინელიც მექნეს ბოლო,
არ შედრკება ჩემი გული,
თუნდა ქვითაც დავიქოლო!
სხვისი ლხინით ხომ ვიხარებ,
თუ რომ ჩემს თავს დავრჩი ავად,
და მაინც არ აღვიარებ
შავს თეთრად და თეთრსა შავად“-ო.

ყველა ამათ მხარს უმშვენებს ვაჟა-ფშაველა:

„გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრკელადა,
ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა“-ო, მღერის იგი.

ეს წმინდა ტრადიციები უცვლელად გამდმოვიდა მეოცე საუკუნის მწერლობაშიც, საზოგადოება და მისი ინტერესები ყველა ქართველი მწერლისათვის ყათაყვანო რამ იყო.

და, აი, ასეთ ატმოსფერაში გამოდის მწერალთა ერთი ჯგუფი—„ცისფერ ყანწელები“,—რომელიც აღიარებს, რომ მას სრულებითაც არ აინტერესებს საზოგადო საკითხები, ხელოვნებას ისე არ დაამცირებს იგი, რომ ამ ქვეყნიურ ინტერესებს ამსახუროს და აღიარებს რა მის თვითმიზნობას,—ხელოვნება ხელოვნებისათვის და არა ცხოვრებისათვის,—მთელ ქართულ ლიტერატურას უარჰყოფს. და მბოღოდ შოთა რუსთაველს უპირებს დანათესავებას.

ეს უსათუოდ ახალი და უჩვეულო სიტყვა იყო ჩვენს ლიტერატურაში.

„ინდივიდუალიზმი, თავისუფლება შემოქმედების, ხელოვნების თვითმიზნობა, რომელსაც დღეს ქადაგებს ეს სკოლა, საქართველოსთვის არ არის ახალი“, სწერს ტიციან ტაბიძე (ჟურ. „ცისფერ ყანწები“, № 2), ჩვენ აქ ვერ შეეედავებით ტაბიძეს იმის შესახებ ახალია თუ არა „ყანწელების“ მრწამსი საქართველოსთვის, ჩვენ დღეს გვაინტერესებს მხოლოდ ამ ჯგუფის დამახასიათებელი პრინციპები. ინდივიდუალიზმი, შემოქმედების თავისუფლება და ხელოვნების თვითმიზნობა,—აი ამ სკოლის საფუძვლები მისივე თეორეთიკოსის თანახმად. ტაბიძეს დავიწყებია კიდევ ერთი ძირითადი საფუძველი--მისტიციზმი,—რომელიც ამ ჯგუფის განუყრელ თვისებას შეადგენს.

აშკარაა, რომ „ყანწელებს“ ჩვენი საზოგადოებრივი საკითხების ასახვას ვერ-სად ვუნახავთ, ისინი შევნებულად გაურბიან ამას და არც ერთი საზოგადოებრივი ჯგუფის, თუ კლასის საარსებო საკითხი მათ არ აინტერესებთ.

ადამიანის, სულის რაობა და მისი მისწრაფებანი მსოფლიოს შესაცნობად, —აი მოკლედ „ყანწელების“ შემოქმედების საგანი. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ძიება სრულებითაც არა წარმოებს ბარათაშვილისებურის გზებით. ბარათაშვილი ამ საკითხებს რეალურ ცხოვრებაზე დაკვირვებით ხსნიდა და იკვლევდა, მისი წინამძღოლი და მანათობელი ვარსკვლავი ამ დროს ადამიანის გონება და დაკვირვებითი ნიჭი იყო.

სულ სხვა გზით ცდილობენ მიზნის მიღწევას „ყანწელები“. გამახვილებული გრძნობა, საიდუმლოების განჭვრეტის უნარი, გარემოს ინტუიტური შეცნობა,—აი რას ეყრდნობიან ეს მწერლები. გონების მუშაობაზე ესენი არაფერ იმედებს არ ამყარებენ, თავი და ბოლო გრძნობა და გამახვილებული ნერვებია. ამ მხრივ ეს მიმართულება ენათესავება ძველ სანტიმენტალიზმს და რომანტიზმს. დიდი ნათესაობა აქვს აგრეთვე რელიგიურ ეკზალტაციასთან და ყოველგვარ ბუნდოვან, ზებუნებრივ და მისტიურთან.

ჩვენი „ყანწელები“ სრულებითაც არ წარმოადგენენ, სახოგადოდ, ახალ და ორიგინალურ მოვლენას. ის მიმართულება, რომელსაც ისინი აღიარებენ, ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ბურჟუაზიულ ევროპაში წარმოიშვა, შემდეგ რუსეთში გადმოვიდა და ბოლოს ჩვენამდეც მოაღწია. მისი სახელია სიმბოლიზმი. იგი წარმოიშვა განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში, სახელდობრ ბურჟუაზიული კლასის კრიზისისა და დაცემის დროს. სიმბოლიზმი ერთგვარი ავადმყოფური სულიერი განწყობილების ნაყოფია, მის თეორეტიულ სარჩულს იდეალიზმი და მეტაფიზიკა შეადგენს. იგი პირქვე დაქანებული კლასის ფილოსოფიაა. როდესაც ბურჟუაზია ახალგაზრდა, აღმავალი კლასი იყო, მისთვის უცნობი იყო ამგვარი რაიმე, მისი დასაყრდნობი იდეოლოგია მაშინ მებრძოლი მატერიალიზმი იყო, ხოლო სიბერისა და ძალთა დაცემის ხანაში მისტიკას და ოცნებას მიჰყო ხელი არა სასურველ აწმყოს დასავიწყებლად.

საზოგადოებრივი ნიადაგი ამ მიმართულებისათვის ჩვენში ძალიან ნაკლები იყო, მაგრამ პოლიტიკური რეაქციის წყალობით—მსოფლიო ომის საშინელებანი, ვარანკოვ-დაშკოვის მძვინვარება და საერთო ათწლოვანი რეაქცია,—ინტელიგენციის ზოგიერთ ფენებში მაინც მოიკიდა მან ფეხი და ჩვენს ლიტერატურაშიც განსაზღვრული ადგილი დაიჭირა.

ისტორიამ იცის ისეთი სულიერი განწყობილებანი, რომელნიც რეაქციონურ პირობებში ჩასახულან და თანაც რეაქციონური ყოფილა, მაგრამ სხვა პირობებში ეს რეაქციონური მოვლენა პროგრესიულად გადაქცეულა. რომანტიზმი, მაგალითად, საფრანგეთის რევოლუციის პროცესში რეაქციონურად განწყობილ წრეებში წარმოიშვა და განვითარდა (მიმართულება დაიწყო რევოლუციის მიერ სამშობლოდან განდევნილმა შატობრიანმა), მაგრამ როგორც ლიტერატურული ფორმა რევოლუციონური გამოდგა. მისი მესვეურები რეაქციის გამაგრებას ეტრფოდენ და სინამდვილეში კი ერთის მხრივ ოევოლუციონერები გამოდგენ, „დრონი მეფობენ და არა მეფენი“.

რამდენადმე მაინც ასეთია ჩვენი სიმბოლისტების ბედი. მართალია, ისინი პირადად აშკარა რეაქციონერები არ იყვნენ, მაგრამ პოეზიაში საზოგადოებრივი საკითხები მაინც ჭირივით ეზარებოდათ. მიუხედავად ამისა, მათმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ უსათუოდ დადებითი როლი ითამაშა. ჩვენ სახეში გვაქვს ის სტილისტიური მუშაობა და, საზოგადოდ, ხელოვნური კულტურის ამაღლება, რომელიც ამ ჯგუფმა მოახდინა. სიმბოლიზმი უპირველეს ყოვლისა სილამაზისა და შემოქმედებითი წვის თაყვანის მცემელია. მართალია, ლექსის სილამაზის მხრივ „ყანწელები" აბაშელს და გრიშაშვილს მაინცა და მაინც ვერ გაუტოლდებიან, მაგრამ ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ მათ დიდი სტილისტიური მუშაობა გასწიეს: ლიტერატურული აზროვნება გაამძაფრეს და, საზოგადოდ, დიდად შეუწყვეს ხელი ჩვენი ლიტერატურის ხელოვნური კულტურის ამაღლებას. ახალი სიტყვები, ახალი სახეები, ახალი რითმა.

II

დასასრულ ზოგადად მაინც გავეცნოთ „ყანწელების" ლიტერატურულ ფიზიონომიას.

„ბოროტ ღამეში მეკრძალება ხიდზე გარება.
როცა მივდივარ, დამიძახებს ბნელი ხმით წყალი.
ჩემი აჩრდილი, როგორც ქურდი, მომეპარება
რომ გადამაგდოს შავ ტალღებში შორს მიმავალი.
აზვირთდებიან ჩემს თვალის წინ მკაცრი ლომები
გზის დარაჯები, ხიდს აბნელებს მათი ფაფარი.
ფერდაკარგული მოჩვენებებს შეევომები,
იქნება წყალი ერთად ერთი თავშესაფარი.
ამოვა წყლიდან ოფელია ზღვის ძაღლზე მჯდომი,
მისი ღიმია სხვანაირი და სანეტარო.
უსიტყვო მღერით დამატყვევებს უცხო ფანტომი,
მაგრამ შორს ჩემგან, დამღუპაო ნაზო მხედარო.
სასტიკი ბედი აივსება ჩემ ჩრდილთა ჯარით,
სულს გააშავებს სამუდამოდ მათი კრებული.
შეებრძოლები ასეულებს მეტი სიმწარით
და წრეს ჯადოსნურს თავს დავაღწევ გაგიჟებული.
მე თავშიშველი, დახეული, მკრთალი, ღამური
მივალ ბინაზე და დავწვები პირჯვარის წერით.
ჩემს ოცნებისთვის ის ხიდია თვით წინამური
და ის აჩრდილნი მაწამებენ თავის შეცქერით".

ეს ლექსი ეკოთენის ერთ-ერთ საუკეთესო „ყანწელს" ვ. გაფრინდაშვილს. ნერვიული ცახცახი, პიროვნების სრული უძლურება, შიში და თრთოლვა რაღაც შეუცნობელ ძალთა წინაშე და ბოლოს რელიგიური მისტიციზმი,—აი რა გამოსჩვივის ამ ლექსში, რომელიც თითქმის ერთიანად ახასიათებს მთელ მიმართულებას.

ასეთივე ხასიათისაა ტიციან ტაბიძის ნაწყვეტი:

„და მე ხანდისხან მეჩვენება, ვითომ სამყარო
ბალია დიდი, დაწყევლილი და შხამიანი,
მძიმე მხედარნი, შუბლ შეკრული და უაბჯარო,
მოქრიან რემბო, ერედია, ემილ ვერჰარნი.
თითქო შე:ცდომით შემიყვანა ვიღამაც ბაღში.
და შიშით ვხედავ გიგანტის ჩრდილს, მიმფრინავ მხედარს.
ულონო, სუსტი ავტირდები პატარა ბავში
და თან მრცხვენია, ვიხედები, ხომ არვინ მხედავს!..
როგორ აბრუებს დამწველ შხამით ყვავილები სულს,
თითქო მორბიან გიჟი რბენით აქ კენტაურები“.

პოეტს არა აქვს საკუთარი ნებისყოფა, მის ბედს ვიღაც სხვა განაგებს, „ვინ მომიყვანა, ვინ შემიშვა ამ ბაღში ბავში“-ო, ტირის იგი. რასაკვირველია, ასეთი პიროვნება, რომელსაც თავისი თავი არ სწამს და გარეშე ძალთა წინაშე ცახცახებს, საზოგადოებრივ უკულმართობას სრულებითაც ვერ შეებრძოლება და სრული აპატია უნდა იქადაგოს. საზოგადოდ, სიმბოლიზმი პიროვნების სრულ უძლურებაზეა აგებული და ადამიანის სულსა და გულში უგზო-უკვლო ხეტიალით ცდილობს თავდავიწყებას. სიმბოლიზმში ყველგან მძლავრად გამოჩანს ძველი ბერძნების ბედისწერა, რომელიც ინდივიდის ყოველგვარ მისწრაფებას საზღვრად ედება და სპობს. ეს სასიკვდილოდ განწირულთა პსიქოლოგიაა.

მართალია, „ყანწელებს“ მათი მსოფლმხედველობის მატარებელი ტიპი არ დაუსურათებიათ, მაგრამ თვითონ მათი ლირიკული ნაწერები ერთგვარი „ადამიანური დოკუმენტებია“ მათივე სულისკვეთების გასაგებად. თვითონ მათი სახით ჩვენს სინამდვილეს მოეპოვება უნებისყოფო და ხელებ ძირს დაშვებული ტიპები, რომელნიც ხელოვნურად გაურბიან მათთვის არასასურველ სინამდვილეს და გრძნობელობით ცდილობენ გულის დაამშვიდებას და პირადი ბედნიერების მოპოვებას.

„ყანწელების“ ჯგუფიდან ყველაზე სიმპატიური პოეტია პაოლო იაშვილი, რომლის ლექსებში უხვად სცემს მოშხიბლავ სინამდვილის ტალღები. მაგრამ ეს პოეტი ყველაზე უდიერად ეპყრობა თავის ნიჭს. მან თავისი ლექსების კრებულიც კი ვერ გამოსცა. გრიგოლ რობაქიძე, რომელიც ამ ჯგუფის ცენტრალური ფიგურაა, შესანიშნავ სტილისტად ითვლება. მასში სჭარბობს ჩამოსხმული სახეები და პლასტიურობა, თუმც უნდა ითქვას, რომ მისი შემოქმედება ერთობ ციეია და უფრო მეტად ნაზრევია, ვინემ განცდილი. ბოლო წლებში ის გახდა გერმანულ ექსპრესიონიზმის მიმდევრად. უფრო დაწვრილებით მის შესახებ აქ ვერ ვილაპარაკებთ ჩვენ მიერ მიღებული გეგმის გამო.

სიმბოლისტებს ემხრობოდა ერთ ხანს გალაქტიონ ტაბიძეც. დრამატურგ ტრ. რამიშვილს აქვს დაწერილი სიმბოლისტური პიესა „საბედისწერო დამბაჩა“. ლეო ქიაჩელსაც ბევრი რამ ანათესავებს მათთან, მისი პატარა მოთხრობების გმირებიც შეუცნობელ ძალთა წინაშე თრთიან და მისტიციზმში ვარდებიან.

ამნაირად, პირველი რევოლუციის მომდევნო რეაქციის ხანაში ჩვენს ლიტერატურას ახასიათებდა ორი ძირითადი მომენტი: თავგამოდებული ბრძოლა ქვეყნის განვითარების და პროგრესის შემხუთველ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ რეაქციასთან და მეორე მხრივ--სრული აპოლიტიზმი,--ბრძოლაზე ხელის აღება და საზოგადოებრივ საკითხებისათვის ზურგის შექცევა, რაც მიმდინარეობდა ორი ხაზით: სრული უდარდელობით, სიცილით და კისკისით გრიშაშვილის სახით და—შიშით, ნევრასტენიით და სულის ხვეულებში უგზო-უკვლოდ ხეტიალით, რაც აგრე ახასიათებს სიმბოლისტებს.

სამივე ეს მიმართულება სრულიად კანონიერი მოვლენა იყო ჩვენს სინამდვილეში და არსებითად ეგუებოდა საზოგადოების სხვადასხვა ფენების სულიერ განწყობილებას. ყველაზე ძლიერი პირველი ხასიათის—ბრძოლის,—სულის მატარებელი მიმართულება იყო. მას გაფაციცებით უსმენდა ქართველი ერის მშრომელი და ცხოველმყოფელი ნაწილი, რომელიც გმირულად იდგა ცხრაას ხუთი წლის პოზიციებზე და ყოველ წამს იმაზე ფიქრობდა, რომ თავი გაეთავისუფლებია სულის შემხუთავ რეაქციისაგან. ყველაზე სუსტი იყო „ყანწელების“ ჯგუფი, რომელსაც სრულებით არაფერი გავლენა არ ჰქონია ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

დავასრულეთ ქართული ლიტერატურის თემატიური განხილვა ჩვენ მიერ ნავარაუდევი გეგმის მიხედვით. მთელი ლიტერატურა ჩვენ ექვს განყოფილებაში მოვათავსეთ. მასთან უკანასკნელ განყოფილებაში რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის თემას შევეხეთ. შეიძლება ჩვენი გეგმა ერთობ სქემატიურად ეჩვენოს მკითხველს და ჩვენს ლიტერატურაში კიდევ მრავალი თემა აღმოაჩინოს. ამ უკანასკნელ აზრში—თემათა სიმრავლეში—მე მას არ შევედავები,—ქართული ლიტერატურა, მართლაც, არც ისე ღარიბია, რომ მარტო ამ ფარგლებში იშლებოდეს; მაგ. შეიძლება ასეთი თემებიც იქნას: გაევროპიელების პროცესის ასახვა ქართული ლიტერატურის მიერ, ბუნება და ადამიანი, სხვადასხვა კუთხის ზნე-ჩვეულებანი, წოდებათა შორის არსებული ურთიერთობა და სხვ. დიახ, თემები მრავალგვარი შეიძლება იქნეს, მაგრამ ამ თემებს ძირითადი და ლიტერატურის მამოძრავებელი ხასიათი არ ექნება. ქართული ლიტერატურა განხილულ პერიოდში ჩვენი დაკვირვებით სწორედ იმ მთავარ კალაპოტში მიმდინარეობდა, რომელიც ჩვენს წიგნშია ნაჩვენები.

დასკვნა

ჩვენ ზოგადად განვიხილეთ ქართული ლიტერატურის მამოძრავებელი საკითხები მეცხრამეტე საუკუნიდან თებერვლის რევოლუციამდე. გავიცანით აგრეთვე ის კონკრეტი ისტორიული პირობები, რომელშიც ჩაისახა და განვითარდა ჩვენი ლიტერატურის მიერ მხატვრულად ასახული თვითეული საკითხი.

რა ახასიათებს ამ ლიტერატურას?

უპირველეს ყოვლისა იგი არის მთელი საქართველოს გრძნობათა და ფიქრთა უტყუარი გამომხატველი. გაევროპიელების გზაზე შემდგარ საქართველოში არ ყოფილა ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენს ლიტერატურას არ აღებეჭდოს, არ ყოფილა ისეთი აზრი, რომელიც სარკესავით არ ეჩვენებინოს მას. მთელი საუკუნის განმავლობაში მარტო აქ, მშობლიურ ლიტერატურაში, ჩანდა ჩვენი ერის შემოქმედება. ჩვენ ამ ხანაში არ გვქონია ეროვნული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, არ გაგვაჩნდა უბრალო თვითმართველობის ორგანოებიც კი, საზოგადოებრივ ძალთა თვითმოქმედება მოსპობილი იყო, უმაღლესი განათლების მიღებაც უცხო ხილი იყო ჩვენთვის და მხოლოდ ლიტერატურულ შემოქმედებაში გვქონდა ოდნავი თავისუფლება, მხოლოდ აქ შეგვეძლო ასე თუ ისე ჩვენი გულის ნადების გამოთქმა: თვითმპყრობელობა მხოლოდ ამას იმეტებდა ჩვენთვის.

მართალი უნდა ითქვას, რომ ამ ყოველ მხრივ დამუხრუჭებულმა პატარა ერმა, რომელსაც საშინელი დენაციონალიზაციით ემუქრებოდეს, უსათუოდ შესძლო საკუთარი ფიზიონომიის გამოჩენა და აშკარად დაამტკიცა, რომ მას აქვს შემოქმედების უნარი, შეუძლია საკუთარი ინდივიდუალობის დაცვით ევროპის გზაზე შედგომა და მისი მოსპობა, ან გადაგვარება არავის არ ძალუძს. რუსეთთან შეერთების დროს ნახევარი მილიონი ძლივს ვიყავით,—ულმობელნი მტრებმა თითქმის ერთიანად გაგვანადგურეს ფიზიკურად,—მაგრამ მოხდა სასწაული და ახალ პირობებში მოყოლილი საქართველო საშინელი სისწრაფით გამრავლდა და მისი კულტურულ-სულიერი სიძლიერეც თანთათან დასანახი შეიქნა. გრიგოლ ორბელიანის სიტყვით რომ ვსთქვათ: „ივერია ფენიქსებურად განახლდა“. ამბ. ფილიპე მახარაძის სიტყვით „მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საკუთრად ქართველების რიცხვი მთელ საქართველოში უდრიდა დაახლოებით 380 ათას სულს“. (ასე მოსპეს მტრებმა თამარ მეფის დროის რვა მილიონიანი ერი! ვ. ხ.). მაგრამ ჩავარდა თუ არა საქართველო ახალ პირობებში, მან საშინელი სისწრაფით იწყო გამრავლება: 1835 წელს იყო 432.000 სული, 1865 წ. —852.319, 1886—1.261.701. ამ ციფრების მოყვანის შემდეგ ამბ. ფ. მახარაძე სწერს: „თუ ვიანგარიშებთ, რომ ქართველი ხალხის წლიური მატება 3.76% იყო, 13 წლის განმავლობაში მას უნდა მომატებოდა დაახლოებით 250 ათასი

სული. ეს რიცხვი უნდა მიემატოს 1.271.701 და 1894 წლისთვის მიეიღებთ 1.511.701". მეორე გამოანგარიშებით ეს რიცხვი 1.524.859 სულამდე ადის. „მაშასადამე ქართველი ხალხის რიცხვი მე-19 საუკ. განმავლობაში ოთხჯერ მეტი გამხდარა, მოუმატია 301.58%, რაც მეტად იშვიათი მოვლენაა ხალხთა გამრავლების ისტორიაში. მაგ. ევროპის მცხოვრებთა რიცხვი იმავე ხნის განმავლობაში ძლივს ორჯერ მეტი გახდა" (ფ, მახარაძე, ჟურ. „მნათობი" № 2, 1926 წ.). ამ ცნობებს ჩვენის მხრით დავსძენთ, რომ თუ ყოველი ცამეტი წლის განმავლობაში ქართველობა მეოთხედი მილიონით იზრდებოდა, 1899 წლიდან დღევანდლამდე ნახევარი მილიონით კიდევ გაიზრდებოდა, ასე რომ დღეს მისი რიცხვი ორი მილიონი იქნება*).

რისთვის მოვიყვანეთ ეს ციფრები? იმისთვის, რომ აშკარად დაგვენახვებინა, თუ რამდენი შინაგანი ფიზიკური ძალა აღმოაჩნდა ქართველებს, რომლის ბიოლოგიური გამძლეობა არა თუ დაიშრიტა ხანგრძლივ ისტორიულ გზაზე, არამედ ისე გამძაფრდა, რომ ოდნავ ხელსაყრელ პირობებში კულტურულ და მკვიდრ გამრავლების მხრივ ევროპის ერებს ორჯელ გადააჭარბა.

ასეთი საკვირველი სახის არის მისი სულიერი შემოქმედების სიძლიერეც ამ ეპოქაში. რუსეთის თვითმპყრობელობამ საქართველოს ყველა კარები დაუკეტა, მაგრამ მას იმდენი სასიცოცხლო უნარი აღმოაჩნდა, რომ სრულიად შეუმჩნეველად „საკუთარი პარლამენტი" შექმნა ლიტერატურის სახით და თავისი გულის ნადები აქ გამოამეღავნა.

მართალია, ძველ საქართველოს დიდი ლიტერატურული ტრადიციები ჰქონდა,—შოთა რუსთაველის ეპოქა წარმტაც მწვერვალად გადმოჰყურებდა მას, მაგრამ ძველად ლიტერატურა არ იყო მასიური ცხოვრების პროგრესის ფაქტორი, ასეთად იგი მე-19 საუკ. მეორე ნახევარში გადაიქცა. იმ დროს საქართველომ ყველა ხრმლები ქარქაშებში ჩააგო და, ამნაირად, თავდაცვის ძველი იარაღები განზე გადადო, მათ მაგიერ ახალი იარაღი—ლიტერატურა მოიმარჯვა და უნდა ითქვას, რომ ხრმალზე ნაკლებად არც ეს საშუალება მოუხმარია მას. ამ იარაღით დაცული საქართველო ახალი ენერგიით მიეგება მეოცე საუკუნის რევოლუციებს.

მეორე დამახასიათებელი თვისება, რომელიც ახლავს ჩვენს ლიტერატურას, ეს მისი დამოუკიდებელი სული და სულის ინდივიდუალობით აღბეჭდილი გზა არის.

ჩვენი ლიტერატურა არ ყოფილა დიდი ერების ლიტერატურის ისეთნაირი შიმბაძავი, რომ თავის თავი არ ხსომებოდეს და ეროვნული სპეციფიურობა დაჰკარგოდეს. ქართული ლიტერატურა უპირველესად წმინდა ქართული ხასიათის

*) როგორც სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მიერ გამოქვეყნებულ ცნობებიდან ჩანს, 1926 წლის აღწერით საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა უდრის 2.641.387 სულს. ამ რიცხვში შედიან არაქართველებიც, 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით 1926 წლისათვის არაქართველთა მოსახლეობა საქართველოში იქნებოდა 687000. მაშასადამე ქართველთა რიცხვი უდრის 1,954,87 სულს. ამ რიცხვში, ცხადია, არ შედის საქართველოს ტერიტორიის გარეშე მცხოვრები ქართველობა.

იყო და მუდამ იმ საკითხებს აშუქებდა, რაც საქართველოს შინაურ ცხოვრებაში წამოიჭრებოდა. ჩვენი ლიტერატურა საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდა. ბელინსკი ამტკიცებდა, რომ რუსეთის ლიტერატურა პუშკინამდე ნათარგმნია, მიმბაძველობითია, ეროვნული ფიზიონომია არა აქვს და მხოლოდ პუშკინმა გააეროვნა ისაო. ვერაფერ ამის მაგვარს ქართულ ლიტერატურაზე ვერ ვიტყვით. მართალია, მე-19 საუკუნის დასაწყისში იყო სპარსული გავლენა, (ალ. ჭავჭავაძე), მერე რუსულიც (60 და 80 წ. წ.), მაგრამ ქართული ლიტერატურა უცხოთაგან მარტო ზოგიერთ ფორმებს თუ სესხულობდა და ისიც ხანდახან, შინაარსით კი იგი მხოლოდ და მხოლოდ ქართული იყო. დამოუკიდებელი ქართული აზრი და გრძნობა—აი ქართველი ერის ლიტერატურული შემოქმედება ჩვენ მიერ განხილულ ხანაში, რისი მიზეზი ძველი კულტურა და დიდი ისტორიული წარსულია.

ქართველ მწერალს, რომელი წრიდანაც არ უნდა ყოფილიყო იგი, არაოდეს არ დავიწყებია თავისი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხები! არისტოკრატი გრიგოლ ორბელიანიც ისე წუხდა თავის ქვეყნის ბედზე, როგორც დემოკრატი ნინოშვილი. მართალია, მათი მიდგომა და საზოგადოებრივი საკითხების გაგება სხვადასხვა გვარის იყო, მაგრამ ის კი უტყუარი ფაქტია, რომ ორივეს აზრი საქართველოს სვებედის გარშემო ტრიალებდა. სამშობლო და მისი ინტერესები, ხალხი და მისი ცხოვრების უკეთეს პირობებში ჩაყენება—აი, ის ცხოველმყოფელი აზრები, რომელიც ყოველ წუთს ახსოვდა ქართველ მწერალს. ხელოვნება მან ხალხის სასამსახურად გადააქცია და უდიდესი კეთილშობილური იდეალები დაუსახა მას. ხელოვნების თვითმიზნობის იდეას არაოდეს ადგილი არ ჰქონია ჩვენში („ყანწელების" გამოკლებით).

ჩვენი ლიტერატურის მესამე თვისება იმაში მდგომარეობს, რომ იგი სრულებით არ ჩაკეტილა მარტო ეიწრო ნაციონალურ ფარგლებში, არ დარჩენილა მარტო ეთნოგრაფიულობის საზღვრებში და ერისათვის საჭირბოროტო საკითხების გვერდით მსოფლიო მნიშვნელობის თემებსაც მოჰკიდა ხელი.

საკუთარი აზრის სიღრმე და სისრულე ქართულმა ლიტერატურამ პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში გადმოშალა. ილიას „განდეგილიც" წარმტაც ფეიერვერკად მიიჩრა მსოფლიო ლიტერატურის პანთეონისკენ. ხოლო რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, იგი რომელიმე ევროპიული დიდი ერის ლიტეოატურაშიც კი ფრიად საპატიო ადგილს დაიკერდა. არტურ ლეისტის სიტყვით, ევროპას ბოლო ხანებში ვაჟა-ფშაველაზე ძლიერი მთის პოეტი არ ჰყოლია.

დიახ, ასეთია ჩვენი დიდი მგოსანი, მაგრამ უალრესად თანადროული და მთელი თანამედროვე ეპოქის მამოძრავებელი იდეები ჭოლა ლომთათიძესავით არავის გადმოუშლია. ინტერნაციონალიზმი და მუშათა კლასის წიაღში აღმოცენებული კოლექტივიზმის იდეა,—აი ორი ძირითადი ხაზი, რომლის მიხედვით მიიმართება მთელი ჩვენი ეპოქა და ჭოლა ლომთათიძემაც შესანიშნავად დაგვესურათა ეს. მისი მოთხრობები „ჩემი დღიურიდან" და „სახრჩობელას წინაშე" შესანიშნავი ქმნილებანია ამ მიმართულებით. ჩვენი ერის მომავალი განვითარება სწორეთ ამ გეზით მიდის და ჩვენმა ლიტერატურამაც აქ უნდა გაშალოს სამხატვრო ტილო.

აი, ამ სახით წარმოდგა ქართველი ერი და მისი ლიტერატურა ოქტომ-ბრის რევოლუციის გარიჟრაჟზე. აი ის კულტურული შემოქმედება, რომლითაც იგი ამაყად დგას მთელი მსოფლიოს განახლების ჟამს.

მეტად ძნელი იყო მისი ისტორიული გზა, ვინ არ გადაეღობა მას, ვის არ აღუმართავს მის მოსასპობად ხრმალი, ბევრჯელ, მართლაც, დაღუპვის კარს მისულა იგი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყოველგვარ დაბრკოლებისთვის და-ულწევია მას თავი და დღეს მამაცად უდგას მთელ მსოფლიოს პირისპირ. ქარ-თველი ერი დღეს საკუთარი ფიზიონომიის მატარებელია, საკუთარი სახელმწი-ფო ორგანიზაცია აქვს და დამოუკიდებელ სულიერ შემოქმედებას ეწევა.

დღევანდელი საქართველო არ ჰგავს ძველ საქართველოს. გათავდა ქონებ-რივად ძლიერთა ბატონობის ხანა. ოქტომბრის რევოლუციამ ეროვნული ცხოვ-რების საქმე მუშათა კლასს გადასცა. დაიწყო ჯერ უნახავი ეპოქა. ჩქეფს ახალი ენერგია, ახალი გრძნობა და აზრი. იწყება ახალი შემოქმედებითი მუშაობა... სო-ციალიზმის გარიჟრაჟმა უკვე გაანათა ცის კაბადონი.

ჩვენი ლიტერატურაც კიდევ უფრო მაღლა ასწევს ბრძოლებში დაცხ-რილულ სასახელო დროშებს. ის მუდამ ერის საუკეთესო იდეალების მატარებე-ლი ყოფილა და ასე იქნება შემდეგშიაც. სახელოვანია მისი ტრადიციები და სახელოვანი იქნება მომავალიც...

1926 წ. მარტი—ივნისი.

შინაარსი

83·

1. წინასიტყვაობა. 3

განყოფილება პირველი:

2. ეროვნული საკითხი. 7
   ა) ალექს. ჭავჭავაძე. 15
   ბ) გრიგოლ ორბელიანი 20
   გ) ნ. ბარათაშვილი 23
   დ) ვახტ. ორბელიანი 26
   ე) გ. ერისთავი 30
   ვ) რაფ. ერისთავი 31
   ზ) ილია ჭავჭავაძე 32
   თ) აკაკი წერეთელი 38
   ი) ალექს. ყაზბეგი 50
   კ) ჭოლა ლომთათიძე 54

ეროვნულ საკითხზე სწერდენ აგრეთვე: მამია გურიელი, ანტ. ფურცელაძე, ვაჟა ფშაველა, გ. წერეთელი, გრ. აბაშიძე, ევდოშვილი, ე. ბარნოვი, შანშიაშვილი. გრიშაშვილი, ფაშალიშვილი; შეედლიშვილი და სხვ.

განყოფილება მეორე:

3. ბატონ-ყმობა. 59
   ა) გიორგი ერისთავი 60
   ბ) დანიელ ჭონქაძე 63
   გ) ილია ჭავჭავაძე. 68
   დ) აკაკი წერეთელი 76

ბატონ-ყმობაზე სწერდენ აგრეთვე: ანტ. ფურცელაძე, გ. წერეთელი და ნინოშვილი.

განყოფილება მესამე:

4. ბურჟუაზიული ურთიერთობა 83
   ა) გიორ. ერისთავი 84

ბ) დ. ჭონქაძე . 85
გ) ლავრენტი არდაზიანი 86
დ) გიორ. წერეთელი 87
ე) ე. ნინოშვილი 90

ბურჟუაზიულ ურთიერთობაზე სწერდენ: ცაგარელი, შ. არაგვისპირელი, ლალიონი და აზიანი.

განყოფილება მეოთხე:

5. წოდებათა დაქსაქსვა და მშრომელი გლეხობის საკითხი. 95
ა) გ. წერეთელი . 97
ბ) ნინოშვილი კგ. 98
გ) დავ. კლდიაშვილი 100
დ) ნიკ. ლორთქიფანიძე 102
ე) რაფ. ერისთავი 104
ვ) ს. მგალობლიშვილი 106
ზ) ნ. ლომაური 107
თ) აკაკი წერეთელი 108

ამავე საკითხებზე სწერდენ: ანტ. ფურცელაძე, ნინოშვილი, ი. გედევანიშვილი, ქიაჩელი, არაგვისპირელი, მალაქიაშვილი.

6. რამდენიმე დასკვნა და მომავლის პერსპექტივები 11[illegible]

განყოფილება მეხუთე:

7. მუშათა მოძრაობა 125
ა) ი. დავითაშვილი 128
ბ) ი. ევდოშვილი 133
გ) ვ. რუხაძე 141
დ) ნ. ზომლეთელი 145
ე) იასამანი 146
ვ) გ. ქუჩიშვილი. 149
ზ) ნ. ჩხიკვაძე 152
თ) ს. აბაშელი 156
ი) ობოლი მუშა. 159
კ) ბაბილინა 160
ლ) ვ. ტუქსიშვილი 161
მ) აბოსპირელი . 161
ნ) დ. თურდოსპირელი. 162
ო) ე. ნინოშვილი 164
პ) დ. მეგრელი . 165
ჟ) შ. არაგვისპირელი 165

რ) ი. ეკალაძე 166
ს) ირეთელი 169
ტ) ტრ. რამიშვილი 169
უ) ნარ-კანი 170
ფ) ი. გომართელი 170
ქ) ლალიონი 170
ღ) ვ. ბარნოვი 170
ყ) ზოტიკე 171
შ) შ. დადიანი 171
ჩ) ი. ნიკოლაიშვილი 171
ც) კ. მაყაშვილი. 172
ძ) ნ. ნაკაშიძე 172
წ) ჭ. ლომთათიძე.

ამავე საკითხეზე სწერდენ: მალაქიაშვილი, დ. სულიაშვილი (ლიხელი), ი. თლუღელი, პართენაშვილი, გოგოლაძე, მეჩონგურე, ს. რემონიძე, ილია რუხაძე და სხვ.

ბანყოფილება მეექვსე:

8. ზოგადი საკითხები 177
ა) ნ. ბარათაშვილი 179
ბ) ილ. ჭავჭავაძე 188
გ) ვაჟა-ფშაველა 192
დ) შ. არაგვისპირელი 202
ე) ჭ. ლომთათიძე 203
ვ) ან. ერ. ხოშტარია 206
ზ) ლ. ქიაჩელი 206
თ) ი. გედევანიშვილი 206
ი) გალ. ტაბიძე 207
კ) ი. გრიშაშვილი 208
ლ) ნ. შიუკაშვილი 208
მ) შანშიაშვილი 211
ნ) „ყანწელები“ (სიმბოლისტები): გ. რობაქიძე, პ. იაშვილი, გაფრინდაშვილი, ტიც. ტაბიძე, ნიკო მიწიშვილი და სხვ. 213
9. დასკვნა 219

რომელი მწერალი რა თემაზე სწერდა.

		გვ.
1.	**აბაშელი ს.**—მუშათა მოძრ.	156
2.	**აბაშიძე გრიგ.**—ეროვნულ საკით.	54
3.	**ადამაშვილი-ჯავახიშვილი** მუშათა საკით.	171
4.	**აზიანი ნ.**—ბურჟუაზიულ ურთიერთ.	91
5.	**არაგვისპირელი შ.** ა) ბურჟუაზ. ურთ.	91
	ბ) განყენებულ საკით.	202
6.	**არდაზიანი დ.**—ბურჟუაზიულ ურთიერთ.	86
7.	**ახოსპირელი ბ.**—მუშათა მოძრ.	161
8.	**ბაბილინა** „ „	160
9.	**ხარათაშვილი ნ.**—ა)ეროვნულ საკით.	23
	ბ) განყენებულ საკით.	179
10.	**ბარნოვი ვ.**—ა) ეროვნულ საკით.	53
	ბ) მუშათა მოძრ.	170
11.	**გაბაშვილი**—განყინებ საკ.	210
12.	**გამსახურდია** ეროვნულ საკ.	212
13.	**გაფრინდაშვილი ვ.** განყენებულ საკ.	213
14.	**გედევანიშვილი ი.**—გლეხ. საკ.	206
15.	**გოგოლაძე კ.**—მუშათა მოძრ.	163
16.	**გომართელი ივ.** „ „	170
17.	**გრიშაშვილი ი.**—განყ. საკ.	208
18.	**გურიელი მ.**—ეროვ. საკ.	53
19.	**დადიანი შ.**—მუშ. მოძრ.	171
20.	**დავითაშვილი ი.**——მუშათა მოძრ.	128
21.	**ევდოშვილი ირ.**—ა) ეროვნულ საკით.	54
	ბ) მუშათა მოძრ.	133
22.	**ეკალაძე ი.**—მუშათა მოძრ.	166
23.	**ერისთავი გიორ.**—ა) ეროვნულ საკ.	30
	ბ) ბატონყმობაზე,	60
	გ) ბურჟუაზიულ ურთიერთ.	84
24.	**ერისთავი რაფ.**—ა) ეროვნული საკითხ.	30
	ბ) გლეხთა საკით.,	104
25.	**ერისთავ-ხოშტარიასი ან.**—ა) წოდებათა დაქს.	99
	ბ) განყენებულ საკ.	206

26. ვაჟა-ფშაველა — ა) ეროვნულ საკ. 54
ბ) განყ. საკით. 192
27. ვარდოშვილი — მუშათა საკით. 163
28. ზომლეთელი ნ. — მუშათა საკით. 145
29. ზოტიკე „ „ 171
30. თლუღელი „ 176
31. თურდოსპირელი დ. „ 166
32. იასამანი — „ „ 146
33. იაშვილია პ. — განყენებ. საკით. 213
34. ირეთელი პ. — მუშათა მოძრ. 169
35. კლდიაშვილი დ. — წოდებათა დაქსაქს. 100
36. ლალიონი — ა) ბურჟუაზიულ ურთ. 91
ბ) გლეხთა საკით. 170
37. ლომაური ნ. — გლეხთა საკ. 107
38. ლომთათიძე ჭოლა — ა) ეროვნულ საკ. 54
ბ) მუშ. მოძრ. 172
გ) განყ. საკით. 203
39. ლორთქიფანიძე ნიკ. — წოდებათა დაქსაქს. 102
40. მაყაშვილი კ. 172
41. მალაქიაშვილი ვ. — ა) გლეხთა საკ. 110
ბ) მუშათა მოძრ. 176
42. მგალობლიშვილი ს. — გლეხთა საკ 106
43. მიწიშვილი ნ. 212
44. მეგრელი დ. — მუშათა მოძრ. 165
45. მეჩონგურე „ „ 163
46. მჭედლიშვილი — ეროვნულ საკ. 212
47. ნაკაშიძე ნ. — მუშათა მოძრ. 172
48. ნარ-კანი „ „ 170
49. ნიკოლაიშვილი ნ. — მუშ. მოძრ. 171
50. ნინოშვილი ეგ. — ა) წოდებათა დაქსექს. 98
ბ) ბურჟუაზიულ ურთ. 90
გ) მუშათა მოძრ. 164
51. ობოლი მუშა 159
52. ორბელიანი გრ. — ეროვნულ საკითხზე. 20
53. ორბელიანი ვ. — ეროვნულ საკ. 26
54. ორბელიანი ალექს. „ „ 62
55. პართენაშვილი — მუშ. მოძრ. 176
56. რამიშვილი ტრ. 169
57. რობაქიძე გრ. 47
58. რუხაძე ვ. — მუშათა მოძრ. 141
59. „ ილია „ 176
60. რემონიძე ს. „ 176

61. **ტაბიძე გალ.**—განყ. საკით. 207
62. **ტაბიძე ტიც.** „ 213
63. **ტუქსიშვილი ვ.**—მუშ. მოძრ. 161
64. **ფაშალიშვილი**—ეროვნულ საკ. 212
65. **ფურცელაძე**—ა) ეროვნ. საკ. . 14
ბ) ბატონყმობაზე. 79
გ) გლეხთა საკ., 109
66. **ქიაჩელი**—ა) მუშ. მოძრ. 206
ბ) განყენებული საკითხი 217
67. **ქუჩიშვილი გ.**—მუშათა მოძრ. 149
68. **ჩხიკვაძე ნ.**—მუშ. მოძრ. 152
69. **შანშიაშვილი**—ა) ეროვნ. საკ. 53
70. **შიუკაშვილი** განყ. საკით. 207
71. **წერეთელი აკაკი**—ა) ეროვნულ საკ. 38
ბ) ბატონყმობაზე . 76
გ) გლეხთა საკით. 108
დ) მუშათა მოძრ. . 113
72. **წერეთელი გ.**—ა) ეროვნულ საკ., 54
ბ) წოდებათა დაქსაქს. 97
გ) ბურჟ. ურთიერთ. . 87
73. **ყაზბეგი ალ.**—ეროვნულ საკითხ. 50
74. **ცაგარელი ა.**—ბურჟ. ურთ., 91
75. **ჭავჭავაძე ალ.**—ეროვნულ საკითხ. 14
76. **ჭავჭავაძე ილია**—ა) ეროვნულ საკითხ. 32
ბ) ბატონყმობაზე 68
გ) განყ. საკითხზე. 188
77. **ჭონქაძე დ.**—ა) ბატონყმობაზე 63
ბ) ბურჟ. ურთიერთ. 85
78. **ჭუმბაძე არ.** 212

ვინ რომელ გვერდზე არის მოხსენებული.

გვერდები.

1. აბაშელი ს, —156-9, 207, 216.
2. აბაშიძე გრ.—53-4.
3. ადამაშვილი-ჯავახიშვილი,—171.
4. აზიანი ნ.—91.
5. არაგვისპირელი შ.—91, 102, 165-6,178, 202-3.
6. არდაზიანი ლ.—86-7.
7. ახოსპირელი ბ.—161-2.
8. ბაბილინა,—160-1.
9. ბარათაშვილი ნ.—14, 23-6, 33, 39, 63, 64, 117, 141, 178-88, 198, 203, 208, 209, 213, 215, 221.
10. ბარნოვი ვ.—53, 170-1.
11. გაბაშვილი ეკ. —210.
12. გამსახურდია კ. —212, 213.
14. გაფრინდაშვილი ვ.—213, 216.
14. გედევანიშვილი ი.—110, 206.
15. გოგოლაძე კ.—163.
16. გომართელი ივ.—110, 127, 170.
17. გრიშაშვილი ი.—208-11, 216, 218.
18. გურიელი მ.—53-4, 160.
19. დადიანი შ.—171.
20. დაეითაშვილი ი.—109, 128-33, 141.
21. ევდოშვილი ირ. —53-4, 133-41, 210.
22. ეკალაძე ი.—166-69.
23. ერისთავი გიორ.—14, 30-1, 39, 60-3, 84, 102.
24. ერისთავი რაფ.—14, 30-1, 65, 104.
25. ერისთავ-ხოშტ. ან.—99-206.
26. ვაჟა-ფშაველა— 14, 53-4, 102, 109, 178, 192-202, 214, 221.
27. ვარდოშვილი ხ.—163.
28. ზომლეთელი ნ.—145-6.
29. ზოტიკე—171.
20. თლუღელი ი.—176.
31. თურდოსპირელი დ.—162.

32. იასამანი — 146-9.
33. იაშვილი ჰ.—213, 217.
34. ირეთელი—169.
35. კლდიაშვილი დ.—97, 100-2, 178.
36. ლალიონი—91, 170.
37. ლომაური ნ. 102. 107.
38. ლომთათიძე ჰ.—53-6, 172-5, 178, 203-207, 221.
39. ლორთქიფანიძე ნ.—102.
40. მაყაშვილი კ.—172.
41. მალაქიაშვილი ვ. 110, 176.
42. მიწიშვილი ნიკ.—213.
43. მგალობლიშვილი ს —102, 106-7.
44. მეგრელი დ.—53, 165.
45. მეჩონგურე—163.
46. მჭედლიშვილი—212.
47. ნაკაშიძე ნ.—172.
48. ნარკანი—170.
49. ნიკოლაიშვილი—171.
50. ნინოშვილი—90-1, 119-20, 164-5, 221.
51. ობოლი მუშა—154-60.
52 ორბელიანი გრ.—14, 20-3, 38-9, 48, 63-4, 68, 116-17, 156, 176-7. 221.
53. ვახტ.—14, 26-30, 33, 62-3, 113, 115, 195, 209, 213, 219.
54. „ ალექს.—62.
55. პართენაშვილი—176.
56. რამიშვილი ტრ.—169, 112.
57. რობაქიძე გრ.—213, 217.
58. რუხაძე ვ.—141-44.
59. „ ილია.—176.
60. რემონიძე—176.
61. ტაბიძე გალაკტ. 207-8, 217.
62. „ ტიც.—213, 217.
63. ტუქსიშვილი ვ.—161.
64. ფაშალიშვილი—212.
65. ფურცელაძე ან.—19, 79, 109.
66. ქიაჩელი—206, 217.
67. ქუჩიშვილი—149-52.
68. ჩხიკვაძე ნ.—152-56, 207.
69. შანშიაშვილი 210, 211.
70. შიუკაშვილი—207.
71. წერეთელი აკაკი.—14, 38-50, 65, 76, 79, 102, 108, 111, 113, 115, 156, 192.

72. „ გიორგი—. 59-4, 79, 87, 97-8, 112, 119, 178, 193, 195, 210, 211, 214.
73. ყაზბეგი ა. – 14, 50-3, 102, 109, 111, 178, 192-93.
74. ცაგარელი –91.
75. ჭავჭავაძე ალექს. 14-20, 33, 38, 39, 63-4 111, 115, 209. 221.
76. „ ილია—13, 14, 33-38, 60, 62, 68-76, 79, 97-8, 100, 102. 204, 108, 110, 212, 113, 115, 141, 166, 176-78, 188-193, 210, 214, 221.
77. ჭონქაძე დ.—63-8. 85, 90, 100, 163, 178.
78. ჭუმბაძე არ.—212.

მთავარ შეცდომათა გასწორება:

გვერდი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
4	12	ქვევიდან	2925	1925
15	6	ზევიდან	1846	1847
16	15	ქვევიდან	კახეთის აჯანყებაში	მთიულეთის აჯანყებაში
65	12	ზევიდან	გრიალებს	ტრიალებს
79	3	„	გამართლებულმა	გაუმართლებელმა
104	7	„	წოდება და აზროვნება,	წოდების და აზროვნების
110	3	ქვევიდან	იგი	ეს მოთხრობები
116	12	ზევიდან	ეს კერაა	ეს კრებაა
117	16	ქვევიდან	ჰყავდა ახალი	მას არ ჰყავდა ახალი საზოგადოებრივი კლასი.
148	4	ქვევიდან	შიშში ღაჰპოებს ნუგეშს გრძნეული	მასში ღა ჰპოებს ნუგეშს ძლეული
149	2	ზევიდან	ხოლო იქ სიმუხთლე	ხოლო იქ, სადაც სიმუხთლე
169	11	„	1903	1904
181	16	ქვევიდან	მესამენაირად არ	მესამენაირად ასე
184	9		უარყოფა-	არ მიღება
223	15	ზევიდან	მკვიდრ	მკვიდრთა
223	11	ქვევიდან	სული და სულის	სული და

მე-16 გვერდზე მე-18 სტრიქონის შემდეგ უნდა ჩაემატოს შემდეგი: საეჭვო არ არის, რომ ასეთ პიროვნებას ახალი მთავრობა არ ეყვარებოდა და გაისმა თუ არა 1804 წ. მთიულეთის აჯანყების ხმა, 17 წლის პოეტი მიიპარება მამის სახლიდან და ამბოხებაში ღებულობს მონაწილეობას. დაიჭრება კიდეც.

მე-17 გვ. მესამე და მეოთხე სტრიქონები ზედმეტია.

მე-60 გვ. შენიშვნაში ნათქვამია, რომ გრ. გიორგაძის შრომა ბატონყმობის შესახებ მალე გამოქვეყნდებაო. ეს ნაშრომი უკვე დაბეჭდილია ამ სათაურით: „ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში". აღძრული საკითხის შესახებ იხ. 210—11 გვ.

მე-76 გვ. აკაკის ლექსის პირველი კუპლეტი ეპიგრაფს შეიცავს.

მე-177 გვ. მე-6 სტრიქონის ზევით უნდა იყოს: განყოფილება მეექვსე.

მუშათა მოძრაობაში შეცდომით არ არიან მოხსენებული დავ. სულიაშვილი (დ. ლიხელი), რომელსაც აქვს პირველი რევოლიუციის დროიდან მკვირცხლად დაწერილ მოთხრობათა მთელი რიგი და გ. ბოკერია. ამავე მიზეზით არ არის აგრეთვე მოხსენებული ბელეტრისტი სვ. ყიფიანი.